# კვირის პალიტრა

№ 41 (502) ◆ 11 – 17 ოქტომბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## როცა ყველაფრის გადაწყვეტა ერთ კაცს უწევს(!)



### არაპროფესიონალი „ბიბია“ და გამოუცდელი კადრები

...არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ვერტიკალზე დამოკიდებული ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხშირად დამოუკიდებლად ვერ იღებს არათუ სახელმწიფოებრივ, არამედ ხალხის ყოფის გაუმჯობესებისათვის საჭირო ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც კი...

ქვეყნის მმართველისთვის გადამრჩენი შეულამაზებელი სიმართლეა, თუნდაც მძიმე, ცუდად მოსასმენი, მაგრამ ნამდვილი და უტყუარი. გვ.7

...რევოლუციონერობის თამაშის დრო წავიდა. ახლა გააზრებული, ჭკუადამჯდარი პოლიტიკის გატარების, ყველაფრის რაციონალურად დალაგების დროა.

## „საქსტანდარტს“ თვალი ვერა და ვერ აეხილა...

### როგორ მზადდება იმპორტული ნედლეულით ფალსიფიცირებული ეროვნული პროდუქცია

მოტყუებული მოსახლეობა და გამდიდრებული ფალსიფიკატორები.. ორთქლში გატარებული ნიგოზი, აძძალებული იოგურტი და წყლის ინიექციით გაბერილი გოჭი... ქართული ტომატ-პასტა თუ წითლად შეღებილი ირანული ვაშლის პიურე(?!).

დაუსჯელობის სინდრომი, განუკითხაობა და ქაოსი ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე გრძელდება!.. გვ.12

## „აივანი რომ აგეშენებინა უნებართვოდ, შოთა ყავლაშვილი ფანჯრებს ჩაგიმტვრევდა“

### „თუკი სადმე არ შეიძლებოდა ცალმხრივი მოძრაობის გაკეთება, უპირველესად ამ მონაკვეთზე“

უცხოელები რომ ჩამოვლენ და დაინახავენ, რაც ამ სამკუთხედზე ხდება, ბანგლადეშის დონის ქვეყნად ჩაგვთვლიან...





ქალაქის ტრანსპორტის სპეციალისტებს მეტი დაკვირვება უნდა გამოეჩინათ. ისინი ვალდებული იყვნენ, შესაძლო უარყოფითი შედეგების თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებინათ ხელმძღვანელობა. მაგრამ როცა ზოგიერთი სამსახური დავალებებს იღებს არა პროფესიული მიდგომით, არამედ მონური მორჩილებით, შედეგი ყოველთვის უარყოფითი გვექნება. გვ.5,27

### „ორმხრივი მოძრაობის აღდგენას არ გამოვრიცხავ“

## განაწყენებულ მეზობლებს შეუძლიათ ერთმანეთის საგადასახადოში დასმენა...



გვ.6

თითქოს კარგია, საგადასახადო ტვირთი რომ შემცირდა და ზოგიერთი გადასახადიც გაუქმდა, მაგრამ ახალ კოდექსში შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ საგადასახადო ტვირთი შეცვლილი სახით იმ გადასახადებზე გადანაწილდეს, რომლებიც ძალაში დარჩა.

გვპირდებოდნენ — თუკი ბუნდოვან კანონს დავწერთ, ასეთ შემთხვევაში საკითხი მეწარმის სასარგებლოდ გადაწყდებაო. დანაპირების შესრულების გარანტია კანონში არ არის ჩაწერილი. მაშ, პრემიერ-მინისტრის ზეპირ დაპირებას ვენდოთ?

### ექსპერტების აზრით:

## დამფრთხალი პოლიციელის ხილვა ორმაგად შემზარავია

გვ.13,33

ქურდების თანადგომაში შემჩნეული კადრები საჩხერის პოლიციაში...

როცა პოლიციის უფროსი საკანში მსხდომ „შავებს“ გამოუშვებს, სამორიგეო პულტთან დასვამს და მორიგეებს საკანში შეყრის — ასე უფრო სამართლიანიაო, რომელ წესრიგზე, რა დანაშაულის გახსნაზე შეიძლება ლაპარაკი...

## „ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ მნახოს ვოვამ“



### ექსკლუზიური ინტერვიუ პუტინის დედასა და დასთან:

— სიზმარში ხშირად ვხედავ, მაგრამ ხმას არ მცემს, გაბუტულია ჩემზე...

გვ.11,33



უტყუარი ფაქტები რუსეთის პრეზიდენტის ბავშვობიდან

### სამხედრო თემაზე:

## სნაიპერული „ნადირობა“ ქართველებზე

გვ.8,9

## დივერსია — „უხმაურო ფრონტის“ ხმამაღალი გამოძახილი

## „რუსეთისნაირი მეგობრის პატრონ სომხეთს მტერი აღარ სჭირდება“

## სატანკო ქარხნის ძარცვა გრძელდება

## „ის ლამაზი ოცნებები წყალში ჩამეყარა...“

მზის პოვნა ყველგან შეიძლება, თვით ძალიან ცუდ ცხოვრებაშიც კი გვ.17



## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## ვინ ჩაჰბარდება ისტორიას?

საქართველოს მთავრობას წლევანდელ 23 ნოემბერს პირველად არ ეცლება სადღესასწაულოდ. შესაძლოა ზოგიერთი მინისტრი ამ პოსტზე გიორგობის დღესასწაულს პირველად და უკანასკნელად შეხვდეს, — ასე დაემუქრა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლისთავზე, მოსახლეობის წინაშე ერთწლიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენისას, ხელი მოეცარებათ. „თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე მათგანს მოსახლეობისათვის სათქმელი არაფერი აქვს, ჩვენ მას ისტორიას ჩავაბარებთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა 8 ოქტომბერს, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე.

## ვითომ ამით დამთავრდება ომი?

კახურ რთველში ყურძნის საკუთარი ხელით დაკრეფა, თათარის მოდუღება, ჩურჩხელების ამოვლება და ხინკლის მოხვევა თუ საქმეს უშველის და საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ აბსოლუტურად უსამართლო საინფორმაციო ომს რუსეთიდან წერტილი დაესმება, შეიძლება ითქვას, რომ „მტრის“ გაუვნებლებაზე ხელის განძრევაც არ დაგვჭირვებია. სტუმართმასპინძლობის უბადლო ქართულ ადათს დაგვიფასებენ თუ არა რუსი ჟურნალისტები, ამას უახლოეს მომავალში საქართველოს შესახებ დაწერილი რუსული პუბლიკაციები, სტატიები და სიუჟეტები გაამჟღავნებს. მანამდე კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, საქართველოში სტუმრობის დროს მართლაც შესანიშნავ გარემოში მყოფი რუსი ჟურნალისტების დელეგაციას სჯეროდა, იმისა, რასაც ხედავდა, გრძნობდა და ძილში რუსი შოვინისტი და პროვოკატორი ქართველთმოძულე ვაი-პოლიტიკოსების მიერ შეთითხნილი მითები, ბინ ლადენისა და ტერორისტების შესახებ, არ ესიზმრებოდათ. რუსი ჟურნალისტები კახეთში ყოფნისას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლას ელოდებოდნენ, თუმცა ამაოდ. სახელმწიფო საქმეებით გართულ პრეზიდენტს იმ დღეს კახეთში „გასასეირნებლად“ არ ეცალა. ან რატომ უნდა მოეცალა?

## ორივე ჩივის

თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი სერგეი ბაღაფში 8 ოქტომბერს უმაღლეს სასამართლოში შეტანილი სარჩელით — გალის რაიონში განმეორებითი არჩევნების ჩატარების შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და 3 ოქტომბრის არჩევნებში თავისი გამარჯვების ოფიციალურად აღიარებას მოითხოვს.

ერთი დღით ადრე კი 7 ოქტომბერს, აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში სარჩელი პრეზიდენტობის კანდიდატმა რაულ ხაჯიმბამ შეიტანა. ისიც უკანონოდ მიიჩნევს ცესკოს გადაწყვეტილებას, 17 ოქტომბერს გალის რაიონის 33-ე, 34-ე და 35-ე საარჩევნო ოლქებში განმეორებითი არჩევნების ჩატარების თაობაზე და მოტივად იმ გარემოებას ასახელებს, რომ აფხაზური პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 30 მაისს მიღებული „აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევის შესახებ“ კანონი განმეორებითი არჩევნების ჩატარებას არ ითვალისწინებს. ხაჯიმბა კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდეს.

გალის რაიონის სამ საარჩევნო ოლქში 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმების მიზეზი ის გახდა, რომ რაიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ქართულ ენაზე შევსებული დოკუმენტები ჩაიტანეს. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, სერგეი ბაღაფშის მომხრეები დარწმუნებული არიან, რომ არძინბას ხელისუფლებამ დოკუმენტები შეცვალა და აცხადებენ, რომ მზად არიან, სასამართლოს ნამდვილი უწყისები წარუდგინონ.

## რუსებს ქართველების თავდასხმისა ეშინიათ(?!)

რუსეთში წარმოებული არასწორი საინფორმაციო პოლიტიკის შედეგად, როგორც ჩანს, ქვეყნის მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი რუსეთის ფედერაციაზე სხვადასხვა ქვეყნისგან თავდასხმის პარანოიკულ შიშს ჰყავს ატანილი. ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის ოქტომბრის დასაწყისში ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა 25% აშშ-ისგან რუსეთზე თავდასხმის მოლოდინშია. რუსების ერთ ნაწილს კატასტროფულად ეშინია არაბული ქვეყნების აგრესიისა. თითქმის ყველა არაბულ ქვეყანას რუსეთის დაუძინებელ მტრად თვლიან. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ჩეჩნეთთან ერთად, საქართველოსაც რუსეთის მტრად მოიხსენიებენ და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თურმე გამოკითხულთა 5% საქართველოსგან თავდასხმის შიშით კანკალებს. მართლაც — „ქურდს ყველა ქურდი ჰგონია“. საინტერესოა, რომ რუსები თავიანთ მტრებად მიიჩნევენ თითქმის მთელ მსოფლიოს და პოტენციურ მტრებს შორის იაპონიას, ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთსაც ასახელებენ.

## ყველაზე რთული საგამოცდო შეკითხვა

პოლიციის აკადემიაში თბილისის საპატრულო პოლიციის კურსანტების მისაღებ გასაუბრებაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, შს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის და გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის გამოჩენამ ეტყობა, ისე დააბნია კონკურსანტები, რომ არავის გახსენებია რამდენიმე წლის წინ იუსტიციის მინისტრის მოადგილის საქციელი. პოლიციამ გააჩერა ოქრუაშვილის ავტომანქანა (დღემდე ვერ დგინდება, კანონიერად თუ უკანონოდ) — მისი თანამდებობა არაფრად ჩააგდო. პოლიციელსა და ჩინოსან ოქრუაშვილს შორის სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა. ეს ამბავი რომ გახსენებოდათ, სააკაშვილის კითხვაზე, — დავუშვათ, ოქრუაშვილის მოადგილე მთვრალი დააკავეთ და გიხსნით, ვინც არის, როგორ მოიქცევითო? გამოსაცდელები, რომლებსაც ჭირის ოფლი ასხამდათ, ხუმრობით მაინც უპასუხებდნენ, — ისევე, როგორც ჩვენი ძველი კოლეგა მოექცა ერთ დროს იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის მოადგილე ირაკლი ოქრუაშვილსო. დიდი ციებ-ცხელების მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი კონკურსანტებთან გასაუბრებით უკმაყოფილო არ დარჩენილა და განაცხადა: „საპატრულო პოლიციას მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი. პოლიციელი უაღრესად ზრდილობიანი, მაგრამ ამასთანავე პრინციპული უნდა იყოს“.

## მოძალადე პოლიციელი დააკავეს

მიუხედავად კანონის გამკაცრებისა, როგორც ჩანს, ზოგიერთი ძველი პოლიციელისთვის მავნე ჩვეულებები კვლავაც რჯულზე უმტკიცესია. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-5 ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორებმა იოსებ ქარსაულიძემ და რობერტ შონიამ, სტუდენტებთან კამათისას, ერთ-ერთი მათგანისთვის ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერების ჩადება სცადეს. სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა ჩარევის შედეგად, ხულიგანი პოლიციელები დეკანატში აიყვანეს და მომხდარის შესახებ შსს-ს გენერალურ ინსპექციას აცნობეს, რომლის წარმომადგენლების გამოჩენამდე პოლიციელები მიიმალნენ. შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის იოსებ თოფურიძის განცხადებით, მიმალვის მიუხედავად, დამნაშავეების ვინაობის დადგენა მოხერხდა. რობერტ შონია დღემდე არ ცხადდება შსს-ში. იოსებ ქარსაულიძეს კი იმავე დღეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა დაუდგინდა. თანაც მარიხუანისა, რომლის ნაწილის ჩადებასაც მონდომებით ცდილობდა სტუდენტის ჯიბეში. როგორც თოფურიძე აცხადებს, საქმე გამოძიებაში გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-2 ქვეგანყოფილების უკლებლივ ყველა თანამშრომელიი ნარკოტიკულ შემოწმებაზე წაიყვანეს. იმედია, ქარსაულიძე ერთადერთი ნარკომანი პოლიციელი იქნება მათ შორის.

## დამნაშავე ტანკერმა ჯარიმა გადაიხადა

საქართველოს ტერიტორიული წყლების დარღვევისა და კონტრაბანდისთვის დაკავებული ბერძნული ტანკერის „ვასილიოს XVI“-ის ეკიპაჟმა (მან სოხუმის ნავსადგურში დიდი ოდენობით კონტრაბანდული საწვავი შეიტანა.) საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ ჯარიმა გადაიხადა — 200.000 ლარი. ეს სამაგალითო და ჭკუის სასწავლებელი გახდება მათთვის, ვინც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოსვლას დააპირებს.

საბერძნეთის დროშით მცურავი ტანკერი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველომ წელს, მაისში დააკავა.

## უფრო გამძლე და იაფი?!

შესაძლოა, გაისიდან საქართველოს გზების საფარი ახალი ტექნოლოგიით დაფარონ. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გაამართლებს თბილისის მერიის მიერ ერთ-ერთ ქუჩაზე განხორციელებული ექსპერიმენტი. დედაქალაქის საინიციატივო ჯგუფში შემავალმა ორგანიზაციებმა „ჯორჯიამ“ და „ჯეტა სერვისმა“ აშშ-ში და ევროპაში აპრობირებული ე.წ. ცივი მეთოდით დააგეს გზის საფარი. როგორც მერი, ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, ეს მეთოდი უფრო იაფი ჯდება და ყინვასაც უკეთ უძლებს. მერის თქმით, საინიციატივო ჯგუფში შემავალ კომპანიებს, წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, უფლება მისცა საკუთარი ხარჯებით ჩაეტარებინათ ექსპერიმენტი, რომლის შედეგების შეფასება უკვე გაზაფხულზე იქნება შესაძლებელი. თუ აღნიშნული ტექნოლოგია გაამართლებს, სავარაუდოდ, ქალაქებსა და მეორად გზებზე საფრის დაგება ამ ტექნოლოგიით განხორციელდება.

## ხანძარი შემოგვეჩვია

სექტემბრის მიწურულის მსგავსად, ოქტომბრის დასაწყისიც ხანძარმრავალი აღმოჩნდა. 10 ოქტომბერს, ღამით, ხანძარმა მთლიანად შთანთქა ფოთის სახალხო ბანკის შენობა. დაიწვა ამავე შენობაში განთავსებული ტექნიკური აღრიცხვის სამსახური, სავაჭრო ობიექტები. მეხანძრეებმა სტიქიის ლიკვიდაცია მხოლოდ ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ შეძლეს. წინასწარი მონაცემებით, ხანძარი შენობას სახურავიდან მაღალი ძაბვის მოვარდნის შედეგად გაუჩნდა. სამწუხაროდ, ცეცხლმა სრულიად გაანადგურა მე-19 საუკუნიდან დღემდე არსებული ფოთის საარქივო დოკუმენტაცია. 9 ოქტომბერს, დღისით, ასევე დაიფერფლა თბილისში, „დინამოს“ სტადიონის წინ მდებარე სავაჭრო ქსელი „ქარვასლა“. სავარაუდოდ, ხანძრის მიზეზი აქ შედუღებითი სამუშაოები გახდა. აალებადი მასალით მოპირკეთებული სავაჭრო ცენტრის შენობას ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედო. რის გამოც, შეუძლებელი გახდა ხანძრის დროულად ლოკალიზება. დაიწვა „ქარვასლაში“ განთავსებული სავაჭრო საქონლის დიდი ნაწილი, რაც გადარჩა, თითქმის ყველაფერი წყალმა დააზიანა.

## ამერიკული ჰუმან-აქცია

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მასობრივი იარაღის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, აშშ-ის კონგრესმა საქართველოს მისამართით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ახალი ინიციატივის — „აბრეშუმის გზის“ — ფარგლებში პირველი დაფინანსება, 10 მლნ დოლარი გამოყო. ახალ ინიციატივაში, საქართველოს გარდა, შედის სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. საცდელი პროგრამის განხორციელების პრიორიტეტი კი საქართველოს ხვდა წილად. 10 ოქტომბერს აშშ-მა საქართველოს მიმართ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქცია განახორციელა. ამერიკულმა სატვირთო თვითმფრინავმა „გელაქსი C-5“-მა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის ამერიკის მთავრობის მიერ გამოგზავნილი მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების საჩუქრები ჩამოიტანა. (ვრცლად იხ. გვ.9)

## ლარსი „წამით“ გაიხსნა

ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა ბესლანის ტრაგედიის შემდეგ რუსების მიერ კარგა ხნით ჩაკეტილი ლარსის „კარის“ გახსნა. შესაძლოა, პუტინს გული მოულბო სომეხი კოლეგის თითქმის ერთკვირიანმა ვედრებამ — გზის ჩაკეტვა სომხეთს სერიოზულ ზარალს მოუტანსო. 10 ოქტომბერს სულ რამდენიმე საათით რუსებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის მონაკვეთზე გამავალ გზას „ურდული“ აჰყარეს. საზღვარი გადალახა ასობით სატვირთო მანქანამ და მგზავრმა, რომლებიც რუსეთიდან საქართველოში და სომხეთში მიემართებოდნენ. ასევე შესაძლებელი გახდა ავტომანქანების გადასვლა რუსეთის ტერიტორიაზეც.

## „ანეკდოტი“ რუსულად

რუსულ ტელეარხ НТВ-ზე გაშვებულ დოკუმენტურ ფილმს, საქართველოს პრეზიდენტის შესახებ, მიხეილ სააკაშვილი მოგვიანებით გამოეხმაურა და მას „ანეკდოტი“ უწოდა. „ამგვარი ანეკდოტური ფილმის ჩვენება იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საქმეები კარგად მიდის. აბა, რად სჭირდებოდა ავტორს „შტირლიცის“ მუსიკის ფონზე ისეთი ხალხის ჩვენება, როგორებიც არიან იგორ გიორგაძე და კიტოვანი“, — განაცხადა სააკაშვილმა.

## დადიანები სასახლეს დაუბრუნდებიან(?!)

ზუგდიდში დადიანების სასახლის დირექტორი შესაძლოა დიდი მთავრების შთამომავალი გახდეს. კულუარული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის ახალი რწმუნებული გიგი უგულავა დადიანების სასახლის პრობლემებით დაინტერესდა, შესაძლოა, სასახლის დირექტორის თანამდებობა პრინცესა ვერონიკა დე შაბოტრამკურს შესთავაზოს. უკვე ცნობილია ამ საკითხზე პრინცესას მოსაზრება — იგი ალბათ უარს არ იტყვის ამ მნიშვნელოვან მოვალეობაზე. მისი აზრით, მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე ღირსეული და გამოცდილი კადრი უნდა დაინიშნოს, რომლისთვისაც მუზეუმი არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილი, არამედ პატივისა და ღირსების საქმე იქნება.

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც ჩვენთვის ტელევიზიისა და პრესის საშუალებით გახდა ცნობილი, ქ. თბილისის მერის, ბ-ნ ზურაბ ჭიაბერაშვილის ახალდადგენილ მრჩეველთა შორის არის ორი სასულიერო პირი: გლდანის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელ ასათიანი და ნარიყალის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახური ზაზა თევზაძე.

ამასთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ, რომ სასულიერო პირებმაც და ქალაქის მერიამაც ეს გადაწყვეტილება საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე მიიღო.

## ისევ ელექტროდივერსია...

ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გორის რაიონის სოფელ შავშვებში ელექტროდივერსიის ადგილი მოინახულა. მაღალი გადამცემი ხაზი „ქართლი-2“ და 220-კვ-იანი ელექტროსადენი „ლიახვი“, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს კვებავენ ელექტროენერგიით, 9 ოქტომბერსააფეთქეს. ამის შედეგად საღამოს დედაქალაქის 80% ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ვანდალური ფაქტის თუ დივერსიის განსახორციელებლად გამოყენებულია ტროტილი.

დივერსიის მიზეზით საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობის გამო, ავარიის შედეგების სრულ ლოკალიზებამდე თბილისის 30%, ელექტროენერგიას შეზღუდვით მიიღებს.

## ვერც ინტერნეტში ერევიან

რუსეთის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩეჩნური ვებ-საიტი „კავკასცენტრი“ კვლავ განაგრძობს მუშაობას. მას შემდეგ, რაც რუსებმა აღმოაჩინეს, რომ ვებ-საიტი ლიტვის სერვერზე იყო განთავსებული, კატეგორიულად მოითხოვეს მისი დახურვა. ვებ-საიტზე შამილ ბასაევის და ასლან მასხადოვის მიმართვების გამოქვეყნების გამო „კავკასცენტრის“ მისამართების ძებნის სურვილმა იმდენად იმძლავრა რუსებში, რომ თვალი საქართველოსკენაც კი „გამოექცათ“ და დაიჟინეს, — მასხადოვის და ბასაევის მიმართვები თბილისიდან არის გაშვებულიო. ამჯერად „კავკასცენტრი“ ფინეთისა და შვედეთის ერთობლივი საკომუნიკაციო კომპანიის სერვერზე განათავსეს. კომპანიის წარმომადგენლებმა, რუსების პრეტენზიების გამოთქმამდე განაცხადეს, — ჩეჩნური ვებ-საიტის დახურვის საბაბი არ გაგვაჩნიაო. „კავკასცენტრი“ რუსეთისთვის ბასაევივით და მასხადოვივით მოუხელთებელი რჩება.




## კერიმ ისევ აჯობა ბუშს

ტელეკომპანია ეი-ბი-სის ცნობით, სატელევიზიო დებატების დროს ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტთა 44%-მა უპირატესობა კერის მიანიჭა, 41-მა — ბუშს, 13%-ს არჩევანის გაკეთება გაუჭირდა.

დისკუსიის დროს მხარეები საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრობლემების ფართო სპექტრს შეეხნენ. მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიცაა ერაყის ომი, ბირთვული იარაღის გავრცელება, აშშ-ის შიდაუსაფრთხოება, ამერიკის არმიის დაკომპლექტება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საგადასახადო პოლიტიკა და აბორტები.

ბუშმა განაცხადა, რომ ერაყში საომარი კამპანიის დაწყება მისი ადმინისტრაციის სწორი გადაწყვეტილება იყო. ის უკმაყოფილოა იმით, რომ არ დადასტურდა ბრალდება, თითქოს სადამ ჰუსეინის რეჟიმს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. თუმცა ბუშმა აღნიშნა, რომ ერაყის დიქტატორი საფრთხეს წარმოადგენდა და მსოფლიო მის გარეშე უფრო უსაფრთხო გახდა.

კერიმ უპასუხა, რომ ბუშის ადმინისტრაციის ქმედებებმა ერაყში ქაოსი გამოიწვია და მსოფლიოს საფრთხე შეექმნა, „ვინაიდან პრეზიდენტმა სწორი შეფასებები ვერ გააკეთა“.

ბოლო სატელევიზიო დებატები 13 ოქტომბერს გაიმართება არიზონის შტატში.

## ამერიკელები უკრაინელებს აფრთხილებენ

იმ შემთხვევაში, თუ 31 ოქტომბერს უკრაინაში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები „თავისუფალი და პატიოსანი არ იქნება“ აშშ-ის კონგრესში შეტანილი ახალი კანონპროექტით უკრაინის მთავრობის წევრებისთვის აშშ-ში შესასვლელი ვიზები აღარ გაიცემა.

კანონპროექტის მიხედვით, უკრაინის მთავრობის მაღალჩინოსნები, ასევე მათი ოჯახის წევრები, აშშ-ში შესასვლელ ვიზებს ვერ მიიღებენ, თუ მომავალი არჩევნებისთვის მზადების, ან თავად ხმის მიცემის დროს არადემოკრატიული ხასიათის ისეთი დარღვევები გამოვლინდა, როგორიცაა: კანდიდატების და წინასაარჩევნო შტაბების დაშინება, ეროვნული მასმედიისთვის მუშაობაში ხელის შეშლა, მთავრობისთვის სასურველი კანდიდატურის (კერძოდ, ახლანდელი პრემიერ-მინისტრის) მხარდაჭერის მიზნით სახელისუფლებო რესურსების უკანონოდ გამოყენება, ან ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ საარჩევნო კომისიაზე ზეწოლა.

„ამჟამად ყველა ნიშანი არსებობს იმისა, რომ არჩევნები პატიოსანი და თავისუფალი არ იქნება და სამთავრობო რესურსები იმისთვის მზადდება, რომ ხელისუფლებამ არჩევნების შედეგები გააკონტროლოს“, — ნათქვამია კონგრესმენ რორაბეკერის წერილობით განცხადებაში, რომელიც მან კონგრესში კანონპროექტის შეტანასთან დაკავშირებით გააკეთა. აშშ ალბათ ისევე აუსრულებს უკრაინას მუქარას, როგორც ბელორუსია დასაჯა ევროკავშირმა ლუკაშენკოს არადემოკრატიულობის გამო.

# ფინანსური ამნისტიის საკითხს ზედმიწევნით გარჩევა და დაკვალიანება სჭირდება



## არც ყველაფრის ჭამა-სმაზე გადატარება ვარგა

### როგორც ჩანს, კადრების პრობლემა საქართველოს კიდევ დიდხანს ექნება — სანამ სისტემა არ „დაიზეთება" და მწყობრში არ ჩადგება

მისასალმებელია, რომ საქართველო საინფორმაციო ომში, შინ და გარეთ, მთელი ძალებითა და რესურსებით არის ჩაბმული. სტრასბურგში გამართული დებატების პარალელურად, კახელები რუს ჟურნალისტებს აპურებდნენ და არწმუნებდნენ, რომ ქართული სტუმართმოყვარეობის ხათრით მაინც, საქართველოზე აუგი აღარ ეთქვათ თუ დაეწერათ. რაც შეეხება, ევროსაბჭოში მიღწეულ წარმატებებს, ალბათ, ეს მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო — ევროპის დამოკიდებულება რუსული დემოკრატიისადმი დიდი ხანია, ცნობილია. სხვა საქმეა, რამდენად ითვალისწინებენ ამ დამოკიდებულებას ყოველდღიურ პრაქტიკაში რუსი მაღალჩინოსნები. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეგრეთ წოდებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნების იმიტაციისთვის მათ ძალ-ღონე არ დაუშურებიათ. ამასობაში კი დანარჩენი საქართველო მსჯელობდა — ვისი გამარჯვება და პრეზიდენტობა სჯობდა ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის. კანდიდატებისა და მათი სეპარატისტული განწყობის გათვალისწინებით, ამ საკითხზე კამათი მაინცდამაინც პერსპექტიული არ უნდა იყოს. იმაზე მსჯელობა კი ნამდვილად ღირს — ჩვენი მხრიდან ესოდენ სერიოზული მიდგომა ერთგვარი ლეგიტიმაცია ხომ არ იყო სპექტაკლისა, რომლის დადგმასაც რუსული სპეცსამსახურები რუსულ მედიასთან ერთად ასეთი შემართებით ცდილობდნენ?! ამ უკანასკნელი ფაქტისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჯერჯერობით არავითარი შეფასება არ მიუცია, თუმცა, საეჭვოა, მის რეაქციას რაიმე შედეგი მოჰყოლოდა. შიდაპოლიტიკური სკანდალი და დაპირისპირება გამოიწვია საქართველოსთვის გაეროში ხმის უფლების ჩამორთმევამაც. თითქოს, როცა ეს „ხმა" გვქონდა, რამეში გვადგებოდა...

პრეზიდენტი ერთ ადგილზე ვერც საქართველოში ჩერდება და ამჯერად, გასულ კვირაში მან სამხედრო ნაწილები შემოიარა. გზადაგზა კი საკმაოდ მკაცრი (რბილად რომ ვთქვათ) განცხადებები გააკეთა იმ პოლიტიკოსებისა და მასმედიის მიმართ, რომლებმაც ქართული ჯარისა და ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკის გაკრიტიკება გაბედეს. ბუნებრივია, ნიჰილიზმისა და უიმედობის დათესვა სახელმწიფოებრიობის ყველაზე საშიში მტერია, მაგრამ, ჩვენს ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარებას არც ნეტარი თვითკმაყოფილება წაადგება და მით უმეტეს, არც სახელმწიფოს პირველი პირისგან პოლიტიკური ოპონენტების ლანძღვა-გინება... თუმცა ამ შემთხვევაში, ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ პრეზიდენტი, ქვეყნისთვის საზიანო საქმეზე საუბრისას, თავისიანსაც და სხვასაც ერთნაირად ამკობს ხოლმე — როგორც ჩანს, გასულ კვირას დაწყებული მოხსნებისა და დაჭერების სერია მომავალ კვირაშიც გაგრძელდება...

საქართველოში არსებულ ვითარებაზე, წარსულის შეცდომებსა და მომავლის პერსპექტივებზე პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს** ვესაუბრებით:

— **სტრასბურგში გამართულმა დებატებმა საქართველოში დიდი აღტყინება გამოიწვია. ევროსაბჭოდან დაბრუნებულ საქართველოს დელეგაციის წევრებს ისე ამაყად ეჭირათ თავი, როგორც ომიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ ჯარისკაცებს...**

— ჩეჩნეთთან დაკავშირებულმა საკითხებმა კრემლს ევროსაბჭოში ისე გაუტეხა სახელი, რომ ამ დებატების შედეგი უკვე წინასწარ იყო ცნობილი. არა მხოლოდ გასული წლების, რუსეთ-საქართველოს მთელი ურთიერთობის მანძილზე იმდენი კოზირი დაგვიგროვდა, რომ ნებისმიერი სახის დებატები, ნებისმიერ დონეზე, ისევ რუსული გამონათქვამი რომ გამოვიყენოთ, „ახალშობილის გალახვას" დაემსგავსებოდა, ბუნებრივია, საინფორმაციო თვალსაზრისით. სტრასბურგში გამართულ დებატებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ კუთხით, რომ ევროპა კიდევ ერთხელ დაინახავდა კრემლის ნამდვილ სახეს. თუმცა ამ ფაქტმა გამარჯვების ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს, რადგან უკვე დიდი ხანია, მსგავს აქციებზე მოსკოვმა იმუნიტეტი გამოიმუშავა და საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს. დებატების ყველაზე რეალური შედეგი რუსეთთან მიმართებაში ის იქნება, თუ ამ თემაზე ევროსაბჭო საგანგებო მომხსენებელს დანიშნავს — როგორც წესი, სიტუაციის დეტალურ აღწერას და მის შესახებ გაკეთებულ მოხსენებას ევროსაბჭოს მხრიდან დასკვნის სახით, რეზოლუცია მოჰყვება ხოლმე. სამწუხაროდ, იმასაც ვერ ვიტყვით, რუსეთი რეზოლუციას წაიკითხავს და სირცხვილისგან დაიწვება-მეთქი, მაგრამ საინფორმაციო ომისთვის ამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

> **დებატების ყველაზე რეალური შედეგი რუსეთთან მიმართება-ში ის იქნება, თუ ამ თემაზე ევროსაბჭო საგანგებო მომხსენებელს დანიშნავს — როგორც წესი, სიტუაციის დეტალურ აღწერას და მის შესახებ გაკეთებულ მოხსენებას ევროსაბჭოს მხრიდან დასკვნის სახით, რეზოლუცია მოჰყვება ხოლმე. სამწუხაროდ, იმასაც ვერ ვიტყვით, რუსეთი რეზოლუციას წაიკითხავს და სირცხვილისგან დაიწვება-მეთქი, მაგრამ საინფორმაციო ომისთვის ამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.**

— **სტრასბურგის დებატების პარალელურად, საინფორმაციო ომის „მეორე ფრონტი" ამჯერად უკვე სუფრის სახით, საქართველოში, კახეთშიც იყო გაშლილი. რამდენად იმოქმედებს ქართული სტუმართმოყვარეობა რუსული მედიის განწყობაზე?**

— პირადად ამ შეხვედრებს, უფრო სწორად კი, ქეიფებს არ დავსწრებივარ და რაიმე მოსალოდნელ, კონკრეტულ შედეგებზე ლაპარაკი გამიჭირდება. თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ საქართველოში ჩამოყვანილ რუს ჟურნალისტებს შორის რუსული მედიის გამორჩეული და ცნობილი სახე მე არ მინახავს — ყოველ შემთხვევაში, არავინ მინახავს იმ ჟურნალისტთაგან, რომლებიც რუსულ მედიაში საქართველოს განსაკუთრებული „სიყვარულით" გამოირჩევიან. ამ აქციამ უფრო კომუნისტების ნეტარხსენებული ეპოქა გამახსენა, — როდესაც „მოძმე" რუსეთიდან ხელმძღვანელი ამხანაგები ჩამოდიოდნენ, მათ პირდაპირ კახეთში, მწვადსა და ხინკალზე საქეიფოდ მიარბენინებდნენ ხოლმე. ვერ გეტყვით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს გამძღარი რუსი ჟურნალისტის ტახივით გაგორებას ვენახში. როგორც აქციის მესვეურები აცხადებდნენ, რუს ჟურნალისტთა კორპუსს ამ ვიზიტისას უნდა გაეგო, რა შეიცვალა საქართველოში, როგორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ახალი პერსპექტივები, ბოლოს და ბოლოს, სად გადის ზღვარი სიმართლესა და დეზინფორმაციას შორის. ძალიან მეეჭვება, წინანდლის სანახებში ამ კითხვებზე ვინმეს პასუხი ეპოვა. კახური ჩურჩხელა, ღვინო და მწვადები რომ ძალიან კარგია, ვფიქრობ, რუსებს ეს დიდი ხნის წინ უნდა სცოდნოდათ და ამაში ახალს ნამდვილად ვერაფერს დაინახავდნენ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, საქართველოში აგრესიულობით გამორჩეული რუსი ჟურნალისტები ჩამოგვეყვანა და მათთან სამუშაო ვითარებაში გარკვეულიყო ურთიერთობა — თუნდაც, იმავე დებატებისა და შეხვედრების სახით. ბუნებრივია, რომ ამ შეხვედრების განმავლობაშიც მათ მშივრებს არ დავხოცავდით, მაგრამ არც გადამეტება და ყველაფრის ჭამა-სმაზე გადატარება ვარგა.

> **კახური ჩურჩხელა, ღვინო და მწვადები რომ ძალიან კარგია, ვფიქრობ, რუსებს ეს დიდი ხნის წინ უნდა სცოდნოდათ და ამაში ახალს ნამდვილად ვერაფერს დაინახავდნენ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, საქართველოში აგრესიულობით გამორჩეული რუსი ჟურნალისტები ჩამოგვეყვანა და მათთან სამუშაო ვითარებაში გარკვეულიყო ურთიერთობა — თუნდაც, იმავე დებატებისა და შეხვედრების სახით. ბუნებრივია, რომ ამ შეხვედრების განმავლობაშიც მათ მშივრებს არ დავხოცავდით, მაგრამ არც გადამეტება და ყველაფრის ჭამა-სმაზე გადატარება ვარგა.**

— **აფხაზეთში მიმდინარე პროცესებმა ქართული მედიისა და ზოგადად, საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება გამოიწვია. ხომ არ იყო ერთგვარი ლეგიტიმაციის ტოლფასი ის აჟიოტაჟი, რისი თანხლებითაც ეგრეთ წოდებული აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები შუქდებოდა?**

— სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ იმ აჟიოტაჟითა და ჟივილ-ხივილით, რაც აფხაზეთში გამართულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გამოიწვია. ეს ხომ აფხაზეთის პრობლემის ყველაზე ქვედა დონეა. წესით, განვლილ წლებს უნდა დავერწმუნებინეთ, რომ აფხაზეთის დაბრუნების გასაღები აფხაზეთში არ უნდა ვეძებოთ. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ამ ტერიტორიის მმართველი, ხომ უდავოა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ის მოსკოვის მითითებებს შეასრულებს — გნებავთ, ბაღაფში იყოს და გნებავთ, სხვა ვინმე. საკმარისია, არათუ მოიმოქმედოს, არამედ რაიმე არასწორად თქვას, რომ ერთ საათში გააქრობენ. დღეს ერთ-ერთ არგუმენტად იმასაც მოვისმენთ, რომ მას ქართველი ცოლი ჰყოლია. შაჰ-აბასსაც ბებია ქართველი ჰყავდა და თურმე, ძალიანაც უყვარდა, მაგრამ საქართველოში ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია... ალბათ, უპრიანი იქნებოდა, სხვა გამოსავალზე გვეფიქრა და გვემსჯელა — იმავე საერთაშორისო ორგანიზაციებზე, კონფლიქტის მოგვარების კუთხით მათ ქმედუნარიანობაზე, ოღონდ, ისე კი არა, გაერომ 995-ე რეზოლუცია რომ შეიმუშავა — მხარეების მიმართ კეთილგონიერების გამოჩენის თხოვნით... ჩვენ კი გაეროში ხმის უფლების დაკარგვის გამო, ლამის ერთმანეთი დავხოცეთ. ჩვენს უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრობლემად ის რჩება, რომ დღემდე არ გვაქვს შემუშავებული ერთიანი, კონკრეტული მოქმედების კონცეპტუალური სტრატეგია. მთელი სახელმწიფო, მასების ემოციებზე მომუშავე, ბულვარული სტილის ტელეკომპანიასავით მოქმედებს — გავა მატარებელი სოხუმიდან მოსკოვის მიმართულებით, ატყდება ერთი ამბავი მედიასა და საზოგადოებაში. როგორც კი ორთქლს გამოვუშვებთ, დავწყნარდებით... და ამ დროს ჟირინოვსკის მოეხასიათება, თავისი მაგნოლიაგემით სოხუმის სანაპიროებს მოადგეს და გაგრის პლაჟებზე შიშველმა იტანტალოს. ისევ ატყდება ჩვენთან ერთი ამბავი... საპროტესტო ნოტები და საგაზეთო სტატიები თავმოყვარე ქვეყანაში ერთნაირი სულისკვეთებითა და რაოდენობით არ უნდა იწერებოდეს, მით უმეტეს, რომ კრემლში მოკალათებულ, ზემოთ ნახსენები პროვოკაციების ავტორებს ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნით. შესაძლოა, აქ ვინმემ თქვას, რომ საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ისეთი რამ არის, საჯარო განხილვებისთვის ყოველდღიურ პრესაში ვერ გამოქვეყნდებაო. გასაგებია, მაგრამ მის არსებობაზე სხვა რომ არაფერი მეტყველებს?! რა სტრატეგიაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთმანეთთან ორიოდე კილომეტრით დაშორებულ საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს შორის საუწყებო წერილი იკარგება. ამასობაში კი, ხან გაეროში ვკარგავთ ხმის უფლებას, ხან ევროსაბჭოდან გარიცხვის საშიშროება გვემუქრება...

> **რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ამ ტერიტორიის მმართველი, ხომ უდავოა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ის მოსკოვის მითითებებს შეასრულებს — გნებავთ, ბაღაფში იყოს და გნებავთ, სხვა ვინმე. საკმარისია, არათუ მოიმოქმედოს, არამედ რაიმე არასწორად თქვას, რომ ერთ საათში გააქრობენ. დღეს ერთ-ერთ არგუმენტად იმასაც მოვისმენთ, რომ მას ქართველი ცოლი ჰყოლია. შაჰ-აბასსაც ბებია ქართველი ჰყავდა და თურმე, ძალიანაც უყვარდა, მაგრამ საქართველოში ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია...**

— **ალბათ, ეს ყველაფერი შენელებული ტემპით მიმდინარე შიდარეფორმების ბრალია. დღეს უკვე ხშირად ლაპარაკობენ იმის თაობაზეც, რომ ქვეყანაში სერიოზული საკადრო პრობლემებია...**

— რეფორმები მართლაც ცუდად გაიწელა, თუმცა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფო ახლა იდგამს ფეხს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობა კარგა ხნის წინ გამოვაცხადეთ. წარმოიდგინეთ, ხომ საცოდაობაა, როდესაც ბავშვი ათი წლის ასაკში გადადგამს პირველ ნაბიჯებს და ცდილობს, სიარული ისწავლოს... დღეს სწორედ ასეთ დღეში ვართ და გასაკვირიც არ არის, კადრების მწვავე პრობლემა რომ გვაქვს. ზოგჯერ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე ისეთ კაცს დანიშნავენ, იფიქრებ, ვინ ჩადგა ამის საცოდაობაშიო... თუმცა, ისევ გავიმეორებ — ეს ტრაგედია არ არის. ზედა ეშელონებში კიდევ არა გვიშავს, მაგრამ დააკვირდით, რა ხდება წვრილმან, ქვედა დონის ბიუროკრატიულ თანამდებობებზე. ბიუროკრატია მხოლოდ სალანძღავი სიტყვა არ არის — ჩინოვნიკის სახის ჩამოყალიბებას ევროპაში საუკუნეები დასჭირდა. დედაქალაქის მაგალითი ავიღოთ, რა ქნას მხოლოდ ჭიაბერაშვილმა? — მთელ ქალაქში, სხვადასხვა მშენებარე ობიექტსა თუ სხვა პრობლემატურ ადგილებზე, მეხანძრესავით დარბის და პირადად აწესრიგებს სიტუაციებს. რატომ, დედაქალაქში სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირები არ არიან? იგივე ხდება პრეზიდენტთან მიმართებაშიც — ბევრი საკითხი ჯერ კიდევ მხოლოდ მისი უშუალო ჩარევით გადაიჭრება.

— **ეს პრობლემა რევოლუციამდეც იდგა, თუმცა მაშინ ამბობდნენ, შევარდნაძეს განზრახ ჰქონდა საქმე ისე დაყენებული, რომ მის გარეშე ელემენტარული საკითხიც ვერ მოგვარებულიყო.**

— აქ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს, რომელიც დამშვიდების საბაბს გვაძლევს — შევარდნაძე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ასეთი გარემო შეექმნა — თანამდებობებზე „ყურებით" დასაჭერი ხალხი მოხვედრილიყო და იქ დიდხანს დარჩენილიყო; სააკაშვილი კი, დამეთანხმებით, ყველაფერს საპირისპიროდ აკეთებს, ცდილობს, ასეთი ადამიანები თანამდებობებზე აღარ დარჩნენ. როგორც ჩანს, კადრების პრობლემა საქართველოს კიდევ დიდხანს ექნება — სანამ სისტემა არ „დაიზეთება" და მწყობრში არ ჩადგება. ამას კი დრო სჭირდება. როგორც არ უნდა მოვინდომოთ, ერთ ან ორ დღეში სახელმწიფოები არ შენდება, თუ, რასაკვირველია, სახელმწიფოს აშენებაზე გვაქვს პრეტენზია...

— **რამდენად წაადგება სახელმწიფოს აშენებას ფინანსური ამნისტია, რაზეც საუბარი გასულ კვირას კვლავ განახლდა. ხომ არ იქნება ეს ერთგვარი წახალისება იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც გადასახადებს მალავდნენ. ხომ იყო ვიღაც, ვინც პატიოსნად მუშაობდა და გადასახადებს იხდიდა. გამოდის, რომ ცდებოდა?**

— განვლილი წლების ტრაგედიაც სწორედ ის გახლავთ, რომ პრაქტიკულად, არ არსებობდა ბიზნესი, სადაც აბსოლუტურად სუფთად ხდებოდა ბუღალტერიის წარმოება და გადასახადების გადახდა, რადგან შესაბამისი გარემო იყო შექმნილი. ასე რომ, თუ მკაცრად დავიცავთ სამართალს და ამნისტიაზე არ ვიზრუნებთ, ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანაში ბიზნესი აღარ გვექნება, რადგან ყველა ბიზნესმენი მეტ-ნაკლები დარღვევის გამო შესაძლოა, ციხეში მოხვდეს. მეორე მხრივ, ამნისტიასაც მოჰყვება სირთულეები, რადგან უნივერსალური ფორმულის შექმნა ძალიან გართულდება. სხვანაირად ვინ უნდა განახორციელოს იგი? — ბუნებრივია, ჟვანია და სააკაშვილი ვერ დასხდებიან და თითოეული შემთხვევისა და ბიზნესმენის წარსულის გარჩევას ვერ დაიწყებენ — რა უნდა ეპატიოს და რა არა. ეს უფრო ქვედა დონის, ასე ვთქვათ, წვრილმანი ჩინოვნიკების გასაკეთებელი საქმეა. ამ მიმართულებით კი, როგორც ზემოთ ვთქვით, დღეს ყველაზე უფრო გვიჭირს. სწორედ ამიტომ, ფინანსური ამნისტიის საკითხს ზედმიწევნით დეტალური გარჩევა და დაკვალიანება სჭირდება, რათა მავანმა, უცოდინარობით თუ წინასწარი განზრახვით, ქვეყანას გამოუსწორებელი ზიანი არ მიაყენოს. რასაკვირველია, ამის შიშით ისეთ დღეში არ უნდა ჩავიგდოთ თავი, ბავშვს რომ ჩანგალს დაუმალავენ, თვალი არ გამოითხაროსო. ასე ვერასოდეს ვერაფერს მივაღწევთ, რადგან ცოდნა უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკის შედეგია. თუ ყველაფრის შეგვეშინდა, იმის იმედად დავრჩებით, რომ დავიძინებთ და ერთ მშვენიერ დღეს პროფესიონალებით დასახლებულ, აყვავებულ ქვეყანაში გაგვეღვიძება. ჩვენ ქვეყნის შენება უნდა განვაგრძოთ და ამ შენებაში კვლავაც უამრავი წინააღმდეგობისთვის უნდა ვიყოთ მზად — კორუფციაც იქნება, ქურდობაც, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაც. ყველაფერი გზადაგზა უნდა მოწესრიგდეს. აქ კი გადამწყვეტი როლი გამჭვირვალობას, მედიას ეკისრება, რათა ბავშვი ნაბან წყალს არ გადავაყოლოთ...

***დაჩი გრძელიშვილი***

# რუკა-მეგზური წმინდა ადგილთა მოსალოცად



ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია ის ადგილები, სადაც სარწმუნოებისათვის თავდადებულნი ეწამნენ ან დაიკრძალნენ, თუ ეკლესია-მონასტრები, რომელთა აშენებას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა...

ამ სიწმინდეთა ნახვა უკვე შეიძლება ერთ რუკაზე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თამაზ ბერაძემ**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მანანა სანაძემ** დაამუშავეს და შეადგინეს რუკა, რომელიც ასეთ ღირებულ ინფორმაციას შეიცავს.

— მორწმუნე ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რუკა, რომელზეც აღნიშნული იქნება გზა, რომელიც მოციქულებმა გაიარეს, ადგილები, სადაც მოწამებრივად აღესრულნენ ქართველი და უცხოელი წმინდანები საქართველოში. ჩანაფიქრი გავაცანით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. მისი ლოცვა-კურთხევით დიდი სამუშაო ჩავატარეთ, შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საფუძველზე შევადგინეთ რუკა, რომელზეც ქართული სამონასტრო მშენებლობის ეტაპებია აღნიშნული. ერთი ეტაპი — ასურელ მამებთან არის დაკავშირებული, მეორე — გრიგოლ ხანძთელთან და მესამე — უცხოეთში ქართული ეკლესია-მონასტრების მშენებლობასთან. რუკაზე აღვნიშნეთ ქართველ და უცხოელ წმინდანთა განსვენების ადგილები, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ რამდენიმე წმინდანის განსასვენებელი. რუკა გამოსცა გამომცემლობა „თოფურია და კომპანიამ", რომელმაც მოამზადა ის საქართველოს რუკაც, რომელიც „კვირის პალიტრის" მკითხველმა 26 მაისს საჩუქრად მიიღო.

**— რომელი წმინდანების საფლავებია აღნიშნული რუკაზე?**

— 304-311 წლებში რომის იმპერიაში სასტიკად აწამეს წმინდა მამა ორენტოსი და მისი 6 თანამოაზრე. ნაწამები სულიერი ძმები ეგრისის სამეფოს ზღვისპირეთში გამოდევნეს. აქედან ოთხი ძმა — დღევანდელი თურქეთის შავი ზღვისპირეთში, ტრაპიზონის სიახლოვეს, ბანაკებში, რიზესა და კორდელაშია დამარხული, სამი კი — საქართველოს ზღვისპირეთში: აფსაროსში (გონიო), ძიგანეონსა (გუდაყვა) და ბიჭვინთაში. საქართველოში, სოხუმის მახლობლად, კომანში, 398 წელს პოვა საუკუნო განსასვენებელი უდიდესმა ღვთისმეტყველმა იოანე ოქროპირმა, ცაგერის ახლოს დაკრძალულია ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი მაქსიმე აღმსარებელი. საქართველოში განისვენებენ: შუშანიკ დედოფალი, ევსტათი მცხეთელი, აბო ტფილელი.

ვფიქრობ, ერთ რუკაზე აღნიშნული ეს წმინდა ადგილები, მონასტრები, განმანათლებელთა მოგზაურობის მარშრუტები კარგი საჩუქარია ჩვენი მართლმადიდებელი მოქალაქეებისათვის.

*ლელა ჯიყაშვილი*


პალიტრა

• ვაჟა გიგაშვილი:
ვშოულობ ფულს, ვყიდულობ დროს და ვწერ

• ზაალ სამადაშვილი
პლეხანოვური ამბავი

• ანა...

• გივი ალხაზიშვილი
ბალახისა და წვიმის ნაწერი

• ბესო ხვედელიძე:
ფოთოლი, რომელიც ვერ გრძნობს ფესვს...

• პაკო სვიმონიშვილი:
გაიცების დრო რა დროა?

• მილორად პავიჩი
რომანი-ზესასელური
„ქარის შიგნითა მხარე"

• ვლადიმირ სოროკინი
დეტექტიური მოთხრობა
„მანქანა"

№1. ოქტომბერი, 2004

ფასი 1.5 ლარი

გამოვიდა ახალი ჟურნალი


# ისეთი ბიჭები მოდიან, გიხარია!

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, ქართული არმიის ბედი რომ არ აღელვებდეს. ამიტომაც ძნელი იყო, კადეტთა კორპუსის კურსანტთა მშობლების თხოვნას — ბიჭები ნახეთ, მართალია, ძალიან კარგი პედაგოგები ჰყავთ, მთავრობაც შეძლებისამებრ ეხმარებათ, მაგრამ მაინც ბევრი რამ აკლიათ, — არ გამოვხმაურებოდით.

ქართველი მამულიშვილების მცდელობით, კადეტთა კორპუსი 1974 წელს დაარსდა მცხეთაში. 20 წლის შემდეგ კი თბილისში გადმოიტანეს. არც ადრე და არც შემდგომ კადეტთა სკოლაში აღსაზრდელთა დიდი ნაკადი არ ყოფილა. წლევანდელი კონკურსით კი იგი პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებსაც არ ჩამოუვარდებოდა.

მეტრომშენის დასახლებაში მდებარე კადეტთა სკოლაში დენი 5 დღის გათიშული დაგვხვდა. მართალია, აღსაზრდელებს ამის გამო შეშფოთება არ ეტყობოდათ, უფროსები კი ღელავდნენ.

პოლკოვნიკი *ავთანდილ კუპრაშვილი*:

— ჩვენთან დენი არასოდეს გამოურთავთ. იმ წლებშიც კი, როცა მთელი თბილისი ჩაბნელებული იყო. ჩვენ თელასის ყველა ხარჯი გასტუმრებული გვაქვს, მაგრამ დავალიანებაზე თავდაცვის სამინისტროს ედავებიან და ამ დავაში მოგვაყოლეს. არადა, ყველაფერი ელექტროენერგიაზე გვაქვს — სასადილო, დილისა და საღამოს თვითმომზადება, სანიტარული კვანძები... ბიჭები სანთლის შუქზე დგებიან და იძინებენ.

**— სულ რამდენი მოსწავლე გყავთ?**

— 380 ვაჟია, 14-დან 17 წლამდე მთელი საქართველოდან. წელს 60 ვაჟი მეორე კურსზე მივიღეთ, 120 — პირველზე. სულ 700 განცხადება იყო შემოტანილი. სამწუხაროდ, ყველა ვერ დავაკმაყოფილეთ.

**— მისაღები გამოცდები გქონდათ?**

— დიახ, ტესტირებით საუკეთესოები შევარჩიეთ. ისეთი ბიჭები მოდიან, გიხარია. შარშან აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლიდან 2 ახალგაზრდა მივიღეთ, მშვენივრად ფლობენ უცხო ენებს. წელსაც იმავე სკოლიდან 3 ასეთივე ბიჭი გამოგვიგზავნეს. გაოცებული ვარ, უცხო ენის შესწავლა ქალაქის პირობებშიც არ არის ადვილი...

**— დიდი კონკურსი გქონიათ. კადეტთა სკოლის მიმართ ასეთი ინტერესი რამ გამოიწვია?**

ლეიტენანტი *იაკობ დარსაძე*, კადეტთა კორპუსის უფროსის თანაშემწე: — ალბათ იმან, რომ ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს, თავისი ჯარისკაცი დააფასა. მეც რამდენიმე წლის წინ კადეტთა კორპუსში ვსწავლობდი და ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა განსხვავებაა ჩემს თაობასა და ამათ შორის. ესენი ბევრად დახვეწილი და აღლოიანი კადეტები არიან.

*ავთანდილ კუპრაშვილი*: — ვცდილობთ, კადეტთა კორპუსი საუკეთესო სასწავლო დაწესებულებად ვაქციოთ. ბავშვებს იმავე პროგრამით ვასწავლით საგნებს, როგორც ჩვეულებრივ სკოლებში. ატესტატებსაც განათლების სამინისტრო გვაძლევს. მეორე მხარეა სამხედრო საქმის შესწავლა. აქ პროფესიონალებს ვერ გავზრდით (ამას სამხედრო აკადემია აკეთებს), მაგრამ მაქსიმალურად ვაჩვევთ სამხედრო ცხოვრების წესებს. ჩვენი ბიჭები, ევროპულ კადეტთა კორპუსის აღსაზრდელებისგან განსხვავებით (თურქეთში, მაგალითად, სავალდებულოა, კადეტი სამხედრო პირი გახდეს), თავისუფალი არიან პროფესიის არჩევაში. დარწმუნებული ვართ, რომ როცა პროფესიის არჩევის დრო მოუვათ, ყველა შეძლებს ნორმალური გზით წასვლას და ქუჩას არავინ მიაშურებს. ის მებრძოლი სული, რის გაღვიძებასაც აქ ვცდილობთ, მათ მრუდე ცხოვრების ნებას არ მისცემს.

*ლია ოდიშვილი*, მაიორი: — უნდა გითხრათ, აქ გატარებული წლები ისეთ გავლენას ახდენს ადამიანზე, რომ ყველა ცდილობს, სამხედრო პირი გახდეს. ჩვენ ასეთი სისტემა გვაქვს — რეკომენდაციას სამხედრო აკადემიაში გამოცდების ჩაბარებისთვის წარჩინებულ კადეტებს ვაძლევთ. შარშან 52-მა კადეტმა დაასრულა სწავლა და ყველამ სამხედრო აკადემიაში სწავლა გადაწყვიტა.

*ავთანდილ კუპრაშვილი*: — უკვე სწავლის დაწყების პირველი დღეებიდან ეს ბიჭები თავიანთი თანატოლებისგან განსხვავდებიან, პასუხისმგებლობის გრძნობა უჩნდებათ და წესრიგს ემორჩილებიან. წელს მეორეკურსელებს იმდენად ვენდეთ, რომ პირველკურსელთა ათეულები ჩავაბარეთ. ისე დიდებივით უძღვებიან ამ საქმეს, რომ შეხედოთ, გაგიხარდებათ ალბათ...

**— მაგრამ ამ ხნის ბიჭები მაინც ძნელი დასამორჩილებლები არიან. პრობლემები არ გაქვთ?**

— როგორ არ გვაქვს. 14-17 წლის მოზარდი გარდატეხის ასაკშია და ადვილად შეიძლება ცუდი საქციელი ისე ჩაიდინოს, გონებით ვერც კი აცნობიერებდეს. ამის საშველი ერთია — თუ სითბოსა და სიყვარულს გასცემ, ათმაგად დაგიბრუნებენ. გარდა ამისა, ყოველი მათგანი მშობლის სურვილით კი არა, საკუთარი ნებით არის მოსული. ამის შესახებ ჯერ კიდევ საბუთების შემოტანის დროს ვეკითხებით, სხვანაირად აქ ვერც გაძლებენ. ზოგჯერ ისეთი შემთხვევაც გვაქვს, როცა ბავშვი ვერ ეგუება აქაურ გარემოს და მიდის, მაგრამ ეს სასწავლო წლის დასაწყისშივე ირკვევა.

*ლია ოდიშვილი*: — ხანდახან აქედან წასვლის გადაწყვეტილება მხოლოდ წუთიერი ემოციის ბრალია. რამდენჯერმე განცხადების შემომტანს მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა,



პირობებს ვერ შევეგუეო. გავეხუმრე — კაცი ხარ და ვაჟკაცობაზე დებ თავს, მე ქალი ვარ, სამხედრო პირი, როგორ უნდა გაჯობო, არა გრცხვენია-მეთქი? თქვენ წარმოიდგინეთ, განცხადება უკან წაიღეს. აი, ასეთი ამაყები არიან. ამავდროულად, გასაოცრად მოკრძალებულებიც: რამდენჯერმე დავაკვირდი, ჩემს ფანჯარასთან რომ გაივლიან, იმის გამო, რომ ქალი ვარ, ხუმრობასაც შეწყვეტენ ხოლმე. არასოდეს ისე არ ჩაივლიან, უფროსებს სამხედრო სალამი არ მისცენ. თუმცა ვერ ვიტყვი, მთლად ზრდადასრულებული კაცები არიან-მეთქი. ხანდახან ავად რომ გახდებიან და მოვეფერები, თვალში ცრემლი გაუბრწყინდებათ. დედები ენატრებათ. ჩემი კაბინეტის კართან რომ დადგებიან, უკვე ვიცი, შემოსვლა და დედებთან დარეკვა უნდათ....

**— როგორც გვითხრეს, ბიჭებს ბევრი რამ აკლიათ...**

*ავთანდილ კუპრაშვილი*: — მე სამხედრო პირი ვარ და გაჭირვებაზე წუწუნს ვერ დავიწყებ. მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს როგორც შეუძლია, გვინახავს. მაგრამ საზოგადოება ალბათ უნდა დაინტერესდეს, როგორ ვზრდით ამ ლამაზ ბიჭებს, რომლებიც სამხედრო აღლუმზე მთელ საქართველოს ვანახვეთ და გავახარეთ. როგორც გითხარით, წელს 180 აღსაზრდელი დაგვემატა. ბუნებრივია, ხელის საბანი მოწყობილობიდან დაწყებული ყველაფერი მეტი დაგვჭირდება. ცალკე თემაა სახელმძღვანელოების პრობლემა. ამ ბიჭების აღზრდა ერის ღირსების საქმეა. ამჟამად კადეტთა სკოლის ბიუჯეტი ნულზე ზის... იქნებ მეცენატებიც დაინტერესდნენ თავისი ქვეყნის მომავლის ბედით...

*ეთერ ერაძე*

## მკითხველის პრემია ✽ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ნიკაპი შაშხანის ლულაზე დააბჯინა და..." — 112 ხმა
2. **ლელა ჯიყაშვილი** — „ღირსებას არ ეღალატება!" — 62
3. **ინგა ჯაყელი** — „დედამიწაზე დაბრუნებულმა მადლი უნდა გაიყოლოო..." — 48

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს**, მეორე — 20 ლარი — **ლელა ჯიყაშვილს,** ხოლო მესამეს — 15 ლარს მიიღებს **ინგა ჯაყელი.**

*„მკითხველის პრემიის" მფლობელები 364-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

# „ᲐᲘᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲒᲔᲨᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲣᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲝᲓ, ᲨᲝᲗᲐ ᲧᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲡ ᲩᲐᲒᲘᲛᲢᲕᲠᲔᲕᲓᲐ“

## „თუკი სადმე არ შეიძლებოდა ცალმხრივი მოძრაობის გაკეთება, უპირველესად ამ მონაკვეთზე“





## „ორმხრივი მოძრაობის აღდგენას არ გამოვრიცხავ“...

**ქალაქის ტრანსპორტის სპეციალისტებს მეტი დაკვირვება უნდა გამოეჩინათ. ისინი ვალდებული იყვნენ, შესაძლო უარყოფითი შედეგების თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებინათ ხელმძღვანელობა. მაგრამ როცა ზოგიერთი სამსახური დავალებებს იღებს არა პროფესიული მიდგომით, არამედ მონური მორჩილებით, შედეგი ყოველთვის უარყოფითი გვექნება.**

ფილარმონია — ვარაზისხევი — მელიქიშვილის სამკუთხედზე ცალმხრივი მოძრაობის შემოღებიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მოსახლეობა მის უარყოფით შედეგებზე უკვე ალაპარაკდა. ხალხის მიერ „ბერმუდის სამკუთხედად“ შერაცხულმა სატრანსპორტო მონაკვეთმა, მოძრაობის განტვირთვის ნაცვლად, საპირისპირო შედეგი მოიტანა და გზებზე არსებულმა საცობებმა უფრო იმატა. გონებამახვილმა მძღოლებმა დროისა და საწვავის დაზოგვისთვის მანძილის შემოკლებაც სცადეს და მელიქიშვილიდან კოსტავაზე ვიწრო ჩასასვლელებით სარგებლობა დაიწყეს. ეს მეთოდი ტრანსპორტის გარკვეულ რაოდენობას მართლაც „ბერმუდის სამკუთხედივით“ „ყლაპავდა“ და ფილარმონიის წრესთან ქაოსიც შედარებით ნაკლები იყო, მაგრამ სამაგიეროდ, კოსტავასთან დამაკავშირებელ ქუჩებზე ისეთი დომხალი ატყდა, რომ მოსახლეობა იძულებული გახდა, ვიწრო ჩასასვლელები გადაეკეტა.

ფართოდ რეკლამირებულმა და ლამის ზარზეიმით მიღებულმა „ცალმხრივმა მოძრაობამ“, ექსპერტების აზრით, არ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, ვინც ამ გზით ერთხელ მაინც ისარგებლებს, ცდილობს სხვა მიმართულებით წავიდეს და „ბერმუდის“ მტანჯველ საცობებს თავი ასე დააღწიოს. არანაკლები ქაოსია ქალაქის სხვა უბნებშიც, ხოლო გამსახურდიას გამზირზე, პატარა მონაკვეთში 4 შუქნიშნის დამონტაჟებამ საცობების რეკორდები მოხსნა.

ამ კითხვებზე კომენტარი ვთხოვეთ ადამიანს, რომლის დასკვნის საფუძველზეც, წესით და რიგით, უნდა ხდებოდეს ქალაქის იერის ნებისმიერი, თუნდაც მცირე ნიუანსის შეტანა.

გვესაუბრება თბილქალაქპროექტის ქალაქგეგმარების სამმართველოს უფროსი **ᲒᲘᲕᲘ ᲨᲐᲕᲓᲘᲐ**:

— საერთოდ, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი კორექტივები შეგაქვს სატრანსპორტო მაგისტრალზე, წინასწარ ყველაფერი გაანგარიშებული უნდა გქონდეს. ჩვენ მიერ შემუშავებული ქალაქის გენერალური გეგმის პროექტი ჯერ კიდევ 1970 წელს დამტკიცდა (რაც ადრე კეთდებოდა ყველაფერი გადასაგდები კი არ არის), რომელიც დღესაც მოქმედებს. ამ გეგმაში უმცირეს ნიუანსებამდეც კი გათვლილი იყო ყველაფერი, მათ შორის, სატრანსპორტო სქემებიც.

— **მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს არსებული სიტუაცია სულ სხვაა.**

— გასაგებია, მაგრამ ჩვენს სფეროში ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ წყობაში ვცხოვრობთ. აქ მოკლე ხანში ძირეული ცვლილებები არ ხდება. ის, რომ ცალმხრივი მოძრაობის დამკვიდრებამ იმ მონაკვეთზე უარყოფითი შედეგი მოგვცა, პირდაპირ კავშირშია ქალაქის გენგეგმის პროექტის გაუთვალისწინებლობასთან. ბოლო წლებში ქალაქში ნამდვილი ქაოსი იყო. წინათ აივანი რომ აგეშენებინა უნებართვოდ, შოთა ყავლაშვილი ფანჯრებს ჩაგიმტვრევდა, თბილისში კი ბოლო ხანს უკანონო მშენებლობების ბუმი დაიწყო. არ გეგონოთ, რომ სატრანსპორტო მაგისტრალები ამ მოვლენებისგან განყენებულად დგას. ნებისმიერი დარღვევა აუცილებლად გამოიწვევს მდგომარეობის გაუარესებას სხვა სფეროშიც, ვინაიდან ქალაქის დაგეგმარება ერთი მთლიანი კომპლექსია.

— **თქვენ ხომ შეგეძლოთ, გაგეთვალათ, რომ ეს ყველაფერი საბოლოოდ უარყოფით შედეგს მოგვცემდა?**

— მიუხედავად უსახსრობისა, ამ სამი წლის წინ შემუშავებული პროექტის 12 ტომი ჩავაბარეთ ქალაქის მერიას. ეს იყო არსებული სიტუაციის ანალიზი, სადაც სატრანსპორტო მაგისტრალების მდგომარეობაც იყო ასახული. საუბედუროდ, ჩვენი მოსაზრებები არ გაითვალისწინეს, რამაც გამოიწვია ეს უარყოფითი შედეგები.

— **კონკრეტულად, რა უნდა გათვალისწინებულიყო ამ სამკუთხედის ამოქმედებამდე?**

— კოსტავას ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობით ჩვენ მთელი კვანძი არასწორად დავატრიალეთ. ეს ხომ ბრტყელი რელიეფი არ არის? ფილარმონია 34 მეტრით მაღლაა, ვიდრე გმირთა მოედანი. ელემენტარული არითმეტიკაა: ორმხრივი მოძრაობის დროს ჩაის სახლთან ერთ საათში გადიოდა 2700 მანქანა, ახლა იმ ადგილას 4800 სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს. წინათ ყველაზე დიდი ნაკადი ჩადიოდა გმირთა მოედანზე, საიდანაც სხვადასხვა მხარეს ხდებოდა განშტოება, ვარაზისხევი განიერია და ამ ნაკადის გატარების საშუალებას იძლევა. ახლა ჩვენ მთელი ეს ტრანსპორტი ვაიძულეთ, რომ ცალმხრივად წასულიყო ფილარმონიისკენ და შემდეგ კოსტავას ქუჩაზე. მძღოლი, რომელსაც სანაპიროზე უნდა ჩასვლა, რატომ ჩამოუხვევს კოსტავაზე? გააგრძელებს გზას პირდაპირ რუსთაველზე და თავისუფლების მოედნისაკენ. გამოდის, რომ ისედაც გადატვირთული ცენტრი უფრო გადაიტვირთა.

ეს ისეთი დარგია, რომ წვრილმანის შეცვლასაც კი გაანგარიშების გარეშე ვერ მოახერხებ. გამოდის, რომ ნაჩქარევად იყო გაკეთებული.

თუკი სადმე არ შეიძლებოდა ცალმხრივი მოძრაობის გაკეთება, უპირველესად ამ მონაკვეთზე. უცხოელები რომ ჩამოვლენ და დაინახავენ, რაც ამ სამკუთხედზე ხდება, ბანგლადეშის დონის ქვეყნად ჩაგვთვლიან...

ფილარმონიასთან რომ არის სასტუმრო „მუზა“, იმის წინ რომ მანქანა გაჩერდება, ორი ჩამავალი ზოლიდან ერთს ხომ გაანახევრებს? ხომ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ იმ ქუჩაზე უამრავი დაწესებულებაა, კაფეები, რესტორნები. არ წავა მძღოლი, კილომეტრების იქით არ გააჩერებს მანქანას და ფეხით არ ამოვა იქამდე. ყოველ ათ მეტრში პატრულს ხომ ვერ დააყენებ, რომ გაჩერება აუკრძალო?

— **გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

— ამ ეტაპზე ისევ ორმხრივი მოძრაობა უნდა აღდგეს(!). ჩვენ შემუშავებული გვაქვს პროექტი, რომელიც კოსტავას ქუჩის ამ მონაკვეთს განტვირთავს. ელბაქიძიდან ამოსული ნაკადი ღვინის ქარხნიდან უნდა გავუშვათ ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან, იქ დიდი ბრძოლის შემდეგ მაინც დავატოვებინე გზა, თორემ მშენებლობებით მთლიანად ჩახერგავდნენ. ამას გარდა, მეორე პროექტიც გვაქვს ვარაზისხევის კვანძზე: წინათ იყო მოსაზრება, რომ ესტაკადა გაკეთებულიყო, მაგრამ უარყოფილი იქნა, ვინაიდან იგი 6,5 მეტრით იქნებოდა ჰაერში აწეული და უნივერსიტეტის ხედს დაფარავდა. ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, რომ იმ გადაკვეთაზე გაკეთდეს გვირაბი, რომელშიც შემოვა კეკელიძის ქუჩის სატრანსპორტო ნაკადი და წავა გმირთა მოედნისკენ. ეს 6 ათასი კვადრატული მეტრის ფართია, იქ მოწყობილი მთელი ინფრასტრუქტურით, მათ შორის, სავაჭრო ობიექტებით. ამ პროექტის უპირატესობა ის არის, რომ ზედაპირზე არ ამოდის გვირაბი და ზედა ნაკადს ხელი არაფერში ეშლება.

— **ქალაქის სხვა მონაკვეთებზეც ცუდი მდგომარეობაა, მათ შორის, გამსახურდიას გამზირზე.**

— გამსახურდიას გამზირზე ასეთ მოკლე მონაკვეთზე ამდენი შუქნიშნების განთავსებაც ასე არ შეიძლებოდა, ყველაფერი კომპლექსურად უნდა გააზრებულიყო. ერთი შეხედვით, თითქოს ტრანსპორტის მოძრაობას არეგულირებს, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ უარყოფით შედეგს ვიღებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებო, ამ პატარა მონაკვეთებში მანქანის ხშირი დაძვრა და გაჩერება როგორ ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნის? აღარაფერს ვამბობ გაუთავებელ საცობებზე და იქ წარმოქმნილ ქაოსზე.

მარჯანიშვილის მოედანი ავიღოთ, შეიძლებოდა „მაკდონალდსისთვის“ მიგვეცა წინ გადმოწევის ნება? მაშინ ლაპარაკი იყო, რომ ეს დროებითია და ისევ უკან დავაწევინებთო. ჯერ შენობა არ იყო აგებული და უარს ვერ ეუბნებოდნენ და ახლა დააწევინებენ უკან, როცა აშენებულია?..

ბაზრობები აიღეთ, დაიხრჩო წერეთლის გამზირი. იცით რა, მოდით პირდაპირ ვთქვათ: დღეს კიდევ არაფერი, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ეს დარღვევები არ შევაჩერეთ, ჯერ სადა ვართ, მათი უარყოფითი შედეგები მომავალში უფრო ნათლად გამომჟღავნდება და როცა ჩვენი შვილიშვილები მოგვთხოვენ პასუხს, ჩვენ ხმის ამოღების უფლებაც არ გვექნება.

ქალაქის მერი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲘᲐᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, რომელსაც სამკუთხედის იდეა მოსწონდა, მაგრამ მისი განხორციელებისას დაშვებულმა ხარვეზებმა უკმაყოფილების გრძნობა დაუტოვა, პროექტის სერიოზულ გადასინჯვას აპირებს და არც იმას გამორიცხავს, რომ უწინდელი მოძრაობა აღდგეს.

— იმ ტიპის ქალაქებს, როგორიც თბილისია, როგორი სატრანსპორტო სქემაც არ უნდა მოვიფიქროთ, ყოველთვის ექნება საცობების პრობლემა, მსოფლიოს დედაქალაქებს რომ გადავხედოთ, ეს საკითხი ყველგან აქტუალურად დგას. სამკუთხედის ამოქმედებით ვცადეთ ამ მონაკვეთის განტვირთვა.

— **ხალხის აზრით, ამან საპირისპირო შედეგი მოიტანა და მოძრაობა უფრო გაჭირდა.**

— გეთანხმებით იმაში, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში აქ მართლაც გართულებულია მოძრაობა, მაგრამ სხვა შემთხვევაში ტრანსპორტის ნაკადი შეუფერხებლად გადის, უბრალოდ, შედარებით ნელა მოძრაობს. ეს საქალაქო ციკლია და თუ მაინც შეიქმნა შეფერხება, ტრაგედიას ნუ შევქმნით.

— **მაგრამ საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეწუხებულმა მოსახლეობამ ქუჩა გადაკეტა.**

— ეს იმიტომ, რომ შიდა, ვიწრო ქუჩით დაიწყეს მძღოლებმა მანძილის შემოკლება. ქალაქის ცენტრში, სადაც დიდი სიმჭიდროვეა, ყოველთვის იქმნება მსგავსი პრობლემები, ჩვენ კი არა, ევროპის დიდმა ქალაქებმა ათეული წლები მოანდომეს პერიფერიებში გადაეტანათ ისეთივე ინფრასტრუქტურა, რაც ცენტრში იყრიდა თავს, რათა განეტვირთათ ქალაქი. თუ მივდივართ იქითკენ, რომ თბილისი უნდა გახდეს ევროპული ტიპის დედაქალაქი, მაშინ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდამავალ პერიოდში ასეთი პრობლემებისგან დაზღვეული ვერ ვიქნებით.

მე ვფიქრობ, რომ განტვირთვა მაინც მოხდა გმირთა მოედანსა და ვარაზისხევის მონაკვეთზე, მაგრამ სირთულე დარჩა. მელიქიშვილის ბოლოდან ფილარმონიასთან ჩასახვევი ამ სამკუთხედის ყველაზე მტკივნეული ადგილია, სადაც ყველაზე დიდი პრობლემებია. ჩვენ შევქმენით სპეციალისტთა ჯგუფი, მაგრამ მე ძალზე უკმაყოფილო ვარ მათი მუშაობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამკუთხედის იდეა მომწონს და გამართლებულად მიმაჩნია, ვთვლი, რომ ამ ჯგუფმა ბოლომდე ვერ გათვალა პროექტის სრულფასოვანი მუშაობა და დაუხვეწავად, მოუმზადებლად შესთავაზა იგი მოსახლეობას.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

მოისმინეთ ამერიკის ხმის
გადაცემები ქართულ ენაზე
ყოველდღიურად 19:30-დან 20:00
საათამდე "მთავარი რადიოს"
და "რადიო 2-ის" ტალღებზე
MORE >
www.VOAnews.com

# „თუკი თვლა ასე უყვართ, ისიც დაითვალონ, რამდენს წაართმევენ მეწარმეებს ამ კოდექსით“



*ბატონ ჟვანიას დავესესხები და ვიტყვი, რომ თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკის მინისტრი, კოლეგა ნოღაიდელთან ერთად ხმალამოღებული იბრძოდა, ახალი საგადასახადო კოდექსი მაქსიმალურად ლიბერალური და საზოგადოებისთვის მისაღები რომ გაეხადა. პრემიერის ამ ხატოვანი გამოთქმით ვერაფრით მივხვდი, ვისთან მოუწევდათ ხმლების ქნევა ეკონომიკური გუნდის პირველ პირებს, თუმცა ძნელი მისახვედრი ნამდვილად არ იქნება, ვის კისერს „დაამშვენებს“ ეს ხმლები, თუ საგადასახადო კოდექსი ამ სახით შევა ძალაში. მართალია, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ქონების გადასახადის ნაწილში მნიშვნელოვან ცვლილებებს გვპირდებიან, მაგრამ 272 გვერდისგან შემდგარი ორაზროვანი დოკუმენტის გაკეთილშობილება არცთუ იოლი იქნება. ხალხს არც ის დავიწყებია, რომ ხელისუფლება მათ თვისებრივად ახალ საგადასახადო კოდექსს დაჰპირდა და არა არსებულის გადაკეთებას. ძველისა და ახლის მსგავსება კი უნებლიეთ პრემიერ-მინისტრმაც დაადასტურა, როდესაც კეთილი ნება გამოიჩინა და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ყველა ბუნდოვანების გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყვეტას დაგვპირდა. ბინდი და ნისლი არც მოქმედ საგადასახადო კოდექსს აკლია და როგორც ხშირად ხუმრობენ მეწარმეები, მისი წაკითხვა ყველა მხრიდან შეიძლება. როგორც ჩანს, ვერც ეკონომიკის მინისტრი არკვევს ყველაფერს ახალ კოდექსში. აკი ბრძანა კიდეც, რა ვიცი, ჩემ შემდეგ იქ ვილაცებმა რა დაჯღაბნესო.*

**რეზო საყევარიშვილი**, ეკონომიკური მიმომხილველი:

— ახალი კოდექსის, ისევე როგორც მისი წინამორბედის, ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ეს აშკარად მაკონტროლებლის მიერ დაწერილი კოდექსია; ანუ მას წერს ფინანსთა სამინისტრო — ორგანო, რომელსაც გადასახადების ამოღება ევალება. ცივილიზებულ ენაზე ამას ინტერესთა კონფლიქტი ჰქვია, რადგან რეალურად ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს ორგანო ანგარიშს გაუწევს ობიექტურ რეალობას და თავის ინტერესებს გვერდზე გადადებს. თავისი არსით ახალი კოდექსი წინამორბედისგან დიდად არ განსხვავდება. იმასაც მინდა მიაქციოთ ყურადღება, რომ მოქმედი კოდექსიც, პრაქტიკულად, იმავე ადამიანების მიღებულია, ვისაც დღეს მოუწევს ახლისთვის ხელის აწევა. როგორც მთავრობა ამბობს, მზად არის გადამხდელებთან დისკუსია გამართოს და რაღაც დათმოს კიდეც, მაგრამ ეს არგუმენტიც არაფრის მომტანია. თავისთავად ის ფაქტი, რომ კოდექსი ამ სახით შემოგვთავაზეს და იგი ერთ დღეს შეიძლებოდა კანონად ქცეულიყო, ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ეკონომიკის ამ ნაწილში არანაირი ხედვა არ გააჩნია. ამ კოდექსის წარმოდგენა თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ მთავრობა მოსახლეობას მძიმე საგადასახადო წნეხით არსებობას სთავაზობდა.

— **ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ კოდექსის მიღებამდე მასში რეალური ცვლილებები მაინც შევა?**

— ეს უკვე ნაცადი ხერხია, რომელსაც არაერთხელ შევსწრებივართ ნებისმიერი სხვა კანონის მიღებისას. მაგალითად, კანონში ჩადებულია 100 აბსურდული მუხლი, იქიდან თუ შეიცვალა, ვთქვათ, 50, ისინი, ვისაც კანონი უშუალოდ ეხება, კმაყოფილი უნდა დარჩნენ.

— **მოქმედ კოდექსთან შედარებით, ახალ საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საგადასახადო ორგანოების უფლებები. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი პასუხისმგებლობები მხოლოდ 3 პუნქტშია გაწერილი, მაშინ, როდესაც გადამხდელის პასუხისმგებლობებს 57 პუნქტი უკავია.**

— უნდა გითხრათ, რომ კოდექსი არ არის ერთმნიშვნელოვანი დოკუმენტი, ანუ ტოვებს ძალიან ფართო სივრცეს იმ ინტერპრეტაციებისთვის, რომლებიც შესაძლოა სხვა ჰქონდეს გადამხდელს და აბსოლუტურად სხვა — გადასახადის ამკრეფს. ამ ფონზე კი საგადასახადო კოდექსში, პრაქტიკულად, მინიმუმამდეა დაყვანილი, ზოგადად, სასამართლო სისტემისა და კონკრეტულად, სასამართლო გადაწყვეტილებების აუცილებლობა იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რაც სჭირდებათ საგადასახადო ორგანოებს. საგადასახადო ორგანოს სასამართლოს ნებართვის გარეშე შეუძლია ჩხრეკის ჩატარება, დოკუმენტაციის ამოღება, დალუქვა, გადამხდელის ქონების გაყიდვა ისე, რომ გადამხდელს არ ექნება სასამართლოს წესით თავის დაცვის საშუალება. ამიტომ დაპირება, რომ თუ კანონში რაიმე გაუგებარი იქნება, გადაწყვეტილებას გადამხდელის სასარგებლოდ მიიღებენ, დაცინვაა.

ძალზე მნიშვნელოვანია ასევე ის თავები, რომლებიც თითქოს ქვეყანაში საგადასახადო წესრიგის დამყარებას ითვალისწინებს. მაგალითად: „დადგენილი წესით (იგულისხმება 10-დღიანი ვადა) მოთხოვნილი დოკუმენტებისა და ინფორმაციების წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა განიხილება საგადასახადო სამართალდარღვევად და იწვევს დაჯარიმებას 25.000 ლარით“. უბედურება ის არის, რომ ჩვენ არანაირი ჩარჩოთი არ გვაქვს შემოსაზღვრული, თუ რა შეიძლება იყოს „მოთხოვნილი დოკუმენტაცია“. ამრიგად, გადამხდელმა არ იცის, თუ რას მოითხოვს მისგან საგადასახადოს ინსპექტორი და რას — არა. ასეთი მუხლი კოდექსში საკმაოდ ბევრია, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ეფექტი, რომელიც შეიძლებოდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მიეღო მოსახლეობას, ბუნდოვანი მუხლების, გაურკვეველი ფორმულირებებისა და ადმინისტრირების უფლებების გაზრდის ხარჯზე, უკუეფექტით გადაიფარება. ამასთან, ეს უკუეფექტი გავლენას არა იმდენად ბიუჯეტზე, რამდენადაც მაკონტროლებლის ჯიბეზე მოახდენს.

— **მიუხედავად ამისა, ჟვანიამ არაერთხელ დაამადლა მეწარმეებს, რომ განაკვეთების შემცირებით მთავრობა უარს ამბობს 450 მილიონ ლარზე...**

— ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი ხშირად აპელირებს ციფრებით, რომლებიც ძნელი გასარკვევია, საიდან მოდის. თუკი თვლა ასე უყვართ, ისიც დაითვალონ, რამდენს წაართმევენ მეწარმეებს ამ კოდექსით. თუ 450 მილიონს უტოვებ და მილიარდებს ართმევ, მაშინ კიდევ საკითხავია, ვინ ვის რა უნდა დაამადლოს.

საკმაოდ მძიმეა კოდექსში აქციზების თავიც. თუ ამ მუხლს კოდექსში სწორედ ასეთი სახით მივიღებთ, ნიშნავს, რომ დიდ დარტყმას მივაყენებთ სასმელებს, თამბაქოსა და იმ ტიპის პროდუქციას, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ერთიან წარმოებაში საკმაოდ დიდია. სამუშაო ადგილებს სწორედ ეს საწარმოები ქმნიან. დიდი შანსია იმისა, რომ აქციზის გაზრდით ეს სფეროები ჩრდილში მოექცევიან, სამუშაო ადგილებიც შემცირდება და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლებიც.

ვიდრე კიდევ ერთი კომპეტენტური პირის მოსაზრებებს შემოგთავაზებთ, მინდა თქვენი ყურადღება საგადასახადო კოდექსში არსებულ კიდევ რამდენიმე საინტერესო პუნქტზე შევაჩერო. ფაქტობრივად, ამ კოდექსით კანონდება „ჩაშვებები“ — მოწმედ შეიძლება გამოიძახონ ნებისმიერი მოქალაქე, ხოლო კოდექსის სხვა მუხლების თანახმად, მოწმეთა ე. წ. „მოტივირებულ ეჭვებს“ კი მტკიცებულების ძალა აქვს მინიჭებული(?!). იმ შემთხვევაში კი, თუ მოქალაქე არ ისურვებს მოწმედ ყოფნას და არ გამოცხადდება საგადასახადოში, იგი 300 ლარით დაჯარიმდება. ხოლო თუ გამოცხადდა და ჩვენება არ მისცა, ამავე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, 1.000 ლარით დაჯარიმდება.

საინტერესოა ისიც, როგორ უნდა განსაზღვრონ საგადასახადო ორგანოებმა საქართველოსთან შედარებით შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ზუსტი სტატუსი და დაბეგვრას დაუქვემდებარონ ამ ქვეყნებში თავის თუ ბიზნესის გადასარჩენად გადახვეწილი ქართველების ის მოგება, რაც მათ შეღავათიანი დაბეგვრით მიიღეს.

კოდექსით უკმაყოფილებას ვერც მცირე მეწარმეები ფარავენ და ჟვანიას იმ დანაპირებს ახსენებენ, რომელიც მან სასტუმრო „მეტეხი პალასში“ გამართულ შეხვედრაზე მცირე ბიზნესის გადასახადთან დაკავშირებით მისცა მეწარმეებს.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

# „უმრავლესობას არ მივცემთ უფლებას, თავად შეარჩიოს მისთვის მისაღები კანდიდატი“

## განაწყენებულ მეზობლებს შეუძლიათ ერთმანეთის საგადასახადოში დასმენა...

მემარჯვენე ოპოზიცია უმრავლესობის სიჯიუტეზე — ნდობის ჯგუფში დავით გამყრელიძეს არ შევიყვანთო, ძალიან ნაწყენია და უარს ამბობს იმ ხუთეულისკენ გახედვაზე, რომელსაც პარლამენტი ყველაზე საიდუმლო საქმეებს ანდობს...

როგორც იქნა, დღის სინათლე ეღირსა ახალ საგადასახადო კოდექსს, რომელსაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ითხოვდნენ „მრეწველები“. მოსწონთ თუ არა ახალი კანონპროექტი ყოფილ ბიზნესმენებს და როგორ აპირებენ პარლამენტში საქმიანობის გაგრძელებას, ამის შესახებ ვესაუბრებით მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, **ზურაბ ტყემალაძეს**:

— როდესაც უარი ითქვა ნდობის ჯგუფში დავით გამყრელიძის შეყვანაზე, უმრავლესობამ შეცდომა დაუშვა. ამით უნებლიეთ გაამჟღავნა ოპოზიციის მიმართ თავისი დამოკიდებულება. ნორმალური პოლიტიკური ძალა ოპონენტს უნდა აფასებდეს და არ უნდა ამჟღავნებდეს — ოპოზიცია არ მიყვარსო. გარდა იმისა, რომ ყველაფერში ხელს გვიშლიან, მმართველი ძალისგანაც საგრძნობია ანტიპათიური დამოკიდებულება. როგორც ჩანს, მავანთ დემოკრატიის პრინციპები არ ესმით ან არასწორად გაიგეს — ოპოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში უნდა იყოს ჩართული და არა მის მიღმა დარჩენილი. 5-კაციან ნდობის ჯგუფში ერთი ოპოზიციონერი რომ შეეყვანათ, ისევ მათთვის იქნებოდა კარგი, გამოფხიზლდებოდნენ და შეცდომასაც იშვიათად დაუშვებდნენ. როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესებს, მის სტაბილურობასა და სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება, ოპოზიციასაც უნდა ენდო. ოპოზიციამ სანდო პიროვნებად სწორედ დავით გამყრელიძე მიიჩნია, მაგრამ მისი კანდიდატურა უმრავლესობისთვის რატომღაც მიუღებელი აღმოჩნდა. ამით კი უფრო საკუთარი სისუსტე გამოამჟღავნეს, ვიდრე ძალა. როდესაც ოპოზიციას კანონით აქვს მინიჭებული ნდობის ჯგუფში ერთი პირის შეყვანის უფლება, თავისთავად ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჯგუფის წევრი თავადვე უნდა შეარჩიოს და არა ხელისუფლების კარნახით. რაკი მათთვის ჩვენი რჩეული მიუღებელი აღმოჩნდა, აზრი აღარ აქვს სხვა პირის წარდგენას.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ დავით გამყრელიძე ამას წინათ გაკეთებული მკვახე განცხადებების გამო დასაჯეს?**

— რას ჰქვია, დასაჯეს... პოლიტიკურ ძალას ვერავინ აუკრძალავს აზრის გამოთქმასა და განცხადების გაკეთებას. უმრავლესობის გადაწყვეტილება არ იყო დათოს მიმართ პირადი დამოკიდებულებითა და განწყობით ნაკარნახევი. უმრავლესობამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რაც დასტურდება კიდეც იმით, რომ სწორედ კენჭისყრის წინ გამოაცხადეს შესვენება და მისცეს დირექტივა თანაგუნდელებს, მხარი არ დაეჭირათ გამყრელიძის კანდიდატურისთვის. ვიმეორებ, რაკი ასეა, ჩვენ სხვა კანდიდატურას არ წარვადგენთ. აზრი არ აქვს ასეთ უმრავლესობასთან თანამშრომლობას. თუკი ნდობის ჯგუფის წევრისთვის აუცილებელია, რომ რაღაც კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს, ეს კანონით უნდა განესაზღვრათ. რაკი არც კანონში წერია და ჩვენი კანდიდატიც დაიწუნეს, უმრავლესობას არ მივცემთ უფლებას, ოპოზიციაში თავად შეარჩიოს მისთვის მისაღები კანდიდატი. წინა მოწვევის პარლამენტში ჩვენ ვიცე-სპიკერის პოსტზეც ვთქვით უარი და არც ახლა შევქმნით ამისგან ტრაგედიას. როგორც ჩანს, ხელისუფლება რაღაცის გამჟღავნებას მოერიდა. ეტყობა, ნდობის ჯგუფს ეცოდინება ის, რაც არ უნდა იცოდეს ოპოზიციამ.



პრეზიდენტის განცხადებაც, მხოლოდ მდიდრები გადაიხდიან ქონების გადასახადსო, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. კი, ბატონო, ვისაც აქვს ქონება, უნდა გადაიხადოს, მაგრამ ვინ განსაზღვრავს ზუსტად, ვინ უფრო მდიდარია და რამდენი უნდა გადაიხადოს, ეს კანონში არ ჩანს. ხომ არ იქნება ეს საზოგადოების ერთი ნაწილის დისკრიმინაცია და ქვეყნის მოქალაქეების არათანაბარ პირობებში ჩაყენება?

— **„მრეწველები“ და „ახლები“ საგადასახადო კოდექსზე ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში მუშაობდით. გქონდათ შენიშვნები და კოდექსის საკუთარი ვარიანტიც — ახალ კოდექსზე რას იტყვით?**

— ობიექტურობა მოითხოვს ვაღიარო, რომ მას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. კარგია, რომ გადასახადების რაოდენობა 22-დან 8-მდე შემცირდა. მისასალმებელია, რომ დღგ 2%-ით მცირდება, თუმც სჯობდა დიფერენცირებული ყოფილიყო. სოციალური გადასახადის 33-დან 20%-მდე შემცირება დამქირავებელს დიდ ტვირთს მოუხსნის და მუშახელის ლეგალიზაციას მოემსახურება. საშემოსავლო გადასახადის 12%-მდე შემცირებაც არ არის ურიგო. თითქოს კარგია, საგადასახადო ტვირთი რომ შემცირდა და ზოგიერთი გადასახადიც გაუქმდა, მაგრამ ახალ კოდექსში შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ საგადასახადო ტვირთი შეცვლილი სახით იმ გადასახადებზე გადანაწილდეს, რომლებიც ძალაში დარჩა. კერძოდ, ეს აისახა ქონებისა და სააქციზო გადასახადებზე. შედეგად კი გადასახადები ზოგ პროდუქტზე 80-ით, ზოგზე კი 100%-ით იზრდება. აქედან ჩანს, რომ ამ გადასახადმა გაუქმებული გადასახადების ტვირთი იკისრა, რასაც ზოგიერთი პროდუქციის გაძვირება მოჰყვა. ის რაც მოხდა, არ არის გადასახადის ლიბერალიზაცია, როგორც ხელისუფლება გვპირდებოდა.

ახალ საგადასახადო კოდექსში ჩაწერილია ასეთი უცნაური რამეც — საგადასახადო ინსპექციას შეუძლია მიმართოს ისეთ გადამხდელს ან კერძო პირს, რომელსაც აქვს ინფორმაცია ან სათანადო დოკუმენტები სხვა გადამხდელის შესახებ. მარტივად რომ ვთქვათ, განაწყენებულ მეზობლებს შეუძლიათ ერთმანეთის საგადასახადოში დასმენა. თუკი ერთმა 500 ლარის პროდუქცია ან პროდუქტი მიიტანა შინ და მეორემ ამის თაობაზე საგადასახადოს შეატყობინა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ღირებულების დამადასტურებელი საბუთი და მყიდველმაც უნდა დაამტკიცოს, საიდან ჰქონდა ის 500 ლარი, რომელიც დახარჯა. საგულისხმო ისაა, რომ არსად წერია, რა შემთხვევაში გაუჩნდება ასეთი კითხვა საგადასახადოს — 100 თუ 20 ათას ლარზე. ვიცი, რომ ასეთი კანონი სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს, მაგრამ იგი ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც ქონების საყოველთაო-სავალდებულო დეკლარირება შემოიღეს არა მხოლოდ საჯარო მოხელეებისთვის, არამედ ფიზიკური პირებისთვისაც. ახალი საგადასახადო კოდექსი ორმაგი და სამმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გვპირდებოდნენ — თუკი ბუნდოვან კანონს დავწერთ, ასეთ შემთხვევაში საკითხი მეწარმის სასარგებლოდ გადაწყდებაო. დანაპირების შესრულების გარანტია კანონში არ არის ჩაწერილი. მაშ, პრემიერ-მინისტრის ზეპირ დაპირებას ვენდოთ? ეს ხომ უნდა აისახოს კანონში ადეკვატურად. პრეზიდენტის განცხადებაც, მხოლოდ მდიდრები გადაიხდიან ქონების გადასახადსო, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. კი, ბატონო, ვისაც აქვს ქონება, უნდა გადაიხადოს, მაგრამ ვინ განსაზღვრავს ზუსტად, ვინ უფრო მდიდარია და რამდენი უნდა გადაიხადოს, ეს კანონში არ ჩანს. ხომ არ იქნება ეს საზოგადოების ერთი ნაწილის დისკრიმინაცია და ქვეყნის მოქალაქეების არათანაბარ პირობებში ჩაყენება? აქამდე მოქმედი კოდექსით, თუ მეწარმე 50 ათას ლარს ვერ უხდიდა საგადასახადოს, მას ამ ღირებულების ქონებას უყადაღებდნენ და იძულების წესით იღებდნენ გადასახადს. ახალი კანონპროექტით კი მეწარმის მთელი ქონება ყადაღდება. რატომ აყადაღებ 5 მილიონის ქონებას, როდესაც 50 ათასის ამოღება გინდა? მინდა მჯეროდეს, რომ ეს პუნქტები მხოლოდ კარგი განზრახვით ჩაიწერა კანონპროექტში, მაგრამ მეშინია, რეალურად უარყოფითი შედეგი არ მივიღოთ.

***მარი ზანდუკელი***

# როცა ყველაფრის გადაწყვეტა ერთ კაცს უწევს(!)

## არაპროფესიონალი „ზიზია“ და გამოუცდელი კადრები



ნინო ქვარიანი

> ...არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ვერტიკალზე დამოკიდებული ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხშირად დამოუკიდებლად ვერ იღებს არათუ სახელმწიფოებრივ, არამედ ხალხის ყოფის გაუმჯობესებისათვის საჭირო ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც კი...

*ოქტომბრის რევოლუციის პირმშომ და კომუნისტურ ეპოქაში ლამის ჭეშმარიტებად შერაცხულმა თეზამ — რომ კადრები ყველაფერს წყვეტენ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში სრული ნიველირება განიცადა. აღმოჩნდა, რომ კომუნისტების საყვარელი ლოზუნგი სრული დემაგოგია ყოფილა და მეტი არაფერი. ქართული რეალობა სხვაგვარია — კადრები ვერაფერს წყვეტენ! უფრო კონკრეტულად კი — გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. რაკი ასეა, სულაც არ არის გასაკვირი, რომ რომელიღაც დეპარტამენტში რაღაც წვრილმან საქმეზე მისულ მოქალაქეს რკინის ქალამნების ჩაცმა და კანცელარიამდე მისვლაც კი დასჭირდეს. რევოლუციაგადატანილ და ახალი ხელისუფლებისგან სიკეთის მომლოდინე მოქალაქეს ისღა დარჩენია, ქალაქში გასულ პრეზიდენტს ან პრემიერს ჩაუდგეს კვალში და თუ სადმე დაეწევა, ჯერ მრავალრიცხოვან დაცვას დაუსხლტეს, მერე კი შორიდან მაინც ესროლოს წერილი პრეზიდენტს, რომელიც, საბედნიეროდ, თურმე ხალხის გზავნილებს ყოველთვის კითხულობს. რაკი ერთი ჩვეულებრივი მოქალაქის ოდისეას თვალი გავადევნეთ (წარმოვიდგინეთ), ალბათ ლოგიკურ დასკვნასაც გავაკეთებთ — ხელისუფლების ქვედა რგოლები (მცირე გამონაკლისის გარდა) ვერაფერს წყვეტენ. ასეთ დასკვნას კი უთუოდ მოჰყვება კითხვა — რატომ? და აქ უკვე ძალიან ბევრი „იმიტომ“-ის თქმა და მიზეზის ჩამოთვლა მოგვიწევს: იმიტომ, რომ „ზიზია“ და ცინცხალი კადრები მცირეწლოვანი და გამოუცდელი ბრძანდებიან. არაპროფესიონალობას თან ეს „ოხერი შიშიც“ ერთვის, — მე რომ ავდგე და ჩემი ჭკუით რამე გადავწყვიტო, „ზემოთ“ მოეწონებათო? ამ ყოყმანსა და მკითხაობაში მეორე „გენიალური“ აზრიც იბადება — ვიღაცის რაღაც რომ გადავწყვიტო, მე რა ხეირი მაქვს, გასამრჯელოს მაინც ვერ ავიღებ და არაფრისთვის ტყუილი შარი რად მინდა, ემანდ, ზემოთ არ გამიწყრნენო — და არის მავან ჩინოსანთა ხელმოწერის (ანუ გადაწყვეტილების მიღების დასტურის) მომლოდინეთა ვაი-ვაგლახი და ვიშვიში — ეს რა დღეში ვართ, ერთი კაცის გარდა პატრონი არ ჰყავს ქვეყანასო. რამდენად ლოგიკურია ვითარება, რომელიც დღეს გვაქვს, როდესაც ყველაფრის გადაწყვეტა ერთ კაცს — პრეზიდენტს უწევს და რა ახსნას უძებნიან საზოგადოებაში გამოკვეთილ ამ „სიმპტომებს“ ფსიქოლოგები?*

**ნინო ქვარიანი,** ფსიქოლოგი, პიარკომპანია „პიარ-პოლისის“ დირექტორი:

— პოსტრევოლუციური პერიოდისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა კადრების თითქმის 100%-იანი შეცვლა, რომელსაც, როგორც წესი, ერთგულების პრინციპით ირჩევენ. ამიტომაც არის, რომ თანამდებობები პარტიულ აქტივისტებს გადაუნაწილდათ და არა პროფესიული ნიშნით შერჩეულ ადამიანებს. ამას ბუნებრივად მოჰყვა ლოგიკური შედეგი — რადგან ახალი ჩინოსნები თუ მოხელეები ხშირ შემთხვევაში არაკომპეტენტური არიან, გადაწყვეტილებასაც ვერ იღებენ. არ შეიძლება ადამიანი სკოლის მერხიდანვე თანამდებობაზე ინიშნებოდეს ან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი გახდეს. შესაძლოა, ასეთებს განათლება ჰქონდეთ, მაგრამ ჯერჯერობით არც პროფესიონალები არიან და არც იმდენი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, რომ კარგი ხელმძღვანელები იყვნენ... რაკი ხელისუფლებამ კადრების შერჩევის არცთუ საფუძვლიანი პრინციპი აირჩია, მას საკადრო დეფიციტი შეექმნა — ამა თუ იმ სტრუქტურის ჩინოვნიკები ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ძველი ხელისუფლების ოპონენტები ხშირად ამბობდნენ, — სახელისუფლებო სტრუქტურებში კორუფცია და დაუსჯელობის სინდრომი სუფევსო. თანამდებობის პირთა მიერ ამა თუ იმ საქმეზე პასუხისმგებლობის აღებას (ხელის მოწერას ან ლიცენზიების გაცემას) ხშირად საფუძვლად ფინანსური გარიგება ედო — მეტიც, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ფინანსური გარიგების (ქრთამის) შედეგად მიიღებოდა. იმ დროს, როდესაც არავის არაფრის შიში არ ჰქონდა და პასუხს არავის სთხოვდნენ, ადვილი იყო საკუთარი გამდიდრების წყურვილით გადაწყვეტილების მიღება. ახალი ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ ჩინოვნიკებს ქრთამის აღების ეშინიათ და შიშობენ, კორუფციული გარიგების გამო დღეს თუ არა ხვალ დავისჯებითო, მაგრამ ვითარების გამოსწორებას ამან მაინც ვერ უშველა. ახალ კადრებს გამოუცდელობასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებაში ხელს სხვა ფაქტორიც უშლით. კერძოდ, რაკი ისინი პრეზიდენტის თანაგუნდელებად მოიაზრებიან, მათთვის პრეზიდენტი ერთგვარად ცენზორად იქცა. ასეთ ვითარებაში გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საკუთარ პროფესიონალიზმში დარწმუნებულ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც შეძლებენ ქვეყნის პირველ პირს საკუთარი გადაწყვეტილების მართებულება დაუმტკიცონ. არაპროფესიონალები და გამოუცდელები კი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. არის მეორე ფაქტორიც — რაკი ხალხი ენდო და მისი არჩეულია, ხელისუფლება უფრთხის არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას. ამიტომ გამოუცდელ სახელმწიფო მოხელეს ურჩევნია პასუხისმგებლობა ვინმეს გადააბრალოს, ვიდრე თვითონ აგოს პასუხი. ეს კი მანკიერი ტენდენციაა, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის გამომჟღავნების შესაძლებლობას ართმევს და დამოუკიდებლობას უზღუდავს. დღეს მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად პოპულარულია გადაწყვეტილება და რამდენი ადამიანი დაუკრავს მას ტაშს, არადა, პოპულარული გადაწყვეტილება სულაც არ ნიშნავს სწორ გამოსავალს.

ხელისუფლება ცდილობს გუნდური მუშაობის პრინციპი დანერგოს სახელმწიფო სტრუქტურებში (ასეთ დროს თითოეული გუნდის წევრი პასუხისმგებელია გუნდის გადაწყვეტილებაზე). ეს პრინციპი ამართლებს კიდეც სტრატეგიის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი, გუნდური პრინციპი აღარ გამოდგება. ამ დროს უსათუოდ უნდა გამოიკვეთოს ლიდერი, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს. რაკი დღეს ბევრს არა აქვს საქმის კარგად გაძღოლისთვის საჭირო მინიმალური გამოცდილება, გამოიკვეთა უნარიან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ ხელისუფლებისგან ნდობის მანდატი და საპასუხისმგებლო თანამდებობებზეც ნიშნავენ. ამის გამო მათ ძალიან ცოტა ხანს უწევთ ერთ ადგილზე მუშაობა.

გაუთავებელ საკადრო ცვლილებებს უარყოფითი ეფექტიც ახლავს. იყო შემთხვევები, როდესაც დიდი ენთუზიაზმით წარდგენილ (როგორც წესი, ამას პრეზიდენტი ან პრემიერი აკეთებს) პირებს მალე დაატოვებინეს პოსტები. თუ თანამდებობის პირი ვერ ამართლებს, ის უნდა მოხსნა კიდეც, მაგრამ როდესაც ამავე თანამდებობაზე ასეთივე ენთუზიაზმით ხდება სხვა პირის წარდგენა, საზოგადოება იბნევა. მართალია, ის ავტორიტეტული პირის მიერ წარმოდგენილ მეორე კანდიდატურასაც მიიღებს, მაგრამ აღარ იცის, დაუჯეროს თუ არა მას და უსათუოდ იფიქრებს — განა წინამორბედზეც ასეთივე პათოსით არ მელაპარაკებოდაო. წამგებიანია, როდესაც ავტორიტეტულ პირს თავისივე ნათქვამის უარყოფა უწევს. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო რამემ შესაძლოა უსაზღვროდ გაზარდოს ადამიანის ნდობა და სულ მცირემ — ნდობა შეამციროს. ნდობის მანდატს, რომელიც საზოგადოებამ მისცა ხელისუფლებას, გაფრთხილება უნდა. ხალხს უკვე აღარ უნდა მხოლოდ პოპულარული გადაწყვეტილებები. ის უკვე ითხოვს ხელისუფლებისგან — იმუშავე ეფექტიანად, რათა უკეთესობა ვიგრძნოო.

დიდი პასუხისმგებლობა ახლავს ადგილებზე კადრების შერჩევას, რადგან რეგიონში ხელმძღვანელი პირები, ფაქტობრივად, პრეზიდენტის სახეს წარმოადგენენ. თუ ესა თუ ის ხელმძღვანელი პირი ისე ვერ იქცევა, როგორც საჭიროა, ან რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, ხალხს პრეზიდენტის იმდენად სჯერა, რომ ამბობს — ალბათ სააკაშვილმა არ იცის, ეს რომ ხდებაო. შესაძლოა ასეც იყოს. ერთ ადამიანს ყველაფერი არ ეცოდინება, მაგრამ ამ დროს პრეზიდენტის გარემოცვაა ვალდებული, რომ შელამაზების გარეშე მოახსენონ რა ხდება ქვეყანაში. პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რა განწყობა აქვს საზოგადოებას.

ქვეყნის მმართველისთვის გადამრჩენი შეულამაზებელი სიმართლეა, თუნდაც მძიმე, ცუდად მოსასმენი, მაგრამ ნამდვილი და უტყუარი.

ხალხმა, საზოგადოებამ პრეზიდენტის გარემოცვას უნდა მოსთხოვოს, რომ მას სიმართლე უთხრან. იგრძნობა, რომ თავად ხელისუფლება ცდილობს არ მოსწყდეს რეალობას, მას სჭირდება ხალხთან დამაკავშირებელი რგოლი და ბევრ სტრუქტურასთან ამიტომაც შეიქმნა მრჩეველთა საბჭოები, რომლებიც საზოგადოების აზრს გამოხატავენ. ხალხს არ უნდა შეეშინდეს, რამე თუ არ მომეწონა და ვთქვი, დავისჯებიო. თუ საზოგადოება პროტესტს გამოხატავს, ის არ უნდა გახდეს ძალადობის მსხვერპლი. ხალხი ბრძენია. მართალია მისი მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ითმენს, რადგან იმედი აქვს და სჯერა — ჩემი არჩეული ხელისუფლება ჩემზე ზრუნავს და ხვალ უკეთ ვიცხოვრებთო, მაგრამ ეს მოლოდინიც არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს. თუ ეს დრო გაჭიანურდა, ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობა შემცირდება.

ხალხის მოთხოვნაა, რომ დასრულდეს პოლიტიკური შუღლი და არეულობები, უიმედობისა და გაჭირვების ხანა. ხალხისთვის მტკივნეული იქნება თუ დაინახა — ჩემს არჩეულ ხელისუფლებაში დაპირისპირებააო.

რევოლუციონერობის თამაშის დრო წავიდა. ახლა გააზრებული, ჭკუადამჯდარი პოლიტიკის გატარების, ყველაფრის რაციონალურად დალაგების დროა. რევოლუციის პირველ წლისთავზე ხალხმა თუ დაინახა, ამ ხელისუფლებაშიც უჭირთ ერთმანეთთან მორიგება, საკუთარი სკამისა და ამბიციების გამო ყველაფერზე მიდიანო, ის შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული დარჩება. დროა, თანამდებობებზე პროფესიონალები დაინიშნონ და თუ პრეზიდენტის გარემოცვაში ვერ იპოვიან ასეთებს, ისინი „გარეთ“ უნდა მოიძიონ. არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ვერტიკალზე დამოკიდებული ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხშირად დამოუკიდებლად ვერ იღებს არათუ სახელმწიფოებრივ, არამედ ხალხის ყოფის გაუმჯობესებისათვის საჭირო ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც კი.

# აფხაზი ხალხი დღეს რუსეთს მფარველად აღარ აღიქვამს

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, — ამ ანდაზის სიბრძნე რუსეთმა საკუთარ თავზე იწვნია, როცა სხვისთვის ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებზე თავადვე წაიტეხა კისერი. გასულ კვირას ლამის მთელმა მსოფლიომ (ყოველ შემთხვევაში, უმსხვილესმა საერთაშორისო ინსტიტუტებმა) სამსჯავროზე გაიყვანა რუსეთი. აშშ-ის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კიდევ ერთხელ აღიარება აფხაზეთში დანიშნული დე ფაქტო არჩევნების წინ, რუსეთისთვის სერიოზული გაფრთხილება იყო და ეს იქცა სწორედ მისი უსიამოვნებების უვერტიურად. რუსეთი ევროსაბჭოში საქართველოს გასაშავებლად საგულდაგულოდ ემზადებოდა, თავის ამორძალ ფალავანსაც ჯეროვნად ამზადებდა, მაგრამ ნინო ბურჯანაძემ რუსი ამორძალი (ნატალია ნაროჩნიცკაია, სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელი) ბეჭებზე დასცა. ამ მარცხს კი ის მოჰყვა, რომ მსოფლიოში ავტორიტეტულმა პოლიტიკურმა ძალებმა ლამის ყური აახიეს რუსებს — თქვენი ორმაგი სტანდარტები ყელში ამოგვივიდა, რას ჰგავს თქვენი მიეთ-მოეთი: ჩეჩნები სეპარატისტები არიან, ოსები და აფხაზები კი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხიო...

მაგრამ რუსების ყველაზე დიდი მარცხი და, საზოგადოდ, რუსული პოლიტიკის ფიასკო აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები შეიქნა. მათი კაგებეშნიკი ფავორიტიც წაგებული დარჩა. აფხაზებმა რუსებისგან ხონჩით მირთმეული ხაჯიმბა არ ინდომეს და ბაღაფში აირჩიეს. ამ მარცხმა მითი ძლევამოსილ რუსულ სპეცსამსახურებზე ისეთ ნაცარტუტად აქცია, რომ ექსპერტებს სასაცილოდ არ ჰყოფნით.

მიუხედავად იმისა, რომ გონებადაბინდული არძინბა ჩხუბის შემდეგ იქნევს მუშტებს და მთელ აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ფიქრობს (რაც გალში ხელმეორე არჩევნების ჩატარების შანსს სპობს), ბაღაფშის გამარჯვება მეორე ტურშიც არავის აეჭვებს. რას შეცვლის აფხაზეთის ხელისუფლებაში ახალი კაცის მოსვლა, სავარაუდოდ, როგორ იმოქმედებენ რუსეთი და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატები, რისი გაკეთება გვმართებს ქართველებს, ამაზე პოლიტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** გვესაუბრება.

— აფხაზეთში მოხდა იგივე, რაც შარშან საქართველოში, 2 ნოემბრის არჩევნებზე, როდესაც ხალხმა ხმა არ მისცა შევარდნაძეს და მხარი დაუჭირა იმ ძალებს, ვინც მკაფიოდ სთავაზობდა შევარდნაძის სისტემის დემონტაჟს. ამიტომ მიიღეს ყველაზე მეტი ხმა სააკაშვილმა და ნათელაშვილმა. ამით საზოგადოებამ არჩევანი ვინმეს სასარგებლოდ კი არა, შევარდნაძის საწინააღმდეგოდ გააკეთა. ასეთივე რამ მოხდა ახლა აფხაზეთში — საზოგადოებამ არჩევანი არძინბას წინააღმდეგ გააკეთა. ბაღაფში რომ ყოფილიყო ხაჯიმბას ადგილას და ის შეეთავაზებინა არძინბას აფხაზებისთვის, მას ხმას არ მისცემდნენ. ბაღაფში თავი მოიყარა უნიკალურმა კომპონენტებმა. ის ეტყვის რუსეთს, შენი დანიშნული კი არა, ხალხის არჩეული ვარ. შენ არათუ ამირჩიე, ჩემს წინააღმდეგაც კი მუშაობდიო. ბაღაფშის არჩევაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს გალის ქართველებმა, ამიტომ ბაღაფში ვალდებული იქნება, ქართველების ინტერესები გაითვალისწინოს. როდესაც ვითხოვდით, გალის რაიონი ჩართეთ არჩევნებში-მეთქი, ყველა ქართველი პოლიტიკოსი ამბობდა — ამას რა აზრი აქვს, ხაჯიმბა ლიწინ-ლიწინით გადისო. ე. ი. ჩვენთვის რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმაცია უფრო სანდო იყო, ვიდრე ქართველი ექსპერტების აზრი და ინდივიდუალური კონტაქტი აფხაზებთან. ეს ძალზე შემაშფოთებელია. გამოდის, რომ ჩვენთან სრულიად არ მუშაობდნენ სპეცსამსახურები. ჩვენი სპეცსამსახურები ისე უსხედან რუს კოლეგებს, როგორც ცუდი მოსწავლე ხუთოსანს და მისგან იწერენ ყველაფერს. ამიტომ, როდესაც რუსები შეცდომას უშვებენ, ჩვენც მექანიკურად ყველაფერს შეცდომით ვიწერთ. ფაქტია, რომ რუსეთმა ვერ გათვალა, შეცდომა დაუშვა აფხაზეთში და იგივე გავიმეორეთ ჩვენც. რუსეთს ჩაუვარდა პოლიტიკა აფხაზეთში — მას არ ეგონა, რომ აფხაზი ხალხი ასე მობილიზებული იქნებოდა. ახლა აშკარაა, რომ ჩვენს სპეცსამსახურებს ინფორმაციები აქვთ არა აფხაზეთიდან, ჩვენი ექსპერტებისგან ან უცხოეთიდან, არამედ რუსეთიდან. თურმე იმ სახელმწიფოსგან, რომელსაც ვაგინებთ, ინფორმაციას ვქაჩავთ. ეს დანაშაულია და მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი სპეცსამსახურები რუსეთზე არიან მიბმული. ეს კი ძალიან შემაშფოთებელია.

არჩევნების ბედი აფხაზეთში უკვე გადაწყვეტილია. მეორე ტური რომც ჩატარდეს, მაინც ბაღაფში გაიმარჯვებს, რადგან დე ფაქტო პარლამენტიც, ცესკოც და, რა თქმა უნდა, ხალხიც ბაღაფშის მხარეს არიან. რუსეთის სუსტი პოლიტიკის შედეგია, რომ მეორედ მოატყუეს პუტინი. პირველად ეს იყო შარშან, მარტში, როდესაც ის შევარდნაძეს ხვდებოდა სოჭში, მას წინ გაგულია დაუსვეს, რომელიც ერთ კვირაში მოხსნეს. მაშინ პუტინი გაოგნდა, ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი როგორ შემახვედრეთ მკვდარ ფიგურასთანო, ახლა კი მეორედ შეურაცხყვეს პუტინი, შეახვედრეს ხაჯიმბა, რომელიც, ფაქტობრივად, ნულია.

— **შექმნილი ვითარება რაზე მეტყველებს, რა შეიცვლება ბაღაფშის გაპრეზიდენტებით?**

— გამორიცხულია, რომ აფხაზური პოლიტიკა პროქართული გახდეს, მაგრამ აფხაზები ვაჭრობას დაიწყებენ. ბაღაფში კარგად იცნობს საქართველოს, აქ არის ნაცხოვრები და თბილისში ბინაც აქვს. აფხაზები ჩვენსავით ლაღები და რომანტიკულები არიან. ბაღაფში აფხაზობის მერე უფრო ქართველია, ვიდრე რუსი. მისთვის ყველაფერი ქართული გაცილებით ადვილად აღსაქმელია, ამიტომ ის კარგად გაიგებს საქართველოს პოლიტიკაში მიმდინარე ნიუანსებს. კაგებეშნიკი ხაჯიმბა კი თუ არჩევანის წინაშე დადგებოდა, ყოველთვის რუსეთს აირჩევდა და ამიტომ უჭერდნენ კიდეც მხარს. სანამ აფხაზეთის ინტერესები რუსეთზე იქნება მიბმული, ბაღაფშიც რუსეთის ინტერესებს განახორციელებს, მაგრამ როგორც კი აფხაზეთის ინტერესები რუსეთის ინტერესებს დაშორდება, ის აფხაზეთის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. ეს კი ჩვენთვის მისაღებია. ჩვენ შეგვიძლია აფხაზეთს ისეთი რამ შევთავაზოთ, რასაც ვერასდროს შესთავაზებს რუსეთი. ყველაფერი ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული. აფხაზ ხალხს იმდენი უნდა ველაპარაკოთ, რომ ჩვენკენ დაიძრას. ისინი უკვე მოწყვეტილები არიან რუსულ ღერძს, ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უკან არ დაბრუნდნენ. ამიტომ არ უნდა გამოვიჩინოთ აგრესია აფხაზეთში, არ უნდა შევუტიოთ, არ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც აბაშიძისა და შევარდნაძის მიმართ ვაკეთებდით. ხომ დავინახეთ, რომ ამან არც ცხინვალში გაამართლა და მადლობა ღმერთს, მალე მივხვდით. აფხაზი ხალხი დღეს დაობლებულია, რუსეთს მფარველად აღარ აღიქვამს, ხალხი მისით უკმაყოფილოა და ასეთ დროს ჩვენ უნდა შევიფაროთ ისინი...

— **მაგრამ აფხაზებს დამოუკიდებლობა უნდათ.**

— ლაპარაკიც კი არ შეიძლება ამაზე. ეს რომ ზღაპარი და მითია, თავად აფხაზეთშიც ხვდებიან. მათ სურთ დაინახონ, როგორი იქნება საქართველო მათთვის მომავალში — აგრესიული თუ ლოიალური და მათთვის მისაღები. აფხაზებს სამი არჩევანი აქვთ. აქედან ორი მკვდარია, ერთი კი — რეალური. ან უნდა იყოს დამოუკიდებელი, ან — რუსეთთან, რასაც საქართველოს ნებართვის გარეშე ვერ მიაღწევენ. მესამე ვარიანტია, რომ იყვნენ საქართველოსთან. ოღონდ არა ისე, როგორც მარტო საქართველოს უნდა, არამედ ისე, როგორც ორივეს სურს. აფხაზები დაიწყებენ ვაჭრობას საქართველოსთან — მზად ვართ, თქვენთან ვიყოთ, მაგრამ ამა და ამ პირობითო და ჩვენც ეს პირობები უნდა დავაკმაყოფილოთ.

— **აფხაზეთთან დაკავშირებით თეთრ სახლში გაკეთდა განცხადებები, სადაც ცალსახად მიუთითეს — აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ შტატები უფრო აქტიურად დაგვეხმარებიან აფხაზეთის დაბრუნების საქმეში?**

— ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — ამერიკა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ის კონკრეტულ ნაბიჯს ცხინვალის ან აფხაზეთის დასაბრუნებლად არ გადადგამს. ის ამბობს: ეს ქართველების გასაკეთებელი საქმეაო და რუსებს ეუბნება, იარაღით საქართველოში რაღაცების არევას ნუ ეცდებითო. ამავე დროს ჩვენც მიგვითითებს, — ეს პრობლემა მშვიდობიანად მოაგვარეთო.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რეკაძე*

# დივერსია — „უხმაური ფრონტის" ხმამაღალი გამოძახილი



მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და სარკინიგზო მაგისტრალი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედი დივერსანტების უპირველესი სამიზნეა

„კვირის პალიტრის" წინა ნომერში შევეხეთ ასე გახშირებულ ხანძრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ძნელად მისადგომ ტყეებში და აღვნიშნეთ, ამას უფრო დივერსიების ელფერი დაჰკრავს, ვიდრე შემთხვევითობისა.

9 ოქტომბერს, კასპთან, რკინიგზის ლიანდაგისა და ოთხი სატვირთო ვაგონის აფეთქებამ თითქმის დაადასტურა, რომ საქართველოს წინააღმდეგ აქტიურდება „უხმაურო ფრონტის" — ჩვენი მოწინააღმდეგეების დივერსიული საქმიანობა.

ეს დივერსანტები, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც რუსეთიდან შემოფრენილი თვითმფრინავიდან ღამით უჩუმრად პარაშუტებით გადმოსხან — მწვანე დოლარის საფასურად ზოგიერთი ადგილობრივიც მზადაა, ისეთი არაკაცური და მოღალატეობრივი დავალების შესასრულებლად, რასაც ტყისთვის ცეცხლის გაჩენა, თუ სარკინიგზო და ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქება ჰქვია.

მთლიანად არც ისაა გამოსარიცხი, რომ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება თავის სპეცსამსახურებს ავალებდეს, გაჭირვებული მოსახლეობის ყურადღების გადასატანად პატარ-პატარა და უმსხვერპლო აფეთქებები და ხანძრები მოაწყოს, რასაც მერე უცხო და მტრული ქვეყნების ზრახვებად გაასაღებს.

მაგრამ, ძნელი დასაჯერებელია, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხერხს მიმართოს, თუმცა ამის მაგალითები არც ისე შორეულ წარსულში გვქონდა.

რკინიგზაზე ეს უკვე მერამდენედ განხორციელებული დივერსიაა. რკინიგზის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის, მთლიანი დაცვა ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გაჭიმულ სარკინიგზო ლიანდაგებს ყოველ 50 მეტრში დაცვას ვერ დაუყენებ. მეორე მხრივ, რკინიგზის მწყობრიდან გამოყვანა, თუნდაც რამდენიმე დღით, ოღონდ სისტემატურად, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს.

რკინიგზის ხაზის აფეთქებიდან რამდენიმე საათში ორი აფეთქების ხმა რამდენიმე კმ-ის მოშორებით, გორის რაიონის სოფელ შავშვებშიც გაისმა — ასაფეთქებელი მოწყობილობები მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებთან იყო ჩადებული. თუმცა, საბედნიეროდ, აფეთქების ძალა არ ეყო ელექტროგადამცემ ხაზს დასაზიანებლად.

არსებობს რამდენიმე ვერსია ამ აფეთქებების სერიის შესახებ: რკინიგზის და ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქება ერთმა და იმავე დივერსიულმა ჯგუფმა მოაწყო, რომელიც, არ არის გამორიცხული, ოსი სეპარატისტების მხრიდანაც გადმოვიდა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ მიდამოებში, უკანასკნელი თვის განმავლობაში ორჯერ მოხდა მსგავსი დივერსიული აფეთქებები ელექტროგადამცემი ხაზის მწყობრიდან გამოსაყვანად.



ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დივერსანტებს გააჩნიათ მოქმედების კონკრეტული გეგმა, რომელიც ამ ეტაპზე მიმართულია ძირითადად ელექტროგადამცემი ხაზების დროებით მწყობრიდან გამოსაყვანად და სატვირთო ვაგონების რელსებიდან გადასაგდებად; მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ხვალ სამგზავრო ვაგონებს ან მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს არ ააფეთქებენ?

სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩეჩნური დივერსიული თავდასხმებისგან სერიოზულად შეშფოთებულმა კრემლმა ყურადღების გადასატანად ანალოგიური დაკვეთა თავის ოს თუ აფხაზ ქვეშევრდომებს მისცეს — ოფიციალური თბილისის უფრო ასაფორიაქებლად.

*P.S. შაბათს, 9 ოქტომბერს, დღის ბოლოს საქართველოს ტერიტორიის 80% ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. სავარაუდოდ, ეს ელექტროგადამცემ ხაზებზე მოწყობილმა ახალმა დივერსიამ გამოიწვია.*

# სნაიპერული „ნადირობა" ქართველებზე

## უცხოელი დამკვირვებლების თვალწინ კოკოითის სნაიპერი ქართველ სამხედროებს ესვრის

ის, რაც მოხდა 8 ოქტომბერს, სოფელ თამარაშენის სკოლასთან, ფასდება, როგორც ნამდვილი სნაიპერული „ნადირობა" — ოსების პოზიციიდან ოსმა სნაიპერმა სამშვიდობო ძალების პოსტზე მდგარი ჯერ ერთი ქართველი „ცისფერჩაფხუტიანი" დაჭრა ხელში, ხოლო შემდეგ, მის გამოსაყვანად მისული მეორე ჯარისკაციც.

ეს არის პროფესიონალ სნაიპერთა ზუსტი ხელწერა — ჯერ დაჭრას ერთი და შემდეგ მის საშველად მისულებს გაუსწორდეს.

სწორედ ამ სცენარით გათამაშდა მოვლენები 8 ოქტომბერს, შუადღისას. დაჭრილთან მისახმარებლად ქართველ სამხედროებთან და პოლიციელებთან ერთად ეუთოს სამხედრო დამკვირვებლებიც მივიდნენ, მაგრამ ოსური მხარე არც მათ შეეპუა და ახალი სნაიპერული გასროლით ფეხში დაჭრა მეორე ქართველი სამხედრო, ხოლო სნაიპერის შიშით, ეუთოს დამკვირვებლებმა ნახევარი საათი სანგარში იყურყუტეს.



ქართულმა მხარემ, რა თქმა უნდა, ოფიციალური პროტესტი განაცხადა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსურმა მხარემ გამოავლინოს და, მით უმეტეს, დასაჯოს დამნაშავე.

სამხედროების სამშვიდობო მისია არ ითვალისწინებს დაპირისპირებულ მხარეზე მოსიარულე ნებისმიერი ადამიანის განადგურებას. ასე რომ ყოფილიყო, ყველანი სანგრებში ჩაიმალებოდნენ და ისე „ინადირებდნენ" ერთმანეთზე სნაიპერული სამიზნის, ოკულარის დახმარებით.

ოსურმა მხარემ დაარღვია სამშვიდობო პროცესის ელემენტარული წესი. თუკი ისინი ასეთი ხერხებით ცდილობენ ქართველი „ცისფერჩაფხუტიანების" დაშინებას, მაშინ ქართველ სამხედროებს შეუძლიათ დაიწყონ ანტისნაიპერული „ნადირობა" — ორივე მხარე სანგრებში ჩაჯდება და სნაიპერული შაშხანებით დაწყებული კანტიკუნტი სროლა ნელ-ნელა ჯერ ტყვიამფრქვევების ჯერში გადაიზრდება, შემდეგ კი ჰაუბიცების ჭურვების წუილში.

8 ოქტომბრის ინციდენტი შეიძლება შეფასდეს, როგორც პროვოკაცია სიტუაციის დასაძაბავად და ქართული მხარის გამოსაწვევად.

***P.S.* ბოლო მონაცემების თანახმად, ცხინვალის ხელისუფლებამ აღიარა ქართველი „ცისფერჩაფხუტიანების" დაჭრა და 12 ოსი შეიარაღებული მოხალისე დროებით დააკავა ინციდენტის გამოსაძიებლად.**



# ამერიკული ფორმებით — ერაყში, გერმანულით — კოსოვოში, ცხინვალში?!

## უზარმაზარმა „გელაქსიმ" ერთი წლის სამყოფი ამერიკული ფორმა ჩამოგვიტანა



მუდამ სხვის ხელებში შემყურე არმიის მომავალი სახარბიელო არ არის, ამიტომაც არ ღირს დიდი აღტაცებით იმაზე წერა, როგორ გვჩუქნის „ამერიკელი ძია" სამხედრო ფორმასა და მის შესაკერ ქსოვილს.

როგორი დაჩაჩანაკებულიც არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, 12 წლის განმავლობაში მაინც უნდა მოეხერხებინა და საკუთარი არმიისთვის ყოველწლიურად შეეკერა განსხვავებული საველე ფორმა.

რეალობა კი ის არის, რომ ერაყში თუ ავღანეთში ქართველ სამხედროებს ზუსტად ისეთივე საველე კომუფლირებული ფორმები აცვიათ, როგორიც ამერიკული არმიის მებრძოლებს და ვიღაც ერაყელი სნაიპერი არ დაიწყებს იმის გარჩევას, ეს ამერიკული ფორმა მართლაც ამერიკელ სერჟანტს აცვია თუ ქართველ კაპრალს.

ასეა თუ ისე, უზარმაზარმა ამერიკულმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა C-5 Galaxy-მ ქართული არმიისთვის 1,1 მლნ დოლარის ღირებულების რამდენიმე ათეული ტონა საჩუქარი ჩამოიტანა. მათ შორისაა: 50 ათასი კვადრატული მეტრი მძიმე, დაუმუშავებელი კომუფლირებული ქსოვილი სამხედრო ფორმების შესაკერად, საველე აღჭურვილობა მე-11 ბრიგადისთვის და 300 კომპლექტი შეკერილი სამხედრო ფორმა.

ეს საჩუქარი იმის მაუწყებელია, რომ პენტაგონი ქართველ სამხედროებს ერაყში ელოდება — უდაბნოს შესატყვისი კომუფლიაჟით დაფარული ეს სამხედრო ფორმები გადაეცემა იმ 300 ქართველ „კომანდოს", რომლებიც დღე-დღეზე ერაყში გაიგზავნებიან იქ მყოფი საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის 159 სამხედრო მოსამსახურის შესაცვლელად.

11 ოქტომბერს კი გერმანიაში გაფრინდება გერმანულ კომუფლირებულ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი 129-კაციანი ქართული ასეული. ისინი 4-კვირიან გადამზადების პროგრამას გაივლიან და 6 თვით კოსოვოში გაიგზავნებიან იმ 21 ქართველ სამხედრო მძღოლთან ერთად, რომლებიც უკვე გერმანიაში იმყოფებიან და ბუნდესვერის სამხედრო ავტოტრანსპორტის სრულყოფილად მართვას ეუფლებიან. კოსოვოში ქართული ასეული ძირითადად ბაზებსა და აეროდრომს დაიცავს, თუმცა, საკუთარი სურვილით, გააგრძელებს ქალაქ პრიზრენის შემოგარენში ალბანელ მუსლიმანთა მიერ თავის დროზე გადამწვარი მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენას, რისთვისაც საქართველოდან ხატებიც მიაქვთ.

# „რუსეთისნაირი მეგობრის პატრონ სომხეთს მტერი აღარ სჭირდება"

## საზღვრის ჩაკეტვით მოსკოვმა უფრო მეგობარი ერევანი დააზარალა, ვიდრე ურჩი თბილისი

ზემო ლარსის საზღვრის გამშვები პუნქტის ჩაკეტვა მოსკოვის მიერ სომხეთის წინააღმდეგ მიმართული აქციაა, — განაცხადა სომხეთის ეროვნული უშიშროების ყოფილმა მინისტრმა დავით შაჰნაზარიანმა, — საზღვრის ჩაკეტვით საქართველო ბევრს არაფერს კარგავს, რადგან მას რჩება საზღვაო გზა უკრაინის პორტ ილიჩევსკამდე, სომხეთი კი იმიტომ ზარალდება, რომ 50 სამხედროს გაგზავნა მოინდომა ერაყში, რისთვისაც მოსკოვმა ასეთი ზეწოლა განახორციელა მთლიანად სომხეთის მიმართ — ამატებს იგი.

სომეხი ექსმინისტრი ალბათ მართალიცაა, რადგან ზემო ლარსის ჩაკეტილ სასაზღვრო საგუშაგოსთან თავმოყრილ 500-ზე მეტ ავტომობილს შორის უმეტესობა სწორედ სომხეთის მოქალაქეების მიერ რუსეთში ნაყიდი ახალი „ჟიგული" და „ვოლგაა". ამ საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვით მოსკოვმა არა მარტო თბილისს, არამედ ერევანსაც აჩვენა თავისი ძალა; თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კრემლის ეს ნაბიჯი მცდარი გამოდგა.

სომეხმა პოლიტიკოსებმა უკვე დაიწყეს ხმამაღალი ლაპარაკი, რომ სომხეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ბედნიერი მომავალი იმ რუსეთთან კი არ არის დაკავშირებული, რომელთანაც სომხეთს საერთო საზღვარიც არ გააჩნია, არამედ ევროკავშირთან და თვით იმ შორეულ ამერიკასთან, სადაც სომეხი ეროვნების მოქალაქეების სიმცირე ნამდვილად არ იგრძნობა.

რუსეთის ამგვარმა დასჯის პოლიტიკამ კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი გამოაჩინა — რეალურად სომხეთის ეკონომიკა და ცხოვრება მკვეთრადაა დამოკიდებული საქართველოდან შემავალ ტვირთებზე, რადგან აზერბაიჯანთან სომხეთს, გასაგები მიზეზებით, გზა მოჭრილი აქვს, თურქეთთან საზღვარი ჩაკეტილია, ხოლო აშშ-ისგან „ტერორისტების ბუდედ" შერაცხულ ირანთან ეკონომიკური ურთიერთობები სომხეთს დიდად არ გამოადგება.

სომხები ხვდებიან, რომ მათი მომავალი ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობაა. ერევანში უკვე ისმის, ერთი შეხედვით, აქამდე გაუგონარი განცხადებები, რომ თურქეთის ევროკავშირში მიღება სომხეთის ინტერესებშიც შედის, რადგან გაეხსნება პირდაპირი სავაჭრო გზა ევროპის გულისკენ.

სხვანაირად, მხოლოდ რუსეთის იმედზე ყოფნით, სომხეთის განვითარება წარმოუდგენლად მიაჩნია ბევრ სომეხ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპერტს.

ასეთ შემთხვევაში საქართველო იძენს გარკვეული ეკონომიკური მოქმედების ბერკეტს, რომლის ჭკვიანურად ამოქმედების შემთხვევაში შეუძლია შედარებით მალე და, რაც მთავარია, უმტკივნეულოდ გაანეიტრალოს ის საფრთხე, რასაც, გარკვეულწილად, სამცხე-ჯავახეთში მოქმედი რამდენიმე ექსტრემისტული პოლიტიკური ორგანიზაცია აღვივებს კრემლის დავალებით. ოფიციალური ერევნიდან ბოლო დროს არც ისე იშვიათად ისმის ჯავახეთში მცხოვრები სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების გასაგებად — ჯავახეთში სიტუაციის დაძაბვა შეიძლება უკუპროპორციულად აისახოს იმ ტვირთების ნაკადზე, რომელიც საქართველოს გავლით სომხეთში შედის და ურომლისოდ ისედაც ნახევრად ბლოკადაში მოქცეულ სამხრეთ კავკასიის ამ რესპუბლიკას რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემები შეექმნება.

# სატანკო ქარხნის ძარცვა გრძელდება

თბილისში მდებარე რუსული ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხნის გადმოცემის თაობაზე საქართველოსა და რუსეთის სამხედრო წარმომადგენლები ერთი თვის წინ შეთანხმდნენ, მაგრამ სანამ ამ ქარხნის ტერიტორია მთლიანად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისდიქციაში გადავა, მანამდე უსათუოდ გაიძარცვება.

ეს ქარხანა უნიკალურია, რადგან იმ შვიდ ქარხანათაგანია, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იყო გაფანტული და იმ დროისთვის საუკეთესო T-72 და T-80 ტიპის ტანკების კაპიტალურ რემონტს ატარებდა.

თბილისის ქარხანამ იმითაც „გაითქვა" სახელი, რომ ყარაბაღის ომში აზერბაიჯანელების მიერ აფეთქებულ სომხურ ტანკებს რუსები თავისად ასაღებდნენ და სწორედ აქ არემონტებდნენ.

ისე, ამ ქარხანაში ქართული ტანკები და ჯავშანმანქანებიც გაურემონტებიათ, ოღონდ არა უფასოდ და ისიც ძირითადად ვარდიკო ნადიბაიძის მინისტრობისას.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ეს ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხანა (რომელსაც სატანკოსაც უწოდებენ), მთელი თავისი დაზგა-დანადგარებით და ასევე პროფესიონალი მომსახურე პერსონალით, საქართველოს სამხედრო ძალების განკარგულებაში დარჩენილიყო და გაერემონტებინა ჩვენი მოძველებული ჯავშანტექნიკა.

სამწუხაროდ, ეს თანდათან შეუძლებელი ხდება — ლაპარაკი აღარაა დაზგებზე, ისინი დიდი ხანია გაყიდეს, ამჟამად იჭრება და ჯართის სახით ქარხნიდან გააქვთ მეტალის კონსტრუქციებიც კი (რამდენიმე დღის წინ ქართულმა სპეცსამსახურმა ქარხნიდან გამოსული 27 ტ ფერადი ლითონის ჯართით დატვირთული ტრაილერი დააკავა, რომელსაც გეზი ფოთისკენ ეჭირა). ცოტა ხანში ქარხნის ადგილზე მხოლოდ ნანგრევები დარჩება და ქართული ტანკებისა და ჯავშანმანქანების შეკეთება ისევ კუსტარულ პირობებში მოგვიწევს.

# EXOCET-ები ბათუმის პორტში

## ბათუმში ვიზიტად მყოფ „ჟაკუბეს" და ფოთის პორტში მდგარ „დიოსკურიას" ერთნაირი ტიპის შეიარაღება აქვთ

აბაშიძის რეჟიმის დროს დასავლეთი ძალიან ერიდებოდა თავისი სამხედრო ხომალდების მეგობრულ ვიზიტს ბათუმში და მათ ძირითადად ფოთის პორტისკენ გზავნიდა.

ეს ტრადიცია ნელ-ნელა ირღვევა, ამჟამად ბათუმის პორტს სტუმრობს ფრანგული სადარაჯო ხომალდი Enseigne de vaisseau Jacoubet-ი.



ჩვენი დოსიე: ფრანგული სადარაჯო ხომალდის Ev Jacoubet-ის სრული წყალწყვა 1,330 ტ-ს აღწევს. მისი სიგრძე 80 მ-ია, სიგანე — 10 მ, 2 ტურბოდიზელის ძრავა მას მაქსიმალური, 23 კვანძი (დაახლოებით 41,4 კმ/სთ) სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. ხომალდი შეიარაღებულია ოთხი Exocet MM40 ტიპის მართვადი ფრთოსანი რაკეტით, ერთი 100 მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხით, საზენიტო რაკეტებით, ორი 20 მმ კალიბრიანი ქვემეხითა და ოთხი 12,7 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევით, აგრეთვე ტორპედოს გასაშვები 4 მილით. ეკიპაჟის შემადგენლობა 86 კაცს აღწევს.

ქალაქების ხელისუფალთ იოტისოდენი ყურადღება მაინც გამოეჩინათ.

მეგობრული ვიზიტით ბათუმის პორტში მყოფ ფრანგულ სადარაჯო ხომალდზე წვრთნას 14 ქართველი სამხედრო მეზღვაური გაივლის. ეს იმიტომაცაა სასარგებლო, რომ ქართული სამხედრო-საზღვაო ძალების ყველაზე დიდი სარაკეტო კატარღა „დიოსკურია" თავის დროზე სწორედ ფრანგული პროექტით აიგო და მასზეც იმავე მრისხანე Exocet-ის ტიპის „ხომალდი-ხომალდი" კლასის რაკეტების გასაშვები კონტეინერებია დამონტაჟებული, როგორიც ფრანგულზე.

ეს გრძელი სახელი ფრანგულ სამხედრო ხომალდს ეწოდა ფრანგი სამხედრო მეზღვაურის ანდრე ჟაკუბეს პატივსაცემად, რომელიც 1940 წელს გმირულად დაიღუპა ნორმანდიაში, გერმანელებთან ბრძოლაში.

საერთოდ, ფრანგები თავის სადარაჯო ხომალდებს მეორე მსოფლიო ომის გმირების სახელებს უწოდებენ — Ev Jacubet-ის ტიპის 17 ხომალდია აგებული და ყველას გმირების სახელები ჰქვია. ანდრე ჟაკუბე ტულუზელი იყო, ამიტომ ეს მშვენიერი ქალაქი გახდა 1982 წელს აგებული ხომალდის „ნათლია" და მას დიდ ყურადღებასაც აქცევს. ჩვენ კი, იმას ვერ მივაღწიეთ, რომ ქართული სამხედრო კატარღებისთვის — „თბილისისა" თუ „ახმეტისთვის" — ამ

თუკი ფრანგი სამხედრო მეზღვაურები თავიანთ ქართველ კოლეგებს დაწვრილებით აუხსნიან რაკეტების, საზენიტო დანადგარების ქვემეხების, ტორპედოებისა და ძრავების ექსპლუატაციის ნიუანსებს, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ფრანგული სადარაჯო ხომალდის სტუმრობა მართლაც შედეგიანი იყო.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*




# საზარელი დანაშაულების ქრონოლოგია

*იმ გადაუჭრელ პრობლემათა შორის, რომელიც დღეს ჩვენს საზოგადოებას აწუხებს, ლომის წილი ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთ ახალ „ტრადიციულ“ ფორმას, კრიმინალურ ტერორიზმს უკავია. პოლიტიკური ტერორისაგან განსხვავებით, კრიმინალური ტერორიზმი არ ისახავს რაიმე პოლიტიკურ მიზნებს. როგორც წესი, იგი ცდილობს დანაშაულებრივი საქმიანობის ნებისმიერი ფორმისგან მიიღოს მაქსიმალური მოგება.*

*კრიმინალური ტერორიზმის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ძალადობა, რომელიც თავის თავში მოიცავს შეკვეთილ მკვლელობებსა და ადამიანის გატაცებას. სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.*

ადამიანის გატაცება ხშირად ფულის გამოძალვის, „აბეზარი“ ბიზნესპარტნიორის ან კონკურენტის ჩამოშორება-დაშინების მიზნით ხდება. ჩვენ შევეცდებით ოპერატიულ ინფორმაციებსა და გამოძიებაზე დაყრდნობით წარმოგიდგინოთ ამ საზარელი დანაშაულის ქრონოლოგია...

ადამიანის გატაცება საქართველოში, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფორმა, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, მას ქუჩის კრიმინალის სახე ჰქონდა და „მხედრიონის“ სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა. თუმცა ამ საქმით ცალკეული ჯგუფიც იყო დაკავებული. მაგალითად, „კულინარიელები“ — ამ საძმოს ანგარიშზე რამდენიმე გატაცებაა.

გატაცებულები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდათ. აფხაზეთის მიმართულება მოგვიანებით ჩნდება (ვინაიდან აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო, აგრესია ორივე მხრიდან იმდენად დიდი იყო, რომ ხელს უშლიდა ქართულ-აფხაზური შერეული კრიმინალური ჯგუფების ჩამოყალიბებას).

1995-96 წლებში თბილისში იმატა ადამიანის გატაცების ფაქტებმა. ამის მიზეზი კი კომერციულ ბანკებში კრედიტით აღებული თანხების დაუბრუნებლობა ან ვალის გაუსტუმრებლობა იყო. ამის ნათელ მაგალითს დიდუბეში ზაზა დვალის გატაცება წარმოადგენს. მისი ბედი დღემდე უცნობია.

1998 წლიდან აპრობირებას იწყებს აფხაზეთისა და აგრეთვე, სამართალდამცველთა მიერ ნაკლებად კონტროლირებადი კოდორის ხეობის მიმართულება. 1999 წელს ზაფხულში, ზემო სვანეთში, სოფელ ხაიშიდან უცნობებმა გაიტაცეს ხეტყის ადგილობრივი მაგნატის, დარეჯან ჭკადუას მცირეწლოვანი ძმისშვილი. მოტივი ფულის გამოძალვა გახლდათ.

სამართალდამცველებმა დახმარებისთვის ადგილობრივ კრიმინალურ ავტორიტეტებს მიმართეს (ეს გახლდათ პირველი შემთხვევა და არა უკანასკნელი). სავარაუდოდ, გამტაცებლებს ბავშვი კოდორის ხეობაში უნდა გადაემალათ. ევგენი აფრასიძის ჩარევის შემდეგ ბავშვის გათავისუფლება მოხერხდა, თუმცა ხელისუფლება ამის საჯაროდ თქმას მოერიდა და ტრიუმფი პოლიციას და ემზარ კვიციანს (პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში) ხვდა წილად.

იმავე წელს ყოფილმა „კულინარიელებმა“ გოგი თოფაძის ლუდის ქარხნის ინჟინრის ვაჟიშვილი ბოკა საყვარელიძე გაიტაცეს. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, საყვარელიძეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მალავდნენ. ბოკა საყვარელიძის გათავისუფლება უშიშროებისა და პოლიციის სამსახურის ერთობლივი მუშაობის წყალობით მოხერხდა, თუმცა არსებობს ვერსია, რომ საყვარელიძის ოჯახმა გამტაცებლებს გამოსასყიდი გადაუხადა.

1999 წლის მარტში ფოთში მიშა სიგუა გაიტაცეს. მიუხედავად იმისა, რომ გამტაცებლები სიგუას დედას გამოსასყიდზე შეუთანხმდნენ, ერთი თვის შემდეგ სიგუას გვამი მალთაყვის ტყეში იპოვეს. დამნაშავეები დადგენილია და სასამართლო პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

პოლიტიკური მიზნით ადამიანის გატაცების პრეცედენტი საქართველოში 1998 წლის 12 თებერვალს მოხდა, როდესაც 9 თებერვლის ტერაქტში ეჭვმიტანილად ცნობილმა გოჩა ესებუამ ზუგდიდის ცენტრიდან გაეროს რამდენიმე დამკვირვებელი გაიტაცა. თუ ესებუას შემთხვევაში გატაცების მოტივი განცხადებული იყო (ის შევარდნაძის ხელისუფლებას წინა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს სთხოვდა), კოდორის ხეობაში რამდენჯერმე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გატაცების (ბოლო 2003 წლის გაზაფხულზე მოხდა) მოტივი დღემდე დაუდგენელია. თუმცა მათი გამოხსნა კვლავ კრიმინალური ავტორიტეტების წყალობით ხდებოდა. ამ საქმეში განსაკუთრებით ტარიელ ონიანი აქტიურობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლება ველარ მალავდა სამართალდამცველთა უსუსურობას ამგვარ დანაშაულთან ბრძოლაში და უკვე საჯაროდ უხდიდა მადლობას კრიმინალურ ავტორიტეტებს გაწეული დახმარებისთვის და, შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გადარჩენისთვის(?!).



2000 წლისთვის საქართველოს ახალი თავსატეხი გაუჩნდა — პანკისის ხეობა. ჩეჩნეთში ბოლოდროინდელი საომარი მოქმედებების დროს ჩეჩნეთიდან დევნილებმა სწორედ ამ ხეობას შეაფარეს თავი, მალე პანკისი „ავაზაკთა ქვაბად“ გადაიქცა. ამიერიდან საქართველოში ადამიანთა გატაცებების პანკისური სერიალები იწყება.

2000 წლის ოქტომბერში აეროპორტის ტრასაზე მიმავალ ესპანელ ანტონიო ტრემინიოსის და ფრანსისკო როდრიგესის ავტომანქანას უკან უცნობი მსუბუქი ავტომანქანა აედევნა. ავტოსტრადის ერთ-ერთ მიყრუებულ უბანზე უცნობებმა შეძლეს ესპანელთა მანქანის გაჩერება და მუქარითა და დაშინებით ისინი უცნობი მიმართულებით წაიყვანეს.

ანტონიო ტრემინიოსი და ფრანსისკო როდრიგესი საქართველოში ხეტყისა და მარმარილოს ბიზნესს ეწეოდნენ. ზოგიერთი ვერსიით, ესპანელი ბიზნესმენები ძვირფასი თვლებითაც ინტერესდებოდნენ. მათი გათავისუფლება მხოლოდ 370 დღის შემდეგ მოხდა. პრესკონფერენციაზე უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ ესპანელი ბიზნესმენების გათავისუფლება წარმატებული სპეცოპერაციის შედეგი იყო. თუმცა სამშობლოში დაბრუნებული ბიზნესმენები სულ სხვა განცხადებებს აკეთებდნენ. ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ტრემინიოსისა და როდრიგესის ოჯახის წევრებმა გამტაცებლებს 550.000 დოლარი გადაუხადეს. თავდაპირველად, 300.000, ხოლო შემდგომ 250.000 დოლარი. ქართველი ძალოვნები ამ ინფორმაციას დუმილით შეხვდნენ. გავრცელდა ვერსია, რომ 300.000 დოლარი შუამავლებში დაიკარგა და სწორედ ამიტომ მოითხოვეს გამტაცებლებმა მეორედ თანხა. ესპანელი ბიზნესმენები გამტაცებლების მფარველად ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს, ლევან კენჭაძეს და პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანს ასახელებდნენ.

2001 წლის 7 მაისს კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანით მოსეირნე წყვილს, პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილსა და მის საცოლეს ანა სურმავას კბილებამდე შეიარაღებული ჯგუფი გადაუდგა, ცისკარიშვილი სასტიკად სცემეს და საცოლესთან ერთად პანკისის ხეობას გაუყენეს. მისი ავტომანქანა „ბმვ“ მეორე დღეს ახმეტის რაიონში იპოვეს. ცისკარიშვილის გატაცებამ პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია. თუმცა არსებობდა მეორე ვერსია, რომელიც ცისკარიშვილის ნავთობბიზნესთან შესაძლო კავშირს ეფუძნებოდა. პარლამენტარი და მისი საცოლე ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს. თუმცა არც ამას ჩაუვლია კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევის გარეშე. მათი გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში ძალოვნებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს კანონიერი ქურდი ტრისტან სიჭინავა (მეტსახელად „ღორო“), რამაც საფუძველი დაუდო ერთ-ერთ ვერსიას — კრიმინალებმა ცისკარიშვილი და მისი მეგობარი კანონიერ ქურდში გაცვალესო.

სამართალდამცავების ინფორმაციით, საქართველოში იმხანად ადამიანის გატაცებაზე რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა: მერაბ ტვილდიანის, მეტსახელად „ხალვას“ ორგანიზებული ჯგუფი, ძმები ბალავაძეების საძმო და მევლუდ ჭიჭიაშვილის დანაშაულებრივი დაჯგუფება (სწორედ იგია ეჭვმიტანილი პანკისურ გატაცებებში).

2001 წლის 22 მაისს დილომში, რკინიგზის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ 21 წლის ლევან კალაძეს (ფეხბურთელის, კახი კალაძის ძმას) ორი პოლიციისფორმიანი უცნობი მიუახლოვდა და მანქანაში ჩაჯდომა მოსთხოვა. მიუხედავად კალაძის წინააღმდეგობისა, იგი მაინც ჩასვეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. რამდენიმე დღეში გამტაცებლები დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და გამოსასყიდის სახით 600.000 დოლარი მოსთხოვეს. დიდი ხნის ვაჭრობის შემდეგ გამტაცებლები 85.000-ზე ჩამოვიდნენ. შეხვედრაც უნდა შემდგარიყო ხეობასთან, თუმცა ფულის გადაცემა ვერ მოხერხდა. ძალოვნების დაპირებები დაპირებებად რჩებოდა. გავრცელებული ვერსიით, ლევან კალაძის გატაცება — კახის „მილანის“ ტრანსფერს უკავშირდება, რომლის უკანაც კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი იდგა. გატაცებიდან 10 თვის შემდეგ კახი კალაძე ერთ-ერთი რუსული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში იტყვის: „ჩემი ძმა ფულის გულისთვის არ გაუტაციათ, არსებობს სხვა მიზეზები, რომლის დასახელებისგანაც თავს შევიკავებ“.

გამოძიებით უკმაყოფილო კახი კალაძემ პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე. საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ არსებობდა ოპერატიული ინფორმაციები, რომლის საფუძველზეც ლევან კალაძის გათავისუფლება უახლოეს მომავალში მოხდებოდა. ამ განცხადებას მოჰყვა ხონში სპეცოპერაცია, რის შედეგადაც განადგურდა ძმები ბალავაძეების ორგანიზებული ჯგუფი. როგორც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე აცხადებდა, სწორედ ბალავაძეები იყვნენ კალაძის შესაძლო გამტაცებლები(?!).

2003 წელს კალაძეებთან კავშირზე გამოვიდნენ და ლევანის განთავისუფლებაში 200.000 დოლარი მოითხოვეს. კალაძეებმა ფული დაუყოვნებლივ გადაიხადეს, თუმცა უშედეგოდ. როგორც გამოძიება ადგენს, აღნიშნული თანხა აფრასიძეებთან უნდა მისულიყო, რამდენად შეეფერება ეს ვერსია სიმართლეს, ამას გამოძიება გვიჩვენებს.

2001 წლის 7 ივნისს აფრიკის დასახლებაში, ქინძმარაულის ქუჩაზე, არაბი ბიზნესმენი შარბელ ბერშარ ანუ გაიტაცეს. იგი მძღოლთან ერთად საკუთარი მანქანით ოფისში მიდიოდა. შარბელს და მის პარტნიორს საქართველოში ქათმის ბარკლისა და ბანანის რეალიზაციის საკმაოდ სარფიანი ბიზნესი ჰქონდათ.

გატაცებიდან ორი საათის შემდეგ ბერშარ ანუს ავტომანქანა აეროპორტთან იპოვეს. სამართალდამცველნი არაბი ბიზნესმენის კვალს კარგა ხანს პანკისში ეძებდნენ, თუმცა მას მოულოდნელად თბილისის ზღვაზე, ერთ მიტოვებულ სახლში საეჭვო ვითარებაში მიაგნო ახალდანიშნულმა ქალაქის პოლიციის შეფმა კახა ბაკურაძემ(?!).

2001 წლის აგვისტოში თბილისში, საკუთარი სახლის წინ, გაიტაცეს ინგლისელი ბანკირი, „ემ-ბი-ჯი-ბანკის“ დირექტორი პიტერ შოუ. გამტაცებლები პოლიციის ფორმებით იყვნენ. აქ მოხდა ერთი კურიოზული ფაქტიც.






გატაცების პროცესს შეესწრო პოლიციის ერთი ჯგუფი, რომელიც შემოვლაზე იმყოფებოდა. გამტაცებლები კოლეგებად მიიჩნიეს და მათთვის ხელი არ შეუშლიათ. პიტერ შოუ 4 თვე იმყოფებოდა ტყვეობაში. ინგლისელი ბანკირის გატაცებამ დიდი სკანდალი გამოიწვია ევროპის ფინანსურ წრეებში. დონორი ორგანიზაციები ქვეყნის პრეზიდენტს შოუს სასწრაფო განთავისუფლებას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინანსური პროგრამების დაბლოკვით იმუქრებოდნენ. სამართალდამცველებმა ამჯერადაც ვერ მიაგნეს გატაცებულის კვალს. მოულოდნელად ნოემბერში პიტერ შოუ გაათავისუფლეს, უფრო სწორად, თვითონ გათავისუფლდა. ეს კი ასე მოხდა: პანკისის ხეობაში შევიდა 20-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც ჩეჩნეთში მიდიოდა აზერბაიჯანის გავლით. ჯგუფს ვინმე მექუდიშვილი, მეტსახელად „ტაშკენტა“ მიაცილებდა. შემთხვევით წააწყდნენ 5-კაციან შეიარაღებულ ჯგუფს, რომელსაც პიტერ შოუ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა. როდესაც მექუდიშვილი ჯგუფს მიუახლოვდა (სავარაუდოდ, მან არც იცოდა პიტერ შოუს იქ ყოფნის შესახებ), ცეცხლი გაუხსნეს და ადგილზე მოკლეს, ამის შემდეგ ცეცხლი მეორე მხარემაც გახსნა. შოუმ ისარგებლა ბედნიერი გაუგებრობით და თავს უშველა. იგი შემთხვევით აღმოჩნდა ქართულ ბლოკპოსტზე, სადაც უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები იდგნენ. სწორედ მათ წამოიყვანეს შეშინებული შოუ თბილისში. პიტერ შოუმ უარი უთხრა გამოძიებას ჩვენების მიცემაზე და სასწრაფოდ დატოვა საქართველო.

2001 წლის 16 ნოემბერს ტყვარჩელში გაიტაცეს „სლავნეფტის“ ვიცე-პრეზიდენტის, ჯუმბერ ტყებუჩავას დედა თამარ ტყებუჩავა. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, 1-ელ დეკემბერს, დმანისის რაიონის სოფელ პანტიანში უცნობები შეიპარნენ „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტის, ბაგიტ შარიფოვის მამის სახლში. გაიტაცეს 400 დოლარი, ოქროულობა და თან წაიყვანეს 78 წლის სადიმ შარიფოვი. რუსული პრესა არ გამორიცხავდა კავშირს ტყებუჩავა-შარიფოვის გატაცებებში. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში „ლუკოილი“ მზად იყო შეეძინა „სლავნეფტი“, თუმცა უკვე 5 დეკემბერს „ლუკოილის“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კომპანია აღარ აპირებს „სლავნეფტის“ შეძენას მისი არარენტაბელობის გამო, მოგვიანებით, „სლავნეფტი“ „სიბნეფტმა“ იყიდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი შარიფოვის ოჯახის წევრებს გატაცებულის გათავისუფლებას რამდენიმე დღეში დაჰპირდა, თუმცა 5 დეკემბერს თეთრი წყაროს რაიონში სამართალდამცველებმა შარიფოვის გვამი აღმოაჩინეს (სავარაუდოდ, ძალოვნებს გვამის თაობაზე თვით გამტაცებლებმა დაურეკეს). სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ შარიფოვი ბუნებრივი სიკვდილით, გულის შეტევით გარდაიცვალა, მანამდე გამტაცებლები — 400.000 დოლარს ითხოვდნენ. ბაგიტ შარიფოვი საქართველოში ჩამოვიდა და როგორც კულუარებში ამბობენ, საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა, დამნაშავეები სამაგალითოდ რომ დაესაჯათ.

2002 წლის 24 ივლისს დაუდგენელმა პირებმა წყნეთიდან გაიტაცეს 15 წლის მარიამ გოგინაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრებმა მოთხოვნილი თანხა არაერთხელ გადაიხადეს, ბავშვი არ დაუბრუნებიათ. იმავე წელს გაიტაცეს ზაზა ჯიქია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის, ბონდო ჯიქიას ვაჟი, რომელიც ერთ-ერთი უცხოური ფირმის მენეჯერი გახლდათ, გამტაცებლები 3 მლნ დოლარს ითხოვდნენ, თუმცა ოჯახის წევრებთან მორიგება მოხდა. ასევე მორიგებით დამთავრდა ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის, ნაცვლიშვილის გატაცება.

2003 წლის გაზაფხულზე მესტიაში გაიტაცეს ბიზნესმენი გოგი ფილფანი. ფილფანი, ძირითადად, რუსეთში საქმიანობდა და ციმბირში იაფი მუშახელის გაგზავნით იყო დაკავებული. ფილფანის გამოხსნა კრიმინალური ავტორიტეტების, კერძოდ, აფრასიძეების ჩარევის შედეგად მოხდა, ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. თუმცა მოგვიანებით გოგი ფილფანი აცხადებდა, რომ მისმა ოჯახმა 90.000 დოლარი გადაიხადა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ადამიანის გატაცებები შემცირდა. თუმცა ახალი ხელისუფლების მოსვლიდან რამდენიმე დღეში გაერთიანებული ქართული ბანკის ერთ-ერთი მესაკუთრე თამაზ მაღლაკელიძე გაიტაცეს. მისი გათავისუფლება უშუალოდ ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის, გია ბარამიძის ხელმძღვანელობით მოხდა, ერთმა დამნაშავემ კი მიმალვა მოასწრო. მაღლაკელიძის გატაცებაში ეჭვმიტანილები ძმები ვაშაკიძეები აღმოჩნდნენ. მიმდინარეობს ძიება.

მაღლაკელიძის გამოხსნიდან რამდენიმე დღეში მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, სადაც ის კალაძეების ოჯახს საქმის გახსნას დაჰპირდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სამმართველო, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე იმუშავებდა. 2004 წლის 24 მარტს ზემო სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს ევგენი და ომეხ აფრასიძეები. როგორც მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, აფრასიძეებს შესაძლოა ბევრი რამ სცოდნოდათ კალაძის საქმეზე. სამწუხაროდ, პოლიციის მუშაობის სტილი არ შეცვლილა (გაიხსენეთ ზურაბ ჩხაიძის კომენტარი ბალავაძეების განადგურების შემდეგ). მიმდინარე წლის ივლისში ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო გაუქმდა. ახალი კადრები კი მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერაფერს ახერხებენ, გამოძიებას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. რაც შეეხება მერაბ ტვილდიანს, „ხალვას“, რომელსაც კალაძის გატაცების ორგანიზატორად მოიაზრებენ, ესპანეთშია და მიუხედავად მისი იქაური პოლიციის მიერ დაკავებისა, მის ჩამოყვანას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ან არ ახერხებს(?!).

დღეს ადამიანთა გატაცება სამეგრელოს რეგიონში ხდება. ბოლო ორი თვის განმავლობაში აქ გატაცების ორი ფაქტი დაფიქსირდა. ამას წინათ დაუდგენელმა პირებმა „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის, პანტიკო თორდიას ძმისშვილი გაიტაცეს. ჯერჯერობით, მისი ადგილსამყოფელი დადგენილი არ არის.

სავარაუდოდ, გამტაცებლებმა გამოსასყიდი უკვე მოითხოვეს.

შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება ამ საზარელი დანაშაულის აღკვეთას საქართველოში? თუმცა იმედი იმისა, რომ უკვე მომხდარის გახსნას როდისმე შეძლებენ, ჯერჯერობით მაინც რჩება.

***ნინო ბურჭულაძე***

# „ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ მნახოს ვოვამ“

## ექსკლუზიური ინტერვიუ პუტინის დედასა და დასთან

ყველაფერი ერთი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ეპიზოდით დაიწყო... ჩემმა ძმამ ბინა იყიდა და მთხოვა, სანახავად და რაღაც საკითხების მოსაგვარებლად გავყოლოდი. რა თქმა უნდა, გავყევი. ოჯახის უფროსი, ბატონი გოგი და მისი მეუღლე გულთბილად შეგვხვდნენ. ქართული ტრადიციისამებრ სუფრაც გაიშალა და სადღეგრძელოებიც ითქვა. ჯერი დედმამიშვილების სადღეგრძელოზე რომ მიდგა, შექეიფიანებულმა მასპინძელმა ცოლზე მიგვითითა: ლუბას ნუ ეხუმრებით, იმისთანა ძმის პატრონიაო. ჩემს ძმას კითხვის ნიშნად მივაჩერდი. სიცილი აუტყდა და მიპასუხა: ქალბატონი ლუბა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის, ნახევარდაა თურმეო. თვალები დავაჭყიტე. გამახსენდა ამ 3 წლის წინ აჭრელებული პრესა და ათასი მითქმა-მოთქმა რუსეთის პრეზიდენტის საქართველოში გატარებული ბავშვობის შესახებ.

ხომ იცით, სიტყვას რამხელა ძალა აქვს და ლუბა ოსეფაშვილს რომ დავაკვირდი, სულო ცოდვილო, იმხელა მსგავსება აღმოვაჩინე მასსა და პუტინს შორის, თვალს ველარ ვაშორებდი. ჩემი ძმა კი ისევ იცინოდა... ცოტა არ იყოს, ნაწყენი მიუბრუნდა მას დიასახლისი და უთხრა: არ გჯერა, ხომ? ბავშვისთვისაც კი არასოდეს მითქვამს ტყუილი და რაღა თქვენ მოგატყუებთ? ხვალ (ანუ 6 ოქტომბერს) კინომსახიობთა თეატრში დედაჩემზე გადაღებული ფილმის პრეზენტაციაა და მოდით, თქვენი თვალით ნახეთ და დარწმუნდებით, რომ სიმართლეს ვამბობო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, 6 ოქტომბერს კინომსახიობთა თეატრში ქართულ-ჰოლანდიური ჯგუფის მიერ გადაღებული ფილმის, „პუტინის დედის“ პრეზენტაციას დავესწარი. ფილმის რეჟისორები არიან ინეკე სმიტი (აწ გარდაცვლილი რეჟისორის, ტატო კოტეტიშვილის მეუღლე) და გიორგი ოვაშვილი. ქალბატონმა ლუბამ დედამისი, **ვერა პუტინა** გამაცნო, რომელიც დამპირდა, რომ ფილმის ნახვის შემდეგ ინტერვიუს მომცემდა.

ფილმმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, თუმცა მის ღირსებებსა და შინაარსზე აღარაფერს ვიტყვი, ჯობს, მთავარ გმირთან შემდგარი ექსკლუზიური ინტერვიუ შემოგთავაზოთ.

— **დეიდა ვერა (ყველა ასე მიმართავდა! — მ. ბ.), გვიამბეთ თქვენ შესახებ.**

— დავიბადე და გავიზარდე პერმის ოლქის ქალაქ ოჩორაში. მამაჩემი, გვარად პუტინი, გავლენიანი და თანამდებობის კაცი იყო. სტალინი არ უყვარდა, რადგან ერთი სიტყვის გამო დააპატიმრა და ციხეში გამოამწყვდია. სხვათა შორის, დიდხანს არ მჯდარა, მაგრამ სამუდამოდ შეიძულა სტალინიც და ქართველებიც. სასწავლებელი რომ დავამთავრე, პრაქტიკაზე ტაშკენტში გამაგზავნეს. იქ ერთი ბიჭი შემიყვარდა, პლატონი ერქვა. მასაც ძალიან ვუყვარდი და მპირდებოდა, ცოლად მოგიყვანო. ორსულად ვიყავი, როცა თავისი ქალაქიდან (ვერა დეიდას არ უთქვამს, საიდან იყო პლატონი) ამანათი მიიღო. გავხსენი. შიგ წერილი იდო. ამ წერილით გავიგე, რომ იგი ცოლშვილიანი ყოფილა. ძალიან გავბრაზდი, დანახვა აღარ მინდოდა მისი, მაგრამ ბავშვს ხომ ველარ მოვიცილებდი?.. პლატონმა პატიება მთხოვა, მაგრამ ხელები გავასავსავე... მერე გაჩნდა ვალოდია. სამი ძმა მყავდა, მე მათზე



ვერა პუტინა

## უტყუარი ფაქტები რუსეთის პრეზიდენტის ბავშვობიდან

უფროსი გახლდით. რა თქმა უნდა, არც ძმებმა და არც მშობლებმა არ მომიწონეს საქციელი, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლებოდა. ვზრდიდი ჩემს ვოვას და ვიყავი ჩემთვის. ხომ გაგიგიათ, გოგოებმა მკითხაობა რომ იციან, ჭიქაში წყალს ჩაასხამენ, ბეჭედს ჩააგდებენ და საბედოს ნახულობენ. ერთხელ მე და ჩემმა მეგობრებმა გავაკეთეთ ეს და ჩემი ჯერი რომ დადგა, ბეჭედში საბედო დავინახე ჯარისკაცის ფორმით, ულვაშით. ჭიქა გაბრაზებულმა მოვისროლე, ეს ვინღაა-მეთქი. არ გასულა დიდი დრო და „ტანცებზე“ გავიცანი ქართველი სამხედრო, რომელიც მალე უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. ეს გახლდათ გიორგი ოსეფაშვილი, ჩემი დანარჩენი ხუთი შვილის მამა. მას დანახვისთანავე შევუყვარდი და ცოლობა მთხოვა. არ დავუმალე, რომ შვილი მყავდა, მაინც არ დაიხია უკან და დავთანხმდი მე სულელი..

— **რატომ სულელი? ნანობთ, რომ საქართველოში ჩამოხვედით?**

— მაგანაც მომატყუა (იცინის). რა აღარ მითხრა: თბილისში დიდი სახლი მაქვს, „კაროლნასავით“ გაცხოვრებო, შენს შვილსაც ვუპატრონებო და რა ვიცი, ათას რამეს შემპირდა. უყოყმანოდ გავყევი. თბილისის დიდი სახლის მაგივრად კი მეტეხში წამიყვანა, სადაც ნახევრად დანგრეული ქოხი დამხვდა. აბა, ტყუილი არ იყო? მაგრამ ველარ წამოვედი იქიდან, მისგან ბავშვს ველოდი. მამაჩემმა რომ გაიგო,



ქართველს გავყევი ცოლად, კინაღამ გაგიჟდა. ისე მოკვდა, არც იგი და არც ჩემი ძმები ჩემს სანახავად მეტეხში არ ჩამოსულან. ამასობაში ვოვა ძალიან მომენატრა და დედაჩემს შევუთვალე (ქმარი იქით არ მიშვებდა), შვილი შენ ჩამომიყვანე-მეთქი.

— **რამდენი წლის იყო ვალოდია, როცა მეტეხში ჩამოგიყვანეს?**

— მესამე წელიწადში იყო... სულ არ გასჭირვებია ქართულად ალაპარაკება. აქედან 10 წლისა რომ წავიყვანე ჩემს მშობლებთან, რუსული ორი სიტყვაც არ იცოდა.

— **ამბობენ, მამინაცვალი ცუდად ექცეოდა, ხშირად სცემდაო, მართალია?**

— არა, ცემით არა სცემდა, მაგრამ არც გულზე ეხატებოდა. აბა, გერი ვის უყვარს? საერთოდ, გიორგის ჩხუბი უყვარდა, არც ქალებში სიარულს იკლებდა, ამის გამო, ხშირად ვკინკლაობდით. ერთხელ გაბრაზებულ გულზე დავკარი ფეხი და ჩემს ბიჭთან ერთად მშობლებთან წავედი. მაშინ უკვე მყავდა სოფიკო და ლუბა. მშობლებმა მითხრეს, თუ არ გეცხოვრება მაგ ქართველ ქმართან, წამოდი და შენი შვილებიანად აქ იცხოვრე, თუ არა და ვოვა მაინც დაგვიტოვე, შენ კი ოჯახს მიხედეო. წამოვედი იმ იმედით, რომ უპატრონებდნენ ბიჭს.

— **მაინც როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენს მეუღლეს გერთან?**

— დღე ისე გავიდოდა, ხმას არ გასცემდა. ვატყობდი, ვოვასაც ჰქონდა მისი რიდი. როცა ვჩხუბობდით, ეტყობოდა, რომ განიცდიდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მე ისეთი ვარ, თუ უმიზეზოდ მაწყენინებს ადამიანი, გულიდან ამოვირეცხავ, აბა, შვილების მამას როგორ შევიძულებდი, მაგრამ შეიძლება თვე ისე გასულიყო, ხმა არ გამეცა მისთვის, სამაგიეროდ, თვითონ ვერ ძლებდა ჩემს გარეშე და შემირიგდებოდა. ყოველთვის ეშინოდა, რომ ოჯახი არ დამეტოვებინა. ხმა რომ დაყარეს, ვოვას სცემდაო, ტყუილია. გიორგიმ იცოდა, რომ ამას არ ვაპატიებდი.

— **რით ერთობოდა ვოვა ან რისი გაკეთება უყვარდა? მეგობრობდა აქაურ ბავშვებთან?**

— წყნარი, ჩუმი ბიჭი იყო. მისი გაკეთებული „ლაგატკა“ ახლაც შენახული მაქვს. მეზობლის ქათმებს ესროდა ხოლმე. ძალიან უყვარდა თევზაობა და ჭიდაობა. თუ ვინმე წააქცევდა, ისე გამწარდებოდა, არ მოეშვებოდა, სანამ არ დაამარცხებდა. ამხანაგებთან ჩხუბი არასოდეს მოსვლია.

— **რაზე გწყდებათ გული?**

— მხოლოდ ერთ რამეზე, რომ ვოვა მოვიცილე კალთიდან და მშობლებს ჩემი ნებით ჩავუყვანე.

(გაგრძელება იხ. გვ. 33)





COMPUS ვაჟა-ფშაველას 13
compus@mail.ru
☎ 939-103
250-255
ჩვენ ვიცით რა გჭირდებათ!
ჩვენი ტექცენტრი მოგიგვარებთ ნებისმიერ პრობლემას!
კომპეტენტური რჩევები ახალბედებს!
კომპიუტერები ყველაზე კონკურენტუნარიან ფასად
ძველი ტრადიციები ახალ მისამართზე

# ყოველ ქალბატონს სილამაზის საკუთარი საიდუმლო გააჩნია

ყველამ იცის რა არის კლიმაქსი. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ეს სიტყვა წარმოიშვა ბერძნულიდან „კლიმაქტეროს“, რაც „საფეხურს“ ნიშნავს. როდესაც ქალი მას აბიჯებს, ეს ცხოვრების ახალი პერიოდის დაწყებას მოწმობს, რომელიც ორგანიზმში ასაკობრივ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. კლიმაქსი, ჩვეულებრივ, 45-55 წლებში იწყება და შესაძლოა გაგრძელდეს 8-10 წელი. ამ პერიოდში წყდება მენსტრუაცია და თანდათანობით ქრება რეპროდუქციული ფუნქცია. კლიმაქსის გამოვლინებები განპირობებულია საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითებით, რომლებიც ქალის სასქესო ჰორმონებს გამოიმუშავებენ. ხოლო ვინაიდან ჰორმონები მოქმედებენ ყველა ორგანოსა და სისტემაზე, შესაბამისად, მათი უკმარისობაც სხვადასხვაგვარად ვლინდება. ყველაზე ხშირად, ქალების თითქმის 91%-ში მას თან ახლავს ე.წ. ალები, 81%-ში – მომატებული ოფლიანობა, 55%-ზე მეტში – არტერიული წნევის ცვალებადობა, აგრეთვე თავის ტკივილი, დეპრესია, გაღიზიანებადობა, ძილის დარღვევა და სხვა სიმპტომები.

## კლიმაქსის გამოვლინებების თავიდან აცილება შესაძლებელია!

ამისათვის გამოიყენება ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპია, ანუ ქალების სქესობრივი ჰორმონების შემცველი პრეპარატების მიღება, რომლებსაც შეგირჩევთ ექიმი კლიმაქსის ფაზისა და მისი გამოვლინებების შესაბამისად. თუმცა ჰორმონალური პრეპარატების მიღება დაკავშირებულია სერიოზულ გვერდით ეფექტებთან და მათი გამოყენება ქალების ფართო კონტინგენტში საკმაოდ შეზღუდულია.

მაგრამ არსებობს კლიმაქსის რაციონალური მართვის კიდევ სხვა არაჰორმონალური ხერხიც – ბუნებრივი, მცენარეულ-მინერალური პრეპარატის მიღება, რომლის ეფექტიც დამყარებულია ფიტოესტროგენების აქტივობაზე - „მენოპაუზ ფორმულა“. პრეპარატის მაღალეფექტურობა დამტკიცებულია არა მარტო ამერიკისა და ევროპის სამედიცინო ცენტრების კლინიკური გამოკვლევებით, არამედ ჩვენი თანამემამულე ქალბატონების გამოკითხვის შედეგებითაც, რომლებიც რეგულარულად ღებულობენ „მენოპაუზ ფორმულას“. მისი მიღებიდან უკვე 2 კვირის შემდეგ, მნიშვნელოვნად მცირდება ე.წ. ალებისა და გულისცემის სიხშირე, წესრიგდება ძილი, ქრება ხასიათის მკვეთრი ცვალებადობა. გარდა ამისა, პრეპარატის აქტიური კომპონენტები დადებითად მოქმედებენ კანზე, მისთვის სისხლის მიწოდების გაუმჯობესების ხარჯზე, იზრდება ტენიანობა და ელასტიკურობა, რითაც თავს დაიცავთ ნაოჭებისგან. არადა, შუა ხნის რომელი ქალბატონი არ ოცნებობს მათ მოცილებაზე?!




ამ პრეპარატს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება გააჩნია – გიცავთ ოსტეოპოროზის განვითარებისგან, რომელიც 45 წლის ზევით ყოველ მესამე ქალს უვითარდება. ამ დაავადებას ძვლოვანი ქსოვილების მინერალური სიმკვრივის შემცირებამდე მივყავართ: ძვლები მსხვრევადი ხდება, ადვილად ტყდება, რის გამოც ქალბატონები, სამწუხაროდ, დიდი ხნით ეჯაჭვებიან ლოგინს, ზოგჯერ კი ინვალიდებიც ხდებიან. „მენოპაუზ ფორმულის“ მიღება დაგიცავთ ოსტეოპოროზის განვითარებისა და მისი მძიმე შედეგებისგან.

„მენოპაუზ ფორმულა“ ქალს საშუალებას მისცემს კლიმაქსის პერიოდში შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, კარგად იგრძნოს თავი და შესანიშნავად გამოიყურეაღინიშნოს, რომ მენსტრუალური ფუნქციის დასრულებოდეს. უნდა თად თქვენი ცხოვრება არ მთავრდება. უფრო მეტიც, ბასთან ერ- მრავალი უპირატესობა გააჩნია, მაგალითად: ნუ შეგამ პერიოდს ეშინდებათ დაუგეგმავი ორსულობის ან მენსტრუაციის დროს ტკივილისა და სისხლის დაკარგვის.

კლიმაქსმა არ უნდა შეუშალოს ქალს ხელი, იყოს მიმზიდველი, წარმატებული, ყველასათვის საინტერესო. ხოლო ამის მისაღწევად – ყველას საკუთარი საიდუმლო გააჩნია!

დ. ცხვარაძე
ექიმი-ნუტრიციოლოგი

„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში:
ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80
☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

Schiff 60

# „საქსტანდარტის" თვალი ვერა და ვერ აეხილა...



## როგორ მზადდება იმპორტული ნედლეულით ფალსიფიცირებული ეროვნული პროდუქცია

თუ ახალი დანაყრებული ბრძანდებით ან სადილობის ჟამს გადაწყვიტეთ ამ სტატიის წაკითხვა, თავი შეიკავეთ და შემდგომისთვის გადადეთ, რადგან დღევანდელი თემა უხარისხო კვების პროდუქტებს ეხება. საქართველოში ამ სფეროში სრული განუკითხაობაა.

გასულ კვირას საქართველოს ჩვენი რუსი კოლეგების არცთუ ისე მცირერიცხოვანი „დესანტი" ეწვია. რუს ჟურნალისტებს ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულში დიდებული პურმარილი დახვედრეს. რა თქმა უნდა, სუფრას წალამზე შემწვარი ღორის მწვადებიც არ აკლდა და იმდენი ხაშლამა იყო, მასზე მარილს, როგორც იტყვიან, შვეულმფრენით აყრიდნენ. არც თავანკარა კახური ღვინო დანანებიათ მასპინძლებს. სტუმრები მოხიბლულები იყვნენ ქართველი მზარეულების ხელოვნებით და აღტაცებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო გაკეთებული და განსაკუთრებით ხარისხით გამოირჩეოდა. ერთმა რუსმა კოლეგამ გულდაწყვეტილმა შემომჩივლა: „რა გიჭირთ ქართველებს, ასეთი ხარისხიანი საკვები გაქვთ. მხოლოდ შინ კი არ იკვებებით ხარისხიანი პროდუქტებით, ქუჩაშიც მშვენიერ ღვეზელს და „ჰოთ-დოგს" შემოგთავაზებენ, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ რესტორნებზე. აი, რუსეთში კი ამ მხრივ საშინელი მდგომარეობაა. ბაზარი სავსეა უხარისხო, საეჭვო წარმოშობის პროდუქტებით. ამას წინათ ჩემს ტელეარხზე (რუსი კოლეგა THT-ს პროდიუსერია) გამოვიძიეთ, თუ რა ხდება მოსკოვის სწრაფი კვების ობიექტებში. არ დაიჯერებ და მოსკოვსა და მის შემოგარენში თითქმის გაწყდა ქუჩის მაწანწალა ძაღლები. გახშირდა ძვირფასი ჯიშის ძაღლების დაკარგვის ფაქტები. თურმე ამას თავისი მიზეზი ჰქონდა(!). აღმოაჩინეთ პირთა ჯგუფი, რომელიც ძაღლებს იტაცებდა, კლავდა და ძაღლის ხორცისგან „მშვენიერ" ღვეზელს ამზადებდა".

მადლობა ღმერთს, კვების პროდუქტების ქართველ ფალსიფიკატორებს რუსი კოლეგების გამოცდილება ჯერ არ გაუზიარებიათ, მაგრამ რუსი ჟურნალისტისგან განსხვავებით, ჩვენ ხომ ვიცით, სინამდვილეში როგორი პროდუქტებით ვიკვებებით. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გავსებულია ფალსიფიცირებული პროდუქტებით. უამრავი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, რომლებიც ფალსიფიცირებულ პროდუქციას უნდა ებრძოდნენ, მაგრამ მათი მუშაობის შედეგი არ ჩანს. ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის მანძილზე არაერთხელ ვამხილე ქართულ ბაზარზე არსებული განუკითხაობა. არაერთხელ გამიკრიტიკებია „საქსტანდარტის" წარმომადგენელთა მუშაობა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი — არაფერი იცვლებოდა. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება „საქსტანდარტსა" და მის სისტემაში მომხდარიყო, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ხელმძღვანელის საპატიო გაცილება ან რომელიმე საწარმოსთვის კვების პროდუქტების წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის აკრძალვა იყო, თორემ სისტემაში არაფერი იცვლებოდა. დღესაც, თუ „საქსტანდარტს" ეწვევით, უამრავ აქტს წარმოგიდგენენ, სადაც ამა თუ იმ უხარისხო კვების პროდუქტის ამოღების ფაქტია დაფიქსირებული. ერთი სიტყვით, ყველანაირად შეეცდებიან დაგარწმუნონ, რომ „საქსტანდარტი" და მისი სისტემა ხელებდაკაპიწებული ებრძვის უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქციას. მიუხედავად ასეთი უშეღავათო ბრძოლისა, შედეგი არ ჩანს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ იმავე „საქსტანდარტის" ზოგიერთი თანამშრომელი ნებისმიერ მეწარმეს ურჩევს და ასწავლის, თუ როგორ უნდა დაამზადოს ხორცის გარეშე ძეხვი და სოსისი. იგივე თანამშრომელი გარკვეული პერიოდის შემდეგ ობიექტზე გეწვევა და „შეამოწმებს", როგორ აითვისე მისი გაკვეთილი და ქრთამის მიღების შემდეგ შინ კმაყოფილი დაბრუნდება. „დეზერტირების ბაზრის" მიდამოებში ყოველთვის შეიძლება იაფი ხორცის ყიდვა. 2-

**„დეზერტირების ბაზრის" მიდამოებში ყოველთვის შეიძლება იაფი ხორცის ყიდვა. 2-ლარიანი ხორცის კლიენტები ქართველი მეძეხვეები არიან. ისინი არანაკლებ საშიშროებას უქმნიან საზოგადოებას, ვიდრე უხორცო ძეხვისა და სოსისის ფალსიფიკატორები.**

ლარიანი ხორცის კლიენტები ქართველი მეძეხვეები არიან. ისინი არანაკლებ საშიშროებას უქმნიან საზოგადოებას, ვიდრე უხორცო ძეხვისა და სოსისის ფალსიფიკატორები. თუ ისინი ხორცის გარეშე ამზადებენ ძეხვს, ზოგიერთი მეწარმე დაავადებული ან მკვდარი საქონლის ხორცს იყენებს. ასეთი განუკითხაობა მხოლოდ ძეხვისა და სოსისის წარმოებაში რომ იყოს, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ყველა სხვა პროდუქტიც ანალოგიური ხერხის (მეტ-ნაკლებად) გამოყენებით მზადდება. ორიოდე წლის წინ ჩემმა კოლეგებმა გლდანის მასივში მდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოს ერთ-ერთ კორპუსში „ასტრახანული" ხიზილალის დამამზადებელი იატაკქვეშა საამქრო აღმოაჩინეს. მისმა მეპატრონეებმა არც კი იცოდნენ, რომელ ქვეყანაში მდებარეობდა ქალაქი ასტრახანი. აქედან გამომდინარე, არც ხიზილალა ჩამოჰქონდათ რუსეთიდან. თუმცა ეს სრულებით არ უშლიდათ ხელს ანტისანიტარიულ პირობებში სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით ფალსიფიცირებული ხიზილალა დაემზადებინათ და ბაზარზე გაეყიდათ. ის საამქრო, როგორც იქნა, გააუქმეს, მაგრამ დღესაც შეხვდებით ფალსიფიცირებულ ხიზილალას ბაზარზე. ცალკე საუბრის თემაა შებოლილი ნაწარმი, განსაკუთრებით კი შებოლილი თევზი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, შესაბოლი საამქროები ნედლი თევზის შებოლვას აწარმოებენ. ის თევზი რამდენიმე დღის განმავლობაში ბაზარში მზის გულზე, დახლზე იდო და მერე თავი შესაბოლ საამქროში ამოყო, სადაც „გალამაზდა", ფერი იცვალა და ჩვენს სუფრაზე მოხვდა.

არ შეიძლება არაფერი ვთქვათ ისეთი მალფუჭებადი პროდუქციის ხარისხზე, როგორიც რძის პროდუქტებია. სუპერმარკეტი იქნება ეს თუ სხვა ადგილი, ხშირად მოგიწევთ უხარისხო, უკვე ამძაღებული იოგურტის შეძენა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სავაჭრო ობიექტების უმრავლესობაში კამერა და დახლ-მაცივრები გაუმართავად მუშაობენ.

ვინ-ვინ და მე მაინც არ უნდა მოვტყუებულიყავი, მაგრამ ხშირად ჩემი გამოცდილებაც ვერ უმკლავდება ფალსიფიკატორის ფანტაზიას. ამას წინათ გლდანის ბაზარში მეგრული სულგუნი ვიყიდე. თავმომწონედ მივიტანე შინ, მეუღლეს ელარჯის მომზადება ვთხოვე და წინასწარ ნერწყვს ვყლაპავდი ელარჯის მოლოდინში. მალე მეუღლემ სამზარეულოში მიხმო და სულგუნი მაჩვენა — 2-კილოგრამიანი ყველის შუაგულში ღომის მოზრდილი გუნდა იყო მოთავსებული. რაღა მოზრდილი, თითქმის სულგუნის ორი მესამედი გამოვიდოდა. რაღას ვიზამდი... წინადღეს ნაყიდი ნიგოზი ორთქლში გატარებული აღმოჩნდა. ორთქლში ნიგვზის გატარებით თურმე წონას ზრდიან და ამავე დროს გარჩეული ნიგოზი კარგ სასაქონლო სახეს იღებს...

ორთქლზე და წყალზე გამახსენდა. თბილისის ბაზარში ხშირად ნახავთ შეღებილ ქათამს და ინდაურს, აქაოდა, რა მსუქნები არიანო. გოჭს რაც შეეხება, სანახევროდ მოხარშული და წყლის ინიექციით გაბერილი შეგრჩება ხელთ. ქართველი მეწარმეების ერთი ნაწილი ხშირად ტრაბახობს, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქცია ადგილობრივი ნატურალური ნახევარფაბრიკატებისგან შედგება. სხვათა შორის, ამის შესახებ რეკლამებით ტელეარხებიც იუწყებიან. რა ხდება სინამდვილეში? ჩვენ ტომატპასტის ერთი ადგილობრივი მეწარმე დაგვიკავშირდა. გაკოტრების პირას მისული იძულებული შეიქნა, ქართული ტომატპასტის მწარმოებელი ფირმების საქმიანობისთვის აეხადა ფარდა. მისი თქმით, საქართველოში თურმე თითქმის აღარავინ ამზადებს ტომატის პასტას ადგილობრივი ნედლეულით. გამზადებული ტომატის პასტა ირანიდან შემოდის კასრებით. აქ მათ ქილებში აფასოებენ და ქართულ ეტიკეტს აკრავენ. ეტიკეტს თუ დავუჯერებთ, ტომატპასტა ქართული ნატურალური პროდუქტია. „ნატურალური" ტომატპასტა კი ხშირად სხვა არაფერია, თუ არა შეღებილი ვაშლის პიურე. ვაშლის პიურე გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ტომატის პასტა და მისი შეღებვაც საკვების საღებავებით დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს. თუ არ გჯერათ, გადაამოწმეთ ის ობიექტები, რომლებიც ქართულ წარმოების ტომატპასტას უშვებენ. მერწმუნეთ, მათ ბუღალტერიაში ვერ ნახავთ ისეთ ანგარიშფაქტურას, რომელიც ადასტურებდეს, რომ მწარმოებელმა პომიდორი ფერმერისგან შეისყიდა. სამაგიეროდ, ნახავთ საბუთს, რომელიც ადასტურებს, თუ რა რაოდენობის ტომატის პასტა მიიღო ირანიდან მწარმოებელმა. საშუალება თუ მოგეცათ, იმ საბუთსაც აღმოაჩენთ, რომელიც პასტის მწარმოებლისთვის ვაშლის პიურეს ირანიდან გამოგზავნასაც ადასტურებს...

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ კითხვით მივმართეთ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს. დეპარტამენტიდან მოსულმა პასუხმა ძალიან აღგვაშფოთა, თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენმა რესპონდენტმა გვიამბო, დადასტურდა.

იგივე შეიძლება ითქვას სამრეწველო პროდუქციის ფალსიფიცირებაზე. ხშირად პრესტიჟული სამოსის მაღაზიებში ისეთი სამოსი იყიდება მამასისხლად, რომელიც ლილოს ბაზრობაზე რამდენიმე ლარად არის შესყიდული. იგივე მდგომარეობაა თუნდაც პარფიუმერიულ ნაწარმთან დაკავშირებით. აზერბაიჯანში მოთუხთუხებულმა „ჰედ ენდ შოლდერსმა" და „პანტინ პროვიმ" ქერტლის მოშორებას ვინ ჩივის, თავზე თმა და მგონი კანიც აღარ შეგვარჩინა.

ყველაფერი ეს ცნობილია „საქსტანდარტის" და სერტიფიკაციის ორგანოებისთვის. ასევე ინფორმირებულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია", მაგრამ ფაქტია, არაფერი კეთდება ვითარების გამოსასწორებლად, მხოლოდ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები იცვლებიან(!).

*ზვიად ჩაკვეტაძე*




## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვარ მძიმე სენით დაავადებული. რა უნდა გავაკეთო ტაძარში ზეთისცხებისთვის?**

— ამისათვის ეკლესიაში უნდა იაროთ და მოძღვარი გყავდეთ. თუ ჯანმრთელობის გამო მარხვას ვერ შეინახავთ, ქრისტიანულ წესებს სულიერად უნდა ასრულებდეთ (მოძღვართან შეთანხმებით). თუ დაავადება ხელს გიშლით ტაძარში მიბრძანდეთ, უთხარით ახლობლებს, რომ მოძღვარს თქვენთან შინ მობრძანება სთხოვონ. გასაუბრების შემდეგ, თქვენი ჯანმრთელობის გათვალისწინებით, ის მოგცემთ რჩევასა და კურთხევას საეკლესიო საიდუმლოში მონაწილეობისათვის.

**— უკავშირდება თუ არა ნათლობისა და ჯვრისწერის სანთლების დიდხანს შენახვა საეკლესიო წესს. რა ვუყოთ მათ?**

— ასეთი სანთლების შენახვა საეკლესიო წესს არ უკავშირდება. ეს მხოლოდ ლამაზი ტრადიციაა. ჩვენში ამ სანთლებს ნათლობისა და ჯვრისწერის დღესასწაულის მოსაგონებლად ინახავენ და ცდილობენ, ასეთივე ლამაზ დღეებში აანთონ. მაგალითად, როცა ბავშვი დაიბადება, ან „ვერცხლისა" და „ოქროს" ქორწილს აღნიშნავენ... თქვენც შეგიძლიათ ასე მოიქცეთ, ან სულაც მაშინ აანთოთ, როცა ამის სურვილი გაგიჩნდებათ. ოღონდ აუცილებლად წარმოთქვით ლოცვა. უფლისთვის ანთებულ სანთლებს ლოცვის მადლი უნდა ახლდეს.

**— გამიგია, რომ ეკლესიური თვალსაზრისით ყოველმა დედაკაცმა ან ცოლქმრობის უღელი უნდა ზიდოს, ან მონაზონი გახდეს. ჯერჯერობით არც გათხოვილი ვარ და არც მონაზვნობა შემიძლია. მაწუხებს შეგრძნება, რომ რაღაცას ვაშავებ. როგორ მოვიქცე?**

— თქვენი შეხედულება რჯულის კანონიდან მომდინარეობს. როდესაც რჯულის კანონი დაიწერა, ყველა ქრისტიანი ერი ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრობდა. იშვიათად იყო ადამიანი, რომელიც ქრისტიანულ წესებს არ აღასრულებდა, წირვა-ლოცვას არ ესწრებოდა. ამიტომაც სულიერად ისეთ სიმაღლეზე იდგნენ, რომ მონასტერში თავისი სურვილით მიდიოდნენ. დღეს, როცა უფალთან გავუცხოვდით, როცა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით, ეკლესიას დავშორდით, ეკლესია ამ საკითხს სხვაგვარად უდგება. მონასტერში წასვლა ქრისტიანობაში განუმტკიცებელი ადამიანისთვის შესაძლოა დიდი ტვირთი აღმოჩნდეს, ასევეა ოჯახური მოვალეობის შესრულებაც. ამიტომაც ეკლესია ადამიანებს ურჩევს, ჯერ რწმენაში განმტკიცდნენ, სიკეთის ქმნის სურვილით იცხოვრონ. თუ ადამიანმა ოჯახი არ შექმნა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მონასტერში უნდა წავიდეს. მონაზვნობა განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეს მოითხოვს. ის, ვინც მონაზვნობას გადაწყვეტს, ამისათვის მრავალწლიან გამოცდას გადის.

**— მქვია თინათინი. გთხოვთ განმიმარტოთ, არსებობს თუ არა ჩემი სახელის წმინდანი და როდის იხსენიება იგი?**

— თქვენი სახელი მოიხსენიება 24 (ძვ. სტილით 11) დეკემბერს, როცა მოიხსენიებიან საქართველოში ქრისტიანობისთვის წამებული ღირსნი მამანი და დედანი. ასეთი სახელის წმინდანის მოღვაწეობა ჩვენთვის ისტორიული წყაროებით ცნობილი არ არის, მაგრამ საქართველოში უსჯულოთაგან წამებული და მონასტრებში ლოცვითა და მარხვით მოღვაწენი იმდენნი იყვნენ, შეუძლებელია ისტორიას მათი სახელები სრულად შემოენახა. ამიტომაც საქართველოს ეკლესიამ ამ ღვთის მადლით შემოსილი უცნობი ადამიანებისთვის ცალკე მოხსენიების დღე დააწესა. თქვენ შეგიძლიათ 24 დეკემბერს (და ნებისმიერ დღესაც) წმინდა თინათინის სახელზე სანთელი დაანთოთ და მას მფარველობა შესთხოვოთ.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# ᲓᲐᲛᲤᲠᲗᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲮᲘᲚᲕᲐ ᲝᲠᲛᲐᲒᲐᲓ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘᲐ

## ქურდების თანადგომაში შემჩნეული კადრები საჩხერის პოლიციაში



**ამას წინათ ახალგაზრდების ორი ჯგუფის შელაპარაკება ისეთ დაუნდობელ ჩხუბში გადაიზარდა, ისე გამეტებით, ისე სასტიკად სცემდნენ ერთმანეთს, რომ აგერ-აგერ უბედურება იყო მოსალოდნელი. იყო რკინის ნაჭრებისა და ხელკეტების ტრიალი. ჯერ პოლიციაში დავრეკეთ, შემდეგ კაცი გავუგზავნეთ, მერე პირადად მე ვეახელი პასუხისმგებელ მორიგეს. პასუხი მარტივი იყო — რაიონში გუბერნატორი მუმლაძეა ჩამოსული და ყველა მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის მობილიზებულიო**

ოთხმოციანი წლების დამლევს საჩხერის მილიცია რესპუბლიკაში ლიდერობდა და არა იმიტომ, რომ მისი უფროსი ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ, ტრადიცია იყო ასეთი: რაიონის მშრომელი და მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა პლუს მილიციის გამოცდილი, პროფესიონალი კადრები მის ყველა რგოლში, დაწყებული ქვემორიგიდან უფროსით დამთავრებული. შედეგი კი ის გახლდათ, რომ ახალი, ეროვნული ხელისუფლების მოსვლამდე განყოფილებას არც ერთი გაუხსნელი საქმე არ ჰქონია. ამით ვამაყობდით კიდეც. მერე ახალ ხელისუფლებას სამშობლოსათვის მართლაც გულანთებულ ადამიანებთან ერთად ბევრი ყვარყვარე, ჭუჭყი და ლექი მოჰყვა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი სწორედ საჩხერის სინამდვილეში იყო. ეს ტრადიცია დაინგრა და მილიციის განყოფილება ჩამოწერილი მხედრიონელებისა და საეჭვო წარსულის მქონე პირების თავშესაფრად იქცა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაცხადა — კანონი ჩვენ ვართო და ყველაფერი აირია. მოვლენები კი ასე ვითარდებოდა:

— 1990 წლის სექტემბერში ჭიათურის მილიციამ დახმარება გვთხოვა — ჩვენი ექიმის ბინაში შეიარაღებული ქურდები მოვიმწყვდიეთ, მაგრამ იქიდან ველარ გამოგვყავს და მოგვეშველეთო. ჩვენთან ერთად რაიონის ხელმძღვანელობაც წამოვიდა მეზობლების „დასახმარებლად". იქ კი გაირკვა, რომ ბინაში სხვებთან ერთად ეროვნული მოძრაობის ჭიათურელი ლიდერიც შემძვრალა და „ტეტეს" მარკის პისტოლეტით იმუქრებოდა, — არ მომეკაროთ, თორემ ყველას დაგხოცავთო. არადა, იმ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ ამ კაცს ხვალ თუ არა ზეგ ჭიათურის პრეფექტად დანიშნავდნენ. საჩხერელმა მაღალჩინოსნებმა მილიციელებს არ დაგვანებეს და ბინაში თვითონ შევიდნენ... თავიანთ კოლეგასთან. გამოიყვანეს და ხალხისა და მილიციის თვალწინ გააპარეს. ქურდობის მცდელობის საქმე კი ვილაც უპატრონოს შეაწერეს;

— იმავე წელს შეიკედლეს ფოთელი კაცისმკვლელი, რომელიც მოგვიანებით „დიდსულოვნად" გადასცეს ჩვენს ფოთელ კოლეგებს;

— მილიციიდან გაგვაშვებინეს ქურდობაზე ეჭვმიტანილი „ბათმანა" (დაიხსომეთ ეს მეტსახელი, მასზე ქვემოთაც ვისაუბრებთ), რომლის ნაქურდალი ქურთუკი უკვე ხელთ გვქონდა;

— 1990 წლის იანვარ-თებერვალში შეიკედლეს თბილისის საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცეული ძმები მემარნიშვილები, რომლებიც იქ თხუთმეტწლიან სასჯელს იხდიდნენ ერთი მოხუცის მკვლელობისათვის, რომელსაც სამოცდახუთი მანეთი წაართვეს;

— სასამართლოს პირობითი სასჯელი გამოატანინეს კაცზე, რომელიც ნარკოტიკების დამზადებასა და ამ საქმეში არასრულწლოვანის ჩათრევის პროცესში დავაკავეთ;

— 1991 წლის 11 მარტს რაიონის პრეფექტურამ „სასამართლო პროცესი" გამართა და ვითომ სოფლის თხოვნით, სასჯელისაგან გაათავისუფლეს არგვეთის მაღაზიისა და სკოლის ორგზის გამქურდავები, რომელთაც ერთი ავტომობილი ნაქურდალი ამოუღო მილიციამ;

— იმავე წლის 24 მარტს იბარებენ გამომძიებელ ცერცვაძეს და უკრძალავენ საქმის აღძვრას ავტომანქანის გამტაცებლებზე, რომლებიც დღე-დღეზე უნდა დაგვეჭირა;

— 3 აპრილს სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს ოთხჯერ ნასამართლევი, საკავშირო ძებნილი, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ციმბირში დავაკავეთ და საჩხერეში ჩამოვიყვანეთ.

ზემოჩამოთვლილი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ განუკითხაობისა, რაც იმ დროს რაიონში ხდებოდა. დაინტერესებულებს შეუძლიათ მაშინდელი სასამართლოსა და პროკურატურის არქივებში ათობით და ასობით ასეთი ფაქტი აღმოაჩინონ. რაიონის ხელმძღვანელობასთან ამის გამო მუდმივად კონფლიქტი გვქონდა. აზრი არ ჰქონდა მუშაობის გაგრძელებას და შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს, დილარ ხაბულიანს (რომელიც ყოველმხრივ უწყობდა ხელს ამ ბაქანალიის დამკვიდრებას) ვთხოვე, შემცვლელი გამოაგზავნეთ, მე აქ გამჩერებელი აღარ ვარ-მეთქი. ასეთივე მოთხოვნა ჰქონდა რაიონის პრეფექტსაც. ბოლოს და ბოლოს, ამ ერთხელ მაინც დაემთხვა ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს.

ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ მილიცია დაფრთხა, შეშინდა და ხელი აიღო თავისი უპირველესი მოვალეობის შესრულებაზე. აღარც დანაშაული იხსნებოდა, აღარც ეჭვმიტანილებს აკავებდნენ. სულერთია, მაინც გაგვიშვებენო და დამნაშავეთა იმ კატეგორიამ, რომელიც მილიციის შიშით ოდესღაც სარდაფებში იმალებოდა, ახლა თავი რაიონის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა. ასეც იყო. თვითონ განსაჯეთ: როცა პოლიციის უფროსი საკანში მსხდომ „შავებს" გამოუშვებს, სამორიგეო პულტთან დასვამს და მორიგეებს საკანში შეყრის — ასე უფრო სამართლიანიაო, რომელ წესრიგზე, რა დანაშაულის გახსნაზე შეიძლება ლაპარაკი? როცა მილიციის უფროსი თავის თანამშრომელ ოფიცერს ტყვიას იმისათვის დაახლის, ქურდებს რატომ აწუხებო, ზნეობა და სხვა ამგვარი კატეგორიები ვისლა ახსოვს?

ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც მოქმედებდა სირაქლემის სინდრომი.

ორი წლის წინ ჩემსა და საჩხერის პოლიციის უფროსის მოადგილეს, ჯამბულ შუბითიძეს შორის ასეთი სატელეფონო საუბარი გაიმართა:

მე: — ჯამბულ, ახლა საღამოს რვა საათია. ნახევარ საათში ჩემი კუთვნილი ბარის (იგი საჩხერეში, მილიციის ეზოს გვერდით მდებარეობს) უკანა, მარცხენა მაგიდიდან ადგება არასრულწლოვანი ქუთათელაძე და მანქანების სადგომიდან ერთ-ერთ მანქანას გაიტაცებს, შეგიძლია ფაქტზე დააკავო?

ჯამბული: — უიმე, აკაკიევიჩ, რა შეურაცხყოფას მაყენებ? ღმერთო კი მომკალი, ახლავე წავალ ჩემი ბიჭებით და მაგას ვერ მოვუვლი?

ოცი წუთის შემდეგ, — მე თბილისიდან: — ჯამბულ, სადა ხარ. შენი „კლიენტი" სადაცაა მაგიდიდან წამოდგება.

ჯამბული, საჩხერიდან მოგუდული ხმით: — აქ ვარ, აკაკიევიჩ, ჩემი ხალხით და სიტუაციას ვაკონტროლებ. ვერსად წავა.

ოცდახუთი წუთის შემდეგ მე თბილისიდან: — ჯამბულ, ეგ უკვე ადგა და მანქანების სადგომისაკენ მიდის. მიჰყევით, თორემ მანქანას გაიტაცებს.

ჯამბული, საჩხერიდან: — ყველაფერს ვხედავ, აკაკიევიჩ, ამის გამშვები ვარ ახლა მე?

— ჯამბულ, ცოტა ცოცხლად, თორემ უკვე გააღო ჭიათურის უშიშროების თანამშრომლის მანქანის კარი.

— რა იყო, აკაკიევიჩ, მაგდენს აღარ მენდობი? ახლავე გავქაჩავ ამ ლაწირაკს ამას. აი, ამ წუთში... უიმე, აკაკიევიჩ, წეიყვანა მანქანაი, წეიყვანა. დედა, ეს რავა მამივიდა ახლა მე, ა? დავწყვიტავ ჩემებს, სულ მაგათი ბრალი არის ყველაფერი.

რამდენიმე დღის შემდეგ საჩხერეში ვხვდები ჯამბულს. აზრი არა აქვს, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვუთხრა და ვეკითხები: — მაინც რა იყო, რამ დაგბორკათ იმ დღეს?

— მეც ეგ არ მიკვირს, აკაკიევიჩ? რა ვიცი, აბა, ასე ქე მოხდა და...

მას შემდეგ ქართულ პოლიციაში ბევრი ცვლილება მოხდა. სამსახური დატოვა მისი შემადგენლობის ორმა მესამედმა, ჯამბული კი ისევ აგრძელებს „მუშაობას". ახლა ის პოლიციის აპარატის ხელმძღვანელია. როგორც ამიხსნეს, თურმე მას, ძირითადად, კანონიერების დაცვა(!) (საოცარია, აბა, სხვები რაღას აკეთებენ?), კონტროლი მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე და ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება ევალება. ასევე, კურირებს კანცელარიასა და სამორიგეო ნაწილს. მე კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს უსაქმური კაცი დღემდე სახელმწიფოს სძალავს ხელფასს, რომელიც აგერ-აგერ უნდა გაუზარდონ კიდეც... თუმცა ჩვენ შიშის, დამნაშავეთა სამყაროს წინაშე შიშის სინდრომზე ვსაუბრობდით.

(გაგრძელება იხ. გვ. 33)


ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

CAC (ᲡᲘ ᲔᲘ ᲡᲘ)

აცხადებს მიღებას

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ

**ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ /MBA/** საერთაშორისო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადება ბიზნესის წარმატებით მართვისათვის აუცილებელი ცოდნით, ჩამოუყალიბოს მათ ლიდერობისა და ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილების მიღებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

**ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ** სასწავლო პროგრამას კავკასიის აკადემიური ცენტრი CAC (სი ეი სი) ახორციელებს გერმანიისა და აშშ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

**ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ** პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი. კურსდამთავრებულებს შესაბამისად მიენიჭებათ მაგისტრის ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში სტუდენტი გაივლის სრულ კურსს თანამედროვე ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში.

**MBA** პროგრამა მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას:

- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ



ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ. 25-17-30; 29-40-80
ვებ. გვერდი www.cac.edu.ge; ელ.ფოსტა cac@gol.ge

UNIVERSITY CAC Caucasus Academic Centre



ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ — ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘᲐ!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲐ
სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ (THERAFLEX) ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ




1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს – 500მგ
ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს – 400მგ
ბენზოკაინს – 10,3%

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინაალმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინაალმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გულდასმით გაეცანით ანოტაციას.

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ – ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ!

„საგმელ"-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.




SM სე

# საქართველომ და რუსეთმა ევროპაში დაშნები გადააჯვარედინეს

*საქართველო-რუსეთის ჭიდილი ევროპელების განსასჯელი გახდა: ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე დეპუტატები საათზე მეტხანს ისმენდნენ მოსკოვისა და თბილისის ურთიერთბრალდებებს. საქართველოს დელეგაცია თვლის, რომ ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ რუსებმა მაინც მოახერხეს ევროპულ ნიადაგში საქართველოს მიმართ უნდობლობის დათესვა — თბილისმა პოლიტიკური სპექტაკლი დადგა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შესამზადებლად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის მიზნით.*



გენერალურ ასამბლეაზე გამწვავებული ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხის განხილვის ინიციატორი თბილისი იყო. მოსკოვი ამას შეეწინააღმდეგა, მაგრამ ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს მოთხოვნას. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა განაცხადა, — ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა პოლიტიკური ანგარიშსწორების ადგილი არ არის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი რთული, სათუთი და დელიკატურია. მისი აქ განხილვა უპერსპექტივოა და ამ საკითხზე დებატები შიდაქართული კონფლიქტების მოწესრიგებას ხელს შეუშლისო. მისივე აზრით, საქართველომ პოლიტიკური სპექტაკლი მოაწყო იმ იმედით, რომ ევროპის საბჭო სუსტს დაიცავდა.

საქართველოს დელეგაციის არგუმენტები ასეთი იყო: ევროპამ უნდა იცოდეს სიმართლე, რა ხდება საქართველოში და მის გარშემო; უნდა იცოდეს, თუ რა ნეგატიურ როლს თამაშობს ქართულ კონფლიქტურ ზონებში რუსეთი; ევროპამ არ უნდა მიატოვოს საქართველო რუსეთის პირისპირ; უნდა აიძულოს მოსკოვი, რომ მან თბილისთან ცივილიზებული ურთიერთობა დაამყაროს. საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ რუსეთი გმობს სეპარატიზმს ჩრდილოეთ კავკასიაში და ამავე დროს ხელს უწყობს მის გაღრმავებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: მოსკოვი არ აძლევს საქართველოს საკუთარი ტერიტორიისა და მისი საზღვრების დაცვის საშუალებას და ასამბლეას მიმართა თხოვნით, რუსეთს დემოკრატიისკენ მოუწოდოს.

რუსეთის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ აშკარად ვიღაც აქეზებს და გააფრთხილეს ევროპა — ქართველები იმდენს იზამენ, რომ რუსეთის სამშვიდობოებს თავზე ხელს აალებინებენ და შეიძლება ისროლონ კიდეცო.

რუსეთის დელეგაციის წევრმა იური შარანდინმა სინანული გამოთქვა საქართველოს პოზიციის მიმართ — რუსეთი ყოველთვის მზად იყო საქართველოსთან დიალოგისთვის... საქართველომ თვითონ უნდა გაარკვიოს ურთიერთობა თავის ავტონომიებთან, რა შუაშია რუსეთიო? ამ ფრაზამ თითქოს ბიძგი მისცა ასამბლეას რუსეთისთვის შესატევად და უახლესი ისტორიის ფაქტებიც შეახსენა — საქართველო-აფხაზეთის ომში აფხაზეთის მხარდაჭერა და აფხაზეთის ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვის დირიჟორობა. საქართველოში მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა მატიას იორშმა განაცხადა: — „კონფლიქტის დროს აფხაზეთის თავზე რუსეთის თვითმფრინავები დაფრინავდნენ; მოსკოვი აშკარად უჭერდა მხარს ასლან აბაშიძეს. ნეტა რა პირით კიცხავს მოსკოვი სეპარატიზმს ჩრდილო კავკასიაში, როცა სამხრეთში მხარს უჭერს. ჩვენ რუსეთს ერთადერთს ვთხოვთ — კავკასიაში კონფლიქტების გადაწყვეტაში თანადგომას".

ყველამ დააფიქსირა, რომ ევროპამ უნდა იაქტიუროს კავკასიის, კერძოდ კი, ქართული პრობლემების მოგვარებაში.

ევროპის საბჭოს ასამბლეაზე დაფიქსირდა, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მონიტორინგის ჩატარებას, რაც სერიოზულ ეჭვს იწვევს: განზრახ ხომ არ ასუსტებს საზღვარს მოსკოვი, რათა მოწმეების გარეშე გადაისროლოს საქართველოში არასასურველი პირები იმავე ჩეჩნეთიდან. ხოლო რა მოჰყვება ამას, ყველასთვის ნათელია. გარდა ამისა, რუსეთი არ თანხმდება საქართველოსთან ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნას, ამის საწინააღმდეგო არგუმენტები კი არ მოჰყავს.

საქართველოს მიანიშნეს, რომ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში შეფერხებები აქვს, მან იჩქარა კონსტიტუციური ცვლილებების გატარება, არ გადაუწყვეტია ქვეყნის ფედერაციული მოწყობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს არაერთხელ მოუთხოვია ქვეყნის დეცენტრალიზებული მართვის პრინციპის გატარება. გარდა ამისა, საქართველომ არ შეასრულა ევროპის საბჭოში შესვლის წინ ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, თურქი მესხების ქვეყანაში დაბრუნება.

ქართულმა დელეგაციამ მოინდომა ყველა ცოდვა წინა ხელმძღვანელობისთვის გადაებრალებინა, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა. მოკლედ, საქართველომ და რუსეთმა კიდევ ერთხელ აჩვენეს ევროპას, რომ საერთო ენის გამონახვა არ შეუძლიათ. ეტყობა, ევროსაბჭოს ასამბლეაზე გამართული კინკლაობა კარგს არაფერს მოუტანს მათ შემდგომ ურთიერთობას. საქართველო, ნინო ბურჯანაძის თქმით, ყოველთვის გამოიყენებს ნებისმიერ საერთაშორისო ტრიბუნას თავისი ინტერესების დასაცავად.

*გაზეტა. რუ*

# შეერთებული შტატების კონგრესის განცხადება

## ევროპის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის – ქ-ნი დევისის მიმართვა

*5 ოქტომბერი, 2004*

2003 წლის ნოემბერში გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა ხანგრძლივი, მშვიდობიანი და უსისხლო საპროტესტო გამოსვლები, რის შედეგადაც მოხდა ვარდების რევოლუცია და დაემხო საქართველოს მთავრობა.

პარლამენტის სპიკერმა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა გარდამავალ პერიოდში, ყველა ღონე იხმარა, რათა სიმშვიდე და წესრიგი აღედგინა. მოემზადებინა საქართველო ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად მიხეილ სააკაშვილი ხმათა უდიდესი უმრავლესობით არჩეული იქნა საქართველოს პრეზიდენტად, 24 იანვრიდან ის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

საქართველო პატარა, მაგრამ სტრატეგიული ქვეყანაა კავკასიაში რუსეთს, ირანს, თურქეთს და ცენტრალურ აზიას შორის. ამ რეგიონში საქართველო იქცა ტერორიზმთან ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ „ალ ქაიდას" და სხვა მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც, გავრცელებული აზრით, მოქმედებდნენ ისეთ ტერიტორიებზე, როგორიც არის პანკისის ხეობა. დღესდღეობით, საქართველოში მოქმედებს აშშ-ის მცირე სამხედრო მისია, რომლის მიზანიცაა მესაზღვრეების და სხვა სამხედრო ძალების წვრთნა სახელმწიფო საზღვრების უკეთ დასაცავად და ტერორისტებისა და კრიმინალურ ელემენტთა შემოღწევის თავიდან ასაცილებლად. საქართველო აგრეთვე დასავლეთის ინტერესს იწვევს გაზსადენით და ნავთობსადენით, რომლებიც გაჰყავთ ბაქოდან ჯეიჰანის მიმართულებით.

საქართველოს მდებარეობამ კავკასიაში და მისმა ყოფილმა საბჭოთა სტატუსმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო შიდაპრობლემების ესკალაციას, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მოძრაობების აგორებას. აშშ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას აღადგინოს კონტროლი და პოლიტიკური სტაბილურობა მთელ ქვეყანაში.

პრეზიდენტი სააკაშვილი ახალგაზრდა, ენერგიული ლიდერია, რომელსაც საფუძვლიანი განათლება აქვს მიღებული ამერიკაში. ის განუწყვეტლივ აღნიშნავს აშშ-თან მჭიდრო ურთიერთობის მნიშვნელობას. ამა წლის დასაწყისში, აშშ-ის კონგრესში გამოსვლისას, მან განსაკუთრებული ადგილი დაუთმო მშვიდობის, სტაბილურობის, დემოკრატიის, პოლიტიკური რეფორმის, ეკონომიკური გაძლიერებისა და დასავლეთთან უფრო მჭიდროდ დაახლოების საკითხებს.

წარმომადგენლობითი დემოკრატია, პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური აღმავლობა და მშვიდობა უმთავრესი საკითხებია საქართველოსთვის, ისევე როგორც კავკასიისა და დასავლეთისთვის.

ჩემი შესწორება შეცვლის თავდაპირველ რეზოლუციას. ეს ერთგვარი ქათინაურია ქართველი ხალხის მიმართ მათი ღვაწლისთვის დემოკრატიის, მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკის განვითარებაში.

რეზოლუცია აგრეთვე მაღალ შეფასებას აძლევს პრეზიდენტ სააკაშვილის დამსახურებას ქვეყანაში მშვიდობისა და დემოკრატიის, კანონიერების, ღია საბაზრო ეკონომიკის, რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებისთვის და დასავლეთის ინსტიტუციებში მჭიდრო ინტეგრაციისთვის.

დაბოლოს, ამ რეზოლუციით მხარს ვუჭერთ საქართველოს, მის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, დემოკრატიულ მმართველობას და ვპირდებით საქართველოს მთავრობას და ხალხს მხარდაჭერას და დახმარებას.

*ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურზე დაყრდნობით*

# ჩრდილოვანი ეკონომიკის პოლიტიკა

*სწორედ ასე განისაზღვრება კრემლის დამოკიდებულება საქართველოსადმი; ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის ქაოსის შენარჩუნებაა აუცილებელი.*

როგორც ცნობილია, ბესლანის ტრაგედიის შემდგომ დღეებში პუტინმა და ივანოვმა (რფ-ის თავდაცვის მინისტრმა) უფრო ორიგინალური ვერაფერი მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ როგორმე დამსგავსებოდნენ ბუშსა და მასთან დაახლოებულ პირებს და დაიქადნეს, პრევენციულ დარტყმებს განვახორციელებთ ტერორისტებსა და მათ ბაზებზე, სადაც არ უნდა იყვნენ ისინიო. ცხადია, იგულისხმებოდა საქართველო (რომელიც შევარდნაძის შემდეგ თანდათან გამოდის კრემლის კონტროლიდან), უფრო ზუსტად კი ჩეჩნეთის მოსაზღვრე პანკისის ხეობა.

რატომ სძულს ასე კრემლს საქართველო? რატომ ეწინააღმდეგება ასე საქართველო კრემლის კონტროლს? კრემლი რატომ აღიქვამს ასე მტკივნეულად საქართველოს ურჩობას? რა აქვს ამ ქვეყანას და მის პირველ პირებს ისეთი, რაც უფლებას აძლევს კრემლს საქართველოს დაბომბვაზე იფიქროს? არის თუ არა რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კანონზომიერი შედეგი? ან იქნებ ეს კრემლის პოლიტიკური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შემთხვევითობაა? თუ ბესლანის შემდგომ პოსტტრავმული სინდრომია?

## ინგლისურენოვანნი

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ქვეყნებს შორის კატასტროფული კატაკლიზმების პირველმიზეზი (რუსეთსა და საქართველოს შორის ომი სწორედ ასეთი კატასტროფაა) ყოველთვის მარტივია და იოლად დასანახი.

სააკაშვილი მომხიბვლელი და მთელი მსოფლიოს ჟურნალისტების საყვარელი ყმაწვილია. ასეთი ბიჭები პუტინმა კარგა ხანია მოიცილა. რას ხედავენ და რას ისმენენ პუტინი და მისი გარემოცვა სააკაშვილთან შეხვედრისას?

დღეს საქართველოს პრეზიდენტი იწყება მთავარი მრჩევლიდან.

— დენიელ კუნინი,— გაგვეცნო ინგლისურ ენაზე. რუსული დენიელმა არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტი ბაკუნინის შთამომავალია. ბედის ირონია: ბაკუნინის ოჯახმა „ბა" გვარიდან მოიცილა, რომ არავინ მიმხვდარიყო მათ რევოლუციურ წარსულს. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კუნინი კი ამერიკის მოქალაქეა, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან იღებს ხელფასს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დენიელი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც უკვე ყველა ინგლისურად საუბრობს — აქ ასეა მიღებული, მსგავსად სამეფო კარისა, სადაც ფრანგულად მეტყველებდნენ. თვით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერი ზურაბ ჟვანია, პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით სიხარულიძე და, რა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ინტერვიუს ინგლისურად იძლევიან — რასაკვირველია, ეს მათი უფლებაა (თუ კი ასე უფრო ეხერხებათ!).

ადვილი წარმოსადგენია, ამ ფრიად ვესტერნიზებულ ატმოსფეროში მოხვედრისას რა ემართებათ პუტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან იმას, რომ მთელი დსთ მათ ფერხთითაა..

**— რა ენაზე ქსაუბრებით თქვენს უფროსს?**

— ვეკითხები ბაკუნინის შთამომავალს.

— ინგლისურად, — ხალისიანად მპასუხობს დენიელი, — თუმცა მოლაპარაკებების დროს, როდესაც საჭიროა არავინ გაგვიგოს, — ქართულად. ქართულს კერძო მასწავლებელთან ვსწავლობდი. ადრეც ვმუშაობდი საქართველოში, NGO-ში, — ასე უწოდებენ დასავლეთში არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**— ანუ თქვენ NGO-დან პირდაპირ საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი გახდით?**

— მთელი სახელმწიფო კანცელარია NGO-დან ვართ, — იცინის დენიელი.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარდება ჩვენი ენჯიოთმოძულე პრეზიდენტი, როცა იძულებულია, ურთიერთობა ჰქონდეს საქართველოს ასეთ ახალ მოხელეებთან; როცა ეს ყოჩაღი ამერიკელი კუნინ-ბაკუნინი პუტინის თანდასწრებით ქართულ-ინგლისურად რაღაცას ურჩევს ურჩ მიხეილს.

**— რას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის ამერიკელი მრჩეველი?**

— 24 საათის განმავლობაში უნდა სთავაზობდე ახალ იდეებს, პრეზიდენტის ყველა საინტერესო შეკითხვაზე უნდა გქონდეს მრავალი ვარიანტი და წინადადება.

ოფიციალური თბილისის დიაგნოზი ასეთია: ამერიკულად ზეშრომისმოყვარე მენეჯმენტი: ჰამბურგერი, არავითარი სუბორდინაცია, ყველა მხიარულია. მენეჯმენტი მთლიანად ორიენტირებულია დასავლეთზე. აღარავის ახსოვს ჩრდილო-დასავლური კურსი. კრემლისგან განსხვავებით, ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი გათვალისწინებულია. სააკაშვილის საქართველოს ნიშანთვისებაა ანტიბიზანტიურობა, ანტიბიუროკრატიულობა, ანტიიერარქიულობა, ანტიკოლონიურობა და მეტროპოლიის არსებობის უარყოფა.



*ანა პოლიტკოვსკაია*

კრემლში კი ეს ყველაფერი პირიქითაა: ნეოსაბჭოური ბიზანტიურობა, არქიიერარქია, იმპერიული ნოსტალგია, რომელიც გამოიხატება კოლონიების შესყიდვასა და დამორჩილებაში (უკანასკნელი მაგალითია „მოკავშირეობისათვის" უკრაინისა და ბელორუსიისთვის ნაჩუქარი 800 მილიონი დოლარი), პროვოკაციების პოლიტიკა.

## ინტერვიუ პრეზიდენტთან

მიხეილ სააკაშვილი მხიარული, პირდაპირი და სიტყვამოსწრებულია:

— რუსებს ვკითხეთ, რას ვაკეთებთ ისეთს, რომ აღარ გიყვარვართ? სამხრეთ ოსეთს პენსიებისა და სხვა საბიუჯეტო დავალიანებების გასტუმრებას დავპირდით. განა ეს ცუდია? არაფერი გვიპასუხეს და პროვოკაციული სროლები ატეხეს. არ გვინდა შეიარაღებული კონფლიქტი, მაგრამ რუსები რომ იარაღს აჟღარუნებენ? ჩვენ არ დავუშვებთ 1992 წლის მოვლენების გამეორებას. რუსეთის მოქმედება საქართველოში ირაციონალურია.

ჩვენ ვთხოვეთ საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოეწყო კონფერენცია სამხრეთ ოსეთის სტატუსზე და კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტაზე. გაერომ, ეუთომ და ევროკავშირმა მხარი დაგვიჭირეს, რუსეთი კი წინააღმდეგია.

**— როდის ესაუბრეთ პუტინს უკანასკნელად?**

— დავურეკე და არ დამაკავშირეს. ორი წერილი გავუგზავნე. პასუხი არ მიმიღია (მოკლე სპონტანური შეხვედრა შედგა ასტანაში 16 სექტემბერს, დსთ-ის სამიტზე).

...ასე დავასრულეთ საუბარი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*


რეგულაქსი®

იბრძანეთ თავი მსუბუქად და კომფორტულად!

საღეჭი ბრიკეტები და წვეთები ხანმოკლე გამოყენებისთვის ყაბზობის დროს

რეგულაქსი - ბუნებრივი კომპონენტებისგან შექმნილი ბრიკეტები

1 ბრიკეტი შეიცავს: 710მგ სინამაქის ფოთლების ფხვნილს, 300მგ სინამაქის ნაყოფის ფხვნილს, ქლიავის მუსს, ლეღვის პასტას და სხვა დამხმარე საშუალებებს.

რეგულაქსი - წვეთები

1მლ ხსნარი (20წვეთი) შეიცავს: 7,5მგ ნატრიუმის პიკოსულფატ-მონოჰიდრატს და სხვა დამხმარე ინგრედიენტებს.

- რეგულაქსის მიღება რეკომენდებულია საღამოს, ძილის წინ. ეფექტი ვლინდება 8-10სთ-ის შემდეგ.
- ინდივიდუალურად სწორად შერჩეულ დოზას წარმოადგენს ის დოზა, რომელიც იწვევს რბილი განავლის ფორმირებას.
- საფაღარათო საშუალებების მიღება შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 1-2 კვირას.




რეგულაქსი® საფაღარათო ბრიკეტები და წვეთები

კრევედ მოიზელბახი

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი

გერმანია

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

4 წლის **შოთიკო ჟორჟოლიანმა** საღამოს, მშობლებთან სეირნობის დროს, რესტორნის ფანჯრებში მოციმციმე ნათურებსა და მოცეკვავე ხალხს მიაქცია ყურადღება. ორიოდ დღის შემდეგ ღამით, აივნიდან თვითმფრინავის მოციმციმე ნათურები შენიშნა და მამას ჰკითხა,

— იმ თვითმფრინავშიც ცეკვავენ?

***

პატარა **დათუნა მასურაშვილი** ბაბუას ნარდს ეთამაშება.

— ბაბუ, იცოდე, თუ მოგიგე, დიდ საზამთროს მიყიდი!.. — წაუყენა პირობა.

— შენ თუ წააგე? — ჰკითხა ბაბუამ.

— მე თუ წავაგე, პატარა საზამთრო მიყიდე.

***

**ნიკა** წელს პირველად იყო ზღვაზე. დიდი ტალღა დაინახა და დედას გასძახა:

— დედა ჩქალა, ზღვა მომდევს...

## მეფე და ქალიშვილი
სპარსული არაკი

ერთმა მეფემ მჭედელს უბრძანა მისთვის კარგი აბჯარი დაემზადებინა. მჭედელმა დამზადებული აბჯარი მეფეს მიართვა. მეფემ იგი მიწაზე დადო და გამოსაცდელად ხმალი დაჰკრა. აბჯარი ორად გაიკვეთა.

— თუ მეორედაც ამგვარ აბჯარს დამიმზადებ, თავს ორად გაგიპობ! — განრისხდა მეფე.

მჭედელი სახლში წავიდა ჩაფიქრებული და ეს ამბავი თავის ერთადერთ ქალიშვილს გაანდო.

— გააკეთე აბჯარი, ამჯერად მე წავიღებ მეფესთან, — უთხრა ქალიშვილმა.

მჭედელმა აბჯარი დაამზადა, ქალიშვილმა ჩაიცვა, ხელში ხმალი აიღო და მეფესთან წავიდა.

— აბა, ახლა გამოსცადეთ! — უთხრა ქალიშვილმა მეფეს.

— კი, მაგრამ ტანზე რატომ ჩაგიცვამს? — გაიკვირვა მეფემ.

— აბჯრის გამოცდის წესი ასეთია — იგი ტანზე უნდა გამოიცადოს! — უპასუხა ქალიშვილმა.

მეფეს პასუხი მოეწონა და ქალიშვილი დაასაჩუქრა.

## ამპარტავანი ვაჭმატონი
ალბანური არაკი

ერთმა ვაჟბატონმა დიდი თანამდებობა მიიღო. მისმა მეგობარმა შეიტყო ეს ამბავი და მისალოცად ეწვია. როცა მეგობარმა კარი შეაღო, ვაჟბატონმა ჰკითხა:

— ვინა ხარ შენ და აქ რისთვის მოსულხარო?

მისალოცად მისულმა მწარედ გაიღიმა და მიუგო:

— შენ ველარა მცნობ, მე კი შენი ძველი მეგობარი ვარ. გავიგე რომ დაბრმავებულხარ, და აი, მოვედი კიდეც სანახავად.

## ფარნიანი ბრმა

ღამით ბაზარში ბრმა მიდიოდა. ცალ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში — დოქი. ხალხი დასცინოდა:

— ბრმა ხარ, რად გინდა ფარანიო?

ბრმამ უპასუხა:

— ფარანი მე კი არა, თქვენ გჭირდებათ: ახლა ღამეა, ვინ იცის, იქნებ დამეჯახოთ და დოქი გამიტეხოთო!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„შეხედულებით ზღარბია, ტყეში ხეებზე აბია“.**

I



II ქვედა რიგიდან დანომრილ საქანელებზე გადასვი შესაბამისი თუთიყუშები




### III აბა, გამოიცანი

**1) რომელია ავსტრალიის დედაქალაქი?**
ა) სიდნეი; ბ) კანბერა; გ) მელბურნი; დ) ბრისბენი.

**2) ამათგან რომელი არ იყო ერთიანი საქართველოს მეფე?**
ა) დემეტრე II; ბ) გიორგი V; გ) ბაგრატ V; დ) თეიმურაზ I.

**3) რომელია ზედმეტი?**
ა) თავნება; ბ) ჯიუტი; გ) კერპი; დ) მორჩილი.

**4) რომელ ქრისტიანულ დღესასწაულს ვზეიმობთ 14 ოქტომბერს?**
ა) ბარბარობას; ბ) სვეტიცხოვლობას; გ) ილიაობას; დ) მთავარანგელოზობას.

**5) რომელი ზღვა არ არსებობს?**
ა) წითელი; ბ) ყვითელი; გ) ლურჯი; დ) თეთრი.

**6) რომელია ნეიტრალური ქვეყანა?**
ა) დანია; ბ) თურქეთი; გ) გერმანია; დ) შვეიცარია.

**7) როგორი ნათესავია ქალისთვის მული?**
ა) ქმრის და; ბ) ქმრის ძმის ცოლი; გ) ქმრის ძმა; დ) ქმრის დის ქმარი.

**8) ამათგან რომელია დანარჩენებზე მძიმე?**
ა) წყალი; ბ) სპირტი; გ) თაფლი; დ) ზეთი.

**9) ამ პოეტებიდან რომელი არ იყო თავადი?**
ა) ილია ჭავჭავაძე; ბ) ვაჟა ფშაველა; გ) გრიგოლ ორბელიანი; დ) აკაკი წერეთელი.

### IV გამოცანა

სტყუიხარ თუ მართალი ხარ,
მაინც სასჯელს მოგაყენებს:
ფეხს დაადგამ – აგაცეკვებს,
დაჯდები და – აგაყენებს.

პასუხები იხილე 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# „ქაქუცას გამო მამა კინაღამ დახვრიტეს“

**ირაკლი და გია მაჩაბლებთან სტუმრობით ჩემთვის თითქოს სარკმელი გაიღო და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ცხოვრებაში ჩავიხედე. რეალურად დავინახე საუკუნის წინანდელი ადამიანები, მათი სახლები და სასახლეები, მათი მრწამსი. ეს ყველაფერი რამდენიმე ამბავმა შემაგრძნობინა, რომლებიც ბაბუამ ირაკლიმ და ბაბუამ გიამ მიამბეს.**

## მაჩაბლები



***ცხინვალი 1906 წელი. სხედან: მარცხნიდან ალექსანდრე ხახანაშვილი, მარიამ ერისთავი, ილია მაჩაბელი, მართა მაჩაბელი, ირაკლი მაჩაბელი (ეკატერინე თარხან-მოურავის მეუღლე); დგანან: ანელია (მართას და), მარგო რცხილაძე, სონია ერისთავი (ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას და)***

## შაქრო მაჩაბლის ცხედარს პირველად სწორედ ადგილობრივმა ოსებმა უპატრონეს

### სიკვდილი გამოქვაბულთან

მაჩაბლები თამარაშენიდან იყვნენ. მონაყოლით ვიცი, რომ ივანე მაჩაბლის სახლი ლიახვის პირას იდგა, იქვე, ორღობის მეორე მხარეს — ჩვენი.

მამაჩემის პაპა, შაქრო მაჩაბელი, ლიახვის ხეობაში ყველაზე შეძლებული თავადი ყოფილა. როცა ჩვენში ბოლშევიკები შემოვიდნენ, თან ჩრდილოელი ოსებიც შემოიყვანეს. დაერივნენ თურმე თავადებს და ერთიანად ამოხოცეს...

ლიახვის ხეობის დიდებულებმა იცოდნენ, რომ შეიძლებოდა მათ შემოსვლას ცოდვის კითხვა მოჰყოლოდა. ერთ გამოქვაბულში საკვები მოუმარაგებიათ და რევოლუციონერების დანახვისთანავე რამდენიმე შეიარაღებული კაცი, მათ შორის, მაჩაბელი (ჩვენი ნათესავი), ციციშვილი, კეცხოველი (ლადო კეცხოველის ბიძა) იმ გამოქვაბულში გამაგრებულა. ატყდა სროლა. ქვემოთ ხალხს მოეყარა თავი. ხმაურზე წამომდგარა აივანზე წამოწოლილი შაქრო მაჩაბელი და მსახურისთვის უკითხავს, — რა ხდებაო. უთქვამს, თქვენს მეგობრებს ოსები და წითელარმიელები დახოცვას უპირებენ, არ წახვიდეთ, თორემ თქვენც მოგკლავენო!

რას ამბობ, ოსები ხელს როგორ მახლებენო, — გაჰკვირვებია შაქრო მაჩაბელს — მას და ოსებს დიდი სიყვარული ჰქონიათ ერთმანეთისა, თავადი ხშირად ადიოდა თურმე სტუმრად დვალეთში.

მისულა შაქრო გამოქვაბულის ძირას და რუსებისთვის უკითხავს: რას აკეთებთო. თავადებს ვხოცავთო. ამას როგორ ბედავთო, — აღშფოთებულა. შენ თვითონ ვინ ხარო, — იქით შეჰკითხვიან. თავადი მაჩაბელი გახლავართო... ამის თქმაზე დაიჭირეს და ყელი გამოსჭრეს თურმე. მის საშველად გამოქვაბულიდან გამოცვენილან თავადები. ბოლშევიკებს ისინიც დაუხოცავთ.



***ეკატერინე თარხან-მოურავი-მაჩაბელი***

...უპატრონოდ დაგდებულ შაქრო მაჩაბლის ცხედარს პირველად სწორედ ადგილობრივმა ოსებმა უპატრონეს, პანაშვიდები გადაუხადეს და დაიტირეს (ესენი დვალელი ოსები იყვნენ... მაშინ ცხინვალში, როგორც პაპიდაჩემი ამბობდა, ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ და კიდევ ორადორი ოსი). შვილებმა ვერ დაიტირეს შაქრო მაჩაბელი, იქ რომ გამოჩენილიყვნენ, მათაც მამის ბედი ელოდათ...

### თარხან-მოურავების სასახლე

ბებიაჩემი, ეკატერინე, თარხან-მოურავის ქალი იყო.

თარხნიშვილებს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ჰქონდათ სასახლე, რომლის მშენებლობა დავით თარხან-მოურავს დაუწყია, მისმა ვაჟებმა, ალექსანდრემ და კონსტანტინემ კი დაასრულეს. კონსტანტინე თარხან-მოურავი შემახიის გენერალ-გუბერნატორი იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება აზერბაიჯანის დედაქალაქის შემახიიდან ბაქოში გადატანა. კონსტანტინეს ოჯახი არ ჰყავდა და მისი მემკვიდრეობა ძმისწულებს დარჩათ...

თარხან-მოურავებს რუსებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ალექსანდრე მეორე საქართველოში რომ ჩამოვიდა, სწორედ მათთან იყო სტუმრად. სასახლე მართლაც იმპერატორის საკადრისი ჰქონდათ. მის მოსახატად მხატვრები სპარსეთიდან მოიწვიეს. 7 წელი მოუნდნენ ამ საქმეს და მართლაც ზღაპრულად მოხატეს. ერთ, ევროპულად მოწყობილ დარბაზში პარიზიდან გამოწერილი შპალერი იყო გაკრული, შუაგულ შუშაბანდში მარმარილოს შადრევანი ჩქეფდა. სტუმრები რომ მოდიოდნენ, საგანგებო ტუმბოთი ამ შადრევანში მარნიდან ღვინო ამოდიოდა. ბებია ამბობდა: ღვინის შადრევანს მე ვერ მოვესწარი, უკვე იმდენი აღარ გვქონდაო.

რევოლუციის შემდეგ თავადებს სახლებიდან ყრიდნენ. კასპის რაიონში ამ საქმეს ერთი ბოლშევიკი ედგა სათავეში, გვარად ქურდაძე. მოადგა თურმე თარხან-მოურავთა სასახლეს. ბებია შეშინებული მჯდარა. ქურდაძე დიდხანს დადიოდა დარბაზებში წინ და უკან, აკვირდებოდა ყველაფერს. ბოლოს უთქვამს: კედლები ტრაფარეტით კი არ არის მოხატული, ხელით ნახატიაო... ვიცითო. მაშინ თქვენ უნდა მოუაროთ ამ სახლსო. ქურდაძე „მალიარი“ ყოფილა. ასე პროფესიონალურად შეაფასა და გადაარჩინა სასახლე.

### ეკატერინე

ბებია საოცარი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული, ისეთი თხრობა იცოდა, მოუწყინრად შეგეძლო გესმინა. თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად, ფრანგულად, გერმანულად. სკოლაში რუსულსა და გერმანულს ასწავლიდა, განსაკუთრებით უყვარდა ერთი შემთხვევის გახსენება: აკაკი წერეთელი მამიდამისის — ლიზას უახლოესი მეგობარი ყოფილა და ხშირად ეფერებოდა თურმე პატარა ეკატერინესა და ელისაბედს. პეტერბურგში პირველად ჩასული ეკატერინე მეჯლისზე მიუწვევიათ. ამისთვის საგანგებოდ შეუკერია ცისფერი კაბა. ავედი თუ არა კიბეზე, კართან აკაკი დამხვდა, ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა. ხელკავი გამიკეთა და მთელ დარბაზში გამატარა, — იგონებდა, — ძალიან ვამაყობდი, რომ სახელოვან, მშვენიერ, უკვე ჭაღარა აკაკის მივყავდიო. მეორე დღეს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ბრწყინვალე საზოგადოების მიერ გამართულ მეჯლისს ქართველი თავადი აკაკი წერეთელიც ესწრებოდა... „მშვენიერებით გამოირჩეოდნენ თავად თარხან-მოურავის ასული, რომელსაც ძალიან უხდებოდა ცისფერი სამოსი და ვარდისფერკაბიანი თავადის ასული ანდრონიკოვაო“.

ეკატერინე ძალიან უყვარდა სერგო ფარაჯანოვს. უკრაინაში წასვლის წინ უთქვამს, ჩემი სათაყვანო ადამიანები უნდა მოვინახულოო და უკვე ღრმად მოხუცებულ ბებიაჩემს ახალქალაქში ეწვია გოგი ალექსი-მესხიშვილთან, ვიქტორ (ბუცა) ჯორბენაძესთან და ამირან დუმბაძესთან ერთად... ამირან დუმბაძე, რომელსაც მოჩხუბრის სახელი ჰქონდა, გარეთ ელოდებოდა. იმ საღამოს ეკატერინემ ბევრი რამ გაიხსენა თურმე... მღელვარებისგან ცუდად გამხდარა. დუმბაძეს უთქვამს: კაცო, მე მეძახიან მკვლელს და თქვენ კი ასეთი ქალი მოკალითო!

### კიდევ ერთხელ ვანო მაჩაბელზე

აკაკის ვანო მაჩაბლის ცოლი, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი ჰყვარებია, ოღონდ ისე, რომ ეს ტასოს არ სცოდნია... ივანე მაჩაბელს თარხან-მოურავთა მხრიდან ვენათესავებით. ბებია ჰყვებოდა, — მაშინ ქვეყანა მაჩაბლისა და ჭავჭავაძის მომხრეებად იყო გაყოფილი. ისე დაძაბული იყო მდგომარეობა, რომ მაჩაბლის მომხრე დამ ოპერაში ჭავჭავაძის მომხრე ძმას ცხვირი მოაკვნიტაო.

ჟანდარმერიის უფროსი ჯანდიერი „ჭავჭავაძისტი“ ყოფილა. ბებია მაჩაბლის სიკვდილს მას აბრალებდა — იმან მოაკვლევინა, მარტო იმას შეეძლო, კვალი ასე გაექროო. ამას არ იზიარებდა პაპიდაჩემი, სოფიო მაჩაბელი. როცა ერთხელ ვუთხარი ბებიას, იქნებ არც მომკვდარა, ხომ ამბობენ, ვიღაცამ ნახაო, მითხრა: სისულელეა, ძლივს დადიოდა, ისე მძიმედ იყო ავად. ძვლის ტუბერკულოზი ჰქონდა. ურთულესი ოპერაცია გაიკეთა — ორი ნეკნი ამოუღეს, ხოლო ნაწლავი გარეთ ჰქონდა გამოტანილიო.

### რომანოვასი და მუხრან-ბატონისა

ალექსანდრე თარხან-მოურავის და მუხრან-ბატონს გაჰყვა ცოლად. კონსტანტინე მუხრან-ბატონი ჩვენი ნათესავი იყო. მას ბავშვობიდანვე გულში ჰქონდა ჩადებული, ტახტის მემკვიდრე ვარო, თუმცა მუხრანელი ბაგრატიონები ტახტის მემკვიდრეები არ ყოფილან.

ძალიან მოინდომა პეტერბურგში, პაჟთა კორპუსში, ჩარიცხვა. საამისოდ მშობლებს, რომლებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, აყიდვინა ცხენი, შესაფერისი სამოსი და ოცნებაც აისრულა. რაკი პაჟთა კორპუსში მოხვდა, რუსეთის იმპერატორის სასახლეში შესვლის უფლებაც მიიღო. კონსტანტინეს მეფის ბიძაშვილის — ტატიანა რომანოვასთვის დაუწყია არშიყი. მამამისს, დიდ მთავარს, კონსტანტინე რომანოვს დაუბარებია მუხრან-ბატონი და დამამცირებლად მიუმართავს: — შენ რა თავადი ხარო (какой ты князишка)! ვიღაც თავადი კი არა, საქართველოს ტახტის მემკვიდრე გახლავართო, — მიუგია მუხრან-ბატონს. აქედან დაიკარგეო, — უყვირა თურმე რომანოვმა და სახლიდან კი არა, პეტერბურგიდანაც გააძევა. ტახტზე მეოცნებე ახალქალაქში გაასახლეს. მათი სახლი ჩვენი სასახლის წინ იდგა. იქ ჩაამწყვდიეს და კართან კაზაკები დაუყენეს. მაშინ ბებიაჩემი 13 წლისა ყოფილა და დატუსაღებული უფროსი ბიძაშვილის თხოვნით, ჩუმად უგზავნიდა ტატიანას კონსტანტინეს სასიყვარულო ბარათებს და ასევე ჩუმად მოჰქონდა მისი პასუხებიც.

ტატიანას პეტერბურგში შიმშილობა გამოუცხადებია — თუ მუხრან-ბატონს ცოლად არ გამაყოლებთ, თავს არ ვიცოცხლებო. სასწრაფოდ გააქანეს თურმე პეტერბურგში შეყვარებული ბაგრატიონი და შერთეს ცოლად ტატიანა რომანოვა... მაგრამ ბედნიერება ჯერ კიდევ შორს იყო. ტატიანას ყველა წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ, კონსტანტინეს — არსად, რის გამოც შეურაცხყოფილად და უბედურად გრძნობდა თავს. ამ დროს ატყდა ომი და მეფის სიძემ ომში წასვლა მოითხოვა. ალბათ იმედი ჰქონდა, თავს გამოიჩენდა, გენერლობას მიიღებდა და რუსეთის ბრწყინვალე საზოგადოება აღიარებდა. ჩავიდა თუ არა, მტრის ტყვიამ იმსხვერპლა...

სიცოცხლეში არ ეღირსა სიკეთე და დასაფლავება კი მართლაც მეფური მოუწყვეს. თბილისის სადგურზე ჩამოდგა თეთრი ყვავილებით მორთული მატარებელი, რომელშიც კონსტანტინე მუხრან-ბატონის ცხედარი ესვენა. ქალები, ღრმა მწუხარების ნიშნად, თეთრ სამოსში იყვნენ გამოწყობილები. სადგურიდან სიონის ტაძრამდე ქუჩები ხალიჩებით იყო მოფენილი. ცხედარი სიონიდან მცხეთაში გადაასვენეს და სვეტიცხოველში დაკრძალეს...

ბებია იხსენებდა, მსგავსი პატივით დაკრძალვა სხვა არც მინახავსო.

ტატიანა რომანოვას ქმრის სიყვარული არ განელებია. გურამ პატარაიამ მიამბო: — პალესტინაში ყოფნისას, რუსულ დედათა მონასტერს მივაკითხე. მითხრეს, იქ არავინ შეგიშვებსო. მაინც მივწერე წერილი იღუმენიას: — ქართველი ვარ და მინდა იმ მონასტრის მონახულება, რომელიც ადრე ქართული იყო-მეთქი. ყველასთვის მოულოდნელად, მონასტრის კარი გაიღო. 90 წელს გადაცილებული იღუმენია, რომელიც საერთოდ არავის ხვდებოდა, შემხვდა და მითხრა: — ქართველის ცოლი ვიყავი, ძალიან მიყვარს საქართველოო.

### სამი ივერიელი ასული

ბებიას ორი და ჰყავდა. უფროსი — თამარი და უმცროსი — ელისაბედი. თამარ თარხან-მოურავმა და მისმა ორმა მეგობარმა — მარიამ ბაგრატიონმა და ანა ანდრონიკაშვილმა მისწერეს დედოფალს, ომში გვინდა წავიდეთ წითელი ჯვრის მოწყალების დებადო. ეს რომ თამარის მამას, ვასილ თარხან-მოურავს გაუგია, შემცბარა. უსაყვედურია, დამუქრებია შვილს, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია. ეშელონი საგანგებოდ მათ წასაყვანად ჩამომდგარა... ფრონტიდან წერილებს სწერდნენ ოჯახებს დიდგვაროვანი მოწყალების დები. ვასო თარხან-მოურავი არ კითხულობდა ქალიშვილის ბარათებს. თამარი სამხედრო ექიმს შეჰყვარებია და მისი ხელის სათხოვნელად თბილისში ჩამოსულა. დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. თამარის დედას უთქვამს სასიძოსთვის: — ჩემმა ქალიშვილმა არაფრის გაკეთება არ იცის, ცოლად რად გინდათო...

ქალბატონო, თამარი მე ცოლად მინდა, მოსამსახურედ კი არაო...

ჯვარი დაუწერიათ. ცოლ-ქმარი პეტერბურგში ცხოვრობდა.

ტრაგიკული იყო ანა ანდრონიკაშვილის ბედი. ის პირველ მსოფლიო ომშიც მოწყალების და იყო. გაუგონარი უბედური შემთხვევა მოხდა: გერმანელთა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა გემი, რომელსაც დიდი წითელი ჯვარი ეხატა. ანა ანდრონიკაშვილი იმ გემზე იყო...

### „მუსიე ბონდო“

ბიძაჩემი მეორე მსოფლიო ომში წაიყვანეს. ბებიამ გააცილა და გულმოკლული დაბრუნდა უკან მატარებლით. უხასიათოდ ვიყავი, ციოდა, შალი მოვიხვიე და მოვიკუნტე საწოლზეო, — ჰყვებოდა. კუპეში ვიღაც კაცი შემოსულა, მას მეორე შემოჰყოლია. ფეხი გასწიო, — უხეშად მიუმართავს ბებიაჩემისთვის და ჩამომჯდარა, თან ენაგაუჩერებლად უყვებოდა თანამგზავრს, რა ნახა თეირანში. შაჰის ცოლი სულ ფრანგულად მელაპარაკებოდა. მუსიე ბონდო, — ასე მომმართავდაო... ბებია ძალიან შეაწუხა თურმე ამ კაცმა. ბოლოს, ქუდი რომ მოუხდია და ბებიისათვის „ჩამოუდევს“, ეკატერინე თარხან-მოურავი მიბრუნებია და ფრანგულად უთქვამს: — მუსიე ბონდო, შაჰის ცოლმა ქალებთან მოპყრობა არ გასწავლათო? გაგიჟდა თურმე, ბოდიში მოუხადა... დილამდე მეხვეწებოდა, — მითხარით, ვინ ხართო... ვუთხარი: რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვარ, ქალი ვარო.

### კლასობრივი მტერი

ერთხელ მამაჩემი, უფროს ბიჭებთან ერთად, ტყეში ყოფილა ფიჩხის მოსაგროვებლად. შეხვედრიათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი და გზა უკითხავს. უჩვენებიათ. სოფელში რომ ჩამოვიდნენ, ვიღაცას უთქვამს, — ტყეში ქაქუცას ხალხი ვნახეთო. იმ ბიჭებში მხოლოდ მამაჩემი იყო თავადის ოჯახიდან, სწორედ მას სტაცეს ხელი და წაიყვანეს. შეიკრიბა სამეული (მაშინ ასე იყო მიღებული, სამ კაცს შეეძლო განაჩენი გამოეტანა) და მიუსაჯეს სიკვდილი. ჩაკეტეს სადღაც, მამა პატარა იყო და ეტყობა, ვერც გაიგო, რა ხდებოდა... ჩაეძინა. ბებიაჩემისთვის მიუტანიათ ეს ამბავი, გაგიჟებულა. იმ ნახსენებ ქურდაძეს გამოუვლია შემთხვევით და რომ გაუგია, რა ხდებოდა, გაჰყოლია „დამცველად“: — არ დახვრიტოთ, მერე რა, რომ კლასობრივი მტერია, ჯერ ხომ ბავშვიაო. ასე კინაღამ დახვრიტეს მამა ქაქუცას გამო.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი თარხან-მოურავების ხშირი სტუმარი იყო. ამბობენ, მაღალი არ ყოფილა, მაგრამ ძალიან მკვირცხლი და მამაცი ვაჟკაცი კი იყოო...

***ლელა ჯიყაშვილი***


**ინგლისური ენისა და კომპიუტერის თბილისის ცენტრალური სკოლა**

– ინგლისური ენისა და კომპიუტერის სწავლება ინდივიდუალურად ბავშვების, თინეიჯერების და მოზრდილთა სწავლება სათანადო პროგრამებით.
– კემბრიჯის უნივერსიტეტისა და ამერიკული საერთაშორისო სერტიფიკატები.

**– კომპიუტერის სწავლება; საწყისი და საოფისე კურსი**

**– სტუდენტთა გაგზავნა ენის შესასწავლად დიდ ბრიტანეთში, ამერიკასა და ინგლისურენოვან ქვეყნებში.**

**ინგლისური ენისა და ინტერნეტის კლუბი**

ინგლისური ენის სწავლება და ინტერნეტი უფასოდ

**– სტუდენტთა გაწევრიანება კემბრიჯის ინგლისურ ენის კლუბში. მონაწილეობის მიღება მათ პროგრამებში – ენის შესწავლა ეტაპობრივად, კონკურსებში მონაწილეობა, მიმოწერა და საუბარი კლუბის წევრებთან.**
**– კომპიუტერული ენციკლოპედიები Britannica, Encarta, Webster.**

მის: შარაშიძის ქ. 5 (ფიქრის გორა, ი. ნიკოლაძის შეს.)
ტელ: 220470; 923454, ფაქსი: 923454, e-mail: tcs@internet.ge

# „ის ლამაზი ოცნებები წყალში ჩამეყარა...“

## მზის პოვნა ყველგან შეიძლება, თვით ძალიან ცუდ ცხოვრებაშიც კი

*რამდენიმე დღის წინ* ***გოდერძი ჩოხელს*** *50 წელი შეუსრულდა...*

*უკვე ხუთი ათეული წელია, ამქვეყნად ყოფნის „ტკბილი სევდა“ შემოსწოლია მის გულს, ხან შავი არაგვივით აემღვრევა ფიქრი და ათქმევინებს — აღარ მწადიან კაცობა, თევზობა მინდაო, ხან კი, თითქოს მოწმენდილ ცაზე მზე ამოიწვერება და ბურსაჭირის ფერდობზე შეფენილი იის სურნელი მის ცხოვრებასაც უცვლის ელფერს.*

— მეკითხები: რატომ არ გიყვარს დაბადების დღის აღნიშვნაო. ხომ გაგიგონია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო... მთაში საერთოდ არ აღნიშნავდნენ დაბადების დღეებს, ისიც ერთი ჩვეულებრივი დღეთაგანი იყო. რაც ბავშვობაში არ მიკეთებია, იმას დიდობაში ვერ გავაკეთებ და დაბადების დღეს დღესასწაულად ვეღარ ვაქცევ, — გვითხრა იუბილარმა.

**— ოქტომბერი როგორ იწყება მთაში, ალბათ ცივა, არა?**

— ამ დროს ყოველთვის ციოდა. ცხვარი უკვე გაჰყავდათ. ამას სთველს ეძახდნენ. იწყებოდა წვიმიანი ამინდები. ასეთ სიცივეში დავბადებულვარ, თანაც შარაგზის პირას. ზუსტად არც ვიცოდი, როდის დავიბადე, მერე გამოვიძიე, რომ გავიზარდე. დედა სხვა რიცხვს ამბობდა, კარგად არ ახსოვდა ჩემი დაბადების დღე. მერე ვნახეთ, რომ დედიძმაჩემს ჰქონდა ჩაწერილი 2 ოქტომბერი. მის ჩანაწერს ვენდე.

**— როგორი განწყობით შეხვდი წლევანდელ 2 ოქტომბერს?**

— ასეთი შეგრძნება მქონდა, რომ ერთი დიდი დღე დამთავრდა და გადავაბიჯე მეორე დღეში... ავად თუ კარგად, რაღაც დამთავრდა. სევდა მოჭარბებულად მაქვს, სევდით გავყურებ წარსულს. ბავშვობაში ბევრი რამ იყო კარგი, მაგრამ მერე და მერე ყოფით პრობლემებზე უფრო მეტ დროს ვხარჯავდი, ვიდრე შემოქმედებაზე. ამის გამო გული მწყდება, ჩემს ენერგიას დანა-ჩანგალზე, ცოცხსა და სახლზე ფიქრს რომ ვახმარდი. რა მექნა, თვითონ უნდა შემექმნა ცხოვრება... ბავშვობაში არაფერი დიდი ოცნება არ მქონია, მხოლოდ ველოსიპედი მინდოდა მყოლოდა. ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, არ ამისრულდა ეს ოცნება. ეს ისე დამრჩა გულში, რომ ლუკა რომ შემეძინა, თითქმის ყოველ მესამე დღეს ველოსიპედს ვყიდულობდი მისთვის... ახლა კი ჩემმა ორმოცდაათმა წელმა ისე გაიარა, რომ საწერი მაგიდა არ მეღირსა. ესეც ჩემი ოცნება იყო. კეთილი შურით მშურს იმ მწერლებისა, ვისაც აქვთ თავისი ოთახი, იქ უდგათ წიგნების კარადა, საწერი მაგიდა... განმარტოების საშუალება აქვთ. მე ეს არც მქონია და ვგრძნობ, არც მექნება. ახლა ჩემს საწერ მაგიდაზე კი არა, ჩემი ბიჭების საწერ მაგიდებზე უნდა ვიზრუნო. არადა ასე მგონია, საწერი მაგიდა მწერლის ნავსაყუდარია. თითქოს გეძახის, — მოდი, დაჯექიო, რომ დაჯდები, იძულებული იქნები, დაწერო... მწერლობა რომ დავიწყე, სტუდქალაქში ვცხოვრობდი, იმ რია-რიაში, მაგიდის კუთხეში პატარა ადგილს ვნახავდი და იქ ვწერდი ხოლმე. ნათესავებთან გადავედი. როცა სიჩუმეს მოვიხელთებდი, წერას ვიწყებდი. საკუთარი სახლი გამიჩნდა და მაინც არ მქონდა პირობები. გაჭირვებას თავისი მუხტი ჰქონია... ძალას მმატებდა, რომ გამეკეთებინა ჩემი საქმე.

**— თქვენი ვაჟები — ლუკა და ნიკა როგორ იქცეოდნენ, როცა მუშაობდით?**

— ხმაურობდნენ. იმათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ თავისი თამაშით მე ხელს მიშლიდნენ. თუმცა ნიკუშა სულ მაკვირდებოდა წერის დროს. ამას მაშინ მივხვდი, თავისი „თორმეტტომეული“ რომ დაწერა.



**— რა „თორმეტტომეული“ დაწერა ნიკამ?**

— სკოლაში ადრე მივიყვანეთ. 6 წლის მერელა გახდა. ნახევარი წელიწადი იარა და ნინომ მითხრა: — ცოდოა, გამოვიყვანოთ, მგონი, წერა-კითხვაც არ იცისო. არ ამჟღავნებდა ნიკა, რაც იცოდა, იმას. ერთხელაც, მაშინ შუქი არ იყო და ადრე ვიძინებდი, ნინოს სიცილმა გამაღვიძა. გავედი და ვხედავ: ნინო სამზარეულოში ზის, სანთელი უნთია, ხელში პატარა ბლოკნოტი უჭირავს და იცინის. მოდი, რა გაჩვენოო, — მითხრა. აღმოვაჩინეთ, რომ ნიკას მწერლობა დაუწყია. ბლოკნოტის გარედან კაცი ეხატა. ზემოთ ეწერა ნიკა ჩოხელი, ფრჩხილებში — მწერალი კაცი. ნახატის ქვემოთ კი — „თორმეტი ტომი“. მერე სერიოზული მოთხრობებიც დაწერა. ყვავს თავისი ბახალა მოსწონსო, მეც მომეწონა. წავიღე ორი მოთხრობა და კინოსტუდიის გაზეთში დავბეჭდე. ნიკუშას რომ ვაჩვენეთ, ძალიან ეწყინა. მაგას მე ჩემთვის ვწერდიო — და აღარ მოკიდა კალამს ხელი.

**— თქვენს პატარა, არაჩვეულებრივ ოჯახში ცხოვრება მართლაც ძალიან საინტერესო იქნება... რა გასაზრდოებდათ, როგორც ხელოვანს?**

— მე სულ ოცნებებით ვსაზრდოობდი. ლამაზი ოცნებები მაწერინებდა, მაღებინებდა კინოს. ყველაზე დიდ ოცნებად საქართველოს დამოუკიდებლობა მქონდა. მეგონა, უცებ ბედნიერები გავხდებოდით, მეგონა, ქართველებს ისე გვეყვარებოდა ერთურთი, ცუდს არ გავუკეთებდით ერთმანეთს. დამოუკიდებლები კი გავხდით, მაგრამ ის ლამაზი ოცნებები წყალში ჩამეყარა. ახლა ვფიქრობ, რა იქნება, ერთ დღეს, ღვთის შეწევნით, ისეთი ნაბიჯი გადავდგათ, რაც საქართველოს გააერთიანებს-მეთქი... ხან უფრო შორს მივდივარ და ტაო-კლარჯეთს და საინგილოსაც „ვიერთებ“. სულ მეშინია, როგორც ჩვენი წინაპრები შეაგუეს სოჭის, საინგილოს, ტაო-კლარჯეთის დაკარგვას, ისე არ შეგვაგუონ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვას. მაგრამ მე იმედი მაინც მაქვს... რამდენისთვის გაგვიძლია ქართველებს. მე ის დროც მახსოვს, ყველა სოფელში თითო ლენინის ძეგლი რომ იდგა. კოლმეურნეობა 20 ძროხას იხდიდა ლენინის ძეგლის დადგმაში და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, სად უკეთესი ლენინი დაიდგმებოდა. ახლაც მახსოვს უცნაურად ხელგაწვდილი ლენინები. თედო ბექიშვილის სოფელში მიწა ჩავარდა და ძეგლი ჩაიტანა. მიწიდან ლენინის ამოშვერილი ხელიღა ჩანდა. ჩვენთან, სკოლის ეზოში, სტალინის ძეგლი იდგა. ხრუშჩოვის წლებში ვიღაცამ თავი გადაახერხა და სტალინის ტანს ლენინის თავი დაადგა. არ ვიცი, ვინ ამოაფულუროვა ლენინის თავი. დროთა განმავლობაში მიწით ამოივსო. მე და ჩემმა მეგობარმა მზესუმზირა ჩავყარეთ შიგ. გაზაფხულზე ბრდღვიალა მზესუმზირა ამოვიდა და მთელი ზაფხული მზესავით ანათებდა ლენინის თავიდან. ამოვიდოდა მზე — გაიშლებოდა, ჩავიდოდა — დაიხურებოდა. მზის პოვნა ყველგან შეიძლება, თვით ძალიან ცუდ ცხოვრებაშიც კი.

*გოდერძი ჩოხელს კარადაში გამოსაცემად გამზადებული წიგნი უდევს. „რატომ ტირის ადამიანი?“ — ასე ერქმევა მის ახალ წიგნს, რომელიც მზის სინათლეს მხოლოდ მაშინ იხილავს, როცა ღვთის შეწევნითა და კეთილი ადამიანების თანადგომით გამოცემისათვის საჭირო 3.000 ლარი გამოჩნდება. მწერალი სათუთად შლიდა თითოეულ ფურცელს და თან გვეუბნებოდა: „რატომ ტირის ადამიანი? ალბათ იმიტომ, რომ არ იცის, მერე რა იქნება... მოთხრობაში კი ასე მიწერია, რომ ადამიანები საიდანღაც მოფრინდნენ დედამიწაზე, მერე ხომალდი გაუფუჭდათ და შინ ვეღარ წავიდნენ. რამდენი ეკლესია ააგეს ზეციური ხომალდის მსგავსი, რამდენი ილოცეს, გაფრენა რომ უნდოდათ, მაგრამ ჯერ ვერ გაფრინდნენ... ამიტომაც ტირიან ადამიანები...“*

***ლელა ჯიყაშვილი***

# „წინაპრებს ჩემსას ჰყვარებიათ ლარების ჟღერა“

## ერთად რომ შეიყრებოდნენ, მათი სიმღერის მოსასმენად ტრამვაის აჩერებდნენ

სოფელში გაზრდილ ადამიანს — ქალია თუ კაცი, ერთი გრძნობით მეტი აქვს. ეს ან მიწის ალღოა, ან რაღაც ზნის, რომელსაც ვერ ახსნი... იგი მათშია, მათი სამყაროდან მოდის.

ჩემს სოფელში მაგალითად, სიმღერით ფასობდა ქალი და კაცი. სიმღერის „ეპიდემია“ მათ ერთმა მეფანდურემ გადასდო. ის მეფანდურე სიმღერის მასწავლებელი იყო. შიუაანთ დათას ეძახდნენ. არც უმაღლესი განათლება ჰქონდა, არც მუსიკალური. უბრალოდ, მომღერალთა ოჯახიდან იყო და ბალღობიდან ფანდურებს თლიდა. ჯარიდან ჩამოვიდა თუ არა, დეიდაჩემი ითხოვა. დეიდაჩემი ოთხ ხმაზე მღეროდა, თანაც იმსიმსხო ნაწნავები ჰქონდა, თავი უვარდებოდა უკან. ჰოდა, მოეწონა შიუაანთ დათას. ისიც სკოლაში მოიყვანა და მოსწავლეთა გუნდი ჩააბარა. დირექტორმა ალიაქოთი ატეხა: მაგის ხელფასი საიდან მოვიტანოო. — არსაიდანო, — უთხრა დათამ და თავისი ხელფასი შუაზე გაუყო. მერე სულ წავიდა სკოლიდან და მეფანდურეთა ანსამბლი ჩამოაყალიბა. ისე გაითქვეს სახელი, რაიონში იწვევდნენ ხალხური შემოქმედების დათვალიერებაზე, ზოგჯერ კი რესპუბლიკურ ფესტივალებზეც დაჰყავდათ. გუნდი გუნდია, მაგრამ სოფელიც ისე იყო აყოლილი სიმღერის ხმას, თითქოს მთელი დღე ჯაფაში არ ყოფილიყვნენ, ან მეტი საქმე არ ჰქონოდათ. გაღმა-გამოღმა გორაკებზე წამოსკუპებული სახლებიდან მუდამ ტკბილი ჰანგები იღვრებოდა. ყველა ოჯახში დათა ძიას გათლილი ფანდური ეკიდა და თაობებიც მის ანსამბლში იყო გამოზრდილი. სიცოცხლის ბოლო წლებში სახერხი საამქროს ყარაულად მუშაობდა. იქ ვნახე. ტაბურეტზე იჯდა, მზეს მიფიცხებული. კალთა ბურბუშელით ჰქონდა სავსე. მორის გადანაჭერზე ფანდური დაედო და დაკოჟრილი ხელებით უნატიფესი ჩუქურთმები გამოჰყავდა.

— მაინც რამდენი ფანდური გექნება-მეთქი გათლილი, — ვკითხე.

— ოცდაათ წლამდე — ხუთასი. მერე აღარ დამითვლია, მაგრამ უნდა იყოს ასე, ათას ხუთასი...

— ?!

— რა გიკვირს? ცხრა წლისა ვიქნებოდი, პირველი ფანდური რომ გავთალე. ერთი კვირა ვიწვალე და რომ მეგონა ფანდურს ვაკეთებ-მეთქი, გაჩორკნილი გეჯა გამომივიდა. გავბრაზდი, შემოვანარცხე ბოძს, ნაფოტებად ვაქციე. ჩამოვჭერი თუთას ტოტი და საქმეს თავიდან შევუდექი. დედის ძმამ მიყურა, მიყურა, ჩემს ცოდვილობას ვერ გაუძლო და ბეღლის აივანზე გამიმართა დაზგა. იარაღებს პირი გაუსინჯა, სათითაოდ გადმომიყარა — გალესეო. გავლესავ, გაისვამს გაბანჯგვლულ მკლავზე, ისევ გადმომიგდებს — ბეწვი არ მიაქვსო. ძლივს მომიწონა ნახელავი. თან დამარიგა, დაიხსომე: იარაღის ლესვა რეგვენს მოცდენა ეგონაო. შალაშინის ხმარებაც მასწავლა, ხეზე კვეთაც. ვენახის თავში დიდი, შავი თუთა ედგათ. ის ხეც მაჩუქა — ტოტები ახმება, მაინც ვეღარ ივარგებს, მოჭერი და უკირკიტეო. კირკიტში ათი ფანდური დამიბლაგვდა. მეთერთმეტეზე ცოტა გავიმართე. მერე და მერე გიყვარდეს, დაიწყო ნარნარი. ლარებს ჩემი უფროსი და სონია გამართავდა ხოლმე. გამოვილე ხელი და ვთლიდი საჩუქრებად, ქორწილებში გადასალოცად, შეკვეთებიც მქონდა. დიდი ანსამბლებისთვის ზოგჯერ ერთად 70 ფანდური დამიმზადებია. დედაჩემი ფანდურს კარგად უკრავდა. მულებსა და შვილებს ხომ ასწავლა და ასწავლა, როცა მოიცლიდა, სოფლის გოგო-ბიჭებსაც შემოისხამდა გვერდით და იმათაც ასწავლიდა. ისინი კიდევ სხვებს... ასე ამღერდა მთელი სოფელი. ეს ჩემი დები (ოთხნი იყვნენ) ხომ ფანდურს თავგადაკლულები უკრავდნენ, ბაბოჩემმა მზითვად მოყოლილი დაირაც ამოიღო სკივრიდან — მაინც ტაშფანდურში ათენ-აღამებთ და ბარემ ლხინს მადლი დაადევნეთო. უმცროსი და — მარიკა ქალაქში რომ გავათხოვეთ, დედამთილმა გიტარაც უყიდა. მე შენ გეტყვი, ვერ დაუკრავდა თუ რა — გადარია ქმრის ნათესავები. უბნის ბალღები ფაეტონებით დაჰყავდათ მარიკასთან „მუსიკაზე“. მარიკას მაზლებმა და ქმრის ბიძაშვილებმაც ჩვენი სოფლის ლამაზ-ლამაზი გოგოები დაითითოვეს. ავლაბრის ძველი ბაზრის ახლომახლო ცხოვრობდნენ. ერთად რომ შეიყრებოდნენ, მათი სიმღერის მოსასმენად ტრამვაის აჩერებდნენ.

ჰაი, დედასა... რა გუნდი გვყავდა სოფელში მე და დეიდაშენს? ხმები ჰქონდათ, ყრუოლას მოგგვრიდა. ეგენი რო „ალილოს“ დააგუგუნებდნენ, „ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა“. ერთი ობოლი ბიჭი იყო სოლისტი. თენგიზი ერქვა. გალეული, ყბა-ყბაში გაცმული. იმას ხმა ამოსდიოდა ყელიდან, ლამფა ზანზარებდა ხოლმე მაგიდაზე. წავიყვანე ერთხელ წინასაახალწლო ზეიმზე ეს ჩემი ტალიკ-ტალიკი გოგო-ბიჭები რაიონში. პირველი ადგილი ავიღეთ და დასკვნით კონცერტზე მიგვიწვიეს. დიდი საღამო გაიმართა, ნაძვის ხე, მხიარულება... გაიცნეს ახალგაზრდებმა ერთმანეთი. ერთმა მაშინვე მითხრა — დათა ძია, ჩასიძება მწადია, უარს ხომ არ მეტყვითო. რუსუდანი მოეწონა თურმე. — ძნელი საქმეა, მამა ჰყავს უჟმური, ეგ რომ უხსენო, სილას გაგაწნავს-მეთქი. გამაწნასო. ერთი ალიყური კი მიიღო მართლა, მაგრამ იმდენი ქნა, ჰოობა ათქმევინა მამამისს. მერე იმას სხვებიც მიჰყვნენ. ამ კუდრაჭებს არ შეუკრავთ პირი? თორმეტი ქორწილი დაინიშნა ძველ ახალ წელს. შვიდი რძალი მოვიყვანეთ, ხუთი სხვაგან გაგვითხოვდა... ერთი ოჯახიდან მეორეში გადავრბოდით სიძიან-პატარძლებიანად. მთელი ღამე ეგრე გავატარეთ — მეკვლეობა-მილოცვა სიმღერაში. ეს იყო საოცარი ახალი წელი. ოთხმოცის მოვიყარე და ასე ტკბილ მოგონებად არაფერი შემომრჩენია. ვიღას ახსოვდა დასკვნითი კონცერტი, ჩავშალეთ და კიდეც გამომაპანღურეს სამსახურიდან. იმის მერე აქა ვზივარ, მაინც ვთლი, რა ვიცი, იქნებ მომავლებმაც...

***ეთერ თარიმანი***



საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით
ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.
გზამკვლევი უფასოა
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge
iris პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

# პატარძალი, სახელად ნახულა...

## ვინ იცის, იქნებ „კვირის პალიტრას“ ნახულას დედაც კითხულობს

ნათესავებმა ქორწილში დაგვპატიჟეს და კიდევ ერთი ახალი ქართული ოჯახის შექმნით გახარებულმა სიამოვნებით მივიღე მიწვევა...

პატარძალი 18 წლისა იყო, ნეფე — 20-ის.

— ნახულა ჰქვია და რომ იცოდე მაგის დაბადების ისტორია, გაგიჟდებიო! — მითხრა სიძის ბებიამ და ცნობისმოყვარეობა გამიღიზიანა, არადა, არც ჩემს კითხვებს უპასუხა — სხვა დროს გიამბობ, ახლა ხელს ნუ მიშლი, ჯვრისწერის ცქერა ძალიან მიყვარსო!...

— ჯვარს იწერენ მხევალი ღვთისა ნახულა და მონა ღვთისა კონსტანტინე-ე-ე! — წამღერებით თქვა მღვდელმა და ბედნიერ წყვილს პირჯვარი გადასახა...

ბევრი ვიწრიალე, მაგრამ არც ჯვრისწერასა და არც ქორწილზე ჩემთან საუბარი არავინ ისურვა, არადა, შინ მისულმა ვერაფრით ამოვიგდე გონებიდან იმაზე ფიქრი, თუ რატომ უწოდეს მშვენიერ გოგონას ადამიანისთვის ასე უჩვეულო სახელი?!..



ერთი დღე ვითმინე, ორი და... მესამე დღეს დეიდა ფატის მივადექი კარს, სიძის ბებიას — ვინც პირველმა მითხრა, ნახულას „გასაგიჟებელი წარმოშობის“ შესახებ.

— მე კი ვიცი ყველაფერი, მაგრამ თუ ნახულა და დედამისი არ ისურვებენ, ვერაფერს გეტყვი, ხომ გიცნობ, ვინც ხარ — ეჭვიც არ მეპარება, საგაზეთოდ გამოიყენებ ამ ამბავს, ქვეყანას მოსდებო! — და უცებ გამოსავალიც იპოვა, — ნახულას დედას, ლილის დავურეკავ და თუ უარს არ იტყვის ჩვენს სტუმრობაზე, ვეწვიოთ, თავად უკეთ და დაწვრილებით მოგიყვება ყველაფერსო!..

საბედნიეროდ, ქალბატონ ლილის უარი არ უთქვამს და ორიოდ საათში მე და დეიდა ფატი მის პატარა, მყუდრო ბინაში უგემრიელეს ყავას მივირთმევდით კეთილ მასპინძელთან, რომელსაც დროდადრო ცრემლი უკრთოდა თვალში:

— ძალიან მინდოდა ჩემი ნახულას დროულად გათხოვება და საიმედო პატრონისთვის ჩაბარება, ღმერთს სწორედ ასეთ ბედს ვევედრებოდი მისთვის და დიდება უფალს, რომ შეისმინა ჩემი. მაგრამ ძალიან ცუდად ვარ ჩემი გოგონას გარეშე, ასე მგონია, ქვეყანა ერთბაშად დაცარიელდა — ჩიტივით დაჭიკჭიკებდა სულ, მღეროდა, ტიკტიკებდა...

— ალბათ გვიან გათხოვდით, ქალბატონო ლილი?! — ვკითხე მორიდებით ქალბატონს, რომელიც აშკარად ექვს ათეულს იყო გადაცილებული და 18 წლის გოგონა შვილად კი არა, შვილიშვილად უფრო შეეფერებოდა...

— როგორ, თქვენ არაფერი იცით ჩემი და ნახულას დედაშვილობაზე? — გაიოცა ქალბატონმა ლილიმ, თუმცა კი კითხვა ჩემზე მეტად, დეიდა ფატისთვის იყო განკუთვნილი და მანაც არ დააყოვნა განმარტება:

— ხომ იცი, ინგა ჟურნალისტია და ამ ამბავს საგაზეთოდ გამოიყენებს, შენი ნებართვის გარეშე როგორ ვეტყოდი?..

— ან დასამალი რა არის, როცა სიმართლე ყველამ იცის, ნახულამაც კი. დამალვა არც მიფიქრია, რატომ უნდა მეცხოვრა შიშით, დაფარული ადრე თუ გვიან ხომ გამჟღავნდებოდა?

გათხოვილი არ ვყოფილვარ. რა ვიცი, ასე ინება ღმერთმა. თუ სხვაზე უკეთესი არა, არც სხვაზე ნაკლები გოგო ვიყავი, მაგრამ არ მომეცა ბედი. გაუთხოვრობა ყველასათვის მძიმე ჯვარია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში იგი განსაკუთრებით ძნელი იყო — 1938 წელს ვარ დაბადებული, 66 წლისა ვარ უკვე... სამი წლის ვიყავი, მამაჩემი რომ დიდ სამამულო ომში გაიწვიეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა. მარტოხელა დედამ გამზარდა ერთადერთი შვილი. მისი ოცნება ის იყო, დროზე გავეთხოვებინე და რაც შეიძლება მეტი შვილი გამეჩინა...

ინსტიტუტი დავამთავრე, სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად დავიწყე მუშაობა და სხვის შვილებს შევალიე ის სითბო და სიყვარული, ჩემი შვილებისთვის რომ ვაგროვებდი... სანამ დედა ცოცხალი მყავდა, კიდევ არა მიშავდა, მაგრამ 1985 წელს დედაც რომ დავკარგე და ხმის გამცემიც აღარავინ დამრჩა, დეპრესიაში ჩავვარდი, ჩავიკეტებოდი სახლში და ვტიროდი... თავის მოკვლაზეც ვფიქრობდი მარტოხელა სიბერეზე ფიქრით შეშინებული და ამ დროს მოხდა ჩემს ცხოვრებაში სასწაული, რომელმაც მაშინ ძალიან დამაბნია, მაგრამ ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ღმერთმა ამით გადამარჩინა...

1986 წლის ადრიანი გაზაფხული იდგა. სკოლიდან ბაზარში გამოვიარე სანოვაგის საყიდლად...

აღარც მახსოვს, რას ვყიდულობდი, რომ ვიღაც გოგო მომიახლოვდა, ასე, 17-18 წლისა იქნებოდა. ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ დაღლილი და ნატანჯი გამომეტყველება ჰქონდა. ხელში გაცვეთილ საფენებში გახვეული ჩვილი ეჭირა. მთხოვა, ბავშვი ორიოდე წუთით დამიჭირეთ, ტუალეტში შევალო. არც მიფიქრია უარის თქმა, გამოვართვი და კუთხეში მივდექი მის მოლოდინში. ბავშვს დავხედე, ისიც დედასავით ლამაზი იყო და მშვიდად ეძინა...

დრო გადიოდა, ახალგაზრდა ქალი კი არ ჩანდა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც და ტუალეტში ძებნა დავუწყე, მაგრამ ამაოდ... დავიბენი, ამასობაში ქალები შემომეხვივნენ. ვიღაცამ მომახალა, ეტყობა, ნაბიჭვარი მოგიგდო, თავიდან მოიშორაო!

დაბინდდა, ბავშვმაც გაიღვიძა და ატირდა... ბაზრის ადმინისტრაციაში ჩემი მისამართი დავტოვე — აუცილებლად გამოჩნდება და ჩემთან მოასწავლეთ, მოვიდეს, შვილს მოვლილს დავახვედრებ-მეთქი — და ბავშვი შინ მივიყვანე. სასწრაფოდ ვუხმე მეზობლის ქალებს. ერთს ჩვილი ბავშვი ჰყავდა და იმან მოაწოვა ძუძუ, საფენებიც მომცა... გოგონა აღმოჩნდა და რადგან რაიმე საბუთი და წერილი არ აღმოაჩნდა — მოფერებით „ნახულას“ ვეძახდი, რომელიც მერე სხვებმაც აიტაცეს...

...დედამისი აღარ გამოჩენილა. ერთი თვის შემდეგ მილიციაშიც განვაცხადე ნაპოვნი ბავშვის შესახებ და ნამდვილი დედის გამოჩენას რომ არ დაადგა საშველი, მომთხოვეს — ბავშვთა სახლს უნდა ჩააბაროო. იქაურობისთვის როგორ გავიმეტებდი ნამცეცა გოგოს? რაც ის ჩემს სახლში შემოვიდა, თითქოს თავად უფალმა დაივანა ჭერქვეშ... მეზობლები და მეგობრები დამიდგნენ გვერდით და ნახულა ვიშვილე...

დედამისს რომ მოეკითხა, შვილთან შეხვედრას არ ავუკრძალავდი, პირიქით — ჩემთან დავტოვებდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდმა გაჭირვებამ ათქმევინა შვილზე უარი. არადა, რომ გამოჩენილიყო, იმას ვაღიარებდი შვილად, ნახულას კი შვილიშვილად გავზრდიდი — 48 წლის ვიყავი და ბებიობაც შემეფერებოდა უკვე...

ბევრი გაჭირვება გამოვიარე, მაგრამ მაინც ბედნიერად ვთვლიდი თავს, ნახულასთან ერთად ცხოვრების შიში გამიქრა... კარგი ზნის ბავშვი გამოდგა, სკოლაც წარჩინებით დაამთავრა, ინსტიტუტშიც ჩააბარა და კოტიკომაც იქ შეამჩნია ჩემი ნახულა, მერე მისი მშობლებიც ჩაერივნენ საქმეში და რაკი ბიჭი და მისი ოჯახი არ დაიწუნებოდა, უარი არ ვთქვი. რა ვიცი, ხანში ვარ შესული, აწი სიკვდილზეც უნდა ვიფიქრო და არ მინდოდა გოგონას მარტო დატოვება!..

იმ დღეს გვიანობამდე შემოვრჩი დეიდა ფატისთან. გამომშვიდობებისას მითხრა: ვინ იცის, იქნებ „კვირის პალიტრას“ ნახულას დედაც კითხულობს და იცოდეს — სიხარულით შევხვდებით, ახალგაზრდობაში შეცდომა ვის არ დაუშვია, დღემდე მჯერა, რომ გაჭირვებამ დაათმობინა შვილიო...

ღმერთმა ქნას, „კვირის პალიტრა“ კიდევ ერთი ლამაზი და ამაღელვებელი შეხვედრის მიზეზი გახდეს!..

***ინგა ჯაყელი***

# შეჩერებული წამი

# მანძილი – ერთი საუკუნე

ქვეყანა ფუტკრის სკასავით იყო არეული... კაპიტალიზმი იკიდებდა ფეხს...

სოფლებიდან უფრო ინტენსიურად ჩადიოდნენ ქალაქში — ვინ ცხენით, ვინ ურმით, ვინ ფეხით...

XX საუკუნის ბოლოს ოზურგეთში, პირველი „სარეისო“ ტრანსპორტი გამოჩნდა — ეს იყო მარკოზ ანდღულაძის ეტლი, რომელიც ყოველდღე მოძრაობდა შემდეგი მარშრუტით — „ოზურგეთი-ასკანა“.



„მარკოზას ფაიტონს“ (ასე ეძახდნენ) 6 მგზავრის წაყვანა შეეძლო; ორი სალონში თავსდებოდა, ორი — საფეხურებზე(!), ორიც უკან ჩამოჯდებოდა ხოლმე...

...ამ ფოტოზე (იგი 1901 წელსაა გადაღებული) კი მარკოზას 6 მგზავრის ნაცვლად, მხოლოდ ერთი მიჰყავს! — ფაეტონში თავმომწონე გურული დაბრძანებულა და საუკუნის მიღმიდან გამოუცნობი ღიმილით გვიმზერს...

უცნობ გურულს ვაჭრობაში გამართლებია, ძველებური ჩოხა გაუხდია, გვერდზე ჩახსნილი, ღილებიანი ხალათი შეუკერავს, ოღონდ „აზიაცკებს“ ვერ შელევია... მოკლედ, მიდის „მარკოზას ფაიტონით“ და ქვეყანა თავისი ჰგონია.

არადა, ამ ამაყ გურულს მთელი ერთი საუკუნე ერთ წამიერ გამოხედვაში დაუმწყვდევია თითქოს...

# უჩინო ქართველი მანდილოსანი



ასეთი ქალები გვყოლია საუკუნეების წინათ...

სუსტ მხრებზე ყოველთვის ედოთ დედის ტვირთი, მაგრამ მაინც მხნედ და იმედიანად, უფრო მეტიც, მოხდენილად გამოიყურებოდნენ...

მათი მზითევი, უმეტესწილად, ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ იყო...

მათ ზედმიწევნით იცოდნენ ქართული ენა, ხელსაქმე, „ბიბლია“ და ლოცვანი...

ყველა „მდიდარი“ იყო: ეს სიმდიდრე კი გახლდათ კდემამოსილება, გონიერი სიტყვა-პასუხი, მოვალეობის გრძნობა ქვეყნის, ოჯახისა და შვილების წინაშე...

...ამ ფოტოზე, რომელიც სოფელ ქვემო აბაშაშია გადაღებული ჯერ კიდევ 1885 წელს, ერთი ასეთი ქართველი მანდილოსანია გამოსახული — სალომე აბულაძე-ნიკოლაიშვილისა.

როგორც ფოტოდან ჩანს, დროს უკან არ რჩება ჩვენი არცთუ ისე ახლობელი წინაპარი, მეტიც, მოდასაც ფეხს უწყობს, რასაც ხაზს უსვამს მისი სამოსი და ორიგინალური თავსაბურავი.

სწორედ ამგვარი თავსაბურავებით დღესაც იწონებენ თავს ყოველწლიურ გამოფენაზე ინგლისელი დიდგვაროვანი და მილიონერი ქალბატონები...

# ბაზრობა და ლელობურთი გურიაში

## გემების რისხვა – კოწია ყაჩაღი

ბახვში, ღვთისმშობლობისას, დილის წირვის მერე დიდი სახალხო დღესასწაული იმართებოდა. იმ დღესაც აუარება სტუმარს, ცხენოსანს, ხარ-ურემს მოეყარა თავი. მინდორზე დაფენილ ჭილოფებზე ათასგვარი რამ იყო გამოფენილი — საოჯახო ნივთები, სპილენძის ნაკეთობანი, ქვისა და თიხის კეცები, ხისგან დამზადებული სხვადასხვა ნივთი, შინ ნაქსოვი აბრეშუმის დარაიები, ტილოები, საჭმელ-სასმელი, შინაური პირუტყვი, ბედაურები...

...დღესასწაულზე მოზეიმე ხალხის რიგებში „სტრაჟნიკებმა“ თავისუფლად მოსეირნე ცნობილ ყაჩაღს, კოწია ჭელიძეს მოჰკრეს თვალი; ოცდაათამდე იარაღასხმულმა პირდაპირ თავდასხმა ვერ გაბედა, ხალხის შეეშინდათ და ოზურგეთში, მაზრის უფროსთან კაცი აფრინეს — დამხმარე ძალა გამოითხოვეს. კოწიას ვაჟკაცობის შესახებ ათასგვარი ხმა დადიოდა:

თუ ნაგომრელ დოლიძეზე ამბობდნენ, მატარებელს მისდევს ცხენდაცხენ და ძარცვავსო, კოწიას იცნობდნენ, როგორც გემების რისხვას:

— გემზე ეიპარება აი ჩვენი კოწიე, შვა ზღვაში რომ გავლიენ, გააჩერებიებს, წაართუმს ჩვენს ქონებას და მერე მუა ნაპირისკენ, მუარღვევს ტალღასო... — ამბობდნენ გურულები.

აქ კი, დღესასწაულზე, ხალხის გაფრთხილებამ, „სტრაჟნიკები“ დადიანო, კოწია ვერ შეაშინა. ძებნილი ყაჩაღი უშიშრად ილხენდა და საცეკვაოდაც კი ჩამოუარა. შუადღისას ოზურგეთიდან დამხმარე ძალა — ოცამდე „სტრაჟნიკი“ ამოვიდა, იქ მყოფთ შეუერთდნენ და მოულოდნელად შეიჭრნენ ხალხში, სულ ერთიანად დააწიოკეს დიდ-პატარა, აქეთ-იქით გაყარეს და კოწია ალყაში მოიქციეს. სოფლელები თავდაპირველად შეშინდნენ, მერე კი რუსებს ყველაფერს ესროდნენ, რაც ხელში მოჰყვებოდათ: ამასობაში კოწიამ მოახერხა რკალის გარღვევა და გაიქცა. „სტრაჟნიკები“ ფეხდაფეხ გამოედევნენ. უცბად კოწიამ ჩანთიდან ოქროს ფულები ამოყარა და მიწაზე მოაბნია. რუსებს სულ დაავიწყდათ ქვასროლია გლეხებიც და კოწია ყაჩაღიც — ოქროს ფულებს მისცვივდნენ და ძლივს ხელში ჩაგდებული ეს ყაჩაღიც უპრობლემოდ გაიქცა.

რუსეთის მეფის მოხელეებმა ვერც სხვა დროს შეძლეს კოწია ყაჩაღის შეპყრობა...

## „ლელობურთის დედუფალი“

სოფელი ორად გაიყო: ზემოურებად და ქვემოურებად. თითოეული მხრიდან ას-ასი მოთამაშე გადათვალეს. მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ მოსაზღვრე სოფლების მოხალისეებიც დაეხმარებინათ; აღმოსავლეთით მცხოვრები ვაკიჯვრელები, ფამფალეთლები, ბასილეთლები, ასკანელები და ოქროსქედელები ზემო ნაწილს ემხრობოდნენ; ბაღდათის, ნასაკირალის, ნაგომრისა და ძიმითის წარმომადგენლები დასავლეთელებთან ერთად იბრძოლებდნენ. ეს უკანასკნელნი, მაინც უთანასწორო „ომისთვის“ იყვნენ განწირულნი: მახარაძეებს ბახმაროდან ცხენების რემა არ ჰყავდათ ჩამორეკილი და ცხენოსანი მხოლოდ 12 იყო, როცა ზემოურებმა 60-ზე მეტი მხედარი გამოიყვანეს.

ბრძოლის ველის გასწვრივ ბაირაღიანი ჯოხები დაერჭოთ, მაგრამ მშვენივრად იცოდნენ, რომ წინასწარ მონიშნულ მიმართულებას არავინ აქცევდა ყურადღებას. არავინ იცის, საით ნახავდა გასაქცევს ბურთიანი კაცი, რომ მოხელთებული ბურთი თავის მხარეს, მონიშნულ ადგილზე დაებრუნებინა. აკრძალული არაფერი იყო, გარდა „გულისმოსვლისა“ და თამაშის ჩხუბად გადაქცევისა. შარაგზისა და ორღობეების წინასწარ მონიშნული ადგილები ყურის მგდებლებსაც გაენაწილებინათ. თორმეტამდე სოფლიდან ექვსი ათასამდე ქალი, კაცი, მოზარდი მოსულიყო; ლელობურთი სწორედ რომ კარგი საყურებელი იყო და დიდ ინტერესს იწვევდა.

შუადღისათვის ასეულობით ადამიანი სოფლის შუა ადგილისკენ — სიმონ ქიქოძის კუთვნილი მიწისკენ დაიძრა: აქედან იწყებოდა ყოველთვის თამაში — აქ იყო შუა ადგილი.

...მამასახლისმა ბურთი ააგდო. ლელობურთი ეშხში შევიდა. მინდორი კარგა ხანს ვერც ერთმა მხარემ ვერ გადალახა... ზემოური ესოფ ქიქოძე ცხენით შევარდა მობურთალებში და ბურთი ხელთ იგდო თუ არა, ცენტრისკენ გაქანდა. ქვემოური აგია თენიეიშვილი კარგა ხანს სირბილით მისდევდა გაჭენებულ ცხენს, მოკლეზე მოუჭრა მანძილი — ორი-სამი მოსახლის ეზოზე გადარბენით დაეწია და ფაფარზე ჩამოეკიდა. ცხენმა ერთხანს ათრია, ბოლოს დაეცა და ესოფი მოიყოლა. ბურთისთვის ასზე მეტი მებრძოლი ზემოდან დაახვავდათ. ცხენიანები გარშემო თოხარიკობდნენ. ამ „ახორხლილი“ მასიდან, სასწაულით, აგია გამოძვრა ბურთით და სანამ სხვები გონს მოეგებოდნენ, დასავლეთისკენ ქნა პირი, მაგრამ ჩასაფრებული ასკანელები და ვაკიჯვრელები დაეტაკნენ. ისმოდა ყვირილი: „არიქა, წეიღეს ბურთი!“ ცხენიანმა ზემოურებმა იმძლავრეს, ერთიან გუნდს 15 ფეხოსანი მოწყვიტეს, თვალის დახამხამებაში დაეტაკნენ და წინასწარ მომზადებული თოკებით ხელები გადაუკრეს. იქ რომ ბრძოლა გრძელდებოდა — ოთხმა ცხენოსანმა ეს ხელშეკრული „ტყვეები“ ცენტრისკენ გაირეკა. ზემოურებს ბურთიც წაეგვარათ. ბურთისთვის და თავისიანების გამოსახსნელად ქვემოურებიც მორბოდნენ... აგერ, აგერ, აიტანეს ბურთი ზემოურებმა, დაეტაკა ანტონა ნაკაიძე, წაართვა ლელო და უკან გამოფრინდა; ანტონას თანაგუნდელები მისდევდნენ გვერდიგვერდ... აუარება ცხენოსანი ყიჟინით გამოედევნათ. ბურთი სროლით, ხელიდან ხელში მიიწევდა ქვემო „კერისაკენ“, უკვე მაყურებლებით სავსე ორღობეში მიქროდნენ.... როგორც იქნა, ვაკიჯვრელმა ცხენოსანმა აიტაცა გაქნეული ბურთი და შემოსეულ მოწინააღმდეგეებში ცხენი მოაბრუნა... უცებ აკივლებული სოფლელების რიგიდან ატლასისკაბიანი, ჩიხტიკოპით მორთული მანდილოსანი გამოიჭრა, ბურთის გამტაცებელს ცხენზე შემოუხტა, კისერში იმისთანა მოსცხო — ცხენიდან ძირს დასცა, ბურთს ხელი ჩაავლო და ელვის სისწრაფით ბედაური გააჭენა... ქვემოურებმა მოიგეს. იმ დღის გმირი ქალი — ათინო მიქელაშვილი აღმოჩნდა. გაოცებულმა და გახარებულმა თანასოფლელებმა მას „ლელობურთის დედუფალი“ შეარქვეს და ამ სახელით მოიხსენიებდნენ. ათინომ 96 წელი იცოცხლა, მაშინ კი, როცა თამაში მოიგო — არც მეტი, არც ნაკლები — 50 წელი შესრულებული ჰქონდა...

ლელობურთის დამთავრების შემდეგ ყველა უბანში 40-50-კაციანი სუფრა გაიშალა. სტუმარ-მასპინძლები ისე ზეიმობდნენ, თითქოს დიდი ომი მოეგოთ...

***ცირა ნიკოლაიშვილი***

# სკანვორდი ფრაგმენტებით





1. ერთკუზიანი აქლემი
2. ერთუჯრედიანი არსება
3. ერთგვარ საგანთა ჯგუფი
4. მართული აეროსტატი
5. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
6. მუს. ნაწარმოების სასინჯი შესრულება
7. „მუდმივი ქალაქი“
8. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი
9. ლოკომოტივების სადგომი
10. ქალბატონი გერმანიაში
11. დროის უმცირესი მონაკვეთი
12. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
13. მთიანი მხარე შუა აზიაში
14. ფრანგული ავტომობილი
15. იაპონური ნაციონალური სამოსი
16. დადებითად დამუხტული ელექტროდი
17. მამხილებელი გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ
18. ხორცის გამყიდველი
19. მახინჯი ქონდრისკაცი ევროპულ მითოლ.
20. მხარე საქართველოში
21. სასწავლებლის ტიპი
22. მინანქარი
23. დედმამიშვილი
24. ნაცვალსახელი
25. ლორების ჯოგი
26. დიდი ქვა
27. ტყის ავსული
28. ძვირფასი ქვა, იაგუნდი
29. მუზეუმი პარიზში
30. სახელმწიფო აფრიკაში




31. შენობის მაღალი სვეტი
32. არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი
33. გუმბათული სხეული
34. მამალი თხა
35. სირაქლემა
36. მინირესტორანი
37. რჩეული საზოგადოება
38. რამდენიმე თოფის ერთდროული გასროლა
39. პირი, რომელიც ადამიანებს გაურბის
40. ცეცხლგამძლე კარადა
41. ტკბილი კარტოფილი
42. ბეთხოვენის ოპერა
43. ავტორბოლა
44. წყალში ხსნადი საღებავი
45. რომის პაპის ბრძანებულება
46. პუშკინის მკვლელი
47. წყალქვეშა კლდე
48. რძის ნაწარმი
49. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
50. მატყლის საპალტოე ქსოვილი
51. მზის ქოლგა
52. მზის სისტემის პლანეტა
53. კორიდის მთავარი მონაწილე
54. ტაილანდის ფულის ერთეული
55. შუა საუკუნეების ესპანური სამანძიანი ხომალდი
56. ანტილოპას სახეობა
57. შექსპირის „მეფე..“
58. პანტომიმის მსახიობი
59. ნაბიჯი ბალეტში
60. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
61. პოლიციის წინამორბედი
62. სალბუნი
63. ბამბუკის დათვი
64. თურქი მემამულე
65. გრამატიკული კავშირი
66. სტალონეს მეტსახელი
67. იაპონური ჭიდაობა
68. არაბული სახელმწიფო
69. მეცნიერება



1. ოკრიბა; 2. ნარტა; 3. მედიტაცია; 4. პიკოლო; 5. კიმონო; 6. ვინოკური; 7. ტოროლა; 8. კუტი; 9. ფრაკი; 10. სიკოფანტი; 11. ბანანი; 12. ციტადელი; 13. სამბა; 14. ქორო; 15. ფრახტი; 16. დაცანი; 17. ტოტალური; 18. ტანკა; 19. ტირადა; 20. გინეა; 21. დიეტა; 22. ნუკრი; 23. კარაბინიერი; 24. ჰიდრატაცია; 25. ხმალი; 26. ჰონორი; 27. პლანეროიდი; 28. ანგოლა; 29. გულიაში; 30. სერირი; 31. რარიტეტი; 32. ტუბა; 33. ირაო; 34. აბი; 35. ტოტო; 36. მილანი; 37. კვადრატი; 38. ხერესი; 39. კარატე; 40. ობი; 41. მენიუ; 42. ცარცი; 43. ფიცი; 44. ვუალი; 45. შუ; 46. ელბა; 47. კოტე; 48. მალაყი; 49. ციცერონი; 50. კა; 51. ბაიტი; 52. ედი; 53. ნივეა; 54. იგუანა; 55. ერა; 56. ინდიანა; 57. ლარდი; 58. რანი; 59. გალერეა; 60. რური; 61. საკი; 62. ლიახვი; 63. ნივა; 64. იუდა; 65. პასტორი; 66. ნიანგი; 67. ლიანა.

1. მეგობრობა; 2. კონფლიქტი; 3. სიხარული; 4. სიყვარული.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

# თქვენთვის

## ბოლო დროს ხშირად ვიხსენებ წარსულს...

### „ვიცი, ისევ სხვა გიყვარს...“



*— ქალებისა არ მიკვირს, მაგრამ ნუთუ შეყვარებული კაცებიც გწერენ წერილებს და მოდიან რედაქციაში? — მკითხა ამას წინათ ერთმა ნაცნობმა. გამეღიმა და ვუპასუხე: ქალებზე ხშირად-მეთქი. არ გასულა ორიოდე დღე და, კარი „ცოცხალმა რესპონდენტმა“ შემოაღო.*

— ძალიან გთხოვთ, მომისმინეთ, მერე კი, არა როგორც ჟურნალისტმა, არამედ, როგორც მეგობარმა, მირჩიეთ რამე, — მთხოვა ახალგაზრდამ, რომელიც ზურად გამეცნო, — მეგონა, მოვახერხებდი ნათიას დავიწყებას... რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უმისობა...

*— მერე, რა გიშლის ხელს, მასთან მიხვიდე და ყველაფერი გულახდილად უთხრა?*

— მივედი კიდეც, მოვინანიე შეცდომა და პატიებაც ვთხოვე, მაგრამ ჩემი აღარ სჯერა. საქმე ის გახლავთ, რომ მე ცოლშვილიანი ვარ. ცოლი უსიყვარულოდ შევირთე. დრომ შეჩვევა და რაღაც გრძნობა თავისთავად მოიტანა, მაგრამ არა ის სიყვარული, რასაც მხოლოდ ნათიას მიმართ ვგრძნობდი. შვილი შვილია, მასზე გულს ვერასოდეს შევიცვლი, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიჭირს ცოლთან ცხოვრება.

ჩემი და ნათიას დედები თანასოფლელები არიან. მე ნათიაზე ორი წლით უფროსი ვარ. საზაფხულო არდადეგებს ყოველთვის სოფელში ვატარებდი. იგი მაშინ გავიცანი, როცა 17 წლის გავხდი. ისიც, ჩემსავით, ბებიასთან იყო სტუმრად. ძალიან შემიყვარდა, გვერდიდან აღარ ვშორდებოდი. თბილისშიც გავაგრძელეთ ურთიერთობა. ვურეკავდი, კინოში ან კაფეში ვეპატიჟებოდი. ისიც უარს არ მეუბნებოდა. ვგრძნობდი, მასაც ვუყვარდი. მე უკვე სტუდენტი ვიყავი და ერთი სული მქონდა, როდის დაამთავრებდა ნათია სკოლას. მალე გავიგეთ, რომ ჩემსა და ნათიას ბიძაშვილებს ერთმანეთი შეჰყვარებიათ. დაქორწინდნენ კიდეც. რას ვიფიქრებდი, მათი ბედნიერება თუ ჩვენსას ავნებდა. ამასობაში ჩვენი სიყვარულიც გამჟღავნდა. მშობლებმა და სანათესავომ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — უკვე ნათესავებად ვითვლებით და თქვენი დაქორწინება ქართულ ტრადიციებს შეურაცხყოფსო. ძალიან შევწუხდი. ვეცადე, გულში ჩამეკლა გრძნობა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მენატრებოდა მისი ნახვა, მისი ხმის გაგონება. ვურეკავდი, ვნახულობდი, ოღონდ ფარულად. ხშირად მისთვის დამირეკავს და არაფერი მითქვამს, უბრალოდ, მისი სუნთქვა მომისმენია, მეტი არაფერი. ისიც გრძნობდა, რომ მე ვიყავი და არ მიკიდებდა ყურმილს. ვერ გეტყვით, რატომ გვჯეროდა ბრმად უფროსებისა. გვეგონა, მეტიც, ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ეს მართლაც ასე იყო და ქრისტიანული სარწმუნოება აკრძალავდა ჩვენს შეუღლებას.

— როცა დავრწმუნდი, რომ ნათია ჩემი ვერასდროს გახდებოდა, სასმელს მივეძალე. ერთ-ერთ სამხიარულო სუფრასთან გოგონა გავიცანი, თვალში მომივიდა და ეგრევე ვაჯახე: ძალიან მომწონხარ, მოდი, ამაღამ გავიპაროთ-მეთქი. „გავიპარეთ“... დილით კი გოგოს მშობლები, ძმა და ბიძაშვილები თავს დაგვადგნენ. პირველად აზრზეც ვერ მოვედი, რას მედავებოდნენ, მერე ჩემ გვერდით ახალგაცნობილი გოგო დავაფიქსირე და მივხვდი, უღელში რომ მქონდა თავი გაყოფილი. ერთ თვეში მშობლებმა ქორწილიც გადაგვიხადეს. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, საკუთარი ქორწილიდან ნათიას მობილურით დავურეკე: ნათი, მიყვარხარ და მთელი სიცოცხლე მეყვარები-მეთქი. მან უკვე იცოდა ჩემი დაქორწინების შესახებ და მხოლოდ ეს მითხრა: ბედნიერებას გისურვებო. გავიდა დრო, ბავშვი შეგვეძინა. ის სახელი დავარქვი, რაც მე და ნათიამ შევარჩიეთ ჩვენი შვილისთვის. ხშირად ჩემს ცოლს ნათიად წარმოვისახავდი და დროებით მიიოლდებოდა მასთან ურთიერთობა... მერე და მერე, გამიჭირდა. მივხვდი, რომ მარტოსული ვიყავი. ცოლი ცუდი ადამიანი სულაც არ არის, კარგი დედაცაა, ვუყვარვარ, ზრუნავს ოჯახზე, მაგრამ... ძალიან გთხოვთ, უმადურად ნუ ჩამთვლით, სწორედ მოვალეობის გრძნობაა, რომ მაწვალებს. ნათიას ვთხოვე, ეპატიებინა უნებლიე შეცდომა და შევთავაზე, წავიდეთ უცხოეთში და იქ ვიცხოვროთ-მეთქი, დამცინავად მკითხა: სირაქლემასავით რომ იქცევი, გგონია, ჩვენს ამბავს ვერ გაიგებენო? მართალი გითხრათ, დავიბენი...

ამ ბოლო დროს ხშირად ვიხსენებ წარსულს. ერთხელ ნათია გადამეკიდა: გინდა თუ არა, დამიწერე, რას ფიქრობ ჩემზეო. მეც დავუწერე. ეს წერილები ნათიამ ჩემი ქორწილის შემდეგ ერთი მეგობრის ხელით უკან დამიბრუნა. როგორ ფიქრობთ, ასეთი გრძნობა შეიძლება გაცივდეს? ამ ჩანაწერებს, იცით, როგორ ვუფრთხილდები?! აი, ჯერ ჩემი ჩანაწერი: „ჩემო პატარა ანგელოზო, ძალიან მიჭირს შენი დახასიათება. ძალიან კარგი, ლამაზი, თბილი და გულიანი გოგო ხარ. ღირსი ხარ უსაზღვრო ბედნიერების.“ ეს კი ნათიას წერილია, რომელიც ქორწილამდე გამომიგზავნა. ეტყობა, გრძნობდა, რომ მალე ისეთი რამ მოხდებოდა, რაც დაგვაშორებდა: „არ ვიცი, რა უნდა მოგწერო, მე ხომ შენთვის სულ უცხო გავხდი. ადრე ბავშვივით გიხაროდა, ლექსებს რომ გიწერდი, ახლა კი თითქოს გაცივდი. ზოგჯერ ისეთ რამეს აკეთებ, საგონებელში მაგდებ: ნუთუ ეს ზურაა, ნუთუ ეს ბიჭი მიყვარს?.. ძალიან მინდა დაგივიწყო, მაგრამ ვერ ვახერხებ. მოდი, დაუსვი ჩემს ტანჯვას წერტილი და გაქრი ჩემი ცხოვრებიდან, ნუღარ შემეხმიანები. ვიცი, გამიჭირდება, მაგრამ მერე და მერე, როცა აღარ გამოჩნდები, მეც შევეგუები უშენობას. რა საშინელებაა, უშენოდ უნდა ვიცხოვრო, თუმცა შენზე ფიქრები და მოგონებები ხომ ყოველთვის ჩემთან იქნება.

გახსოვს, როგორ ამიხსენი სიყვარული? გახსოვს, როგორი ბედნიერები ვიყავით? ალბათ არ გვეწერა ერთად ყოფნა, ამიტომაც ღმერთმა ისეთი ბარიერი აღგვიმართა წინ, ვერასდროს რომ ვერ გადავლახავდით. რას ვიზამთ, ეგეთი ბედი გვქონია, თუმცა მე მაინც მინდოდა, განშორებისას ისეთივე თბილი ყოფილიყავი, როგორიც წლების მანძილზე და არა ასეთი სასტიკი და დაუნდობელი. ვიცი, შენც გიჭირს ჩემთან დაშორება და ამიტომაც ცდილობ, შენი ბუნების საწინააღმდეგოდ მოიქცე... მაინც მტკივა გული.

კარგი, ყველა ტკივილი მე დამიტოვე და მშვიდად შეუდექი მომავალ ცხოვრებას. განა გსაყვედურობ, პირიქით, მიხარია კიდეც, რომ მე ვიტანჯები და არა — შენ. შიშით ველოდები იმ წუთებს, როდესაც შენი გაბედნიერების ამბავს გავიგებ. ვგრძნობ, ეს ძალიან, ძალიან მალე მოხდება. ვიტირებ, ბევრს ვიტირებ და ვიდარდებ, მაგრამ ეს შენ არ შეგეხება. უდიდეს ბედნიერებას გისურვებ, იმიტომ, რომ მართლა ძალიან მიყვარხარ.

...ხომ შეიძლება მოხდეს სასწაული და ბედისწერამ შენი თავი დამიბრუნოს? მაშინ პირობას გაძლევ, რომ ასე უმიზეზოდ აღარ დაგთმობ, გულში ჩაგიკრავ და მთელი სიცოცხლე მოგეფერები... გეფიცები, არ მომბეზრდება!“

— როგორ ფიქრობთ, ამ წერილის დამწერს აღარ ვუყვარვარ? — მეუბნება ზურა. და აგრძელებს, — უნდა გითხრათ, რომ ჩემი შვილის დედა არ არის ჩემთან ბედნიერი. საკმაოდ მიხვედრილი ადამიანია და ერთხელ მითხრა კიდეც: ვიცი, ისევ ის „სხვა“ გიყვარს. თუ გადაწყვეტ ჩემგან წასვლას, ნუ მომატყუებ, ეს შენს ღირსებას არ ეკადრებაო. იგი ჩემს თვალში საოცრად ამაღლდა, მაგრამ პატივისცემისა და მოვალეობის გრძნობა სხვაა და სიყვარული — სხვა.

*თან ვეთანხმები ჩემს შეყვარებულ რესპონდენტს, თან — არა, მაგრამ გადაჭრით ვერაფერს ვეუბნები. პასუხი და რჩევა ისევ და ისევ თქვენთვის მომინდვია, ბატონო მკითხველო.*

**მარინა ბაბუნაშვილი**

## მეტყვით საიდან გაჩნდი?

**პატარები თურმე შეკითხვებით მეტად უხერხულ დღეში აგდებენ არა მარტო დედებს, ბებიებს, ბაბუებს, არამედ მამებსაც. როგორი საქმეა, 5 წლის შვილი რომ საღამოს მუხლზე ჩამოგიჯდება და იმის მაგივრად, საბავშვო ბაღის ამბები მოგიყვეს, სერიოზულად გკითხავს, — საიდან გაჩნდი, მამიკოო, ან კიდევ, როცა ოროსან შვილს ყურს უწევ, ერთხელ კიდევ შეახსენებ, რომ სწავლა უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა ადამიანის ცხოვრებაში, ის, შესმენის ნაცვლად, უტიფრად გეტყვის, — არც შენ გისკდებოდა სწავლით თავიო. მოკლედ, მამებისა და შვილების ურთიერთობის დროს წარმოქმნილ პრობლემებზე „სვეგამწარებული“ მამები გვიამბობენ.**

**ვალერი (42 წლის):** — პატარებმა თუ თვალი შეგასწრეს, რომ ერთი ფეხი გადაგიბრუნდა, თუ გაბრაზებულები არიან, სამაგიეროს ისე გადაგიხდიან, ისე შეგახსენებენ მარცხს, რომ გული გაგისკდება. უმცროსი ბიჭი მყავს, 7 წლის. ამას წინათ ძალიან გამაბრაზა და ვუყვირე, — შე ვირიშვილო, როგორ იქცევი-მეთქი. სკოლაში სწავლა რომ დაიწყო, მასწავლებელმა მიხმო. გამაგიჟა. ჩემი შვილის საკონტროლო წერის რვეულები მაჩვენა. რვეულს ეწერა ლუკა ვალერის ძე ვირიშვილი. საღამოს ბოდიში მოვუხადე ჩემს შვილს და დავპირდი, აღარასოდეს გაწყენინებ-მეთქი.

**თემო (31 წლის):** — საბავშვო ბაღში „განათლებულ“ მეგობრებს ჩემი 5 წლის ბიჭისთვის უთქვამთ, მშობლები გვატყუებენ, წეროს მოგიყვანათ, ან მაღაზიაში გიყიდეთო, ყველანი დედის მუცლიდან გავჩნდითო. ოღონდ ვერაფრით აუხსნიათ, როგორ მოხვდნენ იქ. ჩემი ლაშა ჯერ დედას დაკითხვია „წარმოშობის“ შესახებ. მას იოლად მოუცილებია, არ მცალია, ბებოს და ბაბუას ჰკითხეო. ლაშა ამაოდ ეცადა მათგანაც პასუხის მიღებას. როცა ბავშვი ვერაფრით მოატყუეს, თავიდან ასე მოიშორეს — მამაშენი გეტყვის, იმან გაგაკეთაო. ნიკუშა თვალებდაჭყეტილი მელოდა საღამომდე. თურმე ფიქრობდა, რომ მე ბურატინოს გამომთლელი მამილო კარლო ვიყავი და ნიკუშაც ხისგან გამოვთალე... მაგრამ ბავშვს ვერაფრით გაეგო, მერე როგორ მოხვდა დედის მუცელში. ათას ჭირის ოფლში გავიწურე, ვერაფრით დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა. ბოლოს, ვთხოვე, — მოდი, კაცურად შევთანხმდეთ, ამაზე რომ გესაუბრო, მომზადება მჭირდება და ცოტა დრო მომეცი-მეთქი. წარამარა მახსენებს, — მამა, მოემზადეო? ხალხი არა ხართ? მიშველეთ, რა ვქნა!



**გიორგი (34 წლის):** — ასე მგონია, ჩემნაირი უცნაური შვილები არავის ჰყავს. ამას წინათ ლევანს გავუწყერი ორიანების გამო. დავმოძღვრე, სწავლა ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ის განსაზღვრავს მის მომავალს და ა.შ. მიყურა, მიყურა და მიპასუხა: — აუ, მამა, ისე მელაპარაკები, თითქოს ცოდნით გისკდებოდეს თავი (არადა, ორი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული!). ამხელა კაცს ის ვერ გაგიგია, ნიაგარის ჩანჩქერი აფრიკაშია თუ ამერიკაში და წარმოდგენა არა გაქვს სპილოს შვილს სპლიყვი რომ ჰქვიაო... ჩამომითვალა „ცოდვები“. ჩემდა ჭირად, კროსვორდებს რომ ხსნის და დახმარებას მთხოვს, ჩემს საქმეებში ჩაფლული თავიდან მოსაშორებლად ვპასუხობ ხოლმე, არაფერი ვიცი-მეთქი. ამიტომაც გამომიყვანა უვიცი. ჩემს 8 წლის ქალიშვილს კი სარკის მეტი არაფერი აინტერესებს. ამის გამო გავუწყერი და მიპასუხა, — შენ არა ხარ ის კაცი, დედიკოს რომ ეუბნები — სარკესთან რომ მეტხანს იდგე, უფრო სექსუალური იქნებოდიო. მინდა სექსუალური ვიყო და სხვა არაფერი მაინტერესებსო. თან მეკითხება, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

**ირაკლი (38 წლის):** — დაბრკოლებებს უფრო უმცროსის, 6 წლის ანას აღზრდისას ვაწყდებით. უფროსები უკვე ისეთ ასაკში არიან, რომ გამაოგნებელ შეკითხვებს აღარ გვისვამენ. ანას ძალიან უყვარს ტელევიზორი, თანაც რახან მისთვის თითქმის არავის სცალია, მთელ „განათლებას“ ეკრანიდან იღებს. განსაკუთრებით უყვარს დოკუმენტური ფილმები. ერთ დღეს მეუბნება, რომ ჩემი და დედამისის ოჯახურ ბედნიერებას შეიძლება საფრთხე შეექმნას, რადგან შინიდან გასვლის წინ ჩვენ თურმე ერთმანეთის კოცნა გვავიწყდება და ამით სიყვარულს ვკლავთ. ანას ავუხსენი, რომ ის ვერ ამჩნევს, როდის ვახერხებთ მე და დედამისი ალერსიან დამშვიდობებას. ეჰ, შენ რას გამომაპარებ, ისიც კი ვიცი, წესიერი სექსუალური ცხოვრებაც რომ აღარა გაქვთ და საქმით დაღლილები ერთმანეთისთვის ვერ იცლითო. დამაინტერესა მისმა ასაკისთვის შეუფერებელმა მოსაზრებებმა. თურმე ჩვენი შვილი ეკრანზე ნანახისა და გაგონილის პრაქტიკულად გააზრებას ცდილობს და არა მარტო ჩვენ, მშობლებს, თურმე სტუმრებსაც აძლევს რჩევა-დარიგებებს. მაგალითად, ისეთი რაღაცების შესახებ, როგორიცაა არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან აცილება და რა ზიანი მოაქვს ქალისთვის აბორტს. მოკლედ, ტელევიზიამ ჩვენი შვილები სულ გააგიჟა...

**ეკა ლომიძე**

**ჩვენ გვწერენ**

## მინდა ქვეყანას გავაგებინო...

საოცარი დამთხვევაა, მაგრამ თავს უფლებას ვერ ვაძლევ, სახელები შევცვალო. ჩვენი რესპონდენტი მამაკაცის საოცნებო ქალსაც ნათია ჰქვია და გამოგზავნილი წერილის ავტორის შეყვარებულსაც. ოღონდ რესპონდენტი 28 წლის ცოლშვილიანი კაცია, წერილის ავტორი — 18 წლის ყმაწვილი და გვთხოვს, უახლოეს ნომერში დავუბეჭდოთ ეს ბარათი.

„მინდა ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარულის შესახებ გიამბოთ. უკანასკნელი იმიტომაა, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ამიერიდან სხვა არავინ შემიყვარდება.

...მეხუთე კლასში ვიყავი, როდესაც ჩვენს სკოლაში ახალი მოსწავლე გადმოვიდა, რომელმაც ჩემი გული მთლიანად დაიპყრო. ნათიას გარეშე წუთსაც ვერ ვძლებდი. ისიც დამიახლოვდა. მეგონა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი.

წელს, ჩვენი თანაკლასელის დაბადების დღეზე, შევიყარეთ მთელი კლასი. ნათია საოცრად ლამაზი იყო. ცოტა შევთვერი, მინდოდა ძალა მომეკრიბა სიყვარულის ასახსნელად. მეგობრებმა მარტო დაგვტოვეს და, როგორც იქნა, სიტყვებს თავი მოვუყარე. ასე მეგონა, ჩემი გულის ბაგაბუგი მთელ ქვეყანას ესმოდა. ძლივს ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, მან კი სიტყვის დამთავრებაც არ მაცალა, ისე მომიგო: როგორც მეგობარს, ისე გიყურებო. კინაღამ წავიქეცი, თვალთ დამიბნელდა...

იმ დღის მერე უაზროდ დავდივარ, თითქოს მთელი სამყარო თავზე დამექცა.

ნათია, შენი უარით ნუ გამაუბედურებ, გთხოვ, დაფიქრდი, ნუ ჰკრავ ხელს ამ დიდ სიყვარულს. ძალიან მიყვარხარ, შენი გულისთვის სიცოცხლესაც გავწირავ...

ნათია, მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, რომ მიყვარხარ და სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები.

„კვირისპალიტრელებო“, უმორჩილესად გთხოვთ, დამიბეჭდოთ ეს წერილი. ამ გრძნობას ველარ ვერევი და გემუდარებით, დამეხმარეთ.

**დათო, ლანჩხუთი“.**

# დედის წერილები



## „ცოტა ხნით მაინც ჩამოდით მაისობაზე“

ჯერ გიორგი წავიდა ამერიკაში, ორი წლის მერე მას უმცროსი და, ნატო, მიჰყვა.

რთული და არეული დრო იყო მაშინ. ბევრი ამბობდა: — აქაურობა 10-15 წელი მაინც არ დაწყნარდება, ამიტომ უცხოეთში წასვლა ჯობსო. გიორგის და ნატოს დედაც ასე ფიქრობდა, თუმცა, ნანას იმედი ჰქონდა, მისი შვილები 3-4 წელზე მეტს არ დარჩებოდნენ უცხოეთში და ქმარს შეუჩნდა: ბავშვებს ახლა უნდათ ხელშეწყობა. ახლობელი მპირდება, რომ ამერიკაში სწავლა-დასაქმებას მოუხერხებს გიორგის. მოდი, გავუშვათო...

ცდამ შედეგი გამოიღო. გიორგიმ სწავლაც დაიწყო და მუშაობაც, მერე დაც წაიყვანა. მალე იქიდან დახმარებაც წამოვიდა. თითქოს ყველაფერი იმაზე უკეთ აეწყო, ვიდრე ნანა, ან ახლობლები წარმოიდგენდნენ. მეტი რაღა უნდა ნდომებოდათ მშობლებს, დაქცეული ქვეყნიდან შვილებმა თავი დააღწიეს, უცხოეთში ადგილი დაიმკვიდრეს და იმდენს ახერხებდნენ, რომ ეხმარებოდნენ კიდეც... ეს შორიდან, სხვებისთვის იყო სასურველი და საუკეთესო, თორემ რაც დრო გადიოდა, ნანას სევდა იპყრობდა. ენატრებოდა შვილები, მარტოდ გრძნობდა თავს. ქმართან არც წლების მანძილზე ჰქონდა აწყობილი ურთიერთობა. საერთო არაფერი გააჩნდათ, გარდა შვილებისა. ხშირად ნანა არც აწუხებდა ქმარს, რადგან იცოდა, მაინც ვერ მიიღებდა თანადგომასა და მხარდაჭერას. მიეჩვია მარტო შეჭიდებოდა გასაჭირს. ხან სხვის ბავშვებს ამეცადინებდა სხვადასხვა საგანში, ხან ძიძად მუშაობდა რამდენიმე ოჯახში, მერე, ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაში ქართული კერძების მზარეულად აიყვანეს... ასე წვალებით არჩენდა ოჯახს, შვილებს განათლება მიაღებინა, თუმცა ხვდებოდა, ეს არ იყო საკმარისი, ამიტომაც გაუშვა ბიჭი საზღვარგარეთ. აქედანვე მინდა იცოდეს, რომ კაცია და გაცილებით მეტი ევალებაო, — არაერთხელ უთქვამს თავისი უმცროსი დისთვის, რომელიც ახლა ჩემი რესპონდენტია.

— შეხედულადაც მშვენიერი გოგო იყო ჩემი და და ბუნებითაც, — მეუბნება ქალბატონი ლია, თან ნანას ფოტოებს მათვალიერებინებს, — არაჩვეულებრივი დედა და და იყო, თბილი, მეგობრული. როგორც ცოლს და ქალს, გაცილებით მეტი შეეძლო და ქმრისთვის მაქსიმალურს გაიღებდა, მისგანაც რომ ეგრძნო თანადგომა, მაგრამ ისეთი უნიათო და უგრძნობი სიძე მყავდა, ნანასაც მოჰბეზრდა მასთან ლოლიავი. სანამ ბავშვები პატარები ჰყავდა, ჩავჩიჩინებდი, — გაშორდი, შენი შესაფერისი არ არის-მეთქი, მაგრამ ყოველთვის უკან იხევდა, ბავშვების გამო ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. ამბობდა ხოლმე, ისეთი გაუსაძლისი არაფერი სჭირს ელგუჯას, რომ ვერ ვაპატიოო... ერთი სიტყვით, შვილები რომ გაისტუმრა, ცოტა ამოისუნთქეს და ამ ჩემმა სიძემაც „თვალში გამოიხედა“ — 44 წლის კაცმა სხვა ქალი შეიყვარა. ჩემმა დამ ეს ვერ აპატია და გაშორდა. ყურადღებას არ ვაკლებდი, ხშირად ვიყავი მასთან, მაგრამ მაინც მარტო გრძნობდა თავს, ძალიან უჭირდა შვილების გარეშე. როცა გარდაიცვალა (ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა და ერთ წელიწადში გამოგვეცალა ხელიდან), მხოლოდ გიორგი ჩამოვიდა, ნატომ ვერ მოახერხა, ჯერ არ ჰქონდა „მწვანე ბარათი“ აღებული. ახლახან გათხოვდა — იქაურს გაჰყვა. აწი, როცა უნდა, მაშინ ჩამოვა, თუმცა ამის სურვილი რატომღაც არა აქვს. გიორგიმ ჩემი დის გაგზავნილი წერილები წამაკითხა, ვთხოვე, ორიოდ ბარათი მაინც დამიტოვე-მეთქი. უარი ველარ მითხრა. რამდენჯერაც არ უნდა წავიკითხო, ცრემლს ვერ ვიკავებ. რომ სცოდნოდა, აღარ დაბრუნდებოდნენ, არც წასვლაში შეუწყობდა ხელს, თუმცა გიორგი ალბათ ჩამოვა და სამშობლოში დარჩება კიდეც...

„ჩემო გიო, ჩემო ვაჟკაცო, ძალიან მიხარია შენი წარმატებები. რად გინდოდა, რომ ამდენი ფული გამომიგზავნე? შენი დაც მანდ არის, მე კი აქ მარტო ვარ და ცოტაც მეყოფოდა. თუმცა ახლობლებში იმდენი გაჭირვებულია, მათთვის პატარა დახმარებაც დიდი მადლია. ჰოდა, შენი სახელით ვიქველმოქმედებ. ტელეფონზე ჭირს ლაპარაკი, ამიტომაც ნუ დაიზარებ წერილის მოწერას. რას შვრება ნატო? მაგის ამბავი ვიცი, იოლად შეეგუებოდა მაქაურობას. გიო, ნუ მიწყენ და ერთი რამ უნდა გთხოვო: ჩემგან არ გამოვა, რომ მამაშენს რამე მივაწოდო. მინდა მამაშენს თავად გამოუგზავნო ფული, თუნდაც ორიოდ გროში, შენგან უფრო გაუხარდება. უკვე დიდი ხარ და ხვდები, არასოდეს გვიცხოვრია შეხმატკბილებულად, მერე ისეთი რამ მოხდა, ველარ ვიცხოვრებდი მასთან ერთად, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არც შენ, არც ნატოს, არც ერთს არ გეხებათ. ის მამაა თქვენი და შვილებისგან სითბოსა და პატივისცემას იმსახურებს. ახლა, აქაურ ამბებს მოგწერ, ხომ იცი, უსაქმოდ გაჩერება არ შემიძლია. შენი თხოვნა შევასრულე, აღარ ვარ დატვირთული, მაგრამ სულ შინ რა დამსვამს? პატარა გოგონას ვუვლი, სულ არ არის ჭირვეული, ისე მომეკედლა, როცა მოვდივარ, გამომეტირება კიდეც. შენს შვილს როდის მოვესწრები, ნეტავ? რა ვქნა, იქნებ, უხეშად ვერევი, მაგრამ არ მინდა უცხოელი რძალი. ვოცნებობ, შექმნა ქართული ოჯახი. ქართველმა მაინც სხვანაირი სიყვარული იცის, ნუ დახარბდები მხოლოდ გარეგნობასა და კომფორტს... თუკი მანდ ქართველს აღმოაჩენ და შეიყვარებ, მაგას რა აჯობებს, მაგრამ მაინტერესებს, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას? ნატო მეუბნებოდა, სამ თვეზე მეტხანს არ გავჩერდებიო. სადაცაა წელი შესრულდება, რაც წამოვიდა... ზოგჯერ ისე მომენატრებით, თქვენს ფოტოებს ვეფერები, მაგრამ მაინც ნუ იდარდებთ ჩემზე. ხომ იცით, მაგარი „გოგო“ ვარ, დარდსა და გასაჭირს ქედს არ ვუხრი, დარდმა როგორ უნდა დამჯაბნოს? ქართულ ოჯახზე რაც გითხარი, კარგად დაიმახსოვრე და ნუ დაივიწყებ. ეს ჩემი ჭირვეულობა კი არა, სურვილი და თხოვნაა. პასუხს ნუ დამიგვიანებთ, დროულად გამომიგზავნეთ. თქვენი და მხოლოდ თქვენი ნანა დედა.“

„გამარჯობა, შვილებო! გიორგი, რად გინდა მეორე სამსახური, გახარებული რომ მწერ, სხვაც ვიშოვეო?! როდისღა ისვენებ?

ნატო, ახალ თაყვანისმცემელზე მწერ, კარგი ბიჭიაო... მაინც როგორია? ნუთუ სერიოზულად ფიქრობ მასზე? ვერასოდეს წარმომედგინა, რომ ქართველის გარდა, სხვა ვინმე მოგეწონებოდა. ეგ ადრეც მოგწერე და მიპასუხე: იმიტომაც გაამართლა შენი იმედები მამაჩემმაო. ძალიან გთხოვ, მამას თავი დაანებე. ჩვენს ურთიერთობაში ნუ ერევი, რა ვქნათ, ცხოვრება არაა ისე მოწყობილი, რომ ყველაფერში გაგვიმართლოს... მიუხედავად ამისა, მე მაინც ქართველი სიძე მირჩევნია ცხვირგახვრეტილ და საყურეგაყრილ მაიკლს ან დევიდს... რა ვქნა, თუ ეს ნაკლია, იყოს ნაკლი. ყველაფრით შემკული ადამიანი არ არსებობს. მიხარია, რომ სწავლობ და მუშაობ. მაინც რამდენი წელი აპირებთ შენ და შენი ძმა მანდ დარჩენას? მწერდი, ერთი ამერიკელი გოგო გიჟდება გიოზე, მაგრამ ის არ აქცევს ყურადღებასო! ალბათ იმიტომ, დედა, რომ მას ქართული ოჯახის შექმნა უნდა. ნუ დამოძღვრავ და ნუ დააძალებ იმ ამერიკელთან მეგობრობას. ხშირად უთქვამთ, სიყვარულს ეროვნება არ აქვსო. ადრე მეც მეგონა, რომ ასე იყო, მერე და მერე დავრწმუნდი, არაა მართალი. დიახაც, ქართველმა სხვანაირი სიყვარული იცის, უფრო წმინდა და ამაღლებული. ნუ შემედავები ამაში. არ გახსოვს, ერთად ვკითხულობდით გალაკტიონის, ტიციანის, გოგლას ლექსებს. რას ამბობს გალაკტიონი: „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში... ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ალში, როგორც ლერწამქალწულები — აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში“. ან ნოდარ დუმბაძე რას წერს ქართულ ენაზე, არ გახსოვს? ეგ ხომ ამოწერილიც მქონდა, ხომ მოგწონდა, ვენახსა და ლოცვას რომ ადარებდა ქართულ ენას. იცოდე, მაშინ მოვკვდები, როცა ქართულს დაივიწყებ ან მშობლიურზე წინ უცხოს დააყენებ. შენც კარგად იცი და გიომაც, არაფერს ვიშურებდი, რომ თქვენ სათანადო განათლება მიგეღოთ, მაგრამ ჩემი შვილების „ლამაზ უცხოელებად“ გადაგვარებას ვერასოდეს შევეგუები. ნუ გეწყინება, წერილში რომ გმოძღვრავ. გამგზავრების წინაც დაგარიგე. თუ გინდა, გიორგი ჩამოვაო, — მწერდი. არა, არ მინდა მანდ მარტო დარჩე. თუ ჩამოსვლაა, ორივე ერთად ჩამოდით. გეტყობა, მოწყენილი ხარ და ვიზას გამოგიგზავნითო. მართალი გითხრათ, არ მაქვს მგზავრობის თავი, სუსტად ვარ. კარგი კი იქნებოდა, ცოტა ხანს თქვენთან ვიქნებოდი, თქვენი მონატრების სურვილსაც დროებით მოვიკლავდი და თვალს წყალს დავალევინებდი, მაგრამ ვგრძნობ, არ შემიძლია. ერთი ახლობელი დამპირდა, აქ ორივეს ვუშოვი სამსახურსო. ჰოდა, აქაც თუ კარგი ანაზღაურება გექნებათ, მშობლიურ გარემოში არ გირჩევნიათ ყოფნა?

გიო, დედა გენაცვალოს, ნუ გაგიკვირდება, რომ ასე დაჟინებით გთხოვთ ჩამოსვლას. ხომ იცი, ეგოისტი არასოდეს ვყოფილვარ. უკეთესი მომავალი რომ გქონოდათ, იმიტომაც შეგიწყვეთ ხელი, მაგრამ ხომ გაფრთხილებდით, იქ არამც და არამც არ დარჩეთ-მეთქი. უკვე ამდენი წელი გავიდა და ისევ უთქვენოდ ვარ. არ შეგაწუხებდით ჩემი წუწუნით, მაგრამ ვერა ვარ კარგად, უთქვენობით ვარ ავად, თორემ განა რამე მჭირს... მინდა განახოთ, ცოტა ხნით მაინც ჩამოდით, მაისობაზე. გიო, ერთი კარგი გოგო მყავს შერჩეული შენთვის. კი არ გაძალებ, მაგრამ მინდა გაიცნო, ეკა ჰქვია. გკოცნით ორივეს უთვალავს. გელით. დედათქვენი“.

ეს უკანასკნელი წერილი, 25 მარტსაა გაგზავნილი. ქალბატონი ნანა 28 აპრილს გარდაიცვალა თურმე. გიორგი მაისობაზე მართლაც ჩამოვიდა, რათა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა დედა. როგორც მისი დეიდა ამბობს, იგი აუცილებლად დაუბრუნდება სამშობლოს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# დედა ნახე, მამა ნახე...

**...დედამიწაზე ყველაზე კეთილი უბნის მილიციელი „კუკარაჩა“ ქალბატონ ანიკოს ეუბნება, — თქვენს ერთადერთ ვაჟკაცს „ღობის“ ძირში სიგარეტის მოწევისას წავასწარიო. გახსოვთ, რა მოხდენილად გააბოლებს ქალბატონი ანიკო სიგარეტს და როგორ დაუკარგავს დამოძღვრის სურვილს „კუკარაჩას“? დაახლოებით ასე დაემართა ერთ ჩემს მეგობარ სამართალდამცველს. მან საგზაო მოძრაობის დამრღვევი მცირეწლოვანი მძღოლის მარტოხელა დედას უხმო, თუმცა ამაოდ. აღმოჩნდა, რომ ზუსტად იმ დროს დედა პოლიციაში იმყოფებოდა, რადგან ავარია მოეხდინა. იმ ქალს გვარიანი „ჯარიმა“ აჰკიდეს. მაგრამ რად გინდათ, სამი დღის მერე ნასვამი მიუჯდა მანქანის საჭეს და ისე დალეწა, რომ ძლივს გადაურჩა სიკვდილს. თურმე ზოგჯერ მშობლები და განსაკუთრებით, დედები საბედისწერო გავლენას ახდენენ შვილებზე.**

**მაკა (34 წლის):** — სამწუხაროდ, სხვა გზა არა მაქვს, უნდა დაგეთანხმოთ, რომ ჩემს შვილზე ძალიან ცუდი ზეგავლენა მოვახდინე. როცა გავიგე, ჩემი 13 წლის ქალიშვილი სიგარეტს ეწეოდა, კინაღამ გავგიჟდი. მან კი გაოცებულმა გულწრფელად მკითხა, — დედა, თუ სიგარეტი ასე ცუდია, შენ რატომ ეწევი. ისევე, როგორც შენ და შენი მეგობრები, ჩვენ ცხოვრების თანამედროვე წესს მივდევთო. ჩემი შვილი დავარწმუნე, რომ ეს ცხოვრების თანამედროვე კი არა, ფრიად მანკიერი წესია. ახლა კი ვცდილობ, მასთან ერთად სამუდამოდ გადავეჩვიო ამ მავნე ჩვევას.

**მეგი (26 წლის):** — დედები მართლა განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ შვილებზე, განსაკუთრებით, ბიჭებზე. მე ორი შესანიშნავი ძმა მყავს. სამწუხაროდ, მამას უამრავი მანკიერი თვისება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ დედას მაინც უყვარდა და მისი ნებისმიერი საქციელის ატანაც შეეძლო, მას ჩვენ გამო გასცილდა. სულ ეშინოდა, ცუდი ზეგავლენა არ მოეხდინა ვაჟებზე. ჩემი ძმების ყოველ ნაბიჯს, თითქოს სუნთქვასაც კი აკონტროლებდა, თანაც ისე, რომ მათ არასოდეს უგრძნიათ თავი დათრგუნვილად. დაიჯერებთ, დედა ჩემს ძმებთან ერთად ბირჟაზეც მდგარა, ფეხბურთის მოედანზეც შვილებთან და მათ მეგობრებთან თამაშის დროს უმსაჯია. მე ნამდვილად ღვთაებრივი დედა მყავს და მჯერა, რომ ამით მართლა გაგვიმართლა მე და ჩემს ძმებს.



**ნატა (48 წლის):** — დედის საბედისწერო ზეგავლენის მსხვერპლი ჩემი 18 წლის რძალია. რაც დედაა, შვილიც ისაა — უზარმაცესი, პრეტენზიული და მეშჩანი. როცა რძლის ეს თვისებები აღმოვაჩინე, ვიფიქრე, მძახალს ვთხოვ დახმარებას, იქნებ თავის შვილს სასიკეთო რამ ურჩიოს-მეთქი. პირიქით, ჯერ მე გადამრია, მერე თავის შვილს შთააგონა, — შენს დედამთილს სძულხარო. ჩემი სულელი ვაჟი, ჩემგან მოთმინებანასწავლი თავისი კაპასი მეუღლის გამოხდომებს ჯერ იტანს, მაგრამ არა მგონია, ცოლის და სიდედრის ერთობლივ ტერორს ბოლომდე გაუძლოს. ისევ ჩემი რძალი აღმოჩნდება ცუდ დღეში.

**ქეთი (36 წლის):** — სამწუხაროდ, ვიცნობ ქალს, რომელსაც გული სწყდებოდა იმის გამო, რომ ცხოვრება თავის დროზე შავი სამყაროს წარმომადგენელს ვერ დაუკავშირა. ახლა ყველაფერი იღონა, 17 წლის ქალიშვილი ერთ-ერთი ე.წ. კანონიერი ქურდისათვის რომ მიეთხოვებინა, 13 წლის ვაჟი კი სიძეს მიაბარა აღსაზრდელად. ახლა მისი ვაჟი დაპატიმრებულია და დედა ამაყად დადის გისოსებში გამომწყვდეულ „ღირსეულ“ შვილთან მოსაკითხებით.

**ნინო (47 წლის):** — შვილი არ უნდა გაანებივრო. თუ თავიდანვე არ მოექეცი მკაცრად, სიცოცხლეს გაგიმწარებს და მერე აღარ უნდა იკითხო განცვიფრებულმა — ნეტავ, რატომ არის ჩემი შვილი ასეთი უკულმართიო. ერთადერთი შვილი მყავს. ხელისგულზე ვატარებდი, ვანებივრებდი და სანანებელი გამიხდა — ახლა ნარკომანია და სიცოცხლეს მიმწარებს. ჩემს ქმარს ველარაფერს ვპასუხობ საყვედურებზე, როცა მეუბნება, შვილი შენ გააფუჭეო. როცა ის მკაცრად ექცეოდა ბიჭს, გული მიკვდებოდა...

***ეკა ლომიძე***

გამოხმაურება

# ბავშვისთვის ხომ ოჯახი სარკეა

„მინდა გამოვეხმაურო წერილის — „ოჯახური კონფლიქტი დროულად უნდა დასრულდეს“ რესპონდენტს, რომელიც საკუთარ ოჯახში გაუთავებელი აყალმაყალის გამოა შეწუხებული. იგი ამბობს, რომ უმუშევრობით თავმობეზრებული მისი ქმარი ხშირად თვრება და ოჯახს აწიოკებს, ამის გამო შვილებს შინ გაჩერება აღარ უნდათ... ქალბატონი ლია რჩევას ითხოვს... 15 წლის გოგონას თვითმკვლელობის ამბავი გაგონილი მქონდა. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა მშობლების უთანხმოება ბავშვებს სულს უფორიაქებს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველა მოზარდმა ისეთი ნაბიჯი გადადგას, როგორიც იმ გოგონამ. უფროსებს მართლაც გვმართებს დაფიქრება...

თქვენს რესპონდენტს ვურჩევ: ჩემო ლია, ხომ ხედავ, ბიჭს უკვე აღარ უნდა შინ გაჩერება, რატომ არ უფრთხილდებით მის ფსიქიკას? თუკი ატყობ, რომ მეუღლეს ზნე შეეცვალა და მისი მორჯულება შეუძლებელია, შვილი ხომ არ უნდა ანაცვალო ძალით შენარჩუნებულ ოჯახს, ან მამა რატომ არ ფიქრობს ამაზე? ყველამ რომ დარდი ღვინოში ჩაკლას, განა ამით ეშველება საქმეს? სულ ახლახან 14 წლის გოგონამ ვერ აიტანა დღედაღამ მშობლების ჩხუბი და ცოლად გაჰყვა 19 წლის ბიჭს, რომელიც 5 თვის წინ გამოვიდა ციხიდან. ყმაწვილი დიდი ჩხუბისთავი და შარიანი ყოფილა. საწყალი ბავშვი „ვაის“ გაეყარა და „უის“ შეეყარა... ერთი თვეც ვერ გაძლო ქმართან, მაგრამ მშობლებთან კი აღარ დაბრუნდა, ბებიასთან წავიდა სოფელში — აქ დავამთავრებ სკოლას და აქვე დავრჩები, თქვენი დანახვაც არ მინდაო. წარმოიდგინეთ, როგორი გამწარებული უნდა იყოს ბავშვი, რომ ეს უთხრას მშობლებს...

მე უკვე ბებია ვარ, მყავს 3 შვილიშვილი. ოჯახში პატარ-პატარა უსიამოვნებები ხდება ხოლმე, მაგრამ ეს ბავშვს არ უნდა ანახვოთ. თუკი შეესწრო უფროსების უთანხმოებას, უნდა აუხსნათ, რომ ეს მცირე გაუგებრობა დროებითია. ვიცნობ ერთ ქალს, რომელიც ყოველი ჩხუბის მერე შინიდან გარბის და თვეობით ცხოვრობს მშობლებთან. ამით ვითომ ჭკუაზე მოჰყავს ქმარი... მერე ისევ ბრუნდება, ქმარიც იღებს, რადგან იძულებულია, შვილების ხათრით ცოლის საქციელზე თვალი დახუჭოს. მესმის მისი, ბავშვების გამო ორივემ თუ არა, ერთ-ერთმა მაინც ხომ უნდა დათმოს? ისე კი, დათმობასაც აქვს საზღვარი, არც ის ვარგა, შვილი მუდმივად იმას ხედავდეს, რომ დედა ან მამა რაღაცის ან თუნდაც ვიღაცის გამო ღირსებაზე უარს ამბობს, რაც დასათმობი არაა, თმობს „იდილიური“ სიმშვიდის მოსაპოვებლად... ერთი სიტყვით, ოჯახის პატრონს აღვირი ისე უნდა ეჭიროს, რომ ოჯახი სწორი გზიდან ხრამში არ გადაჩეხოს. ოჯახი სარკეა. თავაზიანი და გაწონასწორებული მოზარდი მაგალითს მშობლების უნარ-ჩვევებიდან და მათი ურთიერთობიდან იღებს, აგრესიულ ბავშვს კი ეტყობა, რომ იგი მშვიდ გარემოში არ იზრდება. გაუფრთხილდით მოზარდის ფსიქიკას, თქვენს პატივმოყვარეობას ნუ შესწირავთ მას, მაგრამ ღირსების გრძნობაც არასოდეს დაკარგოთ.

***ელენე, 62 წლის, თბილისი“.***

# ასე შეინახეთ ბადრიჯანი

ბადრიჯანი უნდა შეინახოთ სიბნელეში, რათა ფერი არ დაკარგოს. არ შეიძლება მისი შენახვა ვაშლის, პამიდვრის, ბანანისა და ციტრუსების გვერდით.

ბადრიჯანი შეიძლება გაახმოთ, როგორც ჩირი. საამისოდ, სჯობს, გათალოთ, თხლად დაჭრათ, სამ მეოთხედზე ჩაჭრათ (ან ძაფზე ხალვათად აასხათ), მშრალ, გრილ ადგილას თოკზე ჩამოაცვათ და გააშროთ. ქაღალდის პარკში ჩაწყობილი ჩირი შეიძლება შეინახოთ გაზაფხულამდე. გამხმარი ბადრიჯნისაგან ისეთივე კერძები მზადდება, როგორიც ახლისგან, ამისათვის სრულიად საკმარისია 30 წუთით მდუღარე წყალი დაასხათ.

# „ᲙᲔᲥᲡᲘ ᲓᲘᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ"



## ახალი ქართული ტელესერიალი რიჩარდ გირის მონაწილეობით

*ალბათ ცნობილი ფილმის სახელწოდება „სექსი დიდ ქალაქში" გაგახსენდათ. ასე ემართება ყველას, ვინც რეჟისორ* ***გიო ცინცაძის*** *ახალი ტელესერიალის სახელწოდებას იგებს. ერთი სიტყვით, სექსი არაფერ შუაშია, აი, „კექსს დიდ ქალაქში" კი სულ მალე ყოველ საღამოს იხილავთ „იმედის" ეთერში. ექსკლუზიურად „კვირის პალიტრისთვის" რეჟისორმა სერიალში დაკავებულ მსახიობთა ვინაობაც გაგვიმხილა. ეკრანზე ახალ ამპლუაში ვიხილავთ ქვეყნისა და დედაქალაქის ხელისუფლების პირველ პირებს: მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ჟვანიას, ზურაბ ჭიაბერაშვილს და სხვებს. მათ ამიერიდან გადასაღებ მოედანზე სამუშაოდ დროის გამონახვაც მოუწევთ. „კექსი დიდ ქალაქში" იმითაც არის საინტერესო, რომ იგი პირველი ქართული ტელესერიალი იქნება, რომელშიც ქართველ მსახიობებთან ერთად ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი რიჩარდ გირიც მიიღებს მონაწილეობას. ახალი „საპნის ოპერის" შესახებ თავად რეჟისორი გვიამბობს:*

— მგონი, ჟურნალისტები სპეცსამსახურებს ჯობნით „ჩეკისტური" ალღოთი. მაცალეთ ფილმის ეკრანზე გაშვება და მერე ვილაპარაკოთ. თუ ყველაფერი ახლა გიამბეთ, მაყურებელს ფილმი აღარ დააინტერესებს.

**— სახელწოდებად მაინცდამაინც „კექსი დიდ ქალაქში" რატომ შეარჩიეთ, მაყურებელს ინტრიგა „შეუგდეთ"?**

— რა თქმა უნდა, თუმცა, ნუ გგონიათ, რომ ეს ფილმის, „სექსი დიდ ქალაქში" პაროდია იქნება. მოქმედება ხდება თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში. მსახიობებს სცენარით გათვალისწინებული როლები ექნებათ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი თავიანთ თავებს განასახიერებენ. ერთი სიტყვით, სიტუაციურ კომედიას გადავიღებთ.

**— ცოტა გაუგებარია, კექსი რა შუაშია?**

— ერთ მშვენიერ საღამოს წავიკითხე ასეთი რამ: მე-17 საუკუნის დამდეგს თურმე ფლორენციის ქალაქისთავი ყოველი თვის ბოლოს წარჩინებულ მოქალაქეებს თავისი ხელით გამომცხვარი კექსებით ასაჩუქრებდა. ამ ამბავმა შთამაგონა სერიალის გადაღება. კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, სერიალში ერთ-ერთ მთავარ როლს თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი შეასრულებს. მეტი არაფერი მკითხოთ (ეცინება).

**— როგორ დაითანხმეთ რიჩარდ გირი სერიალში მონაწილეობაზე და რამდენს უხდით ჰონორარს?**

— გასამრჯელოს გარეშე ითამაშებს, მისი თანხმობა კი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების დამსახურებაა. გარდა რიჩარდ გირისა, შეიძლება სხვა ჰოლივუდელი ვარსკვლავიც გამოჩნდეს ფილმში, ჯერჯერობით, მოლაპარაკება მიმდინარეობს...

**— კექსი გიყვართ? თუ გამოგიცხვიათ?**

— ძალიან მიყვარს. გამოცხობა არასოდეს მიფიქრია, ახლა ფილმს „ვაცხობ" და სიმართლე გითხრათ, მეშინია არ ჩაგვივარდეს ეკრანული კექსი.

**— თქვენ ამერიკაში „ნეშენელ გეოგრაფიკში" მუშაობდით, „დისქავერი ჩანელზე" კი ფილმების რეჟისორი და პროდიუსერი იყავით. საქართველოში რატომ არ იღებთ დოკუმენტურ კინოს?**

— ეს სახელმწიფოს პრეროგატივაა. მან უნდა იზრუნოს სახელმწიფო ტელევიზიასთან ერთად. თუ არხი საზოგადოებრივად გადაკეთდება, ვფიქრობ, მის პრიორიტეტულ საქმიანობად დოკუმენტური კინოს გადაღება უნდა იქცეს. ბი-ბი-სი, როგორც საზოგადოებრივი ტელევიზია, ზრუნავს შემეცნებითი გადაცემების, ფილმების, პროგრამების შექმნაზე. მე კომერციულ ტელევიზიას წარმოვადგენ. ასეთ კომპანიებში იშვიათად იღებენ დოკუმენტურ კინოს, თუმცა უდავოა, რომ იგი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელში. ვიმედოვნებ, მოვა დრო და ქართული დოკუმენტური ფილმების მართლაც საინტერესო სკოლა საქმიანობას განაახლებს.

*ეკა ლომიძე*

# ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ ᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲐᲮᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲪᲣᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ



„თბილისობა დიდ ბაზრობას არ უნდა ჰგავდეს. ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად უნდა იქცეს", — განუცხადა ხელისუფლებამ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც სათბილისქალაქო ციებ-ცხელებას უკვე აუტანია და თავს იმტვრევენ სანახაობის მოყვარული საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის თავის მოსაწონებლად.

როგორ აპირებენ დღესასწაულის აღნიშვნას, დაემსგავსება თუ არა თბილისობა ევროპულ ან ლათინურამერიკულ ფესტივალებს? ამ კითხვებით სადღესასწაულო პროექტზე მომუშავე **ნინო იოსელიანს** მივმართეთ:

— თბილისობა ნამდვილ დღესასწაულად უნდა იქცეს. უნდა დაინგრეს სტერეოტიპი, რომ ამ დღეს აუცილებლად უნდა ვჭამოთ და ვსვათ. ცენტრალურ ქუჩებზე სანოვაგით ვაჭრობა წარსულს უნდა ჩაჰბარდეს. 23-24 ოქტომბრიდან დღესასწაული კულტურულ-გასართობი პროგრამებით დაიწყება. ბამბის რიგი, რკინის რიგი და მეიდანი, შარდენის, ერეკლეს და თბილისის სხვა ქუჩები თბილისობას უმასპინძლებენ. მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით საინტერესო სანახაობებს გავმართავთ. 23 ოქტომბერს თბილისობას ვეებერთელა საჰაერო ბუშტის აშვებით გავხსნით. ამას მოჰყვება საზეიმო ალლუმი, — ნახევრად კოსტიუმირებული კარნავალი სასულე ორკესტრის თანხლებით, რომელშიც ხალხიც მიიღებს მონაწილეობას. კოსტიუმები უმეტესად ეროვნული იქნება, ერთ-ერთი დიზაინერი ჩურჩხელებისა და ტკბილი კვერისგან კაბებს უკვე „კერავს". გვინდა ქართული კულტურა და ტრადიციები ახლებური, ორიგინალური სახით წარმოვადგინოთ.

შარდენის პარალელურ ქუჩაზე, ყოფილი მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუირებულ შენობაში მოდის ჩვენება გაიმართება — აქ მაყურებელი იხილავს ქართული მოდის განვითარების ეტაპებს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე.

**— თბილისობა საყოველთაო დღესასწაულია. გასართობი პროგრამების ხილვაც ყველას შეეძლება?**

— დღისით ყველას შეუძლია სეირნობა, მაგრამ საღამოს, სივიწროვის გამო, მხოლოდ მოსაწვევებით მივიღებთ ხალხს.

**— ბავშვობის დროინდელი თბილისობები როგორ გახსენდებათ?**

— 24-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. იქვე იმართებოდა ლამაზი სანახაობები, ავლებდნენ ჩურჩხელებს, რაღაც სხვა პეწი ჰქონდა ყველაფერს. გვიხაროდა, ცხენოსნები რომ გამოჩნდებოდნენ. მერე თანდათან ხიბლი დაკარგა თბილისობამ და ბოლოს რადაც გადაიქცა, კარგად მოგეხსენებათ.

იცით, ოცნებად მაქვს ქცეული თბილისის გასუფთავება. უცხოეთში ნაგვის ბუნკერებიც კი სისუფთავის განსახიერებაა. მენაგვეებს ისე პეწიანად აცვიათ, ოფიციანტებს ჰგვანან. სამწუხაროდ, ჩვენთან დაბალია სისუფთავის, წესრიგის კულტურა. ამიტომ მერიამ ამაზე უნდა იზრუნოს, უნდა დაარწმუნონ ხალხი, რომ სილამაზე და წესრიგი ისევ და ისევ მათ სჭირდებათ. აბა, გარეცხონ თბილისის ქუჩები და ნახავენ, რომ სულ სხვა თვალით შეხედავს ხალხი დედაქალაქს.

**— ამბობენ, მტკვარზე ტივების გაშვებაზე ოცნებობსო.**

— დიახ, რატომაც არა... თუ ტივები არა, პატარა იახტები მაინც რომ დაცურავდნენ, კარგი იქნება — წარმოიდგინეთ, გაჩირაღდნებული ღამის თბილისი და პატარა იახტები. რომელი ტურისტი იტყვის უარს ასეთ გართობაზე?..

*ეკა ლომიძე*

# ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ბრიტანულმა ტელეკომპანია ბი-ბი-სიმ ქართული ნაციონალური ბალეტის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება დაასრულა. მისი პრეზენტაცია ამავე ტელეკომპანიის ეთერში უახლოეს მომავალში იგეგმება.

მართალია, ხელოვნების მოყვარულები განებივრებული არიან ქართული ნაციონალური ბალეტის ქორეოგრაფის არაორდინარული პროექტებით, ამიტომ **ილიკო სუხიშვილისგან** მოუთმენლად ელიან სიურპრიზებს. როგორც ილიკოსთან საუბრისას შევიტყვე, მას უამრავი იდეა აქვს ხორცშესასხმელი ოქტომბერში.

ახალი პროექტების სერია კუს ტბაზე გამართული სპორტულ-კულტურული ღონისძიებით, Assa-party-ს ახლებური ვარიანტის (ანსამბლმა პროგრამის განახლებული ვერსია შემოგვთავაზა — ცეკვებს ენაცვლებოდა საჩვენებელი ბრძოლა წესების გარეშე) პრეზენტაციით დაიწყო.

**— წელს თქვენთვის საიუბილეო წელიწადია, ანსამბლს სამოცი წელი უსრულდება. ბრიტანელები თქვენ შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს ნახავენ, ქართველ თაყვანისმცემლებს რას ჰპირდებით?**



— იუბილესთვის განსაკუთრებით ვემზადებით. დაიდგმება ბევრი ახალი ცეკვა, შეიქმნება კომპოზიციები. მაყურებელი გათამამებულია სიახლეებით, მიჩვეულია სიურპრიზებს და ახლაც არ გავუცრუებთ იმედს.

**— როგორც ვიცი, თეატრალიზებულ შოუზე მუშაობთ.**

— თეატრალიზებული შოუ მსახიობების მონაწილეობით მოგვიანებით დაიდგმება. ახლა ერთდროულად რამდენიმე პროექტზე ვმუშაობ. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ერთ-ერთი პროექტით ბავშვებს გავახარებთ.

**— სიურპრიზებს როდის ვიხილავთ?**

— 23 ოქტომბერს ფილარმონიასთან ანსამბლის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება, გაიმართება კონცერტიც. სხვათა შორის, კონცერტებს მთელ წელიწადს გავაგრძელებთ.

დასასრულ, ერთი ინფორმაცია, რომელიც ტინეიჯერებს უთუოდ გაახარებს, — ილიკო სუხიშვილი შავ პრინცთან ერთად ახალ პროექტზე მუშაობს, რომელსაც სულ მალე წარუდგენენ მაყურებელს.

*ეველინა მენთეშაშვილი*


ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ




ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘᲐ — ᲝᲠᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ




ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲐ ᲑᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ!

ᲚᲐᲖᲔᲠᲣᲚ-ᲣᲚᲢᲠᲐᲑᲒᲔᲠᲘᲗᲘ ᲚᲘᲞᲝᲡᲐᲥᲪᲘᲐ



- ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡ
- ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ
- ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡ
- ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ
- ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ

ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ





ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ

ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 63, ᲢᲔᲚ: 212-312, 364-464

## ორშაბათი 11 ოქტომბერი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.40 მულტსერიალი „მარსუპილამი" 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „ლოლიტა„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის ზღვაზე" 13.00 კონცერტი - დ. ხუჯაძე 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ქალაქები" - რიგა 16.05 სერიალი „უშიშრები" 16.30 ფრაგმენტები სურათისთვის 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.25 ჩემი მშვენიერი ლედი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის ზღვაზე" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „ხაფანგი-თანამდებობის სახით„ (U)

19.00 საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები 20.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 20.25 „იმღერე რამე" 20.50 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.40 ფორტუნა 22.10 ბასტი-ბუბუ 22.25 მხ. ფილმი„ლოლიტა„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 10.00 სერიალი „ქალები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ქალები და ვარდები" 17.25 პერეკროსტიკი 18.20 „ჯეტექსი" 18.45 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 23.00 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი „ტაქტიკური თავდასხმა" (18). 02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25 „იმედის" დილა 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 დროება 12.40, 16.25, 02.40 ტვ-მარკეტი 13.15 ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალური სერია. 14.45, 03.10 იმედის მელოდიები 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" მე-3 ს. 22.50 საქმე N 23.20 „არჩევანი თქვენ" 00.35 სპ. პროგრამა „გოლი" 01.00 „აქტიორი" 01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ვუპი" 11.35 ერთი ჟურნალისტის მზერა. გ. კალანდია. „გეალინო" 12.05 ტელეჟურნალი- „დები ტრევისის საოცარი სახლი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 ტელეჟურნალი „სცენა" 19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუპი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "ოკეანის ზღვარი„ (15) (ნ. კინსკი)

18.00 მინისერიალი „ბაგა – ბალი" 1-ლი ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.20 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი „ყასაბი„ (15)

12.00 საბავშვო პროგრამა „ინკოგნიტო" 13.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 14.00 ინდ. მხ. ფილმი „გზის გადაკვეთაზე" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00, 00.30 ქართული მუსიკა 22.30 „საქმე და ეკონომიკა"

ადამიანი უმოძრაო ცხოვრებას უნდა მოერიდოს, იკვებოს რაციონალური საკვებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცენარეული ბოჭკოებით მდიდარ რაციონს. საზღვარგარეთ ამ მიზნით ქატოს იყენებენ...

***მაია მუხიგული***

# ფრანგულ მანერაზე

ფრანგი დიეტოლოგები გვირჩევენ, დიდხანს რომ ვიცოცხლოთ და არაფერი აგვტკივდეს, უნდა დავიცვათ საკვების მიღების ზოგიერთი წესი:



ყოველ დილას დალიეთ 1 ჭიქა წყალი ან ახალგამოწურული ფორთოხლის წვენი, რაც გააააქტიურებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას. ყოველდღე უნდა მიიღოთ C ვიტამინი, რომელიც ამაღლებს იმუნიტეტს, დაგიცავთ გაციებისა და ინფექციური დაავადებებისგან.

არ დაგავიწყდეთ — საუზმობა. დილა დაიწყეთ რძის პროდუქტებით — მიირთვით მაწონი, იოგურტი, ყველი, ხაჭო, რომლებიც მდიდარია კალციუმით, პროტეინებით, A და B ჯგუფის ვიტამინებით, საუზმეზე მიირთვით უშაქრო ყავა ან ახალდაყენებული რძიანი ჩაი, რომლებიც შეგმატებთ სიმხნევეს, გაგიუმჯობესებთ საჭმლის მონელების პროცესს.

არ გამორიცხოთ რაციონიდან პური (განსაკუთრებით ჭვავის ან დაღერღილი ხორბლის), რომელიც ენერგიისა და უჯრედისების ბრწყინვალე წყაროა. დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ წონაში გვამატებინებს არა პური, არამედ მასზე წასმული კარაქი, ძეხვი, ლორი... ფრანგები უპირატესობას ანიჭებენ დაბალკალორიული თევზის, ბოსტნეულისა და ხილის ბუტერბროდებს.

სადილობისას უარს ნუ იტყვით წვნიანზე და დაცული იქნებით გასტრიტის, კოლიტისა და ყაბზობისაგან. განსაკუთრებით სასარგებლოა დიეტური ბოსტნეულის წვნიანები.

სადილად და ვახშმად დალიეთ 1 ჭიქა წითელი ღვინო. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ღვინო ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებას, ანემიისა და ავიტამინოზის განვითარებას.

საღამოს ტრაპეზის ძირითადი ნაწილი უნდა იყოს ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარი ბოსტნეული და ხილი.

მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას ვჭამთ, არამედ როგორ ვჭამთ — დიეტოლოგები დაბეჯითებით მოითხოვენ, უარი ვთქვათ მშრალ საჭმელზე, არ შეიძლება აჩქარებით, ფეხზე დგომისას, ტელევიზორთან ან გაზეთის კითხვისას ჭამა.

***მონდი***

# შეიცვლება ჩეჩნეთში რამე?

გროზნოში გაიმართა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალუ ალხანოვის ინაუგურაცია. ცერემონია ძალიან გასაიდუმლოებული იყო. 17 სექტემბრიდან დაწყებული, ინაუგურაციასთან დაკავშირებულ ყველა ობიექტს გაძლიერებულად იცავდნენ. რესპუბლიკის მთავარ საავტომობილო მაგისტრალებზე მილიციის პატრულთა რაოდენობა გაზარდეს, შეიზღუდა გროზნოში ავტოტრანსპორტის შესვლა.

ცერემონიისთვის სამი მოედანი მომზადდა და მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე გახდა ცნობილი, თუ სად გაიმართებოდა ინაუგურაცია. ცერემონიაზე მიწვეული იყვნენ მეზობელი რეგიონების ხელმძღვანელები, სამხრეთ ფედერალური ოლქის სუბიექტთა შინაგან საქმეთა სამინისტროების თავკაცები, სამხრეთ ფედ-



ერალურ ოლქში ახლახან დანიშნული ვლადიმირ პუტინის წარმომადგენელი დმიტრი კოზაკი.

რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აბდულ-ქერიმ არსახანოვმა წარმოადგინა არჩევნების ოფიციალური შედეგები. მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, „ბოევიკების" მიერ მოკლული პრეზიდენტის, აჰმედ კადიროვის ვაჟმა, რამზან კადიროვმა ალხანოვს პრეზიდენტობის დამადასტურებელი საბუთი გადასცა. დმიტრი კოზაკმა ვლადიმირ პუტინის მისალმება წაიკითხა.

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა საზეიმოდ დადო ფიცი ჩეჩნურ და რუსულ ენებზე. მან თქვა, — ერთგულად ვემსახურები ქვეყანას და კონსტიტუციის გარანტი ვიქნებიო.

ალუ ალხანოვი ოფიციალურად გახდა პრეზიდენტი, მთავრობა გადადგა, თუმცა ყველა დარწმუნებულია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტს შეინარჩუნებს სერგეი აბრამოვი, ხოლო ვიცე-პრემიერისას — რამზან კადიროვი.

*კომერსანტი №186*

# ჟირინოვსკი: — სადამისგან ქრთამი არ ამიღია

ჟირინოვსკი იმ უცხოელ პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა სიაშია, რომლებსაც, ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, სადამ ჰუსეინი იაფად სთავაზობდა ნავთობს პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ. ჟირინოვსკიმ განაცხადა, — მარტო გიჟს შეეძლო ჩემი ამ ნუსხაში შეყვანაო. თუმცა აღიარა, — მე მართლაც ვთხოვე სადამ ჰუსეინს ნავთობის და სამშენებლო კონტრაქტების დადება რუსეთის კომპანიებისთვის. განა რა მოხდა ასეთი, ამგვარი თხოვნით სხვა ქვეყნებისთვისაც მიმიმართავსო.

ჟირინოვსკი ექსპერტთა მოხსენებაში მის მოხსენიებას ისე ხსნის, როგორც ხელს აძლევს — იქ ხომ არ წერია, ჟირინოვსკი ქრთამს იღებდაო, უბრალოდ, მითითებულია, რომ ერაყულ ნავთობს რუსეთის ნავთობკომპანიები ჩემი პარტიის ხელშეწყობით იღებდნენ. პირადად მე ხელი არც ერთ კონტრაქტზე არ მომიწერია, მხოლოდ დახმარებას ვთხოვდიო.

პარტია „იაბლოკოს" თავმჯდომარის მოადგილე სერგეი მიტროხინი ირწმუნება, — ჟირინოვსკი დიდ ფულს შოულობდა ავტორიტარულ რეჟიმებთან კონტაქტების წყალობით, სახელმწიფოს აქედან სარგებელი არაფერი ჰქონდაო. მიტროხინის თქმით, ჟირინოვსკის საქმიანობა დუმის საბჭოს რამდენიმე დახურულ სხდომაზე განიხილეს, ერთ-ერთს ყოფილი პრემიერი ევგენი პრიმაკოვიც ესწრებოდა, რომელსაც თავად ჰქონდა განსაკუთრებული ურთიერთობა სადამ ჰუსეინის რეჟიმთან.

*ბი-ბი-სი*

# „მწვანე ზონა" — სახელმწიფო სახელმწიფოში



პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და მის მრჩევლებს უყვართ თქმა, — ერაყელებს დამოუკიდებლობა მოვუტანეთო. თუმცა ძალაუფლების ყველა სიმბოლო, რომელიც ერაყის დედაქალაქის ცენტრშია თავმოყრილი, ამერიკელთა ხელშია. ამ ტერიტორიას „მწვანე ზონა" ეწოდება. მას ათობით „აბრამსის" ტიპის ტანკი და „აპაჩის" ტიპის შვეულმფრენი იცავს. აქ ერთმანეთშია არეული ამერიკული არმიის მთავარი შტაბი, ერაყის სამინისტროები, ამერიკული კომპანიების წარმომადგენლობები და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები; მოკლედ, ყველა, ვისაც სურს დღევანდელ ბობოქარ ერაყში თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. „მწვანე ზონა" — ესაა სახელმწიფო სახელმწიფოში. აქ ქალები შორტებით დასეირნობენ, მოზარდები პორნოგრაფიულ ჟურნალებსა და ვიდეოკასეტებს ყიდიან... ქუჩებში პოლიციელებს ვერ ნახავთ. მათ ფუნქციას ამერიკელი ჯარისკაცები ასრულებენ. ბევრი „მწვანე ზონის" მცხოვრები ერთგვარ „ვაკუუმშია" მოქცეული. ერთ-ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა ექვსი თვის შემდეგ გაადგა ფეხი ზონიდან, მოიარა ერაყის ქალაქები და აღმოაჩინა, რომ ქვეყანა სრულიად სხვაგვარად სუნთქავს, ვიდრე მისი „მწვანე ზონა".

ამ ტერიტორიაზე სულ რამდენიმე ათასი ერაყელი ცხოვრობს და ამერიკელებს დღემდე ვერ გაუგიათ, ეს ხალხი მათი მომხრეა თუ არა. ამიტომ თითქმის ყველა კუთხეში წააწყდებით სცენას, როგორ ჩხრეკს ამერიკული პატრული ადგილობრივ მკვიდრს.

ერაყის ამჟამინდელი მმართველნი გამუდმებით სთხოვენ ამერიკელებს, დატოვონ ზონა და აქაურობა დედაქალაქის ჩვეულებრივ ნაწილად აქციონ. პასუხად იღებენ, — ამ საკითხზე ვმუშაობთო. ერაყელთათვის ეს ტერიტორია, განსაკუთრებით აბუ ნავაზის ცნობილი ქუჩა, ღირსშესანიშნაობაა და ვიდრე ამერიკელი ჯარისკაცები „მწვანე ზონით" არიან შემოსაზღვრულ-გამაგრებული, იმ ერაყელებისათვის, ვისთვისაც ჰუსეინის ჩამოგდება ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასი იყო, ამერიკელთა აქ ყოფნა სუვერენიტეტის არარსებობის ნათელი გამოხატულებაა...

*შტერნი*

# ერთი ქვეყანა — ორი ხალხი

ალმოსავლეთ გერმანიის ქალაქ ვიტენბერგში კანცლერ გერჰარდ შრედერს კვერცხებისა და ქვების სროლით შეხვდნენ. ექსპერტების მტკიცებით, კანცლერს ამგვარადვე შეეგებებოდნენ ალმოსავლეთ გერმანიის სხვა ქალაქებშიც. მართალია, ქვეყანა გაერთიანებულია, მაგრამ ალმოსავლეთ გერმანიის მცხოვრებნი თავს „მეორე კლასის გერმანელებად" მიიჩნევენ და მასობრივ დემონსტრაციებს მართავენ. ასეთი რამ აქ 1989 წლის მერე არ მომხდარა. მაშინ ალმოსავლელები კომუნისტური რეჟიმის გადაგდებას და გერმანიის გაერთიანებას ითხოვდნენ. დღეს კი გაერთიანების „სიკეთე" იწვნიეს: მოსახლეობის 20% უმუშევარია და სამუშაო ადგილები ყოველთვიურად მცირდება. 1990 წელს, სულ რამდენიმე კვირაში განადგურდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინდუსტრია. კანცლერმა კოლმა, შემდეგ კი შრედერმა ალმოსავლეთ გერმანია ტრილიონ ევროზე მეტით დააფინანსეს, მაგრამ არაფერი ეშველათ. ალმოსავლეთგერმანელები ყველაფერში დასავლელებს ადანაშაულებენ და ძველი სტილის სოციალიზმს მისტირიან. ასეთ არეულობაში უპირველესად პოლიტიკოსები ნახულობენ სარგებელს. ალმოსავლეთ გერმანიაში სულ უფრო მეტად იკრებს ძალას კომუნისტური მოძრაობა, რომელიც დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის სახელით გამოდის. მასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ მემარჯვენე ექსტრემისტები გერმანელ ხალხთა კავშირიდან. ამ ორმა ორგანიზაციამ ბრანდენბურგის ქუჩებში ასიათასობით ადამიანის გამოყვანა შეძლო და არჩევნების შედეგად, სოციალისტთა და ქრისტიან-დემოკრატთა ერთიანი ბლოკი დაამარცხა.






შედეგად — ქალაქის მმართველობაში 40%-იანი უმრავლესობა სწორედ კომუნისტებმა და მემარჯვენეებმა მოიპოვეს. საინტერესოა, რომ ექსპერტთა მტკიცებით, ალმოსავლეთ გერმანიის ახალი თაობა მეტად ენერგიული, მიზანსწრაფული და ამბიციურია, ვიდრე მათი დასავლელი თანატოლები. ამასთან „ახალი თაობის ალმოსავლელები" აქტიურობენ დასავლეთის საწინააღმდეგო გამოსვლებში. ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალში მათ ქვეყნის მმართველობის სადავეები იგდონ ხელთ.

*ნიუ ზუიქი*

# იუშჩენკოს მეუღლე უარს ამბობს აშშ-ის მოქალაქეობაზე

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის, ვიქტორ იუშჩენკოს მეუღლემ, ეკატერინემ, გადაწყვიტა აშშ-ის მოქალაქეობა უკრაინის მოქალაქეობაზე გაცვალოს. ამას იმიტომ აკეთებს, რომ მის მეუღლეს პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებმა არ დასწამონ, შენი ცოლი ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცემს საიდუმლო ინფორმაციებსო (ვიქტორ იუშჩენკოს სხვა მაკომპრომეტირებელი რომ ვერაფერი მოუძებნეს, მის ცოლს აშშ-ის აგენტობა დააბრალეს).

ეკატერინე იუშჩენკო აშშ-შია დაბადებული, თუმცა თავი უკრაინელად მიაჩნია — ჩემი მშობლები უკრაინაში დაიბადნენ და გაიზარდნენ, მაგრამ ომის წლებში ისინი გერმანიაში გარეკეს, ერთმანეთი იქ გაიცნეს, დაქორწინდნენ და ამერიკაში დასახლდნენო.

ეკატერინე ვიქტორ იუშჩენკოს (ეს მისი მეორე ქორწინებაა) 1999 წელს გაჰყვა ცოლად და მას მერე კიევში ცხოვრობს. უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა ალექსანდრ ბაზილიუკმა უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარეს მისწერა ღია წერილი, რომელშიც ითხოვს, რომ პრეზიდენტის არჩევის შესახებ კანონში შეტანილ იქნეს შესწორება, რომლის თანახმად, არჩევნებზე არ უნდა დაუშვან ის პირები, ვისი ოჯახის წევრებიც უცხოეთის მოქალაქეები არიან.

*იზვესტია №184*

# ბუშმა გადასახადები შეამცირა

აიოვას შტატში წინასაარჩევნო ტურნეს დროს ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა 94 მლნ ამერიკელისთვის გადასახადის შემცირების კანონს. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ამით დიდი დარტყმა მიაყენა თავის მეტოქეს. ბუშმა განაცხადა, — კერის გადასახადის გაზრდა სურს, მე კი ვამცირებო.

ბუშმა ამომრჩევლებს შეახსენა, — კერი უპრინციპო კაცია, სენატში მუშაობის 20 წლის განმავლობაში 98-ჯერ მისცა ხმა გადასახადების გაზრდას, ახლა კი მოიწონა საშუალო ფენისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, რაც ამერიკის ბიუჯეტს 146 მლრდ დოლარი დაუჯდებაო.




ბუშთან ტელედებატების დროს ჯონ კერიმ არაერთხელ აღნიშნა, — ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაცია ბუშს კარგად გააზრებული არ ჰქონდა. ვიდრე სადამის დამხობას შეუდგებოდა, უნდა გაერკვია — მსოფლიო საზოგადოებრიობა მხარს დაუჭერდა თუ არაო.

ამის პასუხად, თავისი მომხრეების წინაშე გამოსულმა ბუშმა თქვა, — როცა საქმე აშშ-ის მოქალაქეების დაცვას ეხება, საერთაშორისო გამოკითხვა არაფრად მჭირდებაო.

ტელედებატებში დამარცხების მიუხედავად, ბუში კვლავ ლიდერია. „ვაშინგტონ პოსტის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში — მას ამომრჩეველთა 51%-მა აღუთქვა მხარდაჭერა.

*ნიუს რუ*

## მოკლედ

**ეგვიპტეში,** სინას ნახევარკუნძულზე, აფეთქებათა სერიამ 21 ადამიანი შეიწირა, 135 დაშავდა, 38 — უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ყველაზე დიდი აფეთქება ისრაელის საზღვართან, ქალაქ ტაბაში, სასტუმროს შესასვლელთან მოხდა, 2 საათის შემდეგ კი — კიდევ ორ კურორტზე, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ ისრაელელი დამსვენებლები.

აფეთქებებზე პასუხისმგებლობა იკისრა „მსოფლიო ისლამისტურმა დაჯგუფებამ". მისმა ერთ-ერთმა წევრმა ეგვიპტეში ისრაელის წარმომადგენლობას აცნობა — ეს არის შურისძიების აქცია ერაყსა და პალესტინაში დახოცილ არაბთა გამოო. ეგვიპტის პოლიციამ უკვე დააკავა ეჭვმიტანილნი. ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის განკარგულებით, დაშავებულთა დასახმარებლად ტაბაში გაიგზავნა თვითმფრინავი-ჰოსპიტალი.

**ირანში,** თურქმენეთის საზღვართან, რიხტერის სკალით 5,8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. დაზარალდა რამდენიმე ქალაქი და სოფელი, ზოგიერთი დასახლებული პუნქტი მთლიანად დაინგრა, დაშავდა 60-ზე მეტი ადამიანი.

**ევროსაბჭოს** ასამბლეამ ჩეჩნეთთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საგანგაშოდ მიიჩნია ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევა და რუსეთის მთავრობას გადაჭრით მოსთხოვა რესპუბლიკაში უკანონობის აღმოფხვრა.

**დალაი-ლამა XIV-მ,** ტიბეტელ ბუდისტთა სულიერმა ლიდერმა, განაცხადა, რომ თავისი წარგზავნილების საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებს ჩინეთის მთავრობასთან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ისწრაფვის ტიბეტის დამოუკიდებლობისა და ჩინეთისაგან გამოსაყოფად.

**გაეროს** გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტმა, ფილიპ კირშმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გახდება სამხედრო დანაშაულში, გენოციდსა და ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებში დადანაშაულებულ პირთა გასასამართლებლად შექმნილი პირველი მუდმივი ტრიბუნალი.

საერთაშორისო სასამართლო მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა ქვეყანას, რომლის მოქალაქე მძიმე დანაშაულს ჩაიდენს, არ სურს ან არ შეუძლია საქმის გამოძიება და დამნაშავის გასამართლება.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

სამშაბათს ღია ლექციას თემაზე
«ეროვნული ცნობიერების საფუძვლები»
გამართავს ბ-ნ თემურ ქორიძე,
დასაწყისი 14⁰⁰
მის: გ. ფანჯიკიძის ქ. №1ა
(ყოფ. ბუდაპეშტის ქ.)
☎ 37-18-29; 29-40-70 Fax: 38-40-72

საქართველოს პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაცია —
პრეზიდენტი ვაჟა მხითარიანი
„პარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრი"
ამზადებს კვალიფიციურ ოსტატებს: პარიკმახერ – უნივერსალისა და პარიკმახერ – მოდელიორის სპეციალობით, მანიკურის, პედიკურისა და ვიზაჟის ოსტატებს, კოსმეტოლოგებს. ცენტრში შეიძლება კვალიფიკაციის ამაღლება. გაიცემა დიპლომები.
მის: გალაკტიონის ქ. 3/5 (მერიის გვერდით) ☎ 93-13-63

საგითუმო ფარმაცევტული ბაზა აცხადებს კონკურსს
ფარმაცევტული ან სამედიცინო განათლების მქონე პირთათვის.
გთხოვთ დაინტერესების შემთხვევაში გამოაგზავნოთ თქვენი CV (ავტობიოგრაფია)
ტელ/Fax: 92 02 31; 98 81 76

რას წერენ ჩვენზე

# ჩრდილოვანი ეკონომიკის პოლიტიკა

(დასაწყისი იხ. გვ. 14)

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა იყო საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტში ისეთი, რაც კონკრეტული სიტყვებით არ გამოიხატებოდა და რითაც განგვაცვიფრა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტს უზომოდ უყვარს თავისი ხალხი. „16 ქართველი სამხედროს დაღუპვის" შესახებ ლაპარაკობდა, როგორც კატასტროფაზე. „16 კაცის დაღუპვის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიმეღო". და მიიღო კიდეც: ქართული ქვედანაყოფები უსაფრთხო მანძილზე გადაიყვანა.

კაბინეტიდან გაოგნებული გამოვედი: ჩვენთან 16 ათასი სამხედრო რომ დაიღუპოს, ვერაფერი აიძულებს პრეზიდენტს, დანარჩენების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანას. უნდა ვივარაუდოთ, რომ პუტინისათვის მთავარი პრობლემა იმპერიის აღორძინების აკვიატებული აზრია, რისთვისაც მას ადამიანთა სიცოცხლე არ ენანება. და თუკი კურსი უცილობლად იმპერიაზეა აღებული, მაშინ კოლონიები ვალდებული არიან მორჩილნი იყვნენ — ვინც ჩვენთან არ არის — ჩვენი მტერია... ეს არის კრემლისა და თბილისის შერკინების ირაციონალური მიზეზი. შემდეგ — რაციონალური, ე.ი. ფინანსურ-ეკონომიკური.

## „შავი ხვრელები" ოფშორების ნაცვლად

რა აინტერესებს რუსეთს კავკასიონის ქედს მიღმა? რისთვის უნდა ებრძოლა პუტინის ბიუროკრატიას ამ რეგიონში?

უპირველეს ყოვლისა, რუსეთის წინაშე დგას ამოცანა — კავკასიაში განამტკიცოს ე.წ. რუსული „ქრისტიანული ღერძი" (ოსური) მუსლიმანურთან (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, დაღესტანი, ადიღე) მიმართებაში. როგორ დაბალანსდა ეს ღერძი, ცნობილია. რუსეთმა ყურადღება გაამახვილა სამხრეთ ოსეთზეც. მიწის ეს ნაგლეჯი თავისი ჩრდილოეთ ოსეთის გაღმა მდებარეობს; რუსეთის ფედერაციას ძალიან სჭირდება აფხაზეთიც — შავი ზღვის მიმდებარე მიწის ზოლი — სახმელეთო გზით სომხეთთან, კრემლის ამჟამად დარჩენილ ერთადერთ სტრატეგიულ ქედსიქითა პარტნიორთან (სხვები გაყარეს) დასაკავშირებლად, სადაც ჯერ კიდევ არ შესულა ამერიკის შეერთებული შტატები.

გასაგებია ცხინვალისა და სოხუმის ინტერესებიც — მათ „წასასვლელი" არ აქვთ. ცხინვალი არ მალავს, რომ ვლადიკავკაზთან გაერთიანება სურს. ამის გაკეთება კი მოსკოვის გარეშე შეუძლებელია. სოხუმი კი საქართველოს წიაღში დაბრუნების შესაძლებლობას ვერ ხედავს და, აქედან გამომდინარე, საჭიროა ვინმეს შეეკედლოს. ყველაზე ეფექტიანი საყრდენი, ამ შემთხვევაში, მოსკოვია.

პრაქტიკულად, ეს საბჭოთა „გაყინული კონფლიქტები" ნამდვილ „შავ ხვრელებად" იქცა. და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ორივე ტერიტორია აღნიშნულია როგორც სუვერენული საქართველოს ნაწილი, აფხაზეთიც და ოსეთიც — დე ფაქტო — ეს ის ზონებია, სადაც გადასახადები, გამჭვირვალე ბიუჯეტი, მთავრობის ლეგიტიმური ორგანოები, საგადასახადო საშუალებები და ის, რითაც უკანონო ტერიტორია კანონიერისაგან განსხვავდება — არ არსებობს.

რად სჭირდება კრემლს „შავი ხვრელები?" უწინარეს ყოვლისა, შიდამოხმარებისათვის, შავი ფულის იოლად შედინებისათვის იქ, სადაც საჭირო იქნება ყველანაირი შავი სქემის ორგანიზება და სხვა. ჩვენთან მხოლოდ სიტყვებით იბრძვიან კანონის უზენაესობისათვის — საქმით კი სეპარატისტული ტერიტორიების მხარდაჭერის პოლიტიკა გრძელდება, იმ ტერიტორიებისა, რომლებიც ნებისმიერ წუთს შეიძლება გამოიყენონ გაუკონტროლებელი ფულის მასის გადასაქაჩად, ან პირიქით. ამგვარი ზონები საიდუმლო ოპერაციებისა და დავალებებისათვის გამოიყენება, როცა საჭირო არაა ვინმეს წინაშე ანგარიშგება და რაიმე დოკუმენტზე ხელმოწერა.

რუსეთის პოლიტიკა წინანდებურად შავი ფულის პოლიტიკაა — მის გარეშე არაფერი ხდება.

საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ასეთი „შავი ხვრელების" არსებობა ისეთი გარემოა, უფრო კომფორტულს ვერც იპოვი. თანაც ეს მეტად მოსახერხებელია, ვიდრე ოფშორები: იქ რომ ვინმემ რაღაც იყნოსოს, ფუსფუსი, სირბილი და დაფარვის მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა სჭირდება, რაც ინფორმაციის შესაძლო გაჟონვის ტოლფასი იქნება. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არაფერს ამის მსგავსს არ ითხოვენ.

შედარებისათვის და უკეთ გასაგებად: საბჭოთა კავშირში ამგვარი „შავი ფულის ხვრელთა" როლს ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში არსებული რეჟიმები თამაშობდნენ — პოლიტბიურო მათში, როგორც „ეროვნულ-განმათავისუფლებელში", პარტიულ თანხებს გადაქაჩავდა და შემდეგ ფინანსურ ოპერაციებს ატრიალებდა ხოლმე. რუსეთში ასეთ შიდა „შავი ხვრელის" როლში საკმაოდ დიდხანს იყო ჩეჩნეთი, სადაც ნორმალური საბანკო სისტემა შეგნებულად არ ყალიბდებოდა (თუმცა ეს არც დღემდე შექმნილა). მაგრამ ჩეჩნეთი ქვეყნის შიგნითაა და ეს გარკვეულ მინუსს, ნერვიულობის ფაქტორს წარმოადგენს: რომელიღაც საკონტროლო ორგანოს მხრიდან შემოწმების მეტი შესაძლებლობაა, ვთქვათ და, უცბად რომელიმე პატიოსანი პროკურორი გამოჩნდეს... ისედაც, რამზან კადიროვისა და მისი ძმების მადა სულ უფრო და უფრო იზრდება.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით შეუფერხებლად მუშაობენ — იქ ყველაფერი შეიძლება, რაც სხვაგან აკრძალულია. იქ შეიძლება ფული, ნარკოტიკი და იარაღი გადაქაჩო და ჩაყარო — რაც ხდება კიდეც. არავითარი აღრიცხვა და კონტროლი საჭირო არ არის, მთავარია იქაურ რეჟიმს აჭამო და „რუსეთის მოქალაქეთა დაცვის" შესახებ პროპაგანდა გააჩაღო.

პუტინი პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს შევარდნაძეს ისე მიაწვა, რომ იგი, საბჭოთა ოლიგარქი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რისთვის და როგორ ფუნქციონირებდა მსგავსი „შავი ხვრელები", იძულებული გახდა, დანებებულიყო და რუსული „ფულის" ზონისათვის საქართველოს ტერიტორიის მესამედი დაეთმო. ახალი პრეზიდენტის ხელში კი ამ „საქმემ" მოიკოჭლა: როგორც კი სააკაშვილმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა „გაყინული კონფლიქტების" გალღობის პოლიტიკა, იგი იმავ წუთს რუსეთის უპირველესი მტერი გახდა. აჭარა, რომელიც მოსკოვს ემსახურებოდა, ხარკს კი, ძირითადად ადგილობრივ ფეოდალს, ასლან აბაშიძეს, უხდიდა, პუტინმა სააკაშვილს მეტ-ნაკლებად ამიტომაც დაუთმო, ცხინვალისა და სოხუმის „შავი ხვრელებისათვის" კი კრემლმა ომი გადაწყვიტა.

ჩვენი ხელისუფლების ასეთი კავკასიის „ქედსმიღმა" თამაში გულისხმობს, რომ რუსული მონოპოლიის ხელშემშლელი, მედასავლეთე და ამერიკაზე ორიენტირებული პრეზიდენტი სააკაშვილი დაბომბვით მკაცრად დაისაჯოს. ჩვენ კი, რუსი ხალხი, ასეთი მოქმედების შედეგად კეთილ მეზობელ საქართველოს სწრაფად ვკარგავთ — ყოველდღიურად და ყოველ საათს, არადა მასთან მჭიდრო ურთიერთობებით ჩვენ აბსოლუტურად დაინტერესებულნი ვართ.

აქედან დასკვნა: რუსეთის დღევანდელი ადმინისტრაციის კავკასიური პოლიტიკა, საქართველოს ორ ანექსირებულ ტერიტორიასთან მიმართებით, არავითარ სტრატეგიულ, გონივრულ ინტერესებს არ შეესაბამება.

დაბოლოს, სიყვარულის შესახებ. ჭკვიანები 21-ე საუკუნეში საყვარელ ადამიანებს სისხლის ღვრისაკენ არ უნდა უბიძგებდნენ. უბედურება მაშინ იწყება, როცა საკუთარი მოქალაქეები გძულს.

**ანა პოლიტკოვსკაია**
**ნოვაია გაზეტა**

# „თუკი თვლა ასე უყვართ, ისიც დაითვალონ, რამდენს წაართმევენ მეწარმეებს ამ კოდექსით"

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

კოდექსში ეს გადასახადი სავსებით გაუქმებულია. მეტიც, ახალ კოდექსში მოქმედიდან უცვლელად შევიდა ფორმულირება, რომლის მიხედვითაც მცირე მეწარმეებს დამატებული ღირებულების გადასახადი, ფაქტობრივად, მთლიანი ღირებულების, ანუ ბრუნვის გადასახადად გადაექცათ. მცირე მეწარმეებს ვერაფრით გაუგიათ, როგორ დათანხმდა ამ აბსურდულ ფორმულირებას კოდექსის შემქმნელი კომისიის ერთ-ერთი წევრი, სახელმწიფო მინისტრი ჯამბულ ბაკურაძე, რომელიც 1997 წელს, მოქმედი კოდექსის მიღებისას, თავად ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერმაღში მჯდომარე აქციას. უმთავრესი საპროტესტო მოთხოვნა მაშინაც იგივე იყო: დღგ-ის გადახდა ფასთა სხვაობიდან მომხდარიყო.

**ვახტანგ ხმალაძე**, ეკონომიკის ექსპერტი:

— გადასახადის გადამხდელს, თუკი ის არ ეთანხმება საგადასახადო ორგანოების გადაწყვეტილებას, შეუძლია იგი სასამართლოში ან საგადასახადო არბიტრაჟთან გაასაჩივროს. ეს ძალიან კარგი ინიციატივაა, მაგრამ რატომ არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებამდე გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სრულად გადაიხადოს თანხა, რომელიც მას საგადასახადომ დააკისრა. მეორე საკითხი: დაუბრუნდება თუ არა გადახდილი თანხა გადამხდელს, თუ მას არბიტრაჟი ან სასამართლო გაამართლებს? ახალი პროექტის მიხედვით, ყოველწლიურად შეიქმნება ზედმეტად გადახდილი თანხების ანგარიში, სადაც ჩაირიცხება საგადასახადო სამსახურების მიერ აკრეფილი შემოსავლების არა უმეტეს 3%-ისა, მაგრამ პროცენტის ოდენობას ფინანსთა მინისტრი განსაზღვრავს. ეს შეიძლება იყოს 2, 1 ან საერთოდაც 0%. გადამხდელს კი დაუბრუნდება მხოლოდ იმდენი თანხა, რამდენიც ამ ანგარიშზე იქნება. თუ აღმოჩნდა, რომ დასაბრუნებელი თანხა უფრო მეტია, ვიდრე ანგარიშზე დევს, რა თქმა უნდა, იმ წელიწადს გადამხდელს უკანონოდ გადახდილი ფული ვერ დაუბრუნდება. არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცესი წლების განმავლობაში გაჭიანურდეს. სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო, — ხომ გსმენიათ. მე თუ გავკოტრდი და დავხურე წარმოება, რაღა ფასი ექნება იმ ფულს ჩემთვის? ამას ისიც ემატება, რომ საკმარისია გადამხდელმა ერთი დღით გადააცილოს გადახდის ვადას, რომ მეორე დღიდან მას ყოველდღიურად 0,07% ერიცხება საურავის სახით, რაც საბოლოოდ თვეში 2, 1%-ს შეადგენს. მთავრობას კი ფულის არ ან ვერდაბრუნების გამო საურავი არ ეკისრება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ინკასო (ყადაღა), ანუ დადასტურებული ფულის ჩამოჭრა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ხორციელდება, რიგ შემთხვევაში სწორედ ასე განხორციელდება ქონების დაყადაღებაც. მაგალითად, შეიძლება თქვენი ვალი მხოლოდ 1 ლარს შეადგენდეს, მთელი ქონება 10 მილიონის ღირებულებისა იყოს, მაგრამ პროექტის მიხედვით, საგადასახადოს შეუძლია მთელი ქონება დაგიყადაღოთ.

— **როგორც ამბობენ, ახალი კოდექსის მიხედვით, საგადასახადოს პირდაპირ ფუნქციასთან ერთად შეფარვით მინიჭებული აქვს ძველი საბჭოური ობეხესის ფუნქციებიც.**

— მოქმედ საგადასახადო კოდექსში არის მუხლი, რომელიც მაშინდელმა ოპოზიციამ დიდი ბრძოლით გაიტანა და სადაც წერია, რომ გარდა გეგმური შემოწმებისა, რომლის შესახებ წინასწარ იცის გადამხდელმა, სასამართლოს სანქციის გარეშე არ შეიძლება განხორციელდეს არანაირი შემოწმება. მოქმედი პროექტით კი, თუ საგადასახადო ორგანოს აქვს რაღაც ინფორმაცია, თუნდაც დაუდასტურებელი, ყოველგვარი სანქციის გარეშე შეუძლია შევიდეს და შეამოწმოს ესა თუ ის საწარმო თუ დაწესებულება (დაათვალიეროს, ინვენტარიზაცია მოახდინოს, დალუქოს და ა.შ.). მსგავსი რამ ხდება ფიზიკური პირების მიმართაც. ვთქვათ, საგადასახადო ინსპექტორს გაუჩნდა ეჭვი, რომ ფიზიკური პირი გაცილებით მეტს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს. უნდა გითხრათ, რომ ხარჯვისა და შემოსავლის განსაზღვრა შეფარდებითი იქნება, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს საყოველთაო დეკლარირების სისტემა, არც კოდექსშია ნათქვამი კონკრეტულად, შემოსავალთან შედარებით რამდენია ნამეტი. ამრიგად, ინსპექტორს შეუძლია გდიოთ უკან ისე, რომ თქვენ ვერაფერს მიხვდეთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მოვა თქვენთან, მაცივარს გამოგიღებთ, კარადას შეამოწმებს და საწოლის ქვეშ შეიხედავს. ასეთი „მარგალიტები" მრავლადაა ახალ კოდექსში...

*ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია, რომ საქართველოში 2005 წლის 1-ელი იანვრიდან ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდება. მანამდე კი ხელისუფლება ფინანსურ ამნისტიას აცხადებს და ბიზნესმენებს ურჩევს, დამალული კაპიტალის ლეგალიზება მოახდინონ და ფული ქვეყნის ეკონომიკაში დააბანდონ. ამ შემთხვევაში მთავრობა თვალს დახუჭავს და პირობას იძლევა, რომ ქონების წარმომავლობით არ დაინტერესდება. ოღონდ დამალულის ლეგალიზება განსაზღვრულ ვადებში უნდა მოასწრონ. ისიც უნდა ითქვას, რომ ფინანსურ ამნისტიას ახალი მთავრობა მეწარმეებსა და ბიზნესმენებს ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ჰპირდებოდა. ლაპარაკი ამნისტიის შესახებ მომხიბვლელია. მთავარია, ფინანსური ამნისტიის კანონი შესაბამისობაში მოვიდეს დაპირებებთან და ორმაგი სტანდარტებით არ იკითხებოდეს, რათა ბიზნესმენმა მართლაც გადაწყვიტოს დამალული თანხების ლეგალიზება და ეკონომიკაში „თეთრად" დაბანდება.*

**ემა ტუხაშვილი**

# „აივანი რომ აგეშენებინა უნებართვოდ, შოთა ყაველაშვილი ფანჯრებს ჩაგიმტვრევდა"

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

— **ანუ პასუხისმგებლობა ამ პროექტის უარყოფით შედეგებზე ამ ჯგუფს ეკისრება?**

— ქალაქის ტრანსპორტის სპეციალისტებს მეტი დაკვირვება უნდა გამოეჩინათ. ისინი ვალდებული იყვნენ, შესაძლო უარყოფითი შედეგების თაობაზე საქმის კურსში ჩაეყენებინათ ხელმძღვანელობა. მაგრამ როცა ზოგიერთი სამსახური დავალებებს იღებს არა პროფესიული მიდგომით, არამედ მონური მორჩილებით, შედეგი ყოველთვის უარყოფითი გვექნება(!).

— **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დასკვნებში ნათქვამია, რომ ამ მონაკვეთზე ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში დამატებით პრობლემებს შექმნის სამარშრუტო ტაქსების გადაადგილება იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც ამჟამად მოძრაობს.**

— სწორედ ეს იწვევს ჩემს უკმაყოფილებას, რომ ტრანსპორტის სპეციალისტებმა არ გაითვალისწინეს ეს პრობლემა და არ შემოგვთავაზეს მათი მოძრაობის ოპტიმალური გეგმა.

— **აპირებთ თუ არა სამარშრუტო ტაქსების რაოდენობის შემცირებას?**

— მე ვფიქრობ, ეს აუცილებელია. შემიძლია გაჩვენოთ სქემები, რომლებიც „მარშრუტკების" მოძრაობას და მათ რაოდენობას ასახავს. მე ვიცი რეალური სურათი და ვთვლი, რომ ამდენი ხაზი არ არის საჭირო.

— **ამ პრობლემის გადაჭრას ბევრი მოწინააღმდეგე ეყოლება.**

— პირდაპირ გეტყვით, ვისაც ხელი აქვს მოწერილი 190 სამარშრუტო ხაზის გახსნაზე, მას ფულიც აქვს აღებული(!). ამ თემას მალე აუცილებლად გამოვიტანთ სამსჯავროზე და მერე შეიტყობთ, თუ რა პრინციპით ვაპირებთ შემცირებას. სამწუხაროდ, მოკლე დროში ძალიან ძნელია ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ პირობას გაძლევთ, ყველაფერს მოვაგვარებთ. ამ მდგომარეობას ვერაფრით შევეგუებით.

— **ალბათ ლოგიკურად დაისმება კითხვა, რატომ მოხდა სამკუთხედის პროექტის რეალიზება, თუკი ის არ გაამართლებდა და დამატებით პრობლემებს შექმნიდა. ხომ არ აპირებთ ამ სქემის სერიოზულ გადასინჯვას ან ალტერნატიული პროექტების განხილვას?**

— აუცილებლად გადავსინჯავთ და შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებლობის საკითხსაც დავაყენებთ. თუ დავინახავთ, რომ სამკუთხედმა არ გაამართლა, არც ორმხრივი მოძრაობის აღდგენას გამოვრიცხავ.

**ზვიად სეხნაშვილი**


სარეპეტიტორო სკოლა
სტს
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8349 |
| ევრო | 2,2645 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,2819 |
| რუსული რუბლი | 0,0628 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2274 |


„ტლოზსტრონის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779



შპს „გეოკომი"
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02



ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები სხვადასხვა ფერები და უმაღლესი ხარისხის საკეტები
პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. „ნუ ი, გრუზინი...“



იმხანად გაგრის ზონაში სასამართლო ექსპერტად ვმუშაობდი. ოფისი გაგრის სახელმწიფო ავტოინსპექციის შენობაში მქონდა, რომელიც პირდაპირ ზღვას გადაჰყურებდა. ასე რომ, ზაფხულობით ზღვიდან ამოსული მშვენიერი ქალები „ცალსახად“ მხედველობის არეში ხშირად მხვდებოდა, ისევე როგორც ჩემ გვერდით კაბინეტში მყოფ ავტოინსპექტორ ვალერის.

ერთხელ, ვალერი შემოდის ჩემთან და მეუბნება, შენმა ცოდვამ მიწიაო. — რა მოხდა-მეთქი, — დავინტერესდი.

— დღეს, შენკენ მომავალ „კრასავიცას“ გადავუდექი და იმდენი ვექაქანე, რომ ჩემთან გადმოვიბირე, — როგორც იქნა, დაიწყო ვალერიმ. — იმ მომენტში კაბინეტის მაცივარში ნუგბარი არაფერი აღმომაჩნდა და გრძელფეხება ჩრდილოელი ჩემს ბინაში „გადმოვიპატიჟე“... სახლს რომ მივუახლოვდით, როგორც იტყვიან, უსაფრთხოების თვალსაზრისით მე დავწინაურდი, მას კი ვუთხარი, უკან გამომყოლოდა და პირველი სადარბაზოს ორ ნომერში შემოსულიყო. კარი ღია დახვდებოდა... სულმოუთქმელად შევირბინე შინ და მოუთმენლად რომ ველოდები ლამაზმანს, მესმის, ზემო სართულიდან კიბეზე ვიღაც ხმაურით ეშვება. ნეტავ რაშია საქმე-მეთქი და გამოვიჭყიტე ნახევრად ღია კარიდან. ვხედავ, ჩემი „კრასავიცა“ მთელი ძალით უკანმოუხედავად გარბის! გამოვედევნე და გავძახე: — ვალია, ვალია, ეს მე ვარ, ნუ გეშინია! შემომხედა და რომ დამინახა, კიდევ უფრო მოუმატა სირბილს, თან გაბრაზებული გაიძახოდა: „ნუ ი გრუზინი!..“

დადევნებას აზრი აღარ ჰქონდა, სულერთია, ვერ დავეწეოდი. უკან დაბრუნებულმა ეზოში შეკრებილ ხალხს ვკითხე, რაში იყო საქმე. მიპასუხეს, რომ ჩემ ზემოთ მცხოვრები მოხუცი მეზობელი დილაუთენია გარდაცვლილიყო.

თურმე, იმ ჩემი ცოდვით სავსე ვალიას ორი ნომრის ნაცვლად მეორე სართულზე ამოუყვია თავი და იქ კარგაღებული ბინა რომ ნახა, უფიქრია, ვალერი აქ ცხოვრობსო და თამამად შესულა. იქ კი ჭირისუფლები ვაითა და ვიშით დახვედრიან „სამძიმარზე“ მოსულს. ეს ჩვენი ვალია შიშისგან გაოგნებულა. წუთის უკან ცოცხალი იყო და ახლა რა ჭირი ეტაკა ასეთიო... ასე რომ, შენმა ცოდვამ მიწიაო...

***რეზო ცისკარავა, ბათუმი***

## 2. „სახედარი“ მოედანზე



ჩემი სოფლელი სიდონია ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის ექსპერტადაც მოგვევლინა. ეს ამბავი კი ასე მოხდა:

თბილისის „დინამოს“ ფინალური თამაში ჰქონდა. მთელი სოფელი ემზადებოდა საყურებლად. სიდონიაც დაინტერესდა, რა უნდა იყოს, ასე რომ ელოდებიანო და დაიწყო თამაში თუ არა, თვითონაც მოკალათდა ტელევიზორთან.

თამაში ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა. ფეხბურთელები ერთმანეთს ეჯახებიან, ვარდებიან, იმტვრევიან. სიდონიას ეგონა, ის ერთი ბურთი არის სადავოო და გაბრაზებულმა წამოიძახა:

— მაგ ერთი ბურთისთვის ერთმანეთს რომ ხოცავენ, თითოს თითო ბურთი როგორ ვერ უყიდიაო?

აუხსნეს, ასე და ასე ჩაცმული ბიჭები ჩვენები არიანო, მეტოქის კარზე კი მიანიშნეს — იქ თუ ბურთს გაიტანენ, მერე ჩვენებს ოქროს მედალს მისცემენო.

კვლავ გააგრძელა სიდონიამ ყურება და კვლავ ვიღაცას წყევლის, შენ გაგიხმა ხელი, შენ გაგიხმა ფეხი და ა.შ. მერე ჰკითხეს, რომელზე ჩხუბობო?

რომელზეო და ამდენი ბიჭები რომ ერთმანეთს ხოცავენ ბურთის გასატანად, ის იმხელა სახედარი (მეტოქის მეკარე!) კი დგას და ხელს უშლის, ის ერთი მოაცილონ იქიდან, ბურთსაც გაიტანენ, მედალსაც აიღებენ და ყველა დაისვენებსო!..

***„ალვანელი“***

## 3. თქვენსა არ უკრავსო?!



ქისტაურელი მიშას ბიჭმა ერთი პერიოდი ძალიან გაუბერა, მოიყვანდა თავის ძმაკაცებს აკორდეონით და ყოველდღე ქეიფობდა. გამორჩეულად ერთი ახალგაზრდა აქტიურობდა, თანაც, თავი ნამდვილ მომღერლად წარმოედგინა.

ერთხელაც მიშამ ველარ მოითმინა და ამ მომღერალს უთხრა, — ბიჯო, ერთი გამაგებინე, ეგ გარმონი თქვენსა არ უკრავსო?!

***„ქისტაურელი“***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 13 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 ოქტომბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——————

——————————

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №41**

## 4. მოწყენილი სტუმარი



საქართველოში ის წლები იდგა, როცა ავტომანქანებს, განსაკუთრებით კი „გაზ-21-ს“, ნიკელიან „ვოლგას“ დიდი ფასი ედო. ის იყო ამ ახალშეძენილი, ე.წ. „ტაოტიანი“ მანქანის აღნიშვნაში ვიყავით მე და ჩემი ბიძა — ვახტანგ ბოლქვაძე, რომ მოულოდნელად სტუმრად გვეწვია მისი სიყრმის მეგობარი, აბაშელი ვასიკო ცომაია.

სუფრა ძვირფასი სტუმრის შესაფერისად არ ჩავთვალეთ და გადავწყვიტეთ, ვასიკო საქეიფოდ ახალი ათონის რესტორანში წაგვეყვანა. ასეც მოვიქეცით და სულ მალე „გედების ტბაში“ ამოვყავით თავი.

სუფრაც გაიშალა, რომ იტყვიან, „ჩიტის რძე არ აკლდა“. ოფიციანტიც ისეთი ყალმით ნახატი შეგვხვდა, რომ ჩვენს ვასიკოს თვალი ზედ რჩებოდა. ის იყო, ქეიფი ეშხში შევიდა, რომ ვასიკომ მოიწყინა. — ცუდად ხომ არა ხარ, ჩემო ვასიკო, რამე ხომ არ გინდა კიდევ, მითხარი და მყისვე გავაჩენ ყველაფერსო, — შეწუხდა ბიძაჩემი.

— არა, ჩემო ვახო, შენი ახალი მანქანა გამახსენდა და ცოტათი შიში შემეპარა, ვინმემ არ გაიტაცოს და ქეიფი არ ჩაგვიმწაროსო.

— ოღონდ შენ იყავი კარგად და ჯანდაბას მანქანა!.. — შევეპასუხეთ ერთხმად.

გაგრძელდა დროს ტარება: გავიხსენეთ ბავშვობის წლები და კიდევ ერთი სადღეგრძელო შევთავაზეთ ჩვენს საყვარელ სტუმარს. მაგრამ ვასიკომ ისევ მოიწყინა.

— აა, გაგიგე ჩემო ძმაო, — ერთიანად გაიბადრა ბიძაჩემი და მშვენიერ ოფიციანტს უხმო...

— არა, არა, ვახო! რაღა დროს ჩემი ეგეთებია!.. მე ისევ შენი ახალი მანქანის ჯავრი მაწუხებსო.

— ეს ბიჭო! ხომ გითხარი, მაგისი ჯავრი ნუ გაქვს-მეთქი, ოღონდ შენ არ მოიწყინო და მაგ მანქანას მოკვდომია მომგონიო...

— არა! შენ ვერ გამიგე, ჩემო ვახო, მაგ მანქანაში ჩემი ჭილოფის ქუდი დევსო...

***ბათუმელი***

## 5. ძაღლები



სევარიონ გოგობერიშვილს ძალიან უყვარს ძაღლები.

არავის ახსოვს, ვინმესთვის უმიზეზოდ დაეყეფოთ მის ძაღლებს, კბენით ხომ საერთოდ არავისთვის უკბენიათ. ამის მიუხედავად, ერთი მეზობელი მოსვენებას არ აძლევდა, რა ოხრობად გინდა ძაღლები, მოაშორე აქედან, ეზოში შიშით ქათმებს ვერ გაუვლიათო.

უყვარდა სევარიონს ძაღლები, მაგრამ მეზობლის მომდურებას მათი მოშორება ამჯობინა.

ერთ დილას, სამივე ძაღლი (ფინიები ჰყავდა) ტომარაში ჩასვა, ცოლს დაუბარა, წნორში მივდივარ ხის მასალის გადმოსატანადო (ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლად) და ავტობუსს გაჰყვა...

აფენიდან წნორამდე იმის ფიქრში იყო, როგორ მოეშორებინა ძაღლები. ბოლოს გადაწყვიტა, ტომრიანად ავტობუსში დატოვებდა. ასეც მოიქცა...

საღამოს, წნორის ხეტყის ბაზიდან დაბრუნებულ სევარიონს გული დაეთუთქა, ეზოში ფინიები რომ არ შეეგებნენ, გვარიანად შეუკურთხა მეზობელს (ოღონდ ჩუმად!) და შინ შევიდა...

სევარიონის მოსვლიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მისი სახლის გასწვრივ „იკარუსი“ დამუხრუჭდა და ძახილიც მოისმა...

— როგორი გულმავიწყი ყოფილხარ სევარიონ, ავტობუსში ძაღლებიანი ტომარა დაგრჩენია... ოღონდ მაღარიჩი შენზეა, სამი დაგრჩა და ოთხი მოგიყვანე, მადლობა უნდა მითხრა, ძმაო!

მეოთხე ნაგაზის ლეკვი იყო, ფინიებზე გაცილებით დიდი...

***რეზო მამისმედაშვილი, ლაგოდეხი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** მიხო ეჩხუბება ცოლს:

— დედაკაცო! შარვალი რომ მქონია წინ გახსნილი, რატომ არ მითხარი, რატომ შემარცხვინე ხალხში?

— მიხო! მერე რა მოხდა, ხომ იცი, მიცვალებულს კარს არ უკეტავენ... — ჩაიცინა მარომ.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**7.** სვანს ეჩხუბებიან დილით — წადი სამუშაოზეო.

— ვერ წავალ, სიცხე მაქვსო.

გაუზომეს, აღმოჩნდა 36 გრადუსი.

— ესაა შენი სიცხეო?! — შეუყვირეს.

— სიცხეა, აბა რა არის, რაღა აკლია 40 გრადუსსო?!



***ვ.თ. თბილისი***

## მილოცვა

**მზია დავითაშვილს!**

ჩემო საყვარელო და სიხარულო ბანდალავ, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე კარგს ცხოვრებაში. აგისრულდება ყველა ის სურვილი, რაც შენს პატარა, ტკბილ და თბილ გულს გაუხარდება. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ამინ, ამინ, ამინ.

*ე. ქურდაძე*

## ბინები

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში, 8(8), ავეჯით, ბ/აირით, „ატმორით", კეთილმოწყობილი ავეჯით. სფ. – $100. ტ: 893 31-48-03

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსული ენის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ შვეიცარიაში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან შვიცარიულ სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

ოფისში სამუშაოდ გვესაჭიროება სამი თანამშრომელი ხელმძღვანელის და მოადგილეების თანამდებობაზე. სასურველია 30-45 წლის ასაკის, პედაგოგიური და ადმინისტრაციული მუშაობის სტაჟის მქონე პირები. ტელ: 64-63-40

გსურთ, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი? „გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი" და გაზეთ „პაემნის" რედაქცია სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს. საქმის დასაწყებად საჭიროა $250. მის: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთ. №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივი კომპანია გთავაზობთ საოფისე სამსახურს მაღალი ანაზღაურებით, ყოველდღიური გამომუშავებით, თვეში – 150-390$. აუცილებელია უმაღლესი განათლება და რუსულის ცოდნა. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №2, IV სართ, ოთახი 415. ტელ: 93-38-46; 66-54-95; 893 92-72-37. ბატონი მალხაზი

საქართველოში, მ/წ სექტორიდან კიდევ უფრო გააფართოვა თავის არეალი და შესაძლებლობები, შვეიცარიაში უძლიერესმა ფინანსურმა ჩინურმა კორპორაციამ. ის 170 ქვეყანაში ფუნქციონირებს. გიწვევთ უ/განათლების მქონე, 23-55 ასაკის პირებს, თავისუფალი გრაფიკით. ვისაც სურს სოლიდური, მყარი, ყოველთვიური, მაღალი ხელფასი, გამოგვეხმაურეთ: 34-63-64; 899 17-69-24. ომარი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

დავამონტაჟებ ელექტროგაყვანილობას საცხოვრებელ სახლებში, ოფისებში, სხვადასხვა შენობაში. დავაყენებ „ატმორს", ბოილერებს, ჭაღებს. შევცვლი დაზიანებულ წერტილებს. ტელ: 38-92-71; 893 98-23-80. მერაბი

ტექსტის აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 893 96-00-42; 899 91-86-81

კომპიუტერი, პოლიგრაფია, დიზაინი, პროგრამირება: პროგრამირების ჩაწერა კომპიუტერში, CD-ზე, ტექსტის აკრეფა, ამობეჭდვა, სარეკლამო პლაკატები, ბუკლეტები, ლოგოტიპები, ეტიკეტები, მონაცემთა ბაზები, სკანირება, ინტერნეტი, Web-საიტი; არქიტექტურა: პროექტირება, მშენებლობა, ინტერიერის მოწყობა, ავეჯის პროექტირება. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას: სავარძლებზე, მატრასებზე, სკამებზე, ტახტებზე. ნაჭრის შეცვლა, დარბილება. ტელ: 76-01-33. გია (საღამოს)

გთავაზობთ წონის დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, ერთხელ და სამუდამოდ; წონის მომატებას – 4-5 კგ თვეში, მიღებული შედეგის შენარჩუნების 100%-იანი გარანტიით, მცენარეული საშუალებებით, შიმშილის, ვარჯიშის, დამქანცველი დიეტის, უკუჩვენების გარეშე. კონსულტანტი ქ-ნი მედეა. ტელ: 98-86-19; 899 70-14-40

ოფისების, ორგანიზაციების და საყოფაცხოვრებო ობიექტების საყურადღებოდ! დასაქმების სერვისცენტრი „ალფა" მოგაწვდით თქვენთვის სასურველ კადრებს, შესაბამისი კვალიფიკაციით. მის: მარშალ გელოვანის გამზ. №2. ტელ: 33-09-54; 899 20-10-09; 893 63-58-68

გერმანიაში ოპერად წასვლის მსურველ ორივე სქესის ახალგაზრდებს – 18-დან 24 წლის ჩათვლით, გიჩვევთ, მიმართოთ ფირმას: WWW.aupiarweb.net. ფირმის მომსახურება უფასოა. ტელ: 35-30-62. რუსუდანი (20 სთ-ის შემდეგ)

ნათელმხილველი ამიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე: ნათელხილვა, ჯადო-თვალის, წყევლის, ჩაკეტილი ბედის დაზუსტება-მოხსნა; თილისმები, პირადული, მეგობრული, ოჯახური უსიამოვნებების მოწესრიგება; ლოცვითი სამკურნალო სეანსები. ტელ: 893 96-94-51 (მიღება – ჩაწერით)

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებშიც.

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულად) და ანტითამბაქო, სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. დამზადებულია მოსკოვში, აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან), თ. აბულაძის №8. სამუშაო საათები: 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა ხელმისაწვდომ ფასად, უახლესი პროგრამებით: ნევროზი, უძილობა, შიში, მაღალი წნევა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, საკრის უხარისხობა, ნაადრევი და უეცარი გამოყოფა, ქუდები, ფიბრომა, კისტა, მიომა. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო; ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პაპილომა, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, ფსორიაზი, კატარაქტა, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია. დამზადებულია მოსკოვში აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ. 899 21-13-66; 99-75-90. ლალი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სკოლიოზი, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში, წინასწარი ჩაწერით. ექ. მ. ალექსიშვილი. ტელ: 899 57-16-99; 39-39-97; 61-02-97

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესიები, ეპასტატები, შიშები. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები მცენარეულია, უსაფრთხო და მაღალეფექტური. გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 53-08-02; 99-75-90 (სამს.); 893 62-05-24. თამრიკო

ალკოჰოლიზმისგან განკურნება ქუმლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც). გარდა ამისა, ვმკურნალობ: ნევროზებს, აგრესიულობას, ქუდებს (შარდის შეუკავებლობა), ფსორიაზს, ბრონქიტებს, ღვიძლის დაავადებას. შესაძლებელია ბავშვებისთვის სიმაღლეში მომატებაც. ტელ: 893 35-45-35; 99-75-90 (12-17სთ, შაბათ-კვირის გარდა). მაკა

ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლა, კომპლექსური, აკად. ლიხარიოვის მეთოდებით; მათგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა; ნევროზები, ჰალუცინაციები, არითმიები, ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომი, ქუმლის ყოფილი ლაბორატორიის ექსკლუზიური პრეპარატებით. ტელ: 899-22-63-90. ნინო ექიმი

ექიმი-ფიტოთერაპევტი ტასო ელიზბარაშვილი გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. მიღება წინასწარი ჩაწერით, ყოველდღე, 10-დან 18 სთ-მდე; შაბათს – 14 სთ-მდე. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ტელ: 95-12-42 (სამს.); 899 74-23-69. მის: მ. „მარჯანიშვილის" ზემოთ, რუსული ეკლესიის წინ, ივ. ჯავახიშვილის ქ. №82, I სართ. (შინდისფერი რკინის კარი)

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დავი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფი შემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-40; 899 14-14-84

სამეჯლისო ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს ბავშვებს 5-დან 15 წლამდე და უფროსებს – 15-დან 35 წლამდე ესპანური, ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვების შესასწავლად: ვალსი, ტანგო, სამბა, სალსა და სხვა. მის: უზნაძის 59. 23-ე სკოლის სააქტო დარბაზი. ტ: 56-61-63; 95-73-73; 899 55-16-09; 64-46-60. კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს.

შევასწავლით კომპიუტერზე მუშაობას სრულად: Windows, Word, Excel, Internet, E-mail. საგამომცემლო: Pagemaker, Photoshop, CorelDRAW, QuarkXpress. არქიტექტურა, დიზაინი, ანიმაცია: ArchiCAD, AutoCAD, 3-d MAX, ვებ-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

საბავშვო! ჯერულირებული და მოწოდებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დაწყებიდან პროფესიონალამდე". ჩაწერა ყოველდღე 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

უცხო ენების ფირმა „ლინგვა-სკ" იწვევს 15-17 წლის ასაკის მოსწავლეებს ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: თბილისი, ჭავჭავაძის 12. ტ: 30-39-20

ფირმა „ქრონი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კომპიუტერი-ოპერატორი; 2. მსაჯი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115. ბ. 20 (ეზოში), შპს „ქრონი". ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-99 (ბინა)

წარმოებს მიმწვევლთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეასწავლება სახის კანის დეფექტები, მაკიაჟი, მასაჟი, დეკორატიული სამკურნალო; კანის გაწმენდა, მასკები, პილინგი, რიცხვი, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. შეღავათები ეძლევა სტუდენტებს, პენსიონერებს, ოჯახებს, უმუშევარ და ლტოლვილთა ოჯახებს. მის: დიდუბის №26 ან აღმაშენებლის №90. ტელ: 69-09-19; 95-47-67; 893 33-09-66

ინგლისური ენის სპეციალისტი, მაგისტრანტი-ლექტორი (სახელმძღვანელო-ტექნიკური) ამზადებს მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში მაღალ დონეზე, გაძლიერებული პროგრამით. მსურველებს შესწავლის სასურველი და ბიზნესინგლისური. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ფასი შეღავათიანია. ტ. 79-41-06 ეკა (საღამოს)

## იყიდება

ახალი ქართული სატელეფონო ანტენა ცალფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. არჩევნებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი. ფასი – $200; მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

კომპიუტერი. ტელ: 36-47-44

96 ატეხის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად. სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

საქველმოქმედო ორგანიზაციებისა და განათლების სამინისტროს საყურადღებოდ! იყიდება უცხოური ტანსაცმელი, დამზადებული ნატურალური მასალებისაგან – მოზარდებისათვის, ახალი, იაფად! ბავშვთა და ინვალიდთა სახლებისათვის, სკოლა-სკოლებისათვის, დაზარალებული რეგიონებისათვის. მის: ჯანაშიას ქ. 16. ტელ: 91-23-07; 899 56-11-16

## სხვადასხვა

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA), სამშაბათს, 12 ოქტომბერს, 11 სთ-ზე თავის ოფისში ატარებს სემინარს ხეტყის გადამამუშავებელ ინდუსტრიაში დასაქმებულ მეწარმეთათვის. სემინარს გაუძღვებიან გერმანელი და ქართველი დარგობრივი ექსპერტები. სემინარის თემატიკა: 1. ხის დახერხვის, გაშრობისა და შრობის პროცესების დეტალური აღწერა; 2. საერთაშორისო ბაზრებზე ხეტყის პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობების და სირთულეების მიმოხილვა; 3. სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო დანადგარების შესახებ მონაცემები; 4. ეფექტიანი ტექნოლოგიური მეთოდის დანერგვის რეკომენდაციები. დასწრება უფასოა. მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა. მე-5 სართ. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, 11 ოქტომბრამდე დაგვიკავშირდნენ: 30-77-12. ნინო გოგოლაძე ან ქეთი ჭინჭლაძე








## სოფო პეტრიაშვილის გახსენება

წლიწადი ხდება, რაც დაგვტოვა შენმა ლამაზმა სულმა და მარადიული სასუფეველი დაიმკვიდრა. შოკის მომგვრელი იყო ის დღე, როცა შენი გარდაცვალების ამბავი გავიგეთ. ძნელი იყო უშენოდ გატარებული ერთი წელი. შენ ხომ მშობლების ერთადერთი იმედი იყავი. უკურნებელმა სენმა არ დააცალა შენს ლამაზ სულს იმ დიდი მიზნების ასრულება, რაც შენ გინდოდა. ისღა დაგვრჩენია, რომ შენი სურათებით შევავსოთ ის სიცარიელე, რაც დაგვიტოვე. ყველას გვენატრები!. ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული.

*კლასელები*

## ლევან ჯანდიერის გახსენება



ჩვენო ლევან, 11 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. 70 წელი შეგისრულდა. ეს დღე ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება. წახვედი და დაგვიტოვე მონატრების სევდა. საოცრად გამორჩეული შინაგანი ბუნებით, რაფინირებული ინტელიგენტი, მაღალი რანგის პროფესიონალი, მეგობრული, კეთილი, პრინციპული, ლამაზი სულის, კაცური კაცი იყავი. ლამაზად იცხოვრე და გადასახლდი მარადისობაში.

როგორ დააკლდი შენს ბრწყინვალე ოჯახს, როგორ დააკლდი ქალაქს.

წახვედი და ცხოვრება გრძელდება. შენი ოჯახი გამრავლდა, უფალი იყოს მუდამ მისი მფარველი. შვილიშვილები იამაყებენ პაპით, რომლის განვლილი ცხოვრების გზა ყოველთვის სამაგალითო იქნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მეგობრები*



## ლამარა ნებიერიძის მონატრება

ჩვენო ლამარა, 11 ოქტომბერს მეათედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. 70 წლის გახდებოდი, რომ არა ჩვენგან შენი მოულოდნელი წასვლა, რომელმაც სამუდამოდ წაგვართვა შენი თავი. მზის გაყრდნას ჰგავდა ჩვენთვის შენი სიკვდილი. შენ ხომ მთელი ცხოვრება მე-60 სკოლაში, პატარების სწავლასა და აღზრდას ემსახურებოდი პირნათლად. დიდი სიყვარული და სითბო დატოვე მეგობრებში, ნათესავებსა და ახლობლებში.

ამბობენ, – დრო მკურნალიაო. არა, ლამარა, არ ყოფილა დრო მკურნალი. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე, მოგილოცოთ დაბადების დღე, დაგინთოთ სანთლები. შენი მეუღლის, შვილების, ძების დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს გაგვინელდება. გიხსენებთ მუდამ დიდი სიყვარულით. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*ოჯახი*

## გია (გიორგი) ჯიყაშვილის მონატრება



10 ოქტომბერს სრულდება უშენოდ ყოფნის 40 დღე. ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ ამ სიტყვების დაწერა მოგვიწევდა შენზე, ჩვენო გია. „ერთადერთი, რითაც უდროოდ სიკვდილი აჯილდოებს ადამიანს – მარადიული ახალგაზრდობაა“.

შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ. 26 წლისამ დატოვე შენი ოჯახი – მშობლები, და, დისშვილი, მეუღლე და ერთადერთი, უსაყვარლესი ქალიშვილი – შენი დალი. ის ხომ ჯერ 4 თვისაა და არ ეღირსა, შენთვის „მამა“ დაეძახა.

როგორ შეხაროდი, ყველას ეკითხებოდი, – ჩემი შვილი ხომ ყველაზე ლამაზიაო? გვიჭირს უშენობა, გვენატრები, შენ ხომ ყველას გვერდში ედექი, ჭირსა თუ ლხინში. ალბათ ბედის ირონიაა, როცა ჩვენ დაგვჭირდით, შენ გვერდით არავინ იყო. იქნებ დასხლტომოდი სიკვდილის მახეს.

გია, შენ ვაჟკაცურად განვლე ცხოვრების ხანმოკლე გზა. ადრე დაიწვა შენი სანთელი, მაგრამ ისეთი სიკაშკაშით, რომ სხვისი სამი სიცოცხლეც კი არ ეყოფა.

დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, გია! ძალზე ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება... ნეტავ შეგვეძლებოდა იმ საბედისწერო დღეს შენ გვერდით ყოფნა. 1-ელმა სექტემბერმა მოგვტაცა შენი სიცოცხლე. რა ვიცოდით, დრო და შემთხვევა თუ განაგებდა ყველაფერს... თურმე „არავინ განაგებს დღეს სიკვდილს“.

ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ ყველას. ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი ოჯახი*



## ეთერ ცისკარიძის მონატრება

დედა! 17 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. პირველად შევხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. რა ძნელი ყოფილა უშენობა. როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები ყველას!

მოვალთ შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. ილოცე ჩვენთვის და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი შვილები და შვილიშვილები*

## ნანა ჯაშის გახსენება



14 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, ნანა. შენი ლაბორატორიის თანამშრომლები ყოველთვის გიხსენებთ და არც არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო საყვარელო, გულისხმიერო მეგობარო.

*7 წელი შესრულდა, რაც შენ ჩვენთან*
*არ ხარ,*
*ჩვენ უშენოდ მოვიწყენით, შენ როგორ*
*ხარ, ნანა?*
*ალბათ ღმერთმა შენი სული ზეცით აიტანა*
*და იქიდან ყველას ლოცავ, შენებურად, ნანა.*
*ბედმა ასე მოისურვა, დაგვაშორა ნანა,*
*მარადიულ სამყოფელში მშვიდად იყავ, ნანა.*

*ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის იმუნოჰემატოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები*



## მაია მაისურაძის მონატრება

დრო რა უცბად გავიდა, რა უცბად გაიპარა ორი წელი, ჩემო სიხარულო! დაუჯერებელია შენი სიკვდილი. ოხ, რა ძნელია შენი უბედური დედისთვის, ამ სტრიქონებში ჩავტო ის უდიდესი მწუხარება, რომელიც შენ დაგვიტოვე. ამბობენ, ადამიანი ყველაფერს უძლებს, გულს კი მონატრების ატანა შეუძლიაო... არ დაიჯერო, შვილო, არ ყოფილა მართალი. უშენობით გამოწვეული ტკივილი არასოდეს განიკურნება. როცა არ ვტირი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დარდი გამიქრადა!. არც გულში დამშრალა წყარო ცრემლისა. შენ სულ ჩემთან ხარ, შვილო, აქ მიგნით, გულისგულში.

ჩემო მაკო, რამდენი რამ დამიგროვდა სათქმელი, რამდენი კითხვა მაქვს პასუხის გარეშე. რატომ, დედა, რისთვის არ გაცალა დაუნდობელმა სიკვდილმა ვალის მოხდა შვილების წინაშე?! ვერ გაიხარე მათი აღზრდით, არ დაგცალდა, მოზიარე ყოფილიყავი ყველა იმ სიხარულისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს შენი შვილების ცხოვრებაში. წახვედი და თან გაიყოლე სამი შვილის დარდი. უმწეოდ დატოვე შენი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ტარიელი. გვენატრები ყველას: მამას, ალეკოს, ეკას – რომელიც ყურადღებას არ აკლებს შენს ანის და ნინოს, დედას, ბიძას, დედამთილს და მამამთილს, რომელთაც მწარედ განიცადეს შესანიშნავი რძლის დაკარგვა. ისინი დიდი მზრუნველობით ზრდიან პატარა გიორგის.

მკაცრი ყოფილა წუთისოფელი! სიკვდილს ეგონა, დაგამარცხა, მაგრამ არა, დედა, შენ გაიმარჯვე, რადგან ამქვეყნად არსებობენ შენი ანი, ნინო, გიო. არსებობს და იზრდება შენი მოსახელე პატარა მაიკო, რომელიც გაიზრდება და სიამაყით გაიხსენებს მამიდას.

გული მომიკალი, მაკო. გპირდები, სანამ ამქვეყნად ვიქნები, ვიცოცხლებ შენთვის, შენი შვილებისთვის, შენი საყვარელი ალეკოსთვის. ხოლო როცა შენთან მოვალ, გულში ჩაგიკრავ უზომოდ მონატრებულს. ბოლოს მინდა გთხოვო პატიება:

მაპატიე შვილო, ცოცხალი რომ ვარ!

*შენი უბედური დედ-მამა*

## დედიკოს მონატრება

ორი წელი გავიდა უშენოდ, დედა! ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. გვენატრება შენი სიცილი, ხმის გაგონება, ლამაზი სახის დანახვა. ვერ ვუჯერებ გული შენი მოფერებით, მაგრამ ერთი რამ გვანუგეშებს მხოლოდ: ღმერთს უფრო მეტად ჰყვარებიხარ. ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მოგვცეს ღმერთმა, შენს სიცოცხლეს ვინატრებდით.

მუდამ ვილოცებთ შენი სულისთვის, ჩვენო ლამაზო დედიკო. კურთხეულ იყოს ყველა სანთელი, რომელიც შენს სახელზე დაინთება.

*ანი, ნინო, გიორგი*



## მიკა ოჩიგავას მონატრება

მიკა, შვილო! გილოცავ დაბადების დღეს, 12 ოქტომბერს. 25 წლის გახდებოდი, მაგრამ შენზე დაწერილმა უკუღმართმა ბედმა შენ მარად 21 წლის დაგტოვა.

როგორი ბედნიერი და სიყვარულით სავსე 21 წელი გვაჩუქე, შვილო, მაგრამ მხოლოდ 21 წელი. რამ დაატრიალა ასე განუკითხავად ბედის ჩარხი? რათა, რისთვის, რატომ? თითქოს ჩქარობდი, ცხოვრებას ეშურებოდი, რომ შენი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე მეტი სიკეთე და მოსაგონარი დაგეტოვებინა. უშენოდ ცხოვრებას ვერ შევეგუე, ჩემი სიცოცხლე ტანჯვად აქციე. მე შემაყვარე ის სამყარო, რომლითაც შენ ცხოვრობ. ისეთი ახლობელი გამიხადე სიკვდილი, რომ აღარ მეშინია მისი, რადგან იქ, სამუდამო სასუფეველში შენ მეგულები. როგორ მენატრები, მიშკუნა. გაუსაძლისია შენი მონატრება.

*შენი ტანჯული დედა – როზა კოდუა*

## ვაჟა ხოშტარიას გახსენება



ჩემო საყვარელო ძმაო ვაჟა! ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც წახვედი ამ ქვეყნიდან და მარადისობაში გადაინაცვლე. უკვე აღარ გაწუხებს ტკივილი, რომელსაც მოთმინებით იტანდი. წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი, რომელსაც დრო ვერაფრით შეავსებს!

იცოდე, რომ შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები. ყველას უზომოდ დააკლდი: შენს მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს. ჩემო ერთადერთო ძმაო! რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, არასოდეს დაგივიწყებთ.

ღმერთს ვთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ძმა – ალიოშა ხოშტარია ოჯახით*



## ცუცუნა მალაციძე-გზირიშვილის ხსოვნას!

უკვე შენი მარადისობაში გადასვლის ერთ წლისთავს აღვნიშნავთ, ჩვენო საყვარელო დედიკო!. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ძალიან გვიმძიმს უშენობა, გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. რა ვქნათ, რით ვანუგეშოთ შენი საყვარელი მეუღლე? დრო მკურნალიაო, – მაგრამ ასე არ ყოფილა. ვერავითარი დრო ვერ მოგვიშუშებს შენი სიკვდილით მოყენებულ ტკივილს. მხოლოდ სურათები და მოგონებები დაგვიტოვე მოსაფერებლად. გვენატრები. დაე ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი დიდი ოჯახი*

## ხატია ხაინდრავას!



ხატია, შენ წახვედი და ჩვენ დავრჩით! ჩვენ შორის გაჩნდა უზარმაზარი სივრცე, რომელიც სავსეა შენით, შენი გულის სითბოთი, კისკისითა და სიყვარულით, ჩვენო ხატულავ. ოქტომბრის თვეს ხომ შენი სახელი ერქვა, დღეს კი შენი მონატრება და უშენობა ჰქვია. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. უსაზღვროა ის ტკივილი და სევდა, რაც შენ დაგვიტოვე. არ გვგონია, რომ შევეგუოთ... დრო თურმე ტკივილებს ვერ აყუჩებს. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, ჩვენო დიდო სიყვარულო. ამაოდ დაგეძებთ სიზმარსა თუ ცხადში, გეძახით, გეჩურჩულებით და გეფერებით უნუგეშოდ... და მაინც უშენოდ მოსულ 21-ე დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლამაზო და მარად მშვენიერო ხატო!



## დაბადების დღეს გილოცავთ, მამუკა!

მამუკა! დღეს 11 ოქტომბერია, შენი დაბადების დღე... ამ დღეს ეწვია ოჯახს დიდი სიხარული, რომელმაც სულ რაღაც 35 წელი გაძლო და შეიცვალა უზარმაზარი ტკივილით, დარდით, სევდით. შენ აღარა ხარ, მაგრამ შენი დაბადების დღე ყოველ წელს მოდის და ჩვენც რუდუნებით ველოდებით. შენ ისევ ჩვენთან ხარ... ღმერთო მაღალო! ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს მამუკას სულს.

*დედ-მამა*

## ირაკლი ელგარდის ძე პაპავას ხსოვნას!



8 ოქტომბერი – შენი დაბადების დღე, უშენოდ, ცრემლით და ტკივილით, მეორედ მოვიდა, ჩვენო ლამაზო, ცისფერთვალება ირაკლი.

ძალიან გვიყვარდა ეს დღე. განსაკუთრებით შარშან წინასწარ ემზადებოდი ამ დღისთვის, 17 წლის უნდა გამხდარიყავი. გინდოდა, დიდი დაბადების დღე გადაგეხადა, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ 3 აგვისტოს შეწყვიტა შენი ნორჩი გულისცემა.

გიყვარდა სიცოცხლე. ასაკით პატარას ძალიან დიდი და თბილი გული გქონდა. უზომოდ კეთილი და მოსიყვარულე იყავი. 17 წლისამ იმდენი სიყვარული დაიმსახურე, რასაც ბევრი უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ შეძლებდა. შენი ხანმოკლე სიცოცხლით ბევრი სიკეთე და სიყვარული დათესე. შენი გულიანი სიცილი და იუმორი არასდროს დაავიწყდებათ იმ ადამიანებს, ვინც შენ გიცნობდა.

ძალიან ძნელია შენნაირი შვილის წარსულში გახსენება, მაგრამ ბედნიერებაა, იყო ასეთი კეთილი, ნიჭიერი, თბილი, შრომისმოყვარე, მოსიყვარულე ვაჟკაცის მშობელი, და და ახლობელი. ვინც კი გიცნობდა, არავის ავიწყდები. ვიტანჯებით უშენოდ. წელს სკოლას ამთავრებდი. ლამაზი მომავალი გელოდა წინ, მაგრამ შენი და ჩვენი ოცნებები შენს მომავალზე, შენთან ერთად დაიმარხა. ყველას თვალში გვაკლიხარ და გვენატრები – ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს.

როცა შენი საყვარელი ადამიანი აღარ არის, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ის მხოლოდ ხსოვნაში დარჩება. მაგრამ სიტყვა „გარდაცვალება“ ალბათ შემთხვევით არ დარქმევია სულის იმ ქვეყნად დამკვიდრებას. შენც ფერი იცვალე და ზეციდან დაგვცქერი შენს ტანჯულ მშობლებს და ერთადერთ დაიკოს, რომლებსაც ძალიან ენატრებათ შენი მოფერება. ილოცებენ შენი კეთილი სულისთვის, რათა უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქალაქის მიწა.

*შენი ოჯახი*



## დოდო სიჭინავა-მანაგაძის ხსოვნას!

11 ოქტომბერი შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა. საბედისწერო გამოდგა შენთვის რიგით ორმოცდამეთე კონცერტი – 2004 წლის 30 აპრილს. შენი მოსწავლეები ჩვეული, მაღალი აკადემიური და საშემსრულებლო დონით, მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდნენ შოპენის უკვდავ ბალადებს, პოლონეზებს, ეტიუდებს... კულისებს მიღმა მყოფმა შენმა ფაქიზმა და ემოციებით სავსე გულმა ვერ გაუძლო ამხელა დატვირთვას და დაეცი „ბრძოლის ველზე“. კონცერტი გაგრძელდა, შენ კი რეანიმაციაში წაგიყვანეს. ამაო გამოდგა ოთხი თვის მცდელობა შენთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. უძლურია ენა შენი ლამაზი ცხოვრების შესამკობად. შენ ხომ უაღრესად საითნო, კეთილშობილი ქართველი მანდილოსნის ყველა ღირსეული თვისებით დაჯილდოებული პიროვნება იყავი.

შენ ხომ უშურველად გადასცემდი ცოდნასა და გამოცდილებას აღსაზრდელებს, შეგყავდა ისინი ჯადოსნურ სამყაროში. ბევრმა მათგანმა აირჩია მუსიკოსის პროფესია და წარმატებით მოღვაწეობს ამ სარბიელზე.

შენი თქმით, შენი ცხოვრების ტემპი – ვივაჩე – სწრაფი ტემპი იყო, რათა მაქსიმალურად მოგესწრო ყველაფერი და შეუძლებელიც შეძლო – ერთი ადამიანისათვის ძალიან დიდი ტვირთი აზიდე.

შენ დააკლდი შენს საოცრად მოსიყვარულე, განათლებულ, ზრდილ შვილებს, რძლებს და შვილიშვილებს, განსაკუთრებით კი ერთგულ მეგობარს – მეუღლეს იგორს, რომელმაც როგორც პროფესიონალმა, არაფერი დაიშურა შენს გადასარჩენად. ვაი, რომ უშედეგოდ!

დააკლდი შენს საყვარელ დასა და მის ოჯახს, რომელთათვისაც შენით იწყებოდა და შენით მთავრდებოდა ყოველი დღე.

დააკლდი შენს მრავალრიცხოვან კოლექტივს, სამეზობლოს, სამეგობროს და მთელ ქალაქს.

ვაი, რომ ასეთი იშვიათი, ლამაზი ბუნების, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი, ტკბილმოუბარი და კეთილმოსურნე მეგობართა და თანამშრომელთა მიმართ, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი დაკარგა ოჯახმა.

დოდო სიჭინავა-მანაგაძის მსგავსთა ხსოვნას სამშობლო სანთლად ანთებს.

## გივი ბარტყულაშვილის მონატრება



გივი, გილოცავთ დაბადების დღეს. 12 ოქტომბერს 76 წელი შეგისრულდებოდა. მეოთხე წელია, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები. მთელი შენი ცხოვრების წესით, გივი, სიკვდილის უარყოფა იყავი: ენერგიული, ხალისიანი, მოსიყვარულე, შრომისმოყვარე, ვაჟკაცური, არაჩვეულებრივი ბაბუა, მამა და მეუღლე, ნაღდი ქართველი კაცური კაცი, რომელიც მართლა დააკლდა ოჯახს, მაგრამ თურმე სიკვდილსაც სწორედ ასეთები მიჰყავს. შენი საყვარელი შვილიშვილები – ნათია და გიორგი ისევ გივი ბაბუს გიფიცებენ.

25 აგვისტოს ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი საყვარელი ტარიელ ბარტყულაშვილი, რომელსაც ძალიან უყვარდი და პატივს გცემდა. ნათელში იყოს თქვენი სპეტაკი და ლამაზი სულები, ჩვენო საყვარელო გივი.

*ოჯახი*

## გურამ და მაია გეგუჩაძეების მონატრება





გური, მიყვარხარ, მენატრები და მეცოდები, მაგრამ მაინც ბედნიერად გთვლი, რადგან შენ ხომ შენს საყვარელ მაიკოსთან ხარ, ვინც ყველაზე მეტად გიყვარდა. არაფერს უშლიდი და სულ ეფერებოდი. ძნელია ერთი ოჯახისათვის ორ წლიწადში სამი ძვირფასი ადამიანის დაკარგვა. მაია, გურამ, შორენა – თქვენ ხომ ერთი ვენიდან მოდიოდით და ძალიან ჰგავდით ერთმანეთს. თქვენ ხომ სხვისი ტკივილი უფრო გტკიოდათ, ვიდრე საკუთარი. მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ გაგეკეთებინათ ის, რაც პროფესორმა ჟორდანიამ გააკეთა. სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად, თავისი სიცოცხლე გაწირა. სიმართლეა, რომ იტყვიან, – სიკვდილსაც კარგი უნდაო, და მშურს თქვენი. თქვენ ხომ ერთად ხართ, მე კი დაღლილ-დაქანცული, ღამით ვებრძვი მოგონებებს და მარტოობას – დღე კი საქმესა და ფიქრებს. მკვდარი შვილის დედის გულიც მკვდარია და სიცოცხლე – ჯოჯოხეთზე მწარე. გემშვიდობებით, ჩემო-შვილო და ვნატრობ თქვენთან მალე შეხვედრას.

*ლენა*

## მაია გეგუჩაძის მონატრება

2001 წლის 17 სექტემბერი – ავადმოსაგონარი დღე გათენდა, მაიკო, ჩვენთვის. მზის გაყრდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. შემოდგომის მზიანი დღე ძალიან ცუდად დამთავრდა შენთვის, ჩემო მაიკო! დილით ბედნიერებით აღფრთოვანებულმა სიცილ-კისკისით გაიხურე სახლის კარი და შენს რჩეულთან ერთად ქუთაისში წახვედი. გინდოდა, მოგევლო საქართველოს სიძველეები, გელათი, მოწამეთა... მთელი დღე ბედნიერებით აღსავსე იყავი. სიყვარულით და სიხარულით გაცურებული დარბოდი, დაკისკისებდი, გინდოდა, ყველასთვის გემცნო შენი ბედნიერებისა და სიყვარულის ამბავი.

სალოცავში შენგან ანთებული სანთლები შენსავით სწრაფად და წმინდად დნებოდა. შენ ხომ ღვთიური იყავი, ღვთის მორჩილი და მორწმუნე. როგორ ელოდი ბედნიერებას, ჩვენო მაიკო, როგორ გწყუროდა სიყვარული და განგებამ მხოლოდ ცოტა ხნით აგრძნობინა ის დიდი გრძნობა, სიყვარულს რომ ეძახიან. არადა, უფრო მეტს იმსახურებდი შენი მაღალი სულით, ადამიანობით, სიკეთითა და სილამაზით.

გელათიდან მიბრუნებულს, ქუთაისში გიმტყუნა ბედისწერამ. რჩეულის მკლავებში დალიე შენი სპეტაკი სული. სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი, ისე ჩაქრა ცისფერ თვალებში შუქი... მაიკო აღარ არისო, – აქ გაჩერდა შენი მშობლებისათვის სამყარო. ყელში რაღაც მოგვებჯინა, ცრემლებს ვერ ვიკავებთ, ბოლმა გვახრჩობს, თავში ტრიალებს ერთი კითხვა – რატომ? რისთვის? ვერ გაგვიცნობიერებია შენი სიკვდილი, ჩვენო დაიკო, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელო, ჩვენო დიდო იმედო.

აღარ არის, ჩაქრა ნათელი სხივი სიცოცხლისა, სისპეტაკისა, სილამაზისა. ცისფერთვალება ფერიამ ცისფერ ღრუბლებში დაიდე ბინა. ცად ანგელოზებმა გაჩუქეს ფრთები. გვჯერა, შენი სული ცათა-სასუფეველშია იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ, ჩვენო მაიკო! ჩვენგან დანთებული სანთელი გაგინათებს გზას. მუდამ გვემახსოვრები და გვეყვარები.

*ინგა ნოზაძე*



## რა დრო გასულა...

*ლევან დობორჯგინიძის მოგონება*

შენ წინაშე ვდგავართ შენი კლასელები, ჩვენო საამაყო მეგობარო ლევან. დიდი ხანია, არაფერი გვითქვამს შენ შესახებ. ყველანი ვგრძნობდით, რომ გამორჩეული იყავი არა მარტო ჩვენს კლასში, არამედ მთელ სკოლაში. ყველაფერში გვმჩნეოდა, პედაგოგების ოჯახში რომ იზრდებოდი – სწავლაში, შრომასა და თამაშში ტოლი არ გყავდა. ყველას გვეხმარებოდი, ვისაც უჭირდა. განსაკუთრებით გებრალებოდა ობოლი ბავშვები. სიბრალულით მიაპყრობდი ხოლმე ასეთ ბავშვს შენს ჭკვიანსა და ლამაზ თვალებს. თურმე შენც გელოდა მამით ობლობა. 13 წლისას ტრაგიკულად დაგეღუპა მამა – ვარლამ დობორჯგინიძე, მათემატიკის მასწავლებელი.

ვაჟკაცური ბუნება გქონდა, ლევან, მაგრამ ნაზიც იყავი. მძიმედ განიცადე მამის დაღუპვა. სიტყვები არ გვყოფნის შენს დასახასიათებლად. ამიტომ მასწავლებლების აზრს მოვიშველიებ: ლევანისთანა ყოველმხრივ შემკობილი ბავშვი იშვიათად შეიძლება გაჩნდეს; ბედნიერია ის ოჯახი, სადაც ლევანისთანა ბავშვი იზრდება; ასეთ ადამიანს ჰქვია ყოველმხრივ განვითარებულიო... და რა თავზარდამცემი იყო ასეთი პიროვნების დაკარგვა. მოულოდნელი ზარი: ლევან დობორჯგინიძე აღარ არისო. შენმა დაღუპვამ შეაძრწუნა არა მარტო სოფელი ნიგვზიანი, არამედ ლანჩხუთის რაიონში ყველა, ვინც შენ და შენს მშობლებს გიცნობდათ. 9 წელი ვსწავლობდით ერთად. მე-10 კლასში დაჯდომა აღარ დაგცალდა, რაც დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის.

1974 წლის 1-ელი სექტემბრის ზეიმის ნაცვლად, გლოვა იყო ჩვენს სკოლაში. შენი უკანასკნელი ქების სიგელი სასაფლაოზე ავიტანეთ და შენს დედას, ჩვენი ქართული ენის მასწავლებელს – შურა იენიძეს გადავეცით.

დადგა დრო, დედაშენი სკოლაში მოგვიყვანა, მას კი სიცოცხლეც არ უნდოდა, არამცთუ სკოლაში მოსვლა. შევწუხდით ყველანი: მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, უხერხულად ვგრძნობ თავს შურა მასწავლებელმა და იგი სკოლაში მოვიდა. ძნელი იყო მისთვის შენს თანაკლასელებთან მოსვლა და შენი ცარიელი მერხის ცქერა. ატირებული მივდით მასთან. თვითონაც თვალცრემლიანი გაგვყვა და ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას. მისი შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული. იგი რესპუბლიკის სახალხო განათლების წარჩინებულია, მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის წოდება. სხვა ჯილდოებიც აქვს, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო შურა მასწავლებლისათვის ის არის, რომ სასახელოდ აღზარდა შენი ერთადერთი ძმა ანზორი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა. ანზორი დღეს რაიონის ერთ-ერთი საამაყო წევრია. როგორ გაიხარებდი, ლევან, შენი საყვარელი ძმის წარმატებებით. შენც ხომ დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ მასწავლებლებიც და მეგობრებიც. ვაი, რომ არ დაგცალდა. 15 წლისა გამოგვაკლდი. ახლა 45 წლის იქნებოდი და რამდენ სიკეთეს გააკეთებდი ჩვენი ქვეყნისთვის.

იძინე მშვიდად, მარადი ძილით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო ლევან. არასოდეს დაგივიწყებთ.

*შენი კლასელები*

## გივი მიქაშავიძის ხსოვნას!



გივი ბაბუ, ცამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაგვტოვე. გვენატრები ძალიან. 12 ოქტომბერს ოთხმოცი წელი გისრულდება, თუმცა ეს თარიღი უშენოდ უნდა აღვნიშნოთ. როგორ გაიხარებდი, სტუდენტ შვილიშვილებს რომ მოსწრებოდი! გული გვწყდება, რომ შენი პატარა მოსახელის დაბადებას ვერ მოესწარი. მან ხომ შენი უზარმაზარი სითბო ვერ შეიგრძნო.

ბაბუ, იმდენი სიკეთე დათესე ამქვეყნად, ჩვენ – ყველას გვიადვილდება სავალი გზა, გვჯეროდეს, რომ შენს ნათელ სახელს ჩრდილი არასოდეს მიადგება.

*დიდი მონატრებით, შენი შვილიშვილები*



## გიგა ჭანტურიას გახსენება

ჩვენო გიგა, უსაყვარლესო და მარადიულო მწარე მოგონებავ, უდიდესი გულისტკივილით და მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს, 13 ოქტომბერს. 26 წელი შეგისრულდებოდა, მეორე დაბადების დღეა შენი, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. წახვედი და დატოვე დარდი და ტკივილი. სწორედ მაშინ, როცა უნდა გაგეხარა სიცოცხლით, შენმა ბედისწერამ ზეცაში, მარადისობაში დაგიმკვიდრა ადგილი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცი სული.

*დედა, მამა, და და მამიდაშვილები*

## აბე ახალკაციშვილის ხსოვნას!



გაუნელებელი ტკივილით და ცრემლით გავიდა ათი მწარე წელიწადი. ავადმოსაგონარ 15 ოქტომბერს, 26 წლისამ ტრაგიკულად დაასრულე უმწიფარი სიცოცხლე. გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე შენს გამწარებულ მშობლებსა და ცოლ-შვილს.

გვგვიჭირდა უშენობა, ახ! დრომ ვერ განკურნა ტკივილი, შენგან დატოვებული სიცარიელე ამოუვსებელია.

შენი ბექა და ავთო უკვე ვაჟკაცები არიან, ახლა სჭირდებათ მამა, მაგრამ მხოლოდ სურათიდან ადევნებ თვალს მათ.

შვილო! უშენობა გვიჭირს, გვაკლიხარ, გვენატრები.

*შენი ოჯახი*



## მანანა სულეიმანაშვილი-ქარუხნიშვილის ხსოვნას!

40 დღე გავიდა უშენოდ, მანანა, 40 მწარე დღე... ტკივილით წახვედი, ტკივილი დაგვიტოვე ოჯახს, ახლობლებს... იმ მძიმე დღეებში აქეთ გვანუგეშებდი... წახვედი და დარდთან ერთად სიამაყის გრძნობაც დაგვრჩა – გულწრფელად დაგიტირეს ახლობლებმაც და შორეულმა ნაცნობებმაც კი. დააკლდი ყველას, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ, შენს სისხლსა და ხორცს. მადლობელი ვართ შენი, რომ ასეთი კეთილი და კარგი იყავი, დიდი სიყვარული და თანადგომა იცოდი. მუდამ გვეხსომები, მუდამ შენი სულისთვის ვილოცებთ, ჩვენო კარგო.

*ახლობლები*

მეუღლე სერგო მესხიძე; შვილები: ნათელა, ნორა, იური, თემური; შვილიშვილები, რძლები, სიძეები იუწყებიან

**მარგარიტა ნიკოლოზის ასული ცალქალამანიძე-მესხიძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 11 ოქტომბერს;
დაკრძალვა: 12 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: გამსახურდიას გამზირი №6, II სადარბაზო, II სართული.

მეუღლე თამარ სიხარულიძე; შვილები: ლია და ნანა ხინთიბიძეები; სიძე პაატა ხვედელიძე; შვილიშვილი ავთო ხვედელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლომკაც (ლოლო) ხინთიბიძე**

პანაშვიდი: 13 ოქტომბერს;
დაკრძალვა: 14 ოქტომბერს.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, კალანდარიშვილის ქუჩა.

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლომკაც (ლოლო) ხინთიბიძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

# იდუმალი დელფინი

— უსათუოდ უნდა გიამბოთ ჩემი უცნაური თავგადასავალი. მადლიერების გრძნობასთან ერთად გაოცებაც მიპყრობს, — მითხრა 22 წლის ზაქრო შ-მა — ზღვა ძალიან მიყვარს. მშობლებმა იციან ეს და ყოველნაირად მიწყობენ ხელს, რომ ორიოდე კვირით მაინც შევძლო ზღვაზე წასვლა. ბუნებრივია, წელსაც ვიყავი და ეს უცნაური ამბავიც იქ გადამხდა, თუმცა კი სასწაული ცოტა ადრე დაიწყო. დაახლოებით ექვსი თვით ადრე უცნაური ხილვა მქონდა: ვითომ ზღვაში ვიხრჩობოდი და მაშველს ვუხმობდი, რომელიც არ ჩანდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა დელფინი, რომელიც ადამიანის ენით მამშვიდებდა — არ შეგეშინდესო! თანაც ეს ხილვა ორ კვირაში ერთხელ მაინც მეორდებოდა და შიში შემეპარა, თუმცა კი მშობლებს მაინც არაფერი ვუთხარი — დედაჩემს სჯერა სიზმრების, უსათუოდ მეტყოდა — მფარველი ანგელოზი გაფრთხილებსო და არ გამიშვებდა ზღვაზე...



ბათუმში აგვისტოს დასაწყისში ჩავედი და ძველ ნაცნობებთან დავიდე ბინა. ჩემს მასპინძლებს ჩემი ტოლი ვაჟი ჰყავთ და ცხადია, მე და ვაჟა ზღვაზე ხშირად ერთად დავდივართ ხოლმე.

იმ დღეს, ლამის ცისკარზე, მარტო გავედი ზღვაზე. სანაპიროზე სულიერი არ ჭაჭანებდა. საოცრად მშვიდი იყო ზღვა, არ ირხეოდა მისი მოსარკული ზედაპირი. მიუხედავად სუსხისა, მაინც შევედი წყალში, რომელიც თბილი და ძალიან სასიამოვნო მომეჩვენა.

...როცა დაღლილობა ვიგრძენი და დაბრუნება გადავწყვიტე, ნაპირი ვეღარ დავინახე და დავიბენი. თავგზა ამერია...

კიდევ კარგი, ბუნებით უშიშარი ვარ. დასასვენებლად კარგა ხანს ვიტივტივე წყალზე გადაწოლილმა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მეფიქრა დაბრუნებაზე და ალალბედზე გავცურე. ნაპირი არა და არ გამოჩნდა. მივხვდი, შემეშალა... ყველა უბედურებასთან ერთად დაღლილობისგან ძარღვი გამენასკვა, მარჯვენა ფეხი ლამის მომაწყვიტა საშინელმა კრუნჩხვამ, მერე თავიც ამტკივდა და მივხვდი, ცუდად იყო ჩემი საქმე. განწირული ხმით მშველელს ვუხმობდი და... ამ დროს გამახსენდა ჩემი ხილვა, მივხვდი, მართლა მაფრთხილებდა ბედისწერა და ვინანე, რომ არ დავუჯერე. ღმერთო, მაპატიე ურწმუნოება-მეთქი, — ვთქვი გულში და უმწეობისგან ავტირდი. თან ჩაძირვა დავიწყე... სანამ გონს დავკარგავდი, გეფიცებით, თითქოს ზეციდან ჩამომძახა ვილაცამ — ნუ გეშინიაო და ვიგრძენი, როგორ შემეხო სხეულზე სრიალა არსება. უნებლიეთ გამიელვა — ნუთუ სიზმარში ნანახი დელფინია. დიდება შენდა, ღმერთო-მეთქი და გონება დამებინდა... დელფინმა კი მძლავრი ბიძგით წყლის ზედაპირზე ამომაგდო და რადგან ჰაერის ჩასუნთქვის საშუალება მომეცა, თითქოს გონებაც დამიბრუნდა, მაგრამ მაინც ბუნდოვნად ვგრძნობდი, საოცარმა არსებამ როგორ მომიქცია ზურგზე... ის კი აღარ მახსოვს, ნაპირზე როდის ალმოვჩნდი, ან რამდენ ხანს ვეგდე უგონოდ. ხალხის ხმაურმა გამომაფხიზლა...

ყველას ვეკითხებოდი ჩემს გადამრჩენელ დელფინზე — ხომ არ დაგინახავთ-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, დელფინი არავის შეუნიშნავს. ისინი თურმე კარგა ხანია ერიდებიან ადამიანების სიახლოვეს ყოფნას. ვაჟამაც კი არ დამიჯერა, რომ დელფინმა გადამარჩინა, მაგრამ ასე იყო... თანაც ხილვა ხომ უზუსტესად ამიხდა!

...ბათუმიდან წამოსვლამდე ბევრი ვიხეტიალე სანაპიროზე, ალიონზეც, გვიან ღამითაც — იქნებ მარტო რომ ვიქნები, უფრო გამომიჩნდეს-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა და ძალიან მწყდება გული.

იმ დელფინისგან სიცოცხლით ვარ დავალებული და საოცრად შემიყვარდა ეს უკეთილშობილესი არსება. სხვა რა შემიძლია და, გადავწყვიტე ეკოლოგია შევისწავლო, ყველაფერი გავაკეთო ზღვის დასაცავად და ყველა პირობა შევქმნა, რომ დელფინებს ადამიანებთან დაბრუნების სურვილი გაუჩნდეთ!..

***გია მ-ძე***

# საბედისწერო დამღა

შარშან ზაფხულს ერთი დედისერთა, 26 წლის ყმაწვილი დაიღუპა... მისი მგლოვიარე დედის მონოლოგი მინდა შემოგთავაზოთ, თუმცა კი ამ ამბავმა შეიძლება გული დაგიმძიმოთ...

— ჯერ კიდევ სამშობიაროში შევამჩნიე ზურას მარცხენა ძუძუს ქვეშ მკრთალი ლაქები, რომლებიც ხალებს არ ჰგავდა. ექიმმა დამამშვიდა: — დაბადების ლაქებია, დროთა განმავლობაში გაუქრებაო. 3-4 თვის შემდეგ ლაქები გამუქდა და რიცხვების უცნაური კომბინაცია შეადგინა, 4-11-17-23-26!.. ვის არ ვაჩვენე, მაგრამ პასუხი ვერ ვიპოვე მტანჯველ კითხვაზე — რას ნიშნავდა იგი. დედის გული სხვანაირად მგრძნობიარეა. მოსვენება დავკარგე. თანაც, ჩემდა ჭირად, ერთ ქალთან მივედი, იმანაც დამიდასტურა: — როგორც ჩანს, მითითებულ რიცხვებში თქვენს შვილს საფრთხე ელოდება და ილოცეთ, რომ ღმერთმა ავისგან დაგიფაროთ. მისთვის ყველაზე სუსტი ადგილი გულიაო.

4 წლის ზურას ფილტვების ანთება დაემართა და სამი დღის განმავლობაში მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მივხვდი, ბიჭს მართლაც ბედისწერის რიცხვები ეწერა მკერდზე...

11 წლის რომ გახდა, შინაგანად უკვე მზად ვიყავი ცუდისთვის და წუთითაც არ ვიშორებდი გვერდიდან, ამოდენა ბიჭი სკოლაშიც კი ხელჩაკიდებული დამყავდა, მაგრამ ერთ დღეს ტროტუარზე მანქანა ამოგვივარდა და ლობეს მიგვაჭყლიტა დედა-შვილი...

ძალიან მძიმედ ვიყავით. ზურას ლითონის ჩადგმაც კი დასჭირდა მკვლავის ძვლების შესაერთებლად, მერე ერთი წელი ინვალიდის სავარძელს იყო მიჯაჭვული და უდიდესი ნებისყოფის ხარჯზე წამოდგა...

1993-ში სოხუმში გაგვეპარა. წარმოიდგინეთ, რა დღეშიც ჩავვარდებოდი, თანაც საბედისწერო 17 წელი უსრულდებოდა... ორ კვირაში დამიბრუნეს მძიმედ დაჭრილი, რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა და ნარკოზის დროს გული გაუჩერდა... ექიმები სასწაულად მიიჩნევდნენ მის მობრუნებას...

ზურამ გაოგნებულმა გამანდო კლინიკური სიკვდილის დროს ნანახი: — ვითომ ამერიკაში ვცხოვრობდი (ზურამ ინგლისური კარგად იცოდა!...), ქუჩურ გარჩევებში ვმონაწილეობდი, გულში დანა ჩამარტყეს და მომკლეს... ჩემი სული ზემოდან დაჰყურებდა სისხლში მცურავ საკუთარ სხეულს და გამხეცებულ მკვლელებს, რომლებიც ღრიალებდნენ: — სიკვდილს იქითაც მოგწვდებითო!..

არც ეს ხილვა მესიამოვნა. წინა ცხოვრებისა ბევრი არაფერი მჯერა, მაგრამ... ახლა მგონია, სწორედ წინა ცხოვრების ბედისწერა გამოჰყვა ვალად ჩემს საცოდავ შვილს...

23 წლისამ მოიტაცა გოგონა, რომელსაც სხვა უყვარდა... ძალით დაიმორჩილა და იმ საბრალომ თავი მოიკლა. ამან ზურას თავზარი დასცა და თავადაც თავის მოკვლა განიზრახა. მერე გარდაცვლილის ძმებმა სცემეს. ეტყობა, მკვდარი ეგონათ და ქუჩაში მიატოვეს... ისევ გადარჩა, ეგ იყო, სამუდამოდ დაკოჭლდა...

მისი გადარჩენა რომ შეიტყვეს, იმ გოგონას ახლობლებმა შემოუთვალეს: — სულერთია, მაინც არ გაცოცხლებთო!..

რუსეთში გავხიზნეთ. იქაც მიაგნეს მოსისხლეებმა, ქუჩაში დახვდნენ, გულში ტყვია დაახალეს და დანით აკუწეს.

რომ დაგვირეკეს და გვითხრეს, საავადმყოფოშიაო, — უკვე ვიცოდი, შვილს ცოცხალს ვეღარ ვნახავდი, ბედისწერა აღსრულდა...

— *ქალბატონო მარინე, პარანორმალური მოვლენების მკვლევარებთან თუ ეცადეთ ამ უცნაური მოვლენის ახსნა?!.*

— 17 წლისა იყო ზურა, ერთ პარაფსიქოლოგს მივაკითხე, რომელმაც მითხრა: აქ რთული კანონზომიერება მოქმედებს, რომელიც უბრალო მოკვდავის ძალას არ ემორჩილებაო.

...როგორც ჩანს, სიცოცხლე ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია და არც დაბადებით და გარდაცვალებით მთავრდება ერთი კაცის არსებობა.

***ინგა ჯაყელი***

## „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. წაბლი

II. 1 — ბ); 2 — დ); 3 — ე).

III. **აბა, გამოიცანი**

1) — ბ); 2) — დ); 3) — დ); 4) — ბ); 5) — გ); 6) — დ); 7) — ა); 8) — გ); 9) — ბ).

IV. ეკალი

**ჩვენ გვწერენ**

# შემთხვევა სადგურში



ხშირად მიხდებოდა მატარებლით მგზავრობა და, რა თქმა უნდა, ყოველთვის დრო წუთობით მქონდა გათვლილი. სამსახურიდან თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სადგურზე, მეორე დღეს კი სოფლიდან ასევე სირბილ-სირბილით მივექანებოდი მატარებლისკენ. ძალიან მიჭირდა, მაგრამ რა მექნა — სოფლად მარტოხელა დედა მყავდა დატოვებული.

შემოდგომა იდგა. ჩვეულებრივ მივედი სადგურში, თან წამდაუწუმ საათზე ვიყურებოდი. მატარებელი იგვიანებდა. მე კი ძალიან მეჩქარებოდა. მოუსვენრობის გამო ბოლთას ვცემდი. ახალგაზრდა ბიჭი შევამჩნიე, თვალს არ მაშორებდა. მივხვდი, გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა...

მალე გამოაცხადეს, მატარებელი ლიანდაგზე ჩამოდგაო. ის-ის იყო, ბაქანზე გასასვლელად მოვემზადე, რომ მოულოდნელად შევჩერდი — გონება დამებინდა.

აღარც ის მახსოვდა, სად მივდიოდი, არც ის, რა ადგილზე ვიყავი ან რა უნდა გამეკეთებინა. თავი უხერხულად ვიგრძენი. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებაა, როცა გრძნობ, თითქოს ცხოვრება დასრულდა. გონება აღარ გიმუშავებს, შინაგანად დაცარიელდი. ასეთ უმწეო მდგომარეობაში 5-10 წუთი მაინც ვიდექი. მაშინ რომ გეკითხათ, საკუთარ სახელს ვერ გეტყოდით.

უცებ ის ბიჭი მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამადო. სიტყვასიტყვით მახსოვს ყველაფერი, რაც მითხრა:

— იჩქარე, ამა და ამ საავადმყოფოში გელოდებიან. ახლავე უნდა წახვიდე, თორემ მერე გვიან იქნებაო.

მეც, პატარა ბავშვივით უსიტყვოდ დავემორჩილე. გამოვედი სადგურიდან. ტაქსიში ჩავჯექი და დასახელებულ საავადმყოფოს მივაშურე. მიმღებთან გავაჩერებინე და ჩამოვედი. მექანიკურად შევედი შენობაში. ჩემი შესვლა იყო და ორი ფერდაკარგული ყმაწვილი ჩემკენ გამოქანდა.

— შემთხვევით რეზუს-უარყოფითი მეოთხე ჯგუფის სისხლი ხომ არ გაქვთ? — მკითხა ერთმა, თან მტვრიან სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა. გაოცებულმა დავუქნიე თავი.

— ოღონდ ახლა გვიშველე... — და ექიმის კაბინეტამდე სირბილით მიმიყვანეს.

იქ მეკითხებოდნენ, რა დაავადებები მაქვს გადატანილი. რაღაც დოკუმენტაცია შეავსეს. მომაკვდავ 17 წლის ყმაწვილს სისხლი სჭირდებოდა. მისი გადარჩენის იმედი გაჩნდა. როცა სისხლი გადავუსხი, უკვე სრულ გონებაზე ვიყავი და ვერ ვფარავდი გაკვირვებას. ვიხსენებდი ყველაფერს, რაც სადგურში შემემთხვა. გადავწყვიტე, ავადმყოფის პატრონისთვის მეკითხა, ის ახალგაზრდა ბიჭი ვინ იყო, სადგურში რომ მიპოვა, ან საიდან იცოდა, რომელი ჯგუფის სისხლი მქონდა. ბიჭებმა მხრები აიჩეჩეს — არავინ გამოგვიგზავნიაო. მალე ბიჭის ოჯახის წევრები მოვიდნენ. ქალი კივილით შემოვიდა საავადმყოფოში, როცა გაიგო, შვილი ცოცხალი ჰყავდა და ჩემმა გაღებულმა სისხლმა იხსნა, გულში ჩამიკრა — დღეიდან შენ ჩემი მეორე შვილი ხარო, — ხელებს მიკოცნიდა.

— ქალბატონო, მე არაფერ შუაში ვარ. ახლა სოფელში ვიქნებოდი, რომ არა ვიღაც ბიჭი, რომელმაც აქ მოსვლა მაიძულა-მეთქი, — ვუხსნიდი მშვიდად.

— ვინ იყო? — მკითხა სლუკუნით.

— აბა, რა გითხრათ, მაღალი, სიმპათიური ბიჭი იყო... რომ ვიხსენებ, მგონი, იარაც უნდა ჰქონოდა წარბთან.

ქალმა ხელი მომიჭირა ხელზე და ჩუმად მითხრა:

— ეგ ჩემი გარდაცვლილი ძმაა... ნამდვილად ის არის! — მერე ჩანთა გახსნა და ფოტო ამოიღო.

მართლა ის იყო!

დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის ცხოვრება — თურმე გარდაცვლილი ზრუნვას არ წყვეტს თავის საყვარელ ადამიანებზე და ისიც იცის, რაც ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელია...

***კ. ჩუმაშვილი***

# დაუპატიჟებელი სტუმარი



მოჩვენებისა და ე.წ. „მილმა სამყაროების“ არსებობისა არ მჯეროდა, მით უმეტეს, რომ მდიდარი წარმოსახვის უნარით დიდად ვერ დავიკვეხნიდი. მჯეროდა მხოლოდ იმისა, რისი საკუთარი თვალით დანახვა, მოსმენა ანდა შეხება შემეძლო, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრება მოულოდნელობებით გვიმასპინძლდება.

თითქმის ათი წელია, სრულიად მარტო ვცხოვრობ — მშობლების გარდაცვალების შემდეგ ოროთახიანი ბინა დამრჩა. თავისთავად ცხადია, ობლად დარჩენილს, ცხოვრებასთან ჭიდილი მომიხდა. როგორღაც გავუმკლავდი კიდეც. მართალია, მძიმე შრომის ფასად, მაგრამ მაინც შემოსავალი გამიჩნდა. ერთადერთი — მარტოობა მაწუხებდა. ასეთ წუთებში თავს იმითღა ვინუგეშებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდა ღირსეული მამაკაცი და ოჯახის შექმნას შევძლებდი.

და ერთ კვიმატ დღეს, ჩემს მდორე ყოფაში უცნაური ცვლილებები დაიწყო...

დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ვატარებ. არცთუ იშვიათად შინ გვიან ვბრუნდები და დაღლილ-დაქანცულს მაშინვე მეძინება ხოლმე.

იმ საღამოსაც ასე მოხდა — გვიან დავბრუნდი და არც კი მივახშმია, საძინებელს ისე მივაშურე. ნაშუაღამევს რაღაც უცნაურმა ხმამ გამომაღვიძა — სამზარეულოდან ფხაკუნი, ჭრიალი, ოხვრა შემომესმა. შიშნეული არა ვარ, ისეთი არაფერი მაბადია, ქურდებმა რომ საკუბილოდ ჩათვალონ... სამზარეულოსაკენ გავემართე. ხელის ცეცებით მოვძებნე ჩამრთველი და განცვიფრებულმა წამოვიყვირე: მაცივრის კარი ღია იყო, შიგ არაფერი ჩანდა. იქვე, იატაკზე, დასვრილი თეფშები, ჭიქები და ქვაბებიც კი ეწყო. სამზარეულოში არავინ ჩანდა. ოთახები საგულდაგულოდ დავათვალიერე და საწოლქვეშაც კი შევიხედე, მაგრამ „სტუმარს“ ვერსად მივაგენი.

რაღას ვიზამდი, იქაურობა მივალაგე და კვლავ დასაძინებლად დავწექი, თითქმის დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი ჩემი ნახელავი გახლდათ და დაქანცულს აღარ მახსოვდა, რა ჩავიდინე, რადგან ვიმეორებ, მოჩვენებებისა არ მჯეროდა...

დილით, სამსახურში წასვლამდე, მაღაზიაში პროდუქტები შევიძინე და მაცივარში დავაბინავე. საღამომდე წინაღამინდელი ამბავი თითქმის პირწმინდად დამავიწყდა.

შინ დაბრუნებულმა შხაპი მივიღე და როცა საკიდიდან პირსახოცი ჩამოვხსენი, კიდევ ერთხელ გავოცდი — სველი იყო... არადა, კარგად მახსოვდა, რომ დილით მშრალი დავტოვე. ეტყობა, დაქანცულობისგან რაღაც-რაღაცები მაინც მავიწყდება-მეთქი, დავიმშვიდე თავი, ცოტა წავიხემსე და დავწექი. ღამით კვლავ ხმაურმა გამაღვიძა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სამზარეულოში ვიღაც იყო. ტყვიასავით შევვარდი ოთახში, მაგრამ იქ კვლავ არავინ დამხვედრია, მაცივარი კი კვლავ ცარიელი იყო და ჭუჭყიანი თეფშებიც იატაკზე ეყარა... ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ არაფერი მომჩვენებია და გადავწყვიტე, მომდევნო ღამეს „დაუპატიჟებელ სტუმარს“ დავდარაჯებოდი. ასეც მოვიქეცი. თავი მოვიკატუნე, თითქოს დასაძინებლად დავწექი, მაგრამ ყურები დაცქვეტილი მქონდა. დიდხანს კი მომიწია ლოდინი... ფხაკუნისა და ჭრაჭუნის გაგონებისთანავე ფეხაკრეფით მივიპარე სამზარეულოს კართან და ცალი თვალით შევიჭყიტე: გამოღებულ მაცივართან, პირდაპირ იატაკზე, სრულებით უცხო, წითელპიჟამიანი მამაკაცი იჯდა და ჩემს პროდუქტს გამალებით მიირთმევდა. აღშფოთებისგან ძარღვებში სისხლი ამიდუღდა. ვინა ხარ-მეთქი, — შევკივლე და სამზარეულოში შევვარდი. უცნობმა, რომელიც არც უცხოპლანეტელს ჰგავდა და არც აჩრდილს, თავი ასწია და თვალი თვალში გამიყარა. უცნაური, ზურმუხტივით მოციმციმე თვალები ჰქონდა და რენტგენივით გამჭოლი მზერა. ისეთმა შიშმა შემიპყრო, რომ სახეზე ხელები ავიფარე. რამდენიმე წამის შემდეგ უცნაური სიმშვიდე დამეუფლა, ხელები ჩამოვწიე და გავოგნდი — დაუპატიჟებელი სტუმარი სადღაც გამქრალიყო!

იმ დღის შემდეგ ზურმუხტისთვალება სტუმარი ჩემს სახლში აღარ გამოჩენილა, თუმცა რამდენიმე ღამე მის მოლოდინში თეთრად გავათენე. არ ვიცი, მოჩვენება იყო თუ რეალური ადამიანი, მაგრამ ღამეული ვიზიტები ალბათ სამუდამოდ შეწყვიტა.

ერთ თანამშრომელს გავუმხილე ეს ამბავი და მითხრა, — შესაძლოა, შენი სტუმარი „პარალელური სამყაროდან“ იყოო. იძულებული შევიქენი, ამ ახსნა-განმარტებით დავკმაყოფილებულიყავი, თუმცა გული დამწყდა — ღირსეულობის მოუხედავად, ის მამაკაცი საოცრად მომზიდველი მეჩვენა...

***ელენე გ-ძე, თბილისი***

# უკვდავების წამალი გამოიგონეს?

უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც მეცნიერები ცდილობენ ამოიცნონ ინდოეთის ოკეანის კუნძულების ბინადარი უზარმაზარი კუს დღეგრძელობის საიდუმლო. მისი სიცოცხლის ზღვარი არავინ იცის. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც კაპიტანმა კუკმა აჩუქა მეფე ტონგის 1777 წელს, იცოცხლა 1966 წლამდე.

ამჟამად მთელ მსოფლიოში ძალიან ცოტა კუ არის დარჩენილი, ვინაიდან XX საუკუნეში, მათზე ინტენსიურად ნადირობდნენ. ეს ცოცხალი კონსერვები მეზღვაურებს მოგზაურობისას საგზლად მიჰყავდათ, ვინაიდან ისინი მთელი წლის მანძილზე ძლებენ უსმელ-უჭმელნი. ერთი გალაპაგოსური კუ 100 მეზღვაურს ანაყრებდა.

კუ გადაშენებისგან იხსნა აშშ-ში აღმოჩენილმა ნავთობმა. როცა პენსილვანიაში 1859 წელს დაიწყო ნავთობის მოპოვება, აღარ იყო საჭირო ზვიგენების დაჭერა, რომელთა ზეთი გასანათებლად იხმარებოდა. მილიონერმა უოლტერ როტშილდმა არ დაინანა ფული და ინდოეთის ოკეანეში შეიძინა კუნძული გიგანტური კუს გასამრავლებლად. ახლა იქ დაახლოებით 100 000 კუ ბინადრობს. კუნძულზე ფეხის დადგმაც კი აკრძალული აქვთ ტურისტებს.

ექიმები არ კარგავენ იმედს, რომ მიაგნებენ გიგანტური კუს დღეგრძელობის გენს.

P.S. ახლახან ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ლაბორატორიის მეცნიერებმა აღმოაჩინეს აქამდე უცნობი გენი გიგანტური კუს ორგანიზმში. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ შესაძლებელია ეს იყოს დღეგრძელობის გენი, რომელიც ასე სჭირდება კაცობრიობას.

***ნიუ ზუიქი***

# ფერმერებმა ვეფხვი შეახრამუნეს



ორ ჩინელ ფერმერს სასამართლომ ცხრა წლით პატიმრობა მიუსაჯა იმის გამო, რომ მათ შესანსლეს მანჯურიის ვეფხვი.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ნადირობის მოყვარულმა გლეხებმა ტყის პირას ხაფანგი დააგეს და რას იფიქრებდნენ, თუ შიგ ვეფხვი გაებმებოდა. იმის მაგივრად, რომ ამის შესახებ ხელისუფლებისთვის შეეტყობინებინათ, ფერმერებმა მხეცს შიმშილით სიკვდილი აცალეს და შემდეგ გემრიელად მიირთვეს.

***ოკნა №35***

# სასწაული საავადმყოფოში

იმის შესახებ, რომ ქვეყანას პატარა იშვიათი დეფექტით მოევლინებოდა, რომლითაც ორი მილიონიდან მხოლოდ ერთი იბადება, ავსტრალიელმა ექიმებმა წინასწარ იცოდნენ. პატარა, ჯერ კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდა, როცა ექიმებმა მძიმე დიაგნოზი დაუსვეს: გოგონა დაიბადება გულის ღია კედლით.

ბრისბენის ჰოსპიტალში დოქტორ კეროლ პორტმანმა ბავშვი მიიღო, ის გაოცებული დარჩა: მკერდქვეშ წარმოშობილი ჭუჭრუტანიდან გოგონას მფეთქავი გული მოჩანდა. ჩარლი საიზერნმა დაბადებაც ვერ მოასწრო, რომ საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა.

ქირურგებმა შეძლეს ჭუჭრუტანის დახურვა გოგონასავე კანით და სპეციალური ქსოვილით.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ახალშობილის ორივე თირკმელმა შეწყვიტა მუშაობა. ჩარლიმ ვაჟკაცურად გადაიტანა მეორე ოპერაციაც და დაუძვრა ავადმყოფობას.

კლინიკაში გატარებული 8 კვირის შემდეგ, ღია გულით დაბადებულმა გოგონამ გამოჯანმრთელება დაიწყო. როგორც ექიმები ამბობენ, ის მალე არაფრით არ იქნება განსხვავებული თავისი თანატოლებისაგან.

***მეგაპოლის-ექსპრესი №36***

# მაიმუნმა სიგარეტის მოწევა დაიწყო



ჩინეთის ქალაქ ჟენ-შუს ზოოპარკის თანამშრომლებმა დიდხანს ვერ გამოიცნეს შიმპანზე ფეილის შეცვლის საიდუმლოება: ფეილი თანამშრომლებს თავს ესხმოდა, დამთვალიერებლებს აჯავრებდა და... მოწევაც ისწავლა. არავინ იცის, პირველად ვინ გაუმასპინძლდა აჯანყებულ მაიმუნს. ფეილი ყველას სიგარეტს სთხოვს და თუ მოკიდებული არ მიაწოდეს, წივილ-კივილს იწყებს.

ზოოპარკის დირექტორის მიერ პეკინიდან მოწვეული ექსპერტები მთელი კვირა აკვირდებოდნენ მაიმუნის საქციელს. აღმოჩნდა, რომ შიმპანზე ასეთ დღეში არასასურველ პარტნიორებს ჩაუგდიათ.

ფეილის სხვა ზოოპარკიდან მოუყვანეს მოსაწონი პარტნიორი — საამისოდ კინაღამ კონკურსიც ჩაატარეს. მაიმუნს, როგორც იქნა, ერთ-ერთი „საცოლე“ მოუვიდა თვალში და თითქოს დამშვიდდა კიდეც, თუმცა სიგარეტს თავი მაინც ვერ დაანება. მიუხედავად აკრძალვისა, მოხერხებული პრიმატი ნამწვავებს პოულობს და... ჭამს.

***ინტერპოლ-ექსპრესი***

# აღმოჩენილია იოანე ნათლისმცემლის გამოქვაბული(?!)



ბრიტანელმა არქეოლოგმა შიმონ გიბსონმა იერუსალიმიდან 4 კმ-ში აღმოაჩინა გამოქვაბული, სადაც მისი თქმით, იოანე ნათლისმცემელი თავის მომხრეებს ნათლავდა. გამოქვაბულის სიგრძე 24 მეტრია, სიგანე და სიმაღლე — 4-4 მეტრი. მახლობელ სოფელ ეინ კერემში, გადმოცემის თანახმად — იოანე დაიბადა.

ამ გამოქვაბულის არსებობა იქაურებმა იცოდნენ, მაგრამ იგი თითქმის პირთამდე ტალახითა და მიწით იყო ამოვსებული. 1999 წელს გიბსონი ადგილობრივი მცხოვრებლების თხოვნით, ვიწრო ხვრელით დიდი გაჭირვებით შეძვრა გამოქვაბულში, ქვები მისწიმოსწია და კედელზე დაინახა გრძელთმიანი კაცის გამოსახულება. გათხრები 5 წელი გრძელდებოდა.

მიწის ქვეშ დიდი აუზია, რომლისკენაც 28-საფეხურიანი კიბე ჩადის. წყალთან ჩასული ქრისტიანები სამოსს იხდიდნენ, მარჯვნივ, ნიშაში აწყობდნენ და ფეხს მოგრძო ქვაზე ადგამდნენ. მასზე დღესაც იკვეთება დაახლოებით 42 ზომის ფეხის ანაბეჭდი. გვერდით, პატარა შეღრმავებულში, ეტყობა, ინახებოდა ზეთი, რომელიც ფეხის დაბანის დროს იხმარებოდა.

ფრესკაზე გამოხატულია გრძელთმიანი მამაკაცი, შემოსილი ცხოველის ტყავით. მამაკაცს მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს, მარცხენა კი ზემოთ აქვს აწეული.

მოპირდაპირე კედელზე იმავე მამაკაცის თავია გამოსახული. გადმოცემის თანახმად, იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთეს იუდეას მმართველის, ჰეროდე ანტიპას ბრძანებით, რომელსაც იოანე გარყვნილებასა და სხვა უკეთურ ქმედებებში თამამად სდებდა ბრალს.

მღვიმე იუდეველებმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-V საუკუნეებში გამოთხარეს, რომელსაც ეტყობა, აბანოდ იყენებდნენ. თუ შემდგომი კვლევებიც დაადასტურებს გიბსონის თეორიას, მაშინ იერუსალიმის ახლოს მდებარე გამოქვაბული თამამად შეიძლება ჩაითვალოს ახალ აღთქმასთან დაკავშირებულ უდიდეს არქეოლოგიურ აღმოჩენად წმინდა მიწაზე.

***მირ ნოვოსტეი***

# დასჯის ორიგინალური მეთოდი

მოსწავლეების ყბედობით თავმობეზრებულმა ერთ-ერთმა არგენტინელმა მასწავლებელმა მათი მოჭკვიანების „ორიგინალურ მეთოდს“ მიაგნო — გაკვეთილზე მოლაქლაქე მოწაფეებს პირი საიზოლაციო ლენტით აუკრა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გაკვეთილებზე სამარისებური სიჩუმე იყო. ასეთი მდგომარეობა ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, ერთ ბავშვს მშობლებისთვის რომ არ მოეყოლა მასწავლებლის მეთოდის შესახებ.

ყბედებთან მებრძოლ მასწავლებელს გაკვეთილზე მოულოდნელად თავს დაადგა კომისია, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა პირაკრული მოსწავლეები. მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვეს და სამუდამოდ აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა.

***მირორი***

# ჩინგის ხანი პოეტიც ყოფილა



მონღოლი არქეოლოგების უკანასკნელმა მონაპოვარმა ახალი თვისებები შესძინა ევრაზიის სასტიკ დამპყრობელს, ჩინგის ხანს. ისტორიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩინგის ხანი უწიგნური იყო, ვინაიდან მონღოლური დამწერლობა შეიქმნა მაშინ, როცა ჩინგის ხანი ორმოც წელს იყო გადაცილებული და მუდმივ ბრძოლებში ჩაბმული, წერა-კითხვის შესასწავლად ვერ მოიცლიდა.

ცოტა ხნის წინ, მონღოლმა პროფესორმა თენგუს ბაიარინმა აღმოაჩინა ჩინგის ხანის ხელით დაწერილი და ხელმოწერილი რამდენიმე ბრძანებულება, უფრო მეტიც, საბუთებს შორის მან მიაგნო ამ სასტიკი მბრძანებლის მიერ დაწერილ ლექსებსაც.

***ეხო პლანეტი***

# ქურდს ჩაეძინა და...

73 წლის სან-ფრანცისკოელი ქალის სახლში ღამით ქურდი შეიპარა. ქალს ხმაურზე გამოეღვიძა, ჰოლში გამოვიდა და „სტუმრის“ უტიფრობით აღშფოთებულმა, მას ჯერ ნოტაცია წაუკითხა და შემდეგ სავახშმოდ მიიპატიჟა.

ენერგიულმა ბებიამ ქურდს საოჯახო ფოტოების ალბომი გამოუტანა და სიყვარულით მოუთხრო თავის შვილიშვილებზე.

„საქმითა“ და გემრიელი ვახშმით გადაღლილ ქურდს მოხუცის მონოტონური ლაპარაკი დედის ნანასავით ჩაესმა და... ჩაეძინა.

ეშმაკმა ქალმა ამით ისარგებლა და მძინარე სტუმარს თავზე პოლიციელები დააყენა.

***ლიზა***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში რობერტ დე ნიროს სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**პ.** ფულის ერთეული მექსიკაში; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ე.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ს.** ავთვისებიანი სიმსივნე; **ა.** „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი — რომანში მას ტოფანა ჰქვია, რა ჰქვია ფილმში; **ს.** მობილური ტელეფონების მწარმოებელი გერმანული ფირმა; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **დ.** სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის, შემდეგ კი გავგამელას ბრძოლებში დაამარცხა; **ე.** სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** ჰერცოგი და კარდინალი, ლუდოვიკო მეცამეტის პირველი მინისტრი; **ო.** რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **ბ.** პირველი სიტყვა, რომელიც პატარაობაში წარმოთქვა ვახტანგ კიკაბიძემ; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **კ.** აბდულას როლის შემსრულებელი ფილმში „უდაბნოს თეთრი მზე“; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ი.** მგალობელი ფრინველი; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ი.** სოფელი თბილისი-გორის გზაზე, რომლის გავლისას მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ს.** სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **პ.** მაიმუნის სახეობა; **ა.** ტროპიკული ხილი; **ლ.** რომელი ქვეყნის დედაქალაქია რიგა; **ი.** ღონე, სიქა, არაქათი; **ტ.** ალბანეთის დედაქალაქი; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დარიალი; **ა.** ათაბაგი; **ი.** ინცესტი; **ს.** სიგელი; **ვ.** ვუალი; **ე.** ერმაკი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ელჩი; **თ.** თუნგი; **პ.** პადრე; **ა.** აკაკი; **ლ.** ლაფსუსი; **ი.** იმედი; **ტ.** ტახი; **რ.** რობერტი; **ა.** ანუბისი; **ს.** სირტაკი; **თ.** თათარა; **ა.** აქსიომა; **ნ.** ნამქერი; **ე.** ემისია; **რ.** რევანში; **თ.** თხემი; **ა.** ანცი; **დ.** დუიმი

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: რაც გამაჩნდა ფეხბურთს მივეცი.**

# „ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ მნახოს ვოვამ“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

— **სანამ იმათთან იზრდებოდა, არ ჩამოჰყავდათ თქვენთან?**

— არა. ჩემიანებს საქართველოს ხსენებაც არ უნდოდათ და აქ რა ჩამოიყვანდათ?

— **თქვენ ახერხებდით სიყრმის შვილის მონახულებას?**

— როცა დავაპირე, მითხრეს, აქ აღარ არისო, მამამ არ გამიმხილა მისი ადგილსამყოფელი, დედამაც — არ ვიციო.

— **მერე არ უსაყვედურეთ მშობლებს?**

— ეჰ, როგორ არ ვუსაყვედურე, ვეჩხუბე კიდეც, ბევრი ვიტირე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მამა უკვე გარდაცვლილი იყო, როცა ჩემებმა გამაგებინეს, დედა ცუდად არისო. გიორგის არ უნდოდა ჩემი გაშვება, მაგრამ ღრიალი დავიწყე, შევეცოდე და ნება მომცა, მომაკვდავ დედასთან წავსულიყავი. როცა ჩავედი, დედას ლაპარაკი აღარ შეეძლო, მაგრამ ვხვდებოდი, რაღაცის თქმა უნდოდა. ჩემს რძლებს, ძმების ცოლებს ვთხოვე, თუკი იცოდნენ ვოვას ადგილსამყოფლის შესახებ, არ დაემალათ ჩემთვის. არ ვიცითო, — მითხრეს. მხოლოდ ერთმა აღიარა, მამაშენს ფიცი მივეცი, რომ არასოდეს გეტყოდი, ამიტომ ვერ გაგიმხელო. მოგვიანებით გავიგე, რომ სამხედრო პირი გამხდარა.

— **ალბათ გიხარიათ, ასეთი ცნობილი შვილი გყავთ.**

— კი, რა თქმა უნდა. თურმე მას პატარა სტალინსაც ეძახიან... დანარჩენებიც კარგები მყავანან, მაგრამ ბოლომდე ბედნიერი ვინ ყოფილა, რომ მე ვიყო?

— **რაზე ოცნებობთ?**

— ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ერთხელ მაინც არ მნახოს ვოვამ და არ დამელაპარაკოს.

სიზმარშიც ხშირად ვხედავ, მაგრამ ხმას არ მცემს. როგორც ცხოვრებაში, ისე სიზმარშიც გაბუტულია ჩემზე.

...საუბრისას ქალბატონი ვერას ერთ-ერთი ქალიშვილი მოგვიახლოვდა. მთხოვა, ბევრი კითხვა აღარ დამესვა 78 წლის ვერა პუტინასათვის, ნერვიულობს, წნევა უწევს, როცა პირველ შვილს იხსენებს, მერე კი კარგა ხანს ლოგინიდანაც ვერ დგებაო. საყვედური არ მეთქმოდა, მართლაც საკმარისზე ბევრი მელაპარაკა. მადლობა გადავუხადე ვერა პუტინას და ლუბა ოსეფაშვილს მივაშურე.

— **ქალბატონო ლუბა, გახსოვთ თქვენი უფროსი ნახევარძმა?**

— კი, როგორ არა. ვოვა 5 წლის იყო, როცა მე გავჩნდი. ვოვას მერე სოფიკო დაიბადა, მერე მე, მერე ავთანდილი, მარინა და ლია.

— **რა ეპიზოდი შემორჩა თქვენს მეხსიერებას, რომელიც პატარა ვალოდიას უკავშირდება?**

— ჩემი მხარზე შემოსმა უყვარდა. პატარა ვიყავი, მშობლებს სახლის მშენებლობა ჰქონდათ წამოწყებული და სულ იქ ტრიალებდნენ, მე კი ვოვას და სოფიკოს იმედად მტოვებდნენ ძველ სახლში. ერთხელ შემთხვევით მხრიდან ჩამოვუვარდი, თავით დავასკდი ქვას და გავიტეხე. ახლაც კი თმას იმ ადგილას ხეირიანად ვერ ვივარცხნი ნაიარევის გამო. სისხლი თქრიალით მომდიოდა, ჩემს ძმას და დას ისე შეეშინდათ, თავით ჩამაყუდეს წყლიან ტაშტში. სისხლი როგორღაც შემიჩერეს, მაგრამ მშობლებს გული კინაღამ გაუსკდათ, სისხლით სავსე ტაშტი რომ დაინახეს.

— **ხომ არ დასაჯეს ვოვა ამის გამო?**

— ეგ აღარ მახსოვს. და-ძმებს შორის ყვე-



წყნარი, ჩუმი ბიჭი იყო. მისი გაკეთებული „ლაგატკა“ ახლაც შენახული მაქვს. მეზობლის ქათმებს ესროდა ხოლმე. ძალიან უყვარდა თევზაობა და ჭიდაობა. თუ ვინმე წააქცევდა, ისე გამწარდებოდა, არ მოეშვებოდა, სანამ არ დაამარცხებდა. ამხანაგებთან ჩხუბი არასოდეს მოსვლია.



ლუბა ოსეფაშვილი

ლაზე მეტად მე ვგავდი ვოვას. ორი ყბით ჭამა იცოდა, მეც ასევე. მამა მეჩხუბებოდა, იმ ბიჭზე ვბრაზობდი, ასე რომ ჭამდა და ახლა შენც დამიწყეო.

— **რატომ არ შემოგრჩათ ვალოდიას ბავშვობის დროინდელი ფოტოები?**

— დედა დაკომპლექსებული იყო ვოვას გამო. ეს ალბათ მშობლებისა და მამაჩემის გამო. სულ რაღაცას მალავდა, არ გვიმჟღავნებდა. ოჩორადან წერილს რომ მიიღებდა, ჩუმად კითხულობდა, ხშირად იცრემლებოდა. ერთხელ ვკითხეთ, ვოვა რატომ არ ჩამოდის-თქო და დაგვიცაცხანა, თქვენი საქმე არ არის, ის ახლა სამხედროა და შორეულ აღმოსავლეთში მსახურობსო. როცა ვლადიმირ პუტინი გამოჩნდა რუსეთის ხელისუფლებაში, ერთი აურზაური ატყდა ჩვენს ოჯახში. ვინ აღარ მოდიოდა — ჩვენი და სხვა ქვეყნის უშიშროებიდან, ჩეჩნები ყველაზე ხშირი სტუმრები იყვნენ მეტეხში. შეშინდნენ და შეწუხდნენ ჩვენები...

— **ჩეჩნებმაც ხომ გადაიღეს ფილმი პუტინის დედაზე?**

— კი, პირველად ჩეჩნებმა გადაიღეს და წიგნიც დასტამბეს. იქ ბევრი რამ იყო გაყალბებული. სამაგიეროდ, კარგად იყო წარმოჩენილი მსგავსება დედასა და ვალოდიას შორის — ვთქვათ, სიარულის მანერა, მიმიკები, სახის ნაკვთები და სიმაღლე. ფოტოები კი უშიშროებამ წაიღო, ორილა შემოგვრჩა და ისინიც ქართულ-ჰოლანდიურ გადამღებ ჯგუფს მივეცით. ერთი ბებიამ და ბაბუამ გამოგვიგზავნეს თავის დროზე ოჩორადან, მეორე კი თავად ვალოდიამ აჩუქა მესამე კლასში თავის ამხანაგს ქართული წარწერით: „სახსოვრად გაბრიელს ვოვასაგან“.

— **როგორც ვიცი, უშიშროების თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ის პატარა ვოვა სწორედ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინია. სისხლის ანალიზის გაკეთება ვერ მოახერხეს?**

— სისხლისა ვერა, მაგრამ ფოტოებიც სრულიად საკმარისი ყოფილა სიზუსტის დასადგენად. შემოწმების მერე დაგვიდასტურეს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ჩვენი ძმაა.

— **პირველად ვინ მიამსგავსა თქვენს ოჯახში ვოვა რუსეთის პრეზიდენტს?**

— მე... როგორც კი ვოვა გამოჩნდა რუსეთის ხელისუფლებაში, მაშინვე ჩემს და-ძმას დავუკავშირდი და ვუთხარი, ეს ჩვენი ვალოდიაა-მეთქი. თავიდან დედას ვერ ვუმხელდით, მერე ტელევიზიით რომ ვაჩვენეთ, კინაღამ გაგიჟდა ქალი, ბევრი იტირა, ძლივს დავაწყნარეთ. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ვალოდიას უთქვამს, პატარაობიდან ნათლობის ჯვარს ვატარებო. დედამ გვითხრა, ის ჯვარი უთუოდ დედაჩემის ნაჩუქარი იქნებაო. ბებია ღვთისმოშიში ქალი ყოფილა.

— **როგორც ამბობთ, პუტინის გაპრეზიდენტების დღიდან ბევრი „ინტერესიანი პირი“ მოდიოდა თქვენს ოჯახში. ამის გამო მრავალს მიუხურეთ სახლის კარი. ინეკე სმიტსა და გიორგი ოვაშვილს რატომღა დათანხმდით ფილმის გადაღებაზე?**

— სამწუხაროდ, მაშინ ბევრი ბინძური ჭორი გაავრცელეს. იწერებოდა ის, რაც სრულიად არ გვითქვამს, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მხოლოდ სანდო ხალხს გავნდობოდით და ერთხელ და სამუდამოდ გამჟღავნებულიყო ჩვენი ოჯახის ტკივილიანი ამბავი... სხვებს რომ თავი დავანებოთ, მამაჩემი ძალიან განიცდიდა ამ ჭორებს. მამა ოთხი წლის წინ სარკომით გარდაიცვალა, ბოლო თვეს ლოგინად ჩავარდა და ველარავის გვცნობდა დედაჩემის გარდა. მე რომ მის ოთახში შევდიოდი, კითხულობდა, ვინ არის ეს ბიჭიო? ვოვა ეჩვენებოდა ხოლმე, ასე ამბობდა: ვოვა დგას მანდ, დაუძახეთ, პური ჭამოსო.

— **როგორ ფიქრობთ, დადგება დღე, როცა რუსეთის პრეზიდენტი აღიარებს ვერა პუტინას შვილობას?**

— არა მგონია, თუმცა დედაჩემი ამ იმედით სულდგმულობს.

*მარინა ბაბუნაშვილი*


განსხვავებული ჟურნალი

✔ რატომ იზრდებოდა ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი მექსიკაში — ვინ ჩამოიყვანა ბავშვი თბილისში

✔ ჟანსუღ ჩარკვიანი: „ჩემს შვილს შველა ახლა სჭირდება...“

✔ ვისი გულისთვის დაღვრის ილიკო სუხიშვილი სისხლს — ანსამბლის ახალი სახე

✔ ახალი მძაფრსიუჟეტიანი რომანი „როცა სიყვარული დანაშაულია...“



...და მრავალი საინტერესო წერილი

ორშაბათობით!


# დამფრთხალი პოლიციელის ხილვა ორმაგად შემზარავია

## ქურდების თანადგომაში შემჩნეული კადრები საჩხერის პოლიციაში

(დასაწყისი იხ. გვ. 13)

ამას წინათ იმავე ბარის, ანუ პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე სამმა უცნობმა უცხო მანქანის გალება სცადა (ბუნებრივია, ქურდობის ან გატაცების მიზნით), მაგრამ მანქანაში ხალხი იჯდა და როცა ამის შესახებ პოლიციას შეატყობინეს, ნაცვლად იმისა, ახსნა-განმარტება მოეთხოვათ, იქვე, ჩვენ თვალწინ გაათავისუფლეს ეჭვმიტანილები(?!).

მეტიც, ამას წინათ ახალგაზრდების ორი ჯგუფის შელაპარაკება ისეთ დაუნდობელ ჩხუბში გადაიზარდა, ისე გამეტებით, ისე სასტიკად სცემდნენ ერთმანეთს, რომ აგერ-აგერ უბედურება იყო მოსალოდნელი. იყო რკინის ნაჭრებისა და ხელკეტების ტრიალი. ჯერ პოლიციაში დავრეკეთ, შემდეგ კაცი გავუგზავნეთ, მერე პირადად მე ვეახელი პასუხისმგებელ მორიგეს. პასუხი მარტივი იყო — რაიონში გუბერნატორი მუმლაძეა ჩამოსული და ყველა მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის მობილიზებულიო (ამ დროს პოლიციიდან 50 მეტრში შეიძლება ბავშვებს ერთმანეთი დაეხოცათ, ისევ ჩვენ ვივარგეთ თორემ...)(?!). არადა, ინსტრუქციის თანახმად, როცა ოპერატიული ჯგუფი დავალებაზეა გაგზავნილი, პასუხისმგებელი მორიგე ვალდებულია, პირადად გავიდეს შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ამისთვის საჭიროა ინსტრუქციის ცოდნა, ან იქნებ ესეც გულგრილობით უნდა აიხსნას.

ამ ნიჰილიზმის შედეგი კი ისაა, რომ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მანქანების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, ქურდობა და ე. წ. შეწერები... ძირითადად, ვაჭრებსა და ავტობუსის მძღოლებზე. აქაურებს ეს მეთოდი იმდენად კარგად აქვთ დამუშავებული, რომ თუ ფულის „სესხებაზე“ (აქ ფსონები 15-20 ლარიდან 1.000 ლარამდე მერყეობს) უარს ეტყვიან, მაშინ იმავე ფასის საქონელი(!) მიაქვთ... „სესხად“. ასე მოხდა ამას წინათაც. ზემოთ ნახსენები „ბათმანა“, იგივე მამუკა თოდაძე, სამეურნეო მაღაზიას მიადგა და „სესხად“ მაგიდა და სკამები მოითხოვა. გამყიდველებმა არ გაატანეს — მაღაზიის მეპატრონეს, ტარიელ ტოგონიძეს შეუთანხმეო. მაგრამ, როცა ტარიელმაც უარი უთხრა, თოდაძე ლანძღვა-გინებაზე გადავიდა და ტარიელზე გაიწია. ამ უკანასკნელმა კანონიერად გაფორმებული იარაღი დააძრო და გამომძალველი რომ ვერ მოიცილა, ისროლა კიდეც. „ბათმანა“ დაფრთხა, იქაურობას გაეცალა, მერე ძმაკაცები მონახა და ახლა უკვე სამ კაცთან ერთად დაბრუნდა... იარაღით.

ტოგონიძეს თავზე გადაამსხვრიეს მაღაზიის დახლებზე გამოტანილი ათას ხუთასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სერვიზი და ეს ხდებოდა საკოლმეურნეო ბაზარში, ასობით კაცის თვალწინ. „ბათმანა“ და ტოგონიძე ერთიმეორის პირისპირ, სამი მეტრის მანძილზე დგანან ჩახმახზე შეყენებული პისტოლეტებით. სადაცაა ტყვია გავარდება და „ბათმანა“ პოლიციაში გარბის... საჩივლელად. რამდენიმე წუთში პოლიციელებმა ტარიელს მიაკითხეს: „ბათმანასთვის“ პისტოლეტი გისვრია და პოლიციაში უნდა წამოხვიდე ახსნა-განმარტების მოსაცემადო. იქ კი ძაღლი და კატა ერთმანეთს შეატოვეს და „ბათმანამ“ მუშტები აამუშავა. ტარიელმა გაცლა ამჯობინა, — თუ აქაც მცემენ, მაშინ რაღას მომიყვანეთო. სწორედ ამაზე იტყვიან, გაუსაძლისი მდგომარეობაა ამჟამად საჩხერის პოლიციაში და სიმართლე გითხრათ, მებრალება მისი ახლახან დანიშნული უფროსი გელა კაციტაძე. მან, როგორც იქნა, დაარღვია აქ გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი და „ბათმანა“ და მისი ძმაკაცები დააკავა, მაგრამ არა თავისი ძალებით, არამედ ჭიათურის პოლიციის თანამშრომლები გამოიყენა ამ საქმისთვის და ჩემი აზრით, სწორადაც მოიქცა, — სხვა შემთხვევაში, ჯამბულ შუბითიძისნაირთა იმედად ამას ნამდვილად ვერ გააკეთებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ საჩხერის პოლიციაში დღესაცაა რამდენიმე გამოცდილი, თავის საქმეზე შეყვარებული თანამშრომელი. ახალდანიშნულმა პოლიციის უფროსმა სიამაყით განმიცხადა: ბიჭები ნელ-ნელა თავისუფლდებიან იმ არტახებისგან, წლების განმავლობაში რომ იყვნენ შეკრულებიო. თუმცა წერილის ავტორი ბოლომდე ვერ გაიზიარებს ამ ოპტიმიზმს, რადგან მმართველი პარტიის მიერ საჩხერის პოლიციისათვის შეთავაზებულ კადრებში ისეთებიც არიან, ქურდების თანადგომით რომ შეირცხვინეს თავი ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

იმედია, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესდება ჩვენი გულისტკივილით და მინდა მჯეროდეს და მჯერა, რომ ეს განყოფილება ძალიან მალე სავსებით გაიწმინდება შიშის სინდრომისაგან. მერწმუნეთ, დამფრთხალი პოლიციელის ყურება ორმაგად შემზარავია...

*ვაჟა გავაშელი*

# კოჭლი ცხვარი თუ ლიდერის მაისური საქართველოს ნაკრებისთვის

დღეს საღამოს, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები უკრაინას მიემგზავრება. მოლოდინისამებრ, ქართველები ჯგუფის ლიდერის რანგში ვეღარ ეწვევიან სლავებს, რადგან უკრაინა-საბერძნეთის დაზავებით თურქეთმა ისარგებლა, ყაზახებს ბდღვირი ადინა და ბურთების უკეთესი სხვაობით ქვეჯგუფის სათავეში წამოსკუპდა. თავისი მატჩი მოიგო დანიამაც, თუმცა, ალბანეთში გამარჯვებამ სკანდინაველები მხოლოდ მესამე პოზიციამდე აამაღლა.

სადღეისო მდგომარეობით, საქართველო მეოთხეა, თუმცა, უკრაინასთან წარმატებული თამაშის შემთხვევაში (ღმერთმა ქნას), „ხუთჯვაროსნებს" ლიდერობის დაბრუნება შეუძლიათ. ეგაა, ამის გაკეთება ურთულესი საქმე იქნება. ბერძნებთან ბოლო წუთებზე დაკარგული ქულები, იქნებ, ძალზე ძვირად დაუჯდეს ოლეგ ბლოხინის სამწყსოს, ამიტომაც, სლავები გახელებულები შეუტევენ ჩვენს კარს და... შესაძლოა სწორედ ამ დროს მოგვეცეს შანსი...



ლვოვში გამგზავრებამდე, ალენ ჟირესმა ოთხი დღის მანძილზე მოძღვრა თავისი შეგირდები, კვირის ბოლოს კი, ერთი სასიამოვნო ამბავიც შეიტყო: ზურაბ ხიზანიშვილმა ვარჯიში განაახლა და სავარაუდოდ, ოთხშაბათსაც შეეძლება ნაკრების მაისურის მორგება...

**ალენ ჟირესი:**

— გუნდი ჩვეულ რიტმში, ძალზე სერიოზულად ემზადება. საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. რაც შეეხება ხიზანიშვილს, მას მორიგი შემოწმება ჩაუტარდა და სავარაუდოდ, იგი შეძლებს უკრაინელთა წინააღმდეგ თამაშს.

— **უკრაინის ნაკრების მიერ დანიასა და ყაზახეთში ჩატარებული მატჩების ვიდეოფირებმა რა ინფორმაცია მოგაწოდათ?**

— საქმე ის არის, რომ ეს ორივე შეხვედრა უკვეთა ძომავალმა მეტოქემ სტუმრად გამართა. გაცილებით მეტ ინფორმაციას უკრაინა-საბერძნეთის მატჩისაგან მივიღებ, რომელიც გამოაჩენს, რა ტაქტიკით თამაშობენ სლავები შინაურ კედლებში. რატომღაც, საუბრობენ უკრაინელთა დაცვის შუა ხაზის სისუსტეზე, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. უკრაინის ნაკრების ვერც ერთ რგოლს ვერ შევატყვე სისუსტე, თუმცა ჩვენ ჩვენსას შევეცდებით...

— **უკრაინა-საბერძნეთის მატჩის შედეგი მოახდენს თუ არა გავლენას თქვენ მიერ ასარჩევ ტაქტიკაზე?**

— ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ ორი თავდამსხმელით თამაშს ვამჯობინებ, არასწორად მიმაჩნია, სხვისი მიბაძვით ტაქტიკის არჩევა — ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვაჩვენოთ და შევეცადოთ, სასურველი გზით წარვმართოთ მატჩი...

**შოთა არველაძე:**

— ძალიან რთული და პრინციპული მატჩი გველის. უკრაინელებთან, ტრადიციულად, ყოველთვის გვიჭირდა, როგორც ნაკრების, ასევე საკლუბო დონეზე. თბილისის „დინამოს" თავის საუკეთესო წლებშიც კი უძნელდებოდა კიეველთა წინააღმდეგ თამაში, მოგვიანებით, უკრაინის ნაკრებმაც ყველა მატჩი მოგვიგო. ჩვენი მიზანია, ამ კონკრეტულ შეხვედრაში დადებით შედეგს მივაღწიოთ, წლების წინ მომხდარს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

— **ორი ტურის შემდეგ ქვეჯგუფის სათავეში მოვექცით. ეს ფსიქოლოგიურ პრობლემებს ხომ არ შეუქმნის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს?**

— თითოეული ჩვენგანი რეალურად აფასებს სიტუაციას. აი, თუ ექვსი ტურის შემდეგაც პირველები ვიქნებით... „ფარა რომ მოტრიალდება, კოჭლი ცხვარი პირველი აღმოჩნდებაო" — ასე რომ არ დაგვემართოს, სჯობს ამ თემაზე რამდენიმე ტურის შემდეგ ვისაუბროთ.

**ალექსანდრე იაშვილი:**

— კარგად გვესმის, რომ ურთულესი ბრძოლა გველის, მაგრამ ყველაფერს გავილებთ, რათა მინიმუმ, ქულა მაინც წამოვიღოთ ლვოვიდან და თუ მეტი შევძელით, ამას რაღა აჯობებს.

— **რა თქმა უნდა, ჯერ არ იცით, როგორი იქნება საქართველოს ნაკრების წინა ხაზი...**

— რომელი თავდამსხმელები ითამაშებენ უკრაინელთა წინააღმდეგ, ამას თამაშის დღეს შევიტყობთ. მთავარია, რომ ბიჭები უდიდესი მონდომებით ემზადებიან და კარგად აღებული სტარტიც სტიმულს გვმატებს.

— **სტიმულს გატანილი გოლებიც ამაღლებს.**

— მთავარია, გუნდმა ითამაშოს წარმატებით და დადებით შედეგს მივაღწიოთ. მეც თუ შევიტან წვლილს ნაკრების წარმატებაში და თავს გამოვიჩენ, ბუნებრივია, ორმაგად ბედნიერი ვიქნები...

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

— ვარჯიში შაბათს განვაახლე და საბედნიეროდ, ტკივილს არ შევუწუხებივარ. თანდათანობით, სულ უფრო იზრდება შანსი, რომ უკრაინელთა წინააღმდეგ თამაშს შევძლებ. ექიმები მაიმედებენ, თუ ასე გაგრძელდა, ოთხშაბათისთვის მწყობრში იქნებიო.

— **კალაძის არყოფნაში, შენი დახმარება ნაკრებს ერთიორად სჭირდება. რა განწყობაა გუნდში?**

— მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩია და თითოეულ ქულას ორივე გუნდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე ვითამაშებთ. ნაკრებში ისევ ის განწყობა და ატმოსფეროა, რაც წინა ორი მატჩისას, ეს კი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

ჩვენ პროფესიონალები ვართ და კარგად ვიცით, რომ მნიშვნელოვანი ცხრილის საბოლოო სახეა და არა ორი ან თუნდაც ოთხი ტურის შედეგი. თუ თითოეულ შეხვედრას უდიდესი მობილიზებით არ მიუდექი, პირველიდან უკანასკნელ ადგილზე ისე აღმოჩნდები, ვერც კი გაიგებ.

— **ისე, დროა, უკრაინელებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ, თორემ მათთან შეხვედრებში წარმატებისთვის ჯერ არ მიგვიღწევია...**

— ნამდვილად ასეა. სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრ ქვეყანასთან დაგვიგროვდა უარყოფითი ბალანსი და თანდათან, „რევანშზეც" უნდა ვიფიქროთ. განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებისთვის გვსურს დამტკიცება, რომ „ის საქართველო აღარა ვართ". რუსებს შარშან მოვუგეთ. იმედია, უკრაინასაც დავარწმუნებთ, რომ ხელწამოსაკრავი ნაკრები არ გვყავს. ყოველივე ამაში, ბუნებრივია, მხოლოდ სპორტული ინტერესები დევს და არავითარ შემთხვევაში — პოლიტიკური...

**აკაკი დევაძე:**

— ვითამაშებ თუ არა, ვერ გეტყვით, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, რაც შეეხება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. გუნდშიც ჩინებული განწყობაა. პარასკევს პატრიარქსაც შევხვდით და ყველანი ამაღლებულ გუნება-განწყობილებაზე ვართ. წარმატებისათვის თავს არ დავზოგავთ, რადგან ჩვენც და გულშემატკივარიც ვხედავთ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი არსებობს და მას გამოყენება უნდა. ეს ჩემი თაობისთვის თავის გამოჩენის უკანასკნელი შესაძლებლობაა.

— **ასე რომ, მინიმუმ ისე მაინც უნდა ითამაშო, როგორც ალბანელთა წინააღმდეგ...**

— რა თქმა უნდა, თუ თამაშის შესაძლებლობა მექნება, პირობას გაძლევთ, უფრო მეტი მოტივაციითა და განწყობით ვითამაშებ და თავს არ დავზოგავ...

**გოჩა ჯამარაული:**

— თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ძალზე რთული მატჩი გველის, ამიტომაც, სერიოზულად ვემზადებით. მინიმუმ, ფრე მაინც უნდა გავახერხოთ. თუმცა, ძირითადი ამოცანა, რა თქმა უნდა, სამი ქულის მოპოვებაა.

— **უკრაინაში თამაშობ. შენი აზრით, რა უნდა დაუპირისპიროთ მასპინძელთა ნაკრებს?**

— უკრაინის ნაკრები ფიზიკურადაც და ტაქტიკურადაც ძალიან კარგადაა მომზადებული, მათი დაღლა შეუძლებელია. ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია, არ ჩამოვრჩეთ მათ ამაში და რაც შეიძლება მეტხანს ვაკონტროლოთ ბურთი. დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ დაცვასაც, რადგან უკრაინელები ძირითადად კონტრშეტევებზე აგებენ თამაშს და ეს არ უნდა გამოგვეპაროს.

**ლაშა ჯაკობია:**

— მთავარია, ისეთივე ბრძოლისუნარიანი გუნდი შევინარჩუნოთ, როგორც წინა ორ შეხვედრაში გვყავდა და დარწმუნებული ვარ, შედეგი იქნება. კონკრეტულ დავალებებს კი უშუალოდ თამაშის წინ მივიღებთ. საკმაოდ ამაღლებულ, საბრძოლო განწყობაზე ვართ და უიმედობას არ ვუჩივით.

— **მეტოქის თამაშები თუ გაარჩია მწვრთნელმა თქვენთან ერთად?**

— უკრაინა-საბერძნეთის მატჩს ერთად გავარჩევთ და დავალებებსაც, ალბათ, ამის შემდეგ „დაგვირიგებენ". ჩემი მხრივ, თუ თამაშის შესაძლებლობა მომეცემა, უზომოდ ნასიამოვნები დავრჩები და შევეცდები, საკუთარი წვლილი შევიტანო ნაკრების წარმატებაში...

ამგვარად, იმის დასადგენად „ფარის შემობრუნების" ბრალია ლიდერთა მარაქაში ჩვენი გარევა, თუ მართლა „ვსწავლობთ" ნელ-ნელა ფეხბურთის თამაშს, ორიოდ დღეღა დაგვრჩა. იმედი ვიქონიოთ, ქართველი ფეხბურთელები „ტემპს არ დააგდებენ" და წარმატებულ სვლასაც გააგრძელებენ. თუმცა, არც უკრაინაში დამარცხება იქნება ტრაგედიის ტოლფასი, მთავარია, ბიჭებმა თავდაუზოგავად, ჟინიანად იბრძოლონ და ქომაგს დაუმტკიცონ, რომ „ის საქართველო აღარა ვართ..."

# ფრანგებს ტიტულები აღარ უნდათ, სომხები კი წარსულს მისტირიან

## მსოფლიო — 2006

ევროპის ზონა. შესარჩევი ეტაპი. 9 ოქტომბერი.

### II ჯგუფი

უკრაინა — საბერძნეთი 1:1
*შევჩენკო 48(1:0), ცარტასი 82(1:1)*

ალბანეთი — დანია 0:2
*იორგენსენი 54, ტომასონი 73*

თურქეთი — ყაზახეთი 4:0
*კარადენიზი 17, ნიჰათი 51, ტაკი 89,90*

მაშინ, როცა საქართველო ისვენებდა, მის მეტოქეებს საკმაოდ მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდათ. ყველაზე დაძაბული შეხვედრა კიევში გაიმართა, სადაც შევჩენკოს გოლით დაწინაურებული უკრაინა ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ კერკეტმა ბერძნებმა მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს. თუკი კიევური ყაიმი ჩვენს „დაფაზე" იღბლიანად „განლაგდა", დანიის გამარჯვება ტირანაში ნამდვილად არ იყო სასურველი. ალბანელებს შეეძლოთ ქულისთვის ხელი გამოეკრათ, მაგრამ სკანდინაველებმა მაღალი კლასის ხარჯზე თავისი მაინც გაიტანეს. რაც შეეხება ჯგუფის აუტსაიდერ ყაზახეთს, ნაზარბაევის თანამემამულეებმა სანამ შეძლოთ, გოლების „წვიმისაგან" თავი დაიცვეს, მაგრამ თურქთა გავეშებულ იერიშებს წინ ვეღარ აღუდგნენ და მატჩის მიწურულს ტყუპი გოლი კიდევ გაუშვეს, რამაც მასპინძლებს დიდი ანგარიშით მოგება გაუფორმა.

13 ოქტომბერს, ქართველები მძიმე ბრძოლაგადატანილ უკრაინელებს ესტუმრებიან, ყაზახები ალბანელებს უმასპინძლებენ, დანიელები კი თურქებს. ამ მატჩების შემდეგ, ცხრილი ისევ აირევა, დღეისათვის კი ის ასე გამოიყურება:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | თურქეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| 2. | უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 3. | დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 4. | საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 5. | ალბანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| 6. | საბერძნეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 7. | ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### I ჯგუფი

ჩეხეთი — რუმინეთი 1:0
მაკედონია — ჰოლანდია 2:2
ფინეთი — სომხეთი 3:1

მაკედონიამ ძალიან კარგი თამაში აჩვენა და გამარჯვებაში დარწმუნებულ ჰოლანდიელებს ქულები „დააყრევინა", ჩეხებმა მოგების გემო ისევ გაიხსენეს და დაძაბულ მატჩში რუმინელებს სძლიეს. სომხებმა კი ფინეთთან წააგეს და ახლა ისღა დარჩენიათ, წარსულის ნათელი ფურცლების გახსენებითღა მოიკლან დარდი. დრო იყო, ერევნის „არარატი" მიუნხენის „ბაიერნს" ტოლს არ უდებდა, დღეს კი, ვისაც არ ეზარება, სომხების უსახურ გუნდს დიდოელი ლეკის ნაბადივით თელავს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| 2. | რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| 3. | მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 4. | ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| 5. | ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 6. | სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |
| 7. | ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

13 ოქტომბერი: სომხეთი — ჩეხეთი
ანდორა — მაკედონია
ჰოლანდია — ფინეთი

### III ჯგუფი

ლუქსემბურგი — რუსეთი 0:4
სლოვაკეთი — ლატვია 4:1
ლიხტენშტეინი — პორტუგალია 2:2

რუსეთის საქმე ისეა, გივი ბერიკაშვილის პერსონაჟი რომ პასუხობს მკურავ მაყვალას: „ვაჰ, კაცო, პირდაპირ საინტერესოა, როგორ მაიფიქრებენ ხოლმე ეგეთ რამესაო". მართლა გაოცებას იწვევს, მუდმივად როგორ უმართლებთ რუსებს და როგორ ხვდებიან ასეთ სუსტ ჯგუფებში. ან რა თილისმა აქვს ამისთანა კოლოსკოვს, რომ მსოფლიო ფეხბურთის ჩინოვნიკები თავს ევლებიან. ამჯერად, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ლუქსემბურგთან ნაივარჯიშეს. ლატვიელები, როგორც ჩანს, დღემდე ვერ გამოსულან ევროპული ეიფორიიდან, პორტუგალიელებმა კი სირცხვილი ჭამეს ლიხტენშტეინის „სოფლის" გუნდთან.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სლოვაკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:3 | 10 |
| 2. | პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| 3. | ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 4. | რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| 5. | ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | 3 |
| 6. | ლიხტენშტეინი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | 1 |
| 7. | ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:15 | 0 |

13 ოქტომბერი: ლატვია — ესტონეთი
ლუქსემბურგი — ლიხტენშტეინი
პორტუგალია — რუსეთი

### IV ჯგუფი

ისრაელი — შვეიცარია 2:2
საფრანგეთი — ირლანდია 0:0
კვიპროსი — ფარერები 2:2

აღარ უნდათ ფრანგებს ტიტულების მოგება და რა ქნან?! მოსაგები მოიგეს, საშოვარი — იშოვეს, ჰოდა, ეტყობა, მოსწყინდათ თამაში. ამ ჯგუფში მეტი აღსანიშნავი არაფერი ყოფილა. ეს ტური მათთვის ყველაზე მშვიდობიანი გამოდგა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შვეიცარია | 3 | 1 | 2 | 0 | 9:3 | 5 |
| 2. | ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| 3. | საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| 4. | ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 5. | კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| 6. | ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |

13 ოქტომბერი: ირლანდია — ფარერები
კვიპროსი — საფრანგეთი

### V ჯგუფი

შოტლანდია — ნორვეგია 0:1
ბელორუსია — მოლდავეთი 4:0
სლოვენია — იტალია 1:0

იტალიელებმა პირველი მარცხი იწვნიეს. სლოვენიამ თავდადების ხარჯზე უფრო მოიგო და გულშემატკივრებს დაუვიწყარი საღამო აჩუქა. ნორვეგიელებმა სქოთები დაამწუხრეს და ოდნავ გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ერთ დროს ჩვენი მუდმივი „სატკივარი" მოლდავეთი კი ძალიან ცუდ დღეშია, თამაშს თამაშზე აგებს და ერთი გოლი რა არის, ისიც კი არ გაუტანია.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სლოვენია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| 2. | იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 3. | ბელორუსია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| 4. | ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 5. | შოტლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 6. | მოლდავეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

13 ოქტომბერი: მოლდავეთი — შოტლანდია
ნორვეგია — სლოვენია
იტალია — ბელორუსია

### VI ჯგუფი

ავსტრია — პოლონეთი 1:3
აზერბაიჯანი — ჩრ. ირლანდია 0:0
ინგლისი — უელსი 2:0

ამ ჯგუფში ყველაფერი თავის ადგილზეა. ფავორიტები იგებენ, აუტსაიდერები ცდილობენ, ფეხბურთი რომ ჰქვია, ის თამაში ითამაშონ. ამასობაში, ინგლისმა ლიდერობა ხელთ იგდო და ოთხშაბათის მატჩის შემდეგ, ყვითელ მაისურს ალბათ ხანგრძლივი დროით მოირგებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| 2. | პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| 3. | ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| 4. | ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| 5. | აზერბაიჯანი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 6. | უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |

13 ოქტომბერი: აზერბაიჯანი — ინგლისი
ჩრ. ირლანდია — ავსტრია
უელსი — პოლონეთი



### VI ჯგუფი

ბოსნია — სერბეთი 0:0
ესპანეთი — ბელგია 2:0

აღმავლობით მოთამაშე რაულისა და მისი თანაგუნდელების წინააღმდეგ ბელგია ვერაფერს გახდა. ის კი არა, ღონემიხდილ სტუმრებს ორი ფეხბურთელიც გაუძევეს მინდვრიდან და იღბალს უნდა უმადლოდნენ, რომ უფრო დიდი ანგარიშით არ დატოვეს არცთუ „სტუმართმოყვარე" ესპანეთი. ყოფილი იუგოსლავიის მობურთალეებმა კი გაიხსენეს, რომ ერთი „გორისანი" არიან და უგოლო ფრის წყალობით მშვიდობიანად გაიყარნენ.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| 2. | ლიტვა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| 3. | ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 4. | ბოსნია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 5. | ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 6. | სან-მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

13 ოქტომბერი: ლიტვა — ესპანეთი
სერბეთი — სან. მარინო

### VII ჯგუფი

შვედეთი — უნგრეთი 3:0
მალტა — ისლანდია 0:0
ხორვატია — ბულგარეთი 2:2

შვედებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი და ახლა კარგ განწყობაზე ესტუმრებიან მეზობელ ისლანდიას. შვედთა ლიდერები ლუნგბერგი და ლარსონი ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან, რასაც გუნდის მიერ უკვე გატანილი ათი გოლიც მოწმობს. საოცარი საბრძოლო ჟინი გამოავლინა ხრისტო სტოიჩკოვის ბულგარეთმა, რომელმაც ორბურთიანი უპირატესობა და უეჭველი გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯა ხორვატიის ნაკრებს. ახლა ბულგარელებს ლიდერობის კარგი შანსიც გააჩნიათ, რადგან ოთხშაბათს გასაცოდავებულ მალტის ნაკრებს მასპინძლობენ და ალბათ გადაინაცვლებენ კიდეც პირველ ადგილზე, თუ რა თქმა უნდა, ისლანდიამ რამე არ იღონა და შვედეთის „აწყვეტილი" გუნდი არ შეაჩერა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 2. | შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:1 | 6 |
| 3. | ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 4. | უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| 5. | ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| 6. | მალტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:7 | 1 |

13 ოქტომბერი: ბულგარეთი — მალტა
ისლანდია — შვედეთი

*გვერდი მოამზადა*
*რატი შელეგიამ*

## №40 (418) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგს 581 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 254-მა ქალმა და 322-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„საქართველოში პიროვნების მაღალი რანგის თანამდებობაზე დანიშვნისას ყველაზე მეტად რას ენიჭება უპირატესობა?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, მაღალ-მაღალი პოსტები მხოლოდ იმ ქართველთათვის არის განკუთვნილი, ვისაც დასავლური განათლება აქვს მიღებული. რესპონდენტთა 28%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური — 1 ქულა კი მხოლოდ 1%-მა მიაკუთვნა. **6,47** საშუალო ქულით დასავლური განათლება პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა პოლიტიკური ორიენტაცია, საშუალო ქულაა 6,44. როგორც ვხედავთ, ამ ორ მახასიათებელს შორის სხვაობა ძალიან მცირეა. რაც იმის ნიშანია, რომ დასავლურ განათლებას საკმაოდ დიდ კონკურენციას პიროვნების პოლიტიკური ორიენტაცია უწევს. რესპონდენტთა უმრავლესობის — **43%-ის აზრით, დღეს ყველაზე პრიორიტეტული პოლიტიკური ორიენტაციაა. ასე რომ, პოლიტიკური ნიშნით შერჩევა დღესაც ისევე „მოდაშია“, როგორც ძველი ხელისუფლების დროს.**

რესპონდენტთა აზრით, მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის მესამე პრიორიტეტია პატიოსნება, საშუალო ქულაა 4,59. მაქსიმალური — 8 ქულით იგი მკითხველთა 8%-მა შეაფასა, მინიმალური — 1 ქულით კი — **5%**-მა.

სულ ბოლო ადგილზე „საზოგადოებრივი აზრია“. ჩვენი მკითხველების აზრით, სახელისუფლებო ვერტიკალზე ნაკლებად აინტერესებთ ხალხის აზრი კანდიდატის შესახებ. მთავარია ის იყოს „დასავლურად განათლებული,“ სახელისუფლებო გუნდის წევრი, პატიოსანი (თუმცა, თუ არა ხალხმა, ვინ უნდა შეაფასოს მისი პატიოსნების ხარისხი?) და მისი კომპეტენტურობა, გამოცდილება და რეიტინგი ნაკლებად მნიშვნელოვანია.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 37 წლის **კახაბერ ჯანელიძეა**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „გამოცდილებას“ ორის ნაცვლად — ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „რეიტინგს“ — პირიქით — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII-VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII-VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI-V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V-IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №41 (419) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში»**.

№41 (419) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 13 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 ოქტომბრის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად გამოდგება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №41(419) — ანგარიშგასაწევი აზრი

**თქვენი აზრით, ვისი აზრია საქართველოს პრეზიდენტისთვის ყველაზე უფრო კომპეტენტური და ანგარიშგასაწევი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

| N | N41(419) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო ბურჯანაძე | |
| 2 | სანდრა რულოვსი | |
| 3 | რიჩარდ მაილსი | |
| 4 | ზურაბ ჟვანია | |
| 5 | მაია ნადირაძე | |
| 6 | ირაკლი ოქრუაშვილი | |
| 7 | ჯორჯ სოროსი | |
| 8 | ვანო მერაბიშვილი | |
| 9 | ბადრი პატარკაციშვილი | |

### მკითხველის შეკითხვა

**პირველ რიგში რა სიტყვასთან ასოცირდება თქვენთვის „ბიზნესმენი“?**

✓ ____________________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

____________________ ____________________
ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

### მკითხველის შეკითხვის შედეგები

## ყველაზე სანდო პარლამენტარები

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 517 |
| 2. | კობა დავითაშვილი | 391 |
| 3. | მაია ნადირაძე | 225 |
| 4. | გიგი წერეთელი | 112 |
| 5. | ზვიად ძიძიგური | 84 |
| 6. | ელენე თევდორაძე | 81 |
| 7-8. | დავით გამყრელიძე | 65 |
| 7-8. | მიხეილ მაჭავარიანი | 65 |
| 9. | ლევან ბაჩელიძე | 54 |
| 10. | ვასილ მაღლაფერიძე | 51 |

მართალია, დაწინაურებულ ათეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ მკითხველმა ასევე ნდობა გამოუცხადა კოტე გაბაშვილს (46), ფიქრია ჩიხრაძეს (44), ლევან ბერძენიშვილს (39), ივლიანე ხაინდრავას (34), ნიკო ლეკიშვილს (27); დავით საგანელიძეს (24); ბესო ჯუღელს (19)...

რესპონდენტთა 2,5%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა; 5,7% კი აცხადებს, რომ არც ერთ პარლამენტარს არ ენდობა.

თქვენ უნდა დაგესახელებინათ სამი პიროვნება. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე — ორი, ხოლო მესამეზე — ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.

*დამატებით კითხვას 406-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

...ვახ, რა ბიჭი „გავფუჭდით“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოანტიკვარის“ ფოტოზე მინაწერმა: „ჩვენი ეზო რომ არა, იქნებ თავი არც გამეტეხა...“, მკითხველთა დიდი ნაწილი (40%) გიორგი შენგელაიას კინოგმირთან მიიყვანა. მათი აზრით, ეს თავგატეხილი ბიჭუნა ახტაჯანა ციცინოზე შეყვარებული დათოა, რომლისთვისაც ფათერაკები არც ბავშვობაში უნდა ყოფილიყო უცხო. რაც შეეხება თავის გატეხას, ამ ფაქტმა პოლიტიკოს ვახტანგ რჩეულიშვილის „კვალზე“ (მას დიდობაშიც მოუწია შეხვეული თავით სიარული) არც მეტი, არც ნაკლები, მკითხველთა 12% გაიყვანა! ძნელი გამოსაცნობია, რა მოტივით (შეიძლება გარეგნული მსგავსებითაც) აირჩიეს გია ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი და ლევან გაჩეჩილაძე „ჩვენი ეზოს“ გმირად. „ფოტოანტიკვარის“ ნამდვილი გმირი კი — კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე,** რომელსაც ეზოში „თავის გამოჩენა“ როგორც ჩანს, ბავშვობაშიც ჰყვარებია, მხოლოდ სამმა მკითხველმა ამოიცნო!







რეზო ჩხეიძე, 6 წლის

*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*

## ფოტო განცხადებისთვის



— ჩემი რაგბის გუნდი არავინ აიღოთ!..

## იცით თუ არა, რომ...

*** რამდენიმე წამის წინ გამოჩეკილ კობრას შეუძლია უკვე სასიკვდილოდ დაკბინოს მსხვერპლი;

*** პირველი ველოსიპედი ხის ცხენის ფორმისა იყო და ველოციფერი ერქვა;

*** ვატიკანის ოფიციალური საიტი სამი კომპიუტერით იმართება, რომლებსაც ეწოდებათ „გაბრიელი“, „მიქაელი“ და „რაფაელი“;

*** ის, ვინც ბევრ სტაფილოს მიირთმევს, უკეთ ხედავს სიბნელეში.

14/X
☽
ახალი მთვარე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტირანია; 4. სარდელი; 6. სეიფი; 7. ილეთი; 8. სვავი; 9. აგუტი; 10. ოსკარი; 13. სმალტა; 16. კიანუ; 18. სტუმარი; 19. პენალტი; 20. ალაგე; 22. პრერია; 23. კოპოლა; 25. კვერი; 27. ნაიკი; 28. არარა; 29. რაინი; 30. იმპორტი; 31. ასფალტი.

**შვეულად:** 1. ტარანტინო; 2. ასფიქსია; 3. ლიტერატურა; 4. სიფილისი; 5. იუმორესკა; 11. კიურე; 12. რეალი; 14. მანგო; 15. ლილეო; 16. კია; 17. უპე; 21. ასენიზაცია; 22. პატრიარქი; 24. არმანიაკი; 25. კენტავრი; 26. იმიტაცია.



ყოველ სამშაბათს
ყველაფერი გოგონების შესახებ



**თარაზულად:** 1. პაემანი; 4. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 6. სადღესასწაულო სამოსი; 7. ... მინელი; 8. ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში; 9. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 10. თურქეთის დედაქალაქი; 13. ადამიანის ნატურალური ზომის ან მასზე დიდი ქანდაკება; 16. ძაღლის ჯიში; 18. ზღაპრული ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი; 19. თევზსაჭერი გემი; 20. ფრანგი ფერმწერი; 22. ბუნების მძლავრი მოვლენა; 23. უეცარი შიშით გამოწვეული მდგომარეობა; 25. სააღდგომო ნამცხვარი; 27. სამაგიდო თამაში; 28. ბულგარელი ნათელმხილველი; 29. ლითონის წვრილი წვეტიანი ჩხირი; 30. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა; 31. გადაჭარბებული თავმოყვარეობა.

**შვეულად:** 1. თანამდებობის პირის განკარგულება, წაწერილი საქმიან ქაღალდზე; 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს; 3. თვალთმაქცი, ცბიერი; 4. ფეთქებადი ნივთიერება; 5. უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ სახელმწიფოში, მუდმივ საცხოვრებლად; 11. იგივეა, რაც ბატკანი; 12. მდინარე საქართველოში; 14. ციმბირის ტყეები; 15. სპორტული ნაგებობა ველოსპორტში შეჯიბრებისათვის; 16. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; 17. საჰაერო ბრძოლის ოსტატი; 21. სურსათის მაღაზიის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 22. თეატრალური წარმოდგენა; 24. პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე; 25. ზღვის დიდი ფრინველი; 26. იტალიური ავიაკომპანია.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## რობერტსი მოხიბლულია...

რამდენიმე დღის წინ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი ჯულია რობერტსი ბევერლი-ჰილზის ერთ-ერთ ფეშენებელურ მაღაზიაში შევიდა, რამდენიმე ტოპი აირჩია და მოსაზომ ოთახს მიაშურა, საიდანაც მალე აღფრთოვანებული შეძახილები გაისმა: „აუ, მაგარია, ეს რამხელა მკერდი გამზრდია!“

მკითხველს შევახსენებთ, რომ ვარსკვლავი ფეხმძიმედ არის და ტყუპს ელოდება. ჯულიამ შეძახილით მომსახურე პერსონალიც გააკვირვა და სავაჭროდ შესული ხალხიც. მოსაზომი ოთახიდან გამოსულ ჯულიას „აუდიტორია“ ჯერ მუცელზე მიაშტერდა, შემდეგ მკერდზე და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. მომავალ დედიკოს აშკარად გაზრდილი აქვს მკერდი, ცხადია, პლასტიკური ქირურგიის გარეშე...



## კროუფორდის საეჭვო ორიენტაცია?!



ამერიკელი პორნოვარსკვლავი, ბისექსუალი ჯენა ჯეიმსონი თავის წიგნში წერს, რომ მის „შეცდენას“ ცნობილი ტოპმოდელი სინდი კროუფორდი ცდილობდა. „მე და სინდი ერთმანეთს ერთ-ერთი გადაცემის გადაღებაზე შევხვდით... საგრიმიოროში სინდი ჩემკენ დაიხარა და კისერზე დამიწყო მოფერება, თანაც ნაზად მეჩურჩულებოდა“, — წერს ჯენა. ჯეიმსონი ისე დაბნეულა, რომ ოთახიდან თავპირისმტვრევით გავარდნილა. მოდელის აგენტი, რა თქმა უნდა, უარყოფს ამას, ნეტა, რა გუნებაზეა მისი მეუღლე, დაიჯერებს თუ არა პორნოვარსკვლავის მონაყოლს...

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

41 **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№41 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 14 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.